ვასილ ხიზანიშვილი

იტალია: რეკონსტრუქციიდან ეკონომიკურ სასწაულამდე (1945 – 1963/73 წწ.)

(მონოგრაფია)

გამომცემლობა „ლოი“
თბილისი - 2023

ვასილ ხიზანიშვილი, ,,იტალია: რეკონსტრუქციიდან ეკონომიკურ სასწაულამდე (1945 – 1963/73 წწ.)“, გამომცემლობა ,,ლოი“, თბილისი, 2023 წელი, გვ. 201

იტალიის, როგორც ღერძის წევრი სახელმწიფოს ომისშემდგომი მდგომარეობა და განვითარების ოცდახუთწლიანი პერიოდი, ვფიქრობთ რომ საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ქვეყნისთვის, რომელმაც სამი ათწლეულის განმავლობაში ვერ შეძლო, მისთვის ინჰერენტული ეთნო-კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით მოეხდინა მისაღები და წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელის ფორმირება.
მონოგრაფია წარმოადგენს პირველ ინდივიდუალურ კვლევას საქართველოში. ნაშრომი შესრულებულია ნაპოლისა (იტალია, 2022 წლის ზაფხული) და ტიუბინგენის (გერმანია, 2021 წლის შემოდგომა-ზამთარი) უნივერსიტეტებში.

მთავარი რედაქტორი:
პროფ. ელგუჯა მექვაბიშვილი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
საპატიო რედაქტორი:
პროფ.(ემერიტუსი) ჰერმან ლიხტენბერგერი (ტიუბინგენის უნივერსიტეტი)
რედაქტორი:
პროფ. ლოიდ ქარჩავა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი)
რეცენზენტი:
ასისტ. პროფ. ლაშა ტაბატაძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მსურს გულითადი მადლობა გადავუხადო ჩემს უფროს გერმანელ მეგობრებს, ჰერმან და ბეატე გლასერებს, რომლებმაც დააფინანსეს ამ სამეცნიერო პროექტის კვლევა იტალიაში, ნაპოლის უნივერსიტეტში.

I would like to heartly thank my senior German friends, Hermann and Beate Glaser, who sponsored the research of this scientific project at the University of Naples in Italy.

მონოგრაფია გამოიცა ბ.-ნ ჰერმან და ქ.-ნ ბეატე გლასერების ფინანსური მხარდაჭერით.

The monograph was published by Mr. Hermann und Mrs. Beate Glaser financial supporting.

შესავალი ----------5
თავი 1. რეკონსტრუქცია (1945-1950 წწ.) ----------8
1.1 §. საგარეო პოლიტიკა რეკონსტრუქციის პერიოდში - ---------- 9
1.2 §. საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა ---------- 20
1.3 §. დებატები რეკონსტრუქციის შესახებ ----------30
1.4 §. სამხრეთის პრობლემა: დეპრესიული რეგიონები -- ---------- 46
თავი 2. ეკონომიკური სასწაული (1951-1963/73 წწ.) ----- 65
2.1 §. ეკონომიკური სასწაულის წარმოშობა ----------65
2.1.1 §. სახელმწიფო კომპანიების(ჰოლდინგური სექტორის) როლი ეკონომიკური სასწაულის მიღწევის პროცესში ---------- 69
2.1.1.1 §. IRI ----------73
2.1.1.2 §. ENI ----------98
2.1.1.3 §. ორგანიზაციული სტრუქტურა და კონტროლი -- ---------- 108
2.1.1.4 §. ფინანსები ---------- 124
2. 2. 1 §. 'სასწაულის' ეკონომიკური შედეგები -------- 138
2. 2 .2 §. პროფკავშირები ----------150
2. 2 .3 §. სოციალური შედეგები ---------- 155
2. 2. 4 §. მიგრაციული ნაკადები და ეკოლოგიური კატასტროფები ---------- 162
ბოლოთქმა ---------- 175

შესავალი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი იტალიის ეკონომიკური გამოცდილება არ წარმოადგენს ჰომოგენურ (ერთგვაროვან) გამოცდილებას. იგი იწყება რეკონსტრუქციის ხუთწლიანი პერიოდით, რომელიც შეიძლება დათარიღდეს 1945-1950 წლებით, როდესაც ეროვნული შემოსავალი პირველად დაუბრუნდა ომამდელ დონეს. ამ პერიოდში, ერთი მხრივ, საწარმოო საქმიანობის რეორგანიზაცია ომისგან გამოწვეული რყევების შემდეგ განსაკუთრებული მზადყოფნით განხორციელდა, მეორე მხრივ, მიღებულ იქნა ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი ფუნდამენტური გადაწყვეტილება, რამაც საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურ განვითარებას მომდევნო წლებში. ამ გადამწყვეტ წლებში დებატებს კონტროლირებად ეკონომიკასა და საბაზრო ეკონომიკას შორის გარდაუვლად მივყავართ ეკონომიკურ სისტემამდე, რომელიც დაფუძნებულია თვითინიციატივაზე, ისევე როგორც ალტერნატივა დახურულ ეკონომიკასა და ღია ეკონომიკას შორის, რომელიც ვაჭრობისთვის ხსნილია, წარმოშობს გადამწყვეტ ორიენტაციას უფრო ფართო კომერციული ლიბერალიზმის მიმართულებით.

მომდევნო წლებში ვიხილავთ იტალიის ეკონომიკის კონსტრუქციას, როგორც ინდივიდუალურ ინიციატივაზე დაფუძნებული და ევროპულ ეკონომიკაში პროგრესულად ინტეგრირებული ეკონომიკის განვითარებას. თუმცა, 1951 წლიდან მოყოლებული მომდევნო 20 წელი უნდა დაიყოს ორ პერიოდად, რომლებიც ხასიათდება ძალიან განსხვავებული ეკონომიკური განვითარებით. პირველი არის პერიოდი 1950 წლიდან 1963 წლამდე. ეს არის იტალიის ეკონომიკის ყველაზე ბრწყინვალე ექსპანსიის (გაფართოების) პერიოდი, ეკონომიკური სასწაულის დროება. ეპოქა, მანამდე არნახული იტალიის ეკონომიკის რადიკალური ტრანსფორმაციით. ცვლილებები შეეხო როგორც ქვეყნის შიგნით ისე ქვეყნის გარეთ ცუდად ინტეგრირებულ აგრარულ, პროვინციულ სტრუქტურებს, რომლებიც ჩაანაცვლა ფართომასშტაბიანმა ინდუსტრიაზე დაფუძნებულმა, ღია ტექნოლოგიურმა პროგრესმა,

მტკიცედ ინტეგრირებულმა ევროპისა და მსოფლიოს ძირითადი ინდუსტრიული ქვეყნების ეკონომიკურ სტრუქტურებში. მეორე პერიოდის შედეგები, რომელიც დაახლოებით 1963 წლიდან 1973 წლამდე გრძელდება, გაცილებით ნაკლებად ბრწყინვალეა. ამ ათი წლის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა სამრეწველო ინვესტიციების გახანგრძლივებულ სტაგნაციას, სამუშაო ძალისა და დასაქმების პროგრესულ ვარდნას, განსაკუთრებით ინდუსტრიულ სექტორში, კაპიტალის უეცარ გადინებას, რამაც საფრთხე შეუქმნა საგადამხდელო ბალანსის სტაბილურობას, მნიშვნელოვან ძვრებს ინდუსტრიის სტრუქტურაში, რომელიც მოიცავს დიდი კომპანიების მიერ მრავალი მცირე საწარმოს/კომპანიის შეძენის /შერწყმის დაჩქარებულ ტემპს, სახელმწიფო სააქციო სექტორის სულ უფრო სწრაფ გაფართოებას. მრავალის მოსაზრებით, ვინაიდან პირველი პერიოდი აღნიშნავდა კერძო სექტორის ტრიუმფს, მეორე პერიოდში საჯარო /სახელმწიფო ინიციატივათა დიდი ინდუსტრიის საბოლოო ჩამოყალიბება მოხდა;

ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინდიკატორების გადახედვა ნათლად მიუთითებს დინამიზმის კლებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა 1963 წლის შემდეგ (ზოგიერთი აგრეგატის/საერთო ინდიკატორის განვითარების ტემპი 1951-1970 წწ.): მთლიანი ეროვნული შემოსავალი საბაზრო ფასებში: 5,6 (1951-1963) - 4,9 (1963-1970); მთლიანი ინვესტიცია ინდუსტრიაში: 9,1 (1951-1963) - 4,9 (1963-1970); საწარმოო ინდუსტრიის /გადამამუშავებელი მრეწველობის დამატებითი ღირებულება ფაქტორების ღირებულებით: 8,4 (1951-1963) - 6,8 (1963-1970); მეტალურგიული მრეწველობის დამატებითი ღირებულება: 12,4 (1951-1963)-7,9 (1963-1970); სატრანსპორტო [საშუალებების წარმოების] ინდუსტრიის დამატებითი ღირებულება: 13,5 (1951-1963) - 8,3 (1963-1970). **(Istat, Annuorio di contabilità nazionale, vol. I, 1971.)**

მიუხედავად იმისა, რომ იტალია მთელი ოცი წლის განმავლობაში იმყოფებოდა კონტაქტში უაღრესად დინამიურად განვითარებად ეკონომიკებთან, საერთო

ევროპული ეკონომიკის განვითარების პროცესში ჩართული იყო და მონაწილეობდა მხოლოდ საწყის პერიოდში, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით 1962-63 წლებამდე, ხოლო შემდგომ წლებში ის დისტანცირდა ინდუსტრიულად განვითრებული ქვეყნების საერთო ისტორიიდან; მაშინ როდესაც, ისინი განაგრძობდნენ განვითარებას, იტალიის ეკონომიკა ჩაიკეტა თანდათანობითი სტაგნაციის ფაზაში .

თუ ამ ორ პერიოდში იტალიური ეკონომიკის მიერ განცდილი გარე სტრესები(ზეგავლენა/ზემოქმედება) მსგავსია, მაშინ ქვეყნის ეკონომიკური სტრუქტურის ფარგლებში უნდა იქნას მოძიებული და შესწავლილი მიზეზები, რამაც გამოიწვია ეკონომიკური სასწაულის (ბოლო წლების) სტაგნაცია. ისევე, როგორც რეკონსტრუქციის წლები უნდა იქნას გაანალიზებული, როგორც მომავალი ათწლეულის სამრეწველო გაფართოების საწინდარი, განვითარების წლები უნდა ჩაითვალოს პრელუდიად იმ ხანგრძლივი დეპრესიისა, რომელიც თან ახლდა ქვეყნის ეკონომიკას 1964 წლიდან(ან 1964/69 -1985 წლებში).

სწორედ აღნიშნული საკითხების დეტალურად განხილვას ეძღვნება ეს კვლევა.

თავი 1. რეკონსტრუქცია (1945-1950 წწ.)

ე.წ. La Ricostruzione(რეკონსტრუქცია, აღდგენა) წარმოადგენს იტალიის ისტორიის მონაკვეთს, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და იტალიის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებიდან(27.12.1947) 50-იანი წლების ბოლომდე, რაც წინ უსწრებდა 60-70-იანი წლების იტალიის ეკონომიკურ სასწაულს(il miracolo economico italiano). შესაბამისად, ის განეკუთვნება იტალიის პირველი რესპუბლიკის არსებობის(La Prima Repubblica Italiana 1948-1994) პერიოდს. ეს დრო (ე.ი. რეკონსტრუქციის ხანა) აღინიშნება, ომის დროს დაკარგული არტეფაქტების (ხელოვნების ნიმუშების) აღდგენისთვის შესრულებული სამოქალაქო და სამრეწველო სამუშაოებით, და ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ე.წ. 'მარშალის გეგმის'(ინგლ. Marshall-Plan: ოფიციალურად ცნობილი როგორც ევროპის აღდგენის პროგრამა [European Recovery Program, შემოკლებით ERP], იყო ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი სარეკონსტრუქციო პროგრამა, რასაც სარგებელი უნდა მოეტანა როგორც მეორე მსოფლიო ომის შედეგებით გატანჯული დასავლეთ ევროპისთვის, ისე თავად აშშ-სთვისაც. პროგრამას ეწოდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნისა და 1953 წლის ნობელის პრემიის ლაურეატის, ჯორჯ მარშალის სახელის საპატივ-საცემოდ. იგი შემუშავებული იქნა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტში, პირველ რიგში, სახელ-მწიფო მდივნის, უილიამ ლ. კლეიტონისა[William L. Clayton] და დაგეგმვის აპარატის(ჯგუფის) ხელმძღვანე-ლის, ჯორჯ კენანის[George F. Kennan] მიერ. პროგრამას სამი მიზანი ჰქონდა: 1). ევროპის გაჭირვებული და ნაწილობრივ მშიერი მოსახლეობის დახმარება; 2). საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის გავლენის შეჩერება; 3). ეკონომიკური ვარდნის პრევენცია, რომელიც გავლენას მოახდენდა აშშ-ს გაყიდვების ბაზრებზე. გეგმა შემუშავდა 1947 წლის მაისში, 1948 წლის აპრილის მოწვევის კონფერენციის მონაწილეთათვის და 'ევროპაში ეკონო-მიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის' [OEEC] დასა-ფუძნებლად.) ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო მეორე

მხრივ, იტალიაში სამრეწველო პოლიტიკის სფეროში ხელშეწყობის მიზნით, 'ინდუსტრიული რეკონსტრუქციის ინსტიტუტის'(იტალ. IRI) საქმიანობით. **(Copia archiviata, su faregliitaliani.it. URL consultato il 5 settembre 2017 [archiviato dall'url originale il 2 settembre 2017].),(https://immaginidellarepubblica.it/la-ricostruzione-e-il-boom-economico/)** 'რეკონსტრუქციის' უდიდეს პოლიტიკურ სიმბოლოდ მიჩნეულია ალჩიდე დე გასპერი(Alcide De Gasperi), რომელიც მაშინ რამოდენიმეჯერ იყო იტალიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე(Il Presidente del Consiglio dei ministri della Repubblica Italiana).(**MONTANELLI, Indro. L' ITALIA DEL MIRACOLO. [14 LUGLIO 1948-19 AGOSTO 1954]. [DI] INDRO MONTANELLI, MARIO CERVI, 1987.)**

1.1 §. საგარეო პოლიტიკა რეკონსტრუქციის პერიოდში

1945 წლის 21 ივნისს, მოკავშირეთა ოფიციალური წარმომადგენლები ფრთხილი ოპტიმიზმით შეხვდნენ ომის შემდგომი იტალიის მთავრობის შექმნას. იგი შედგებოდა ჩრდილოეთ იტალიის ეროვნული განთავი-სუფლების კომიტეტის(Comitato di Liberazione Nazionale Alta Italia, CLNAI) გამოჩენილი წევრებისგან. მათ შორის იყო პრემიერ მინისტრი ფერუჩიო პარი(Ferruccio Parri), წინააღმდეგობის გმირი და მოქმედების პარტიის(Partito d'Azione, PdA) ლიდერი.

მინისტრთა კაბინეტში საკვანძო პოსტებს იკავებდნენ კომუნისტები და სოციალისტები, და პარის პოლიტიკური შესაძლებლობები საუკეთესო შემთხვევაში, გაურკვეველი იყო. არ მუშაობდნენ ჩრდილოეთის ქარხნები და სამხრეთიდან წამოსული ინფლაციური ძალები, ახლად განთავისუფლებულ მხარეებში შეჭრით იმუქრებოდნენ.

პარი წარმოადგენდა კომპრომისს მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორის, და მას არ გააჩნდა პოლიტიკური ბაზა და პირადი დინამიზმი, რითაც შეძლებდა საკუთარი ნების თავს მოხვევას ისეთ პოლიტიკურ ფიგურებზე,

როგორებიც იყვნენ ნენი(Nenni), ტოლიატი(Togliatti) და დე გასპერი(De Gasperi). მთელი მისი თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში, ეკონომიკური პრობლემები მძიმე წყლულად აჩნდა ქვეყანას, და თავად პარი გახდა ამ ყველაფრის უსუსური მოწმე და მნახველი, რადგან, ომისდროინდელი ერთობა პარტიზანულ მტრობა-ქიშპობაში გადაიზარდა და დეგრადირდა (მდგომარეობა რჩებოდა კვლავ დაძაბული და ფეთქებადი. შეიარაღებული პარტიზანები დათარეშობდნენ ქვეყნის პერიფერიებში, და ანგარიშს უსწორებდნენ ფაშისტებსა და პირად მტრებს.).

ამას ერთვოდა ისიც, რომ შეერთებული შტატები აქტიურ როლს არ თამაშობდა, ომის შემდგომი აღდგენის საწყის ეტაპზე იტალიაში.**(John Lamberton Harper, America and the Reconstruction of Italy, 1945–1948, PP. 37-57.)**

1945 წლის დეკემბრიდან 1946 წლის მარტამდე არსებული მოკლე პერიოდი ხასიათდებოდა წყება ინიციატივებით, რითაც შესაძლებელი გახდა ახალი ეტაპის დადგომა ომისშემდგომი დროის იტალიურ-ამერიკულ ურთიერთობებში, და რაც აღინიშნა ალჩიდე დე გასპერისა და აშშ-ს შორის კოლაბორაციის დასაწყისით. მისი აღმოცენების მომენტში, ეს ურთიერთობა უფრო მეტად მიზანშეწონილობისა და ურთიერთდამოკიდებულების მოვალეობა იყო, ვიდრე ღრმად (ურთიერთ) გაზიარებული რწმენები, ან (ურთიერთ) ნდობა. ამერიკელი ოფიციალური პირები აღფრთოვანებულნი დარჩნენ მთავრობის (მინისტრთა კაბინეტის) ახალი კომპეტენციებით ფინანსურ, კომერციულ და პოლიტიკურ პრობლემებთან დამოკიდებულებაში. იტალიის მთავრობა აგრეთვე ინიცირებდა აშშ-სთვის საინტერესო სხვადასხვა თემებს, მათ შორის ფაშისტური სამრეწველო სექტორის ბედთან დაკავშირებულ და აშშ-ს მსხვილი კორპორაციების მიერ გადაუწყვეტელი საინვესტიციო პროექტების საკითხებს. თავად დე გასპერი, თავის წინამორბედზე უკეთ იყო მომზადებული იმ პარტიათაშორისი კონფლიქტების მოსაგვარებლად, რამაც გააწამა წინა კოალიცია.

რომში, საელჩოს დახმარებით, სახელმწიფო დეპარტა-მენტმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა იტალიის ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებთან. ამავე პერიოდში ასევე გაჩნდა გაეროს შემსუბუქებისა და აღდგენის სამმართველოს(United Nations Relief and Rehabilitation Administration, UNRRA : წარმოდგენილი იყო 44 ქვეყანით, თუმცა, უმთავრესად დომინირებდა შეერთებული შტატები. იგი დაარსდა 1943 წელს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნაწილი გახდა 1945 წელს. ფუნქციონირება ძირითადად შეწყვიტა 1947 წელს. მისი მიზანი იყო 'სამთავრობო ღონისძიებების დაგეგმვა, კოორდინაცია, მართვა თუ ორგანიზება ომის მსხვერპლთა დასახმარებლად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლს დაქვემდებარებულ თითოეულ რეგიონში, სურსათის, საწვავის, ტანსაცმლის, თავშესაფრისა და სხვა პირველადი საჭიროებების, სამედიცინო და სხვა ძირითადი სერვისების უზრუნველყოფის გზით“. პერსონალი შედგებოდა 12000 საჯარო მოსამსახურისგან. სათავო ოფისი მდებარეობდა ნიუ-იორკში. დაფინანსება მრავალი ქვეყნისგან განხორციელდა და შეადგინა 3,7 მილიარდი დოლარი. მასში შეერთებული შტატებმა გაიღო 2,7 მილიარდი დოლარი. დიდი ბრიტანეთმა - 625 მილიონი დოლარი; კანადამ - 139 მილიონი დოლარი. UNRRA მჭიდროდ თანამშრომლობდა ათობით ნებაყო-ფლობით საქველმოქმედო ორგანიზაციასთან, რომლე-ბმაც ასობით საკუთარი წარმომადგენელი გაგზავნეს UNRRA-სთან სამუშაოდ.) დახმარების მთავარი პროგრამა, რაც ზოგიერთისთვის, აშშ-ს მიერ შთაგონებული რეფორმიზმის უკანასკნელ იმედად იქნა მიჩნეული.

1946 წლის პირველ თვეებში, თუმცა მოკლე დროით, ფრთხილი ოპტიმიზმის ახალ ატმოსფეროში, ამერიკის მთავრობაში თანდათანობით მიყუჩდა და გაქრა კონფლიქტები.

პარის გადადგომამ, გარკვეულწილად, ასევე შეასუსტა პოლიტიკური დაძაბულობა და პარტიებმა ყურადღება გადაიტანეს მომავალ ადგილობრივ და ეროვნულ არჩევნებზე. ისინი, აგრეთვე განაგრძობდნენ უპირა-

ტესობის მინიჭებას, ეკონომიკური პოლიტიკის მკაფიო გადაწყვეტილებების მანევრებსა და კომპრომისებზე. ეს შიდა გამოუვალი მდგომარეობა გრძელდებოდა თვეების განმავლობაში.**(Harper, op. cit. pp. 58-75.)**

ისტორიკოსი ჯონ ლუის გადისი(John Lewis Gaddis) ამტკიცებდა, რომ '... 1946 წლის თებერვლის ბოლოს და მარტის დასაწყისში გარე და შიდა ტენდენციების კონვერგენციამ გამოიწვია შეერთებული შტატების პოლიტიკის ფუნდამენტური რეორიენტაცია საბჭოთა კავშირის მიმართ'. ამგვარად, ეს ხანმოკლე პერიოდი ამერიკის პოლიტიკაში აღინიშნა შემობრუნების წერტილად, შესაბამისი კომპრომისის მიღწევის იმედების დასასრულად, ომისდროინდელ მოკავშირეთა შორის. გადისი წარმოადგენს შთამბეჭდავ მტკიცებულებებს. 1945 წლის დეკემბერში, მოსკოვში, ბერნსის(James Francis Byrnes) შემრიგებლური მიდგომის შემდეგ, სახელმწიფო მდივანი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს თეთრი სახლის შტაბის უფროსმა, ადმირალმა ვილიამ ლეჰიმ(William Leahy) და რესპუბლიკელთა ლიდერმა, არტურ ვანდენბერგმა(Arthur Vandenberg). პრეზიდენტმა საყვედური გამოუცხადა ბერნსს, ხოლო სახელმწიფო მდივნის შემდგომი განცხადებები, სსრკ-ის წინააღმდეგ ახალი პოლიტიკის წარმოების ტენდენციებზე მიანიშნებდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებული აზრის გამოკითხვამ აჩვენა მზარდი უნდობლობა რუსეთის(სსრკ) მიმართ, ხოლო კრიზისმა ირანში და საბჭოთა ჯაშუშურმა სკანდალმა კანადაში, გააძლიერა ანტიკომუნისტური კონსენსუსის განვითარება.**(Harper, op. cit. pp. 76-87.)**

ადრეული ომისშემდგომი პერიოდისგან განსხვავებით, როცა ამერიკის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლებს სრული რღვევა ემუქრებოდა, 1946 წლის ნოემბრის არჩევნები იტალიასა და შეერთებულ შტატებში, აღინიშნა ტენდენციების დაახლოებით.

საშინაო პოლიტიკურმა უკმაყოფილებამ იფეთქა 1946 წლის 5 ნოემბერს, რამაც რესპუბლიკურ პარტიას(the Republican Party) აშშ-ში (საზოგადოებრივი აზრის მკვეთრი ცვლილების შედეგად) უდიდესი გამარჯვება მოუტანა.

ეკონომიკურმა სიძნელეებმა და პოლიტიკურმა პარალიზმა, იმავე წლის 10 ნოემბერს იტალიაში, მემამრჯვენე და მემარცხენე ფრთის ძალთა მხრიდან გამოიწვია ქრისტეან-დემოკრატიული პარტიის(the Christian Democratic Party) დრამატული მარცხი. არჩევნებმა დე გასპერი უფრო დაუცველი დატოვა, ვიდრე ოდესმე, რასაც თან ერთვოდა ის გარემოება, რომ შეერთებულ შტატებში თანმხლებმა, იმავდროულმა პოლიტიკურმა ცვლილებამ, ეჭვი აღძრა იტალიისთვის და სხვა უცხო ქვეყნებისათვის UNRRA-ს შემდგომი დახმარების (post-UNRRA aid) შეუძლებლობის შესახებ. მართლაც, ვაშინგტონში, რესპუბლიკური კონგრესის გამოჩენამ, სერიოზული გამოწვევა შვა ჰალიანის ინიციატივებთან[the Hullian initiatives](The Hullian Approach – ეს მიდგომა იყო სამეწარმეო, კლასიკური ლიბერალური ეკონომიკური ხედვა, შთაგონებული ყოფილი სახელმწიფო მდივნის კორდელ ჰალის[Cordell Hull] მიერ, რომელიც მიზნად ისახავდა, ამერიკული კაპიტალიზმის კონსტრუქციული ძალების საზღვარგარეთ განდევნას, პროტექციონისტული ბლოკების დასაშლელად და გავლენის კონკურენტული სფეროების წარმოშობის თავიდან ასაცილებლად. ადამ სმითისა[Adam Smith] და ალექსანდრე ჰამილტონის[Alexdander Hamilton] დროინ-დელი გენეალოგიით, მან მოიცვა ეკონომიკური პროგრესის აპოლიტიკური, ექსპანსიონისტური ხედვა, რომელიც პოლიტიკას ეკონომიკას უქვემდებარებდა და მხარს უჭერდა მთავრობის მინიმალურ ჩარევას ცხოვრების უმაღლესი სტანდარტის მისაღწევად. სხვა სამხრეთელი ჰამილტონელის, სახელმწიფო მდივნის თანაშემწის [მოგვიანებით მოადგილე] ეკონომიკურ საკითხებში უილიამ ლ. კლეიტონის[William L. Clayton] მიერ განსხეულებული და განხორციელებული ჰალიანის მიდგომა ცდილობდა დაემკვიდრებინა იტალია, როგორც სტაბილური, დამოუკიდებელი ევროპული ქვეყანა მრავალმხრივი თავისუფალი ვაჭრობისა და ვალუტის კონვერტირებადობის გზით. **(Kaeten Mistry, 'The United States, Italy and the Origins of Cold War: Waging Political**

Warfare'. Cambridge, 2014, p.22.) დაკავშირებით, რომელსაც ატლანტიკური ქარტიის(the Atlantic Charter : 1941 წლის 14 აგვისტოს დეკლარირებული განცხადება, რითაც განისაზღვრა ამერიკისა და ბრიტანეთის მიზნები, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ. ერთობლივ დეკლარაციაში, რომელიც მოგვიანებით ატლანტის ქარტიის სახელით გახდა ცნობილი, შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს მიზნები ომის შემდგომი სამყაროსთვის შემდეგნაირად იქნა წარმოდგენილი: არავითრი ტერიტორიული გაფართოება, არანაირი ტერიტორიული ცვლილებები ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, თვითმმართველობების აღდგენა სადაც კი ამის საჭიროება შეიქმნება, სავაჭრო შეზღუდვების შემცირება, გლობალური თანამშრომლობა ყველასთვის უკეთესი ეკონომიკური და სოციალური პირობების უზრუნველსაყოფად, შიშისგან და საჭიროებისგან თავისუფლება, ზღვების თავისუფლება და უარი ძალადობაზე და აგრესიული ერების განიარაღება. ატლანტიკური ქარტიის მიმდევრებმა 1942 წლის 1 იანვარს ხელი მოაწერეს გაეროს დეკლარაციას, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე გაეროს შექმნას. ატლანტის ქარტიამ შთააგონა კიდევ რამდენიმე საერთაშორისო ხელშეკრულება და მოვლენა, რაც ომის დასრულებას მოჰყვა. ბრიტანეთის იმპერიის დემონტაჟი, ნატოს ფორმირება და ზოგადი შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ [GATT] ყველაფერი გამომდინარეობს ატლანტიკური ქარტიიდან.) დღეებიდან (ერთგულებდნენ და) ახორციელებდნენ დემოკრატების ადმინისტრაციები.

ამგვარად, ნოემბრის არჩევნებსა და მეოთხმოცე მოწვევის კონგრესს შორის დროის მონაკვეთი იყო ღრმა გაურკვევლობის პერიოდი. ყველა მხრიდან ზეწოლა დე გასპერის ემუქრებოდა დამხობით და ზრდიდა საერთო პოლიტიკური ქაოსის გამოწვევის შესაძლებობას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა ვერ შეძლო რეაგირება დე გასპერის სასწრაფო დახმარების მოწოდებაზე, მისმა სავალალო მდგომარეობამ ხელი შეუწყო მზარდ კონსენსუსს დეპარტამენში, რაც

ეფუძნებოდა 'ევროპულ საქმეთა სამმართველოს'(the Office of European Affaires [EUR] -ფუნქციონირებდა 1949 წლიდან 1983 წლამდე. ევროპული საქმეები შედიოდა მის კომპეტენციაში. შტაბბინა ვაშინგტონში, აშშ) და ჰენრი ტასკას(Henry Tasca, - ამერიკელი დიპლომატი 1960-იან და 1970-იან წლებში. შეერთებული შტატების ელჩი მაროკოსა [1965-1969წწ.] და საბერძნეთში[1969-1974 წწ.]) დიდი ხნის მოსაზრებას, რომ კომუნისტური სუბვერსია (ძირგამომთ-ხრელი საქმიანობა) წარმოადგენს ეკონომიკური აღორძინების მთავარ საფრთხეს. პირველად, EUR- ის პროფესიონალები(EUR professionals) და ჰალიანის ეკონომისტები(Hullian economists) შეუერთდნენ საერთო გამოხმაურებას იტალიის კრიზისზე. **(Harper, op. cit. pp. 105-117.)**

ამერიკის საგარეო პოლიტიკა ევროპასათან მიმართე-ბაში გადამწყვეტ ფაზაში შევიდა 1947 წლის დასაწყისში. მარტში, მოსკოვში, გერმანიის ბედის გადასაწყვეტად იკრიბება საგარეო საქმეთა მინსტრების საბჭო. აპრილში, ჟენევაში, ტარიფებთან(სატარიფო პოლიტიკასთან) დაკავშირებით გასამართმა კონფერენციამ უნდა განსაზღვროს მომავალი საერთაშორისო სავაჭრო წესრიგი. იმავდროულად, ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს აღმოფხვრას ხარვეზიანი საგადამხდე-ლო ბალანსის დეფიციტი(the gaping balance-of-payments deficits) დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან და იტალისათან. ამ შეშფოთების ფონზე, ინგლისელები აანანონსებენ, მათი მოსალოდნელი, მალე გასვლის შესახებ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთიდან.

ვაშინგტონის ოფიციალური პირები ასევე გადააწყდნენ პრობლემას სახლშიც, ვინაიდან კაპიტოლიუმში (კონგრესში) მხარდაჭერის გარეშე, ტრუმენის ადმის-ტრაცია მცირედის იმედად რჩებოდა საკუთარი ევროპული პოზიციის გადასაჩენად. ამდენად, დიდი ბრიტანეთის განცხადება იყო როგორც ახალი შეშფოთების გაჩენის საბაბი, ისე შესაძლებლობით სარგებლობა.

ცნობილი თხუთმეტი კვირის განმავლობაში, რამაც კულმინაციას მარშალის ჰარვარდის სიტყვით(იხ. ვ.ხ., ჟურნ. 'ახალი ეკონომისტი' #3, თბილისი, 2020 გვ. 35-39)

მიაღწია, მთავრობამ დაიწყო სისტემური კამპანიის წარმართვა, ევროპისთვის დამატებითი დახმარების მიღების თაობაზე. იმავე ხანებში, ბიუროკრატიის მაღალ წრეებში გაჩნდა გარკვეული მონახაზები, რაც შემდეგში, - როგორც აღმოჩნდა, გაცილებით გვიან, ის იქცა ევროპის ეკონომიკური აღდგენის გეგმად (ERP. July, 1947).

ალჩიდე დე გასპერი თვალყურს ადევნებდა ამ მოვლენებს. აშკარა იყო, რომ ვაშინგტონში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, მაგრამ ამ ცვლილებების ფორმა და მათი შესაძლო შედეგები ბუნდოვანი ჩანდა. 1947 წლის აპრილის ბოლოს, დე გასპერი იძულებული გახდა თვალი გაესწორებინა მძვინვარე პოლიტიკური შტორმისთვის.**(Harper, op. cit. pp. 118-136.)**

ოკუპაციისა და ადრეული ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, ამერიკის მცდელობებს, ხელი შეეწყო და წარემართა იტალიის ეკონომიკური აღდგენა, აბრკოლებდა ბიუროკრატიული და იდეოლოგიური უთანხმოება საგარეო პოლიტიკის მსაზღვრელ ელიტაში. ეს კონფლიქტები ქმნიდა ურთიერთსაწინააღმდეგო, საპირისპირო სტრატეგიებს იტალიის მიმართ; უფრო მეტიც, - (აყალიბებდა) პოლიტიკას, რომელსაც არ გააჩნდა საკმარისი ფინანსური ბერკეტები აშშ-ს გავლენის მდგრადი და ეფექტური ფორმირებისთვის. ეს არსებითად ამერიკული პრობლემები არ გამქრალა 1948 წლის გაზაფხულზე. კონგრესმა აიძულა სახელმწიფო დეპარტამენტი, უარი ეთქვა თავისი იდეის/გეგმის, ERP-ის(European Recovery Program /ევროპის აღდგენის პროგრამა, არაფორმალურად, - მარშალის გეგმა.) კონტროლზე, ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს (the Economic Cooperation Administration) ახალ, სპეციალურად შექმნილ სააგენტოზე. ამ არსებული (და განგრძობადი) სირთულეების მიუხედავად, 1948 წლის შუაში, ამერიკის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ(აშშ-ს პრეზიდენტმა / the American executive) მიაღწია უმაგალითო შიდა თანხმობას, დაფუძნებულს, - ანტიკომუნიზმისა და მასიური უცხოური დახმარების ორმაგ

პრინციპზე. ადრეული დღეების The New Deal-მა და Hullian idealism-მა ადგილი დაუთმო აშშ-ს შესაძლებლობებისა და ევროპული საჭიროებების უფრო ფხიზელ შეფასებას. ამავდროულად, ტრუმენის ადმინისტრაციის მიერ დაუცხრომელი საზოგადოებრივი კამპანიის წყალობით, აშშ-ს კონგრესმა და ხალხმა დაამტკიცეს წარმოუდგენელი და არაჩვეულებრივი, ევროპის ეკონომიკური აღორძინ-ების ფინანსური ვალდებულება. 1948-49 წლები, საგარეო პოლიტიკის ორპარტიული დიდი შუადღით(ანუ, ზეპარტიულობის გაფურჩქვნით) აღინიშნა.

აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების თვალსაზრისით, რაც ხმელთაშუა ზღვის აუზის ჩართვის მიზნით, ახლად იქნა განსზაღვრული, ამერიკის იტალიურმა პოლიტიკამ უმნიშვნელოვანესი წარმატება მოიპოვა.**(Harper, op. cit. pp. 159-168.)**

გასული საუკუნის 50-იანი წლებში, საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო ინტენსიურად ტარდებოდა, როდესაც ომით მიღებული უდიდესი ზარალი აღმოიფხვრა და შესაძლე-ბელი გახდა მშენებლობის წლებზე გადასვლა.

უნდა აღინიშნოს, რომ 'ცივი ომის' პოლიტიკურ სისტემას გააჩნდა ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა. იტალიის საგარეო პოლიტიკა აღარ იყო ავანტიურის-ტული. დე გასპერის მოუწია მიეღო 1947 წლის პარიზის მკაცრი ხელშეკრულების(The Paris treaty) პირობები, რის საფუძველზეც იტალია უარს ამბობდა ყველა აფრიკულ კოლონიაზე და საფრანგეთს გადასცემდა ალპების(Alpine) ზოგიერთ ტერიტორიას, ხოლო საბერძნეთს, - დოდეკანის კუნძულებს(Dodecanese islands). მხოლოდ ამის შემდეგ, იტალია (1949 წლის 4 აპრილის) შეუერთდა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციას(the North Atlantic Treaty Organization, NATO) და გახდა ჩრდილოური ალიანსის რესპექტაბელური წევრი. იტალია ასევე შეუერთდა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ თანამეგობრობას(the European Coal and Steel Community, 1952 წელი) , ხოლო 1955 წელს ის მიიღეს გაერო-ს წევრად. 1957 წელს იტალია გახდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის (the European Economic Community EEC;

მოგვიანებით, - ევროპის კავშირი/the European Union) ერთ-ერთი დამფუძნებლი.

ხელმომწერი ქვეყნების მხრიდან, EEC-ის ამოცანების სახით ხელშეკრულების პრეამბულასა და მე-2 მუხლში განისაზღვრა 'ევროპელი ხალხების უფრო მჭიდრო კავშირის საფუძვლების შექმნა' და 'საერთო ბაზრის ფორმირებისა და ეკონომიკური პოლიტიკის თანდათანობითი დაახლოების გზით,... წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური ცხოვრების ჰარმონიული განვითარებისა და სახელმწიფოთაშორისი მჭიდრო ურთიერთობების ხელშეწყობა, თანამეგობრობაში გაერთიანებულ ქვეყნების ფარგლებში'. უმაღლესი მიზანს წარმოადგენდა (დასავლეთ) ევროპის ქვეყნების მჭიდრო პოლიტიკური გაერთიანება; ამ მიზნის მიღწევა უნდა მომხდარიყო უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირის მეშვეობით, საერთო ბაზრის შექმნის გზით.**(Mechthild Weißer, Europäische Wirtschaftsgemeinschaft, Microsoft R Encarta R 2006 [CD]. Microsoft Corporation 2005)**

დასავლეთ ევროპასთან ამგვარმა კავშირმა და აღმოსავლეთ ბლოკის კომუნისტური ქვეყნების იდეოლოგიისგან დისტანცირებამ, 1953 წელს ENI- ს(Ente Nazionale Idrocarburi, თავდაპირველი აბრევიატურა Eni SpA / ნახშირწყალბადის ეროვნული საბჭო, სახელმწიფო ენერგო ჯგუფი[the state-owned energy group], არის მრავალეროვნული კომპანია. საზოგადოებრივი კომპანია გახდა 1992 წელს. 2019 წელს, Eni აქტიურია 66 ქვეყანაში, 32 053 თანამშრომლით. ექვსფეხა ძაღლის სიმბოლოთი ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ქიმიისა და მწვანე ქიმიის სფეროებში, ელექტროენერგიისა და განახლებადი ენერგიების წარმოებასა და მარკეტინგში. 2018 წელს ნავთობკომპანია გაყიდვების მიხედვით მსოფლიოში მერვე ადგილზეა ნავთობკომპანიაში; ჟურნალმა Forbes 2019 წლის მაისში Eni დაასახელა მსოფლიოს 100 საუკეთესო კომპანიაში საბაზრო კაპიტალიზაციით, ხოლო Fortune 500– ის რეიტინგში 2020 წელს Eni– მ 113 – ე ადგილი დაიკავა გაყიდვების მიხედვით) დაარსებამ კონკრეტული ცვლილებები მოიტანა, რადგან ეს სახელმწიფო კომპანია

იყო მეთანის საბადოების მთავარი მომხმარებელი, ხოლო მისმა დამაარსებელმა ენრიკო მატეიმ(Enrico Mattei) მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები გააფორმა ლიბიასთან და ირანთან ნავთობით მომარაგების თაობაზე.**(Wolfgang Altgeld et al [Hrsg.], Kleine italienische Geschichte, Stuttgart 2002, S. 448.)** ასევე იყო ძალიან სასარგებლო ნახშირწყალბადის აღმოჩენები ვალ პადანაში(Val Padana), რამაც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ინდუსტრიის სტიმულირება მოახდინა.

პარიზის ხელშეკრულებამ გადაუწყვეტელი დატოვა ყველაზე რთული და ძნელი ტერიტორიული საკითხი, რაც შეეხებოდა ტრიესტს(Trieste). 1945 წელს, იუგოსლავიის არმიამ ქალაქი და მისი შემოგარენი მოსწყვიტა გერმანელებს (რომელიც დასახლებული იყო როგორც იტალიელებისგან, ისე სლოვენიელთაგან) და მასზე პრეტენზია განაცხადა იუგოსლავიამ (რასაც უმალ მოჰყვა რეგიონის შემოერთება). ამის შემდეგ, მან მყისიერად იწყო მასშტაბური წმენდა, რა დროსაც ათასობით იტალიელი მოკლეს, ხოლო შემდეგ, - ღრმა ხაროებში ჩაყარეს. პარიზის ხელშეკრულებამ რეგიონი გაყო ორ ზონად: პირველს წარმოადგენდა, მათ შორის უპირატესად იტალიურ-ენოვანი ქალაქი ტრიესტი, მმართული დასავლელი მოკავშირეების მიერ, ხოლო მეორეს, - იუგოსლავია. გაყოფილი რეგიონი გახდა ცივი ომის დაძაბულობის ცენტრი. 1954 წელს, ქალაქი ტრიესტი და მისი ვიწრო სანაპირო ზოლის ჩრდილოეთ ნაწილი პირდაპირ შევიდა იტალიის მართვა-გამგეობაში, მაშინ როდესაც რეგიონის დანარჩენი ნაწილი გადაეცა იუგოსლავიას. **(www.britannica.com ; Italy - Italy since 1945 | Britannica)**

1.2 §. საშინაო პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა

იტალიის რესპუბლიკა, მრავალი წლის განმავლობაში განიცდიდა ეკონომიკურ წარმატებას. არსებითად, აშშ უზრუნველყოფდა იტალიის პოლიტიკურ -ეკონომიკურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. აშშ-ის თავდაპირველი მხარდაჭერა, განსაკუთრებით სასურსათო საქონლით, ნავთობითა, და მარშალის გეგმით(Marshall Plan), ქვეყანას ეხმარებოდა მრეწველობის ძირითადი დარგების (მათ შორის, ფოლადის წარმოების) აღდგენაში. მთავრობამ უარი თქვა ფაშისტების დროს არსებულ კონტროლსა და ავტარკიის მცდელობაზე და ყველა პარტიისა და პროფესიული კავშირების მიერ მოწონებული იქნა 1945-1947 წლების 'რეკონსტრუქციის' პროგრამა. სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე აღდგა 1948 წლისთვის, ხოლო 1950-53 წლების კორეის ომმა(the Korean War), წარმოების ზრდისთვის უზრუნველყო დამატებითი სტიმული. იტალია სრულად ინტეგრირდა ევროპულ სავაჭრო სივრცეში და სულ უფრო გააქტიურდა ნავთობის დაზვერვისა და მოპოვება-გადამუშავების(ინჟინერიის) მიმართულებით ახლო აღმოსავლეთში. **(www.britannica.com ; Italy - Italy since 1945 | Britannica)**

ფაშიზმის დაშლის შემდეგ, იტალია დიდად არის პოლიტიკურად დამოკიდებული და გაყოფილია დემოკრატიის სურვილსა და სამხრეთიდან მონარქიის აღდგენის მისწრაფებებს შორის. უკვე 1944 წელს, აშშ-ის მულტილატერალიზმის ფილოსოფიის**(Die ,,Tendenz, multilaterale zwischenstaatliche Beziehungen anzuknüpfen“, Microsoft Encarta 2006 [CD], Microsoft Corporation 2005)** გათვალისწინებით, იტალიაში, ეკონომიკური კუთხით გაუქმდა პროტექციონიზმი. ეს ნიშნავდა, რომ უცხოელი პროვაიდერები მეტად აღარ განიცდიდნენ ზარალს (ანუ, აღარ იქნებოდნენ დაუცველნი) იტალიის სახელმწიფოს მხრიდან.

გერმანიის არმიის კოლაფსიდან მალე, 1945 წლის აპრილში, მოკავშირეთა ეკონომიკის ექსპერტები შევიდნენ ჩრდილო იტალიის ინდუსტრიულ გულში. ექსპერტებმა,

რომლებმაც იხილეს გერმანული სისტემური დესტრუქცია სამხრეთში, გაოცებულნი დარჩნენ გენუის, ტურინისა და მილანის მონახულებით. ნაწილობრივ, ადგილობრივი წინააღმდეგობის წყალობით, გადარჩა ჩრდილოეთ იტალიის ფაბრიკა-ქარხნების სიმძლავრეთა დაახლოებით 85 პროცენტი, თუმცა ზარალი იცვლებოდა სექტორიდან სექტორში. ომზე მიბმული მეტალურგიული ინდუსტრია შემცირდა, მისი 1938 წლის ღირებულების 75 პროცენტამდე, მაგრამ მატყლისა და ბამბის ტექსტილურ (საფეიქრო) სექტორში ზარალი მხოლოდ 0,5 პროცენტი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი შთაბეჭდილებები სანუგეშო იყო, მატერიალური ზარალის გამოთვლამ ვერ გამოავლინა ვერც ფაშიზმის, ომისა და უცხოური ოკუპაციის ნამდვილი ღირებულება და ვერც იმდროინდელი იტალიის ეკონომიკური პრობლემის მასშტაბი (ზომა/მოცულობა) და კომპლექსურობა (სირთულე). ამდენად, პრობლემას, რაც საყოველთაოდ მიიჩნეოდა, ჰქონდა სამი ფუნდამენტური და ურთიერთდაკავშირებული ასპექტი.

პირველი და ყველაზე გადაუდებელი ამოცანა მდგომარეობდა წარმოებისა და დასაქმების აღდგენაში. ომის ბოლოს, სამრეწველო წარმოება შეადგენდა ომამდელი დონის 29 პროცენტს; სოფლის მეურნეობა - 63,3 პროცენტს. უმუშევრობის საკითხთან დაკავშირებული შეფასებები იყო მიახლოებითი, მაგრამ 45 მილიონიან მოსახლეობაში, დამკვირვებელთა უმეტესობამ, მათი რიცხოვნება, ორიდან სამ მილიონამდე განსაზღვრა.

ცხადია, წარმოების პრობლემა გაცილებით რთული იყო, ვიდრე ერთი, ცალკე აღებული ქარხნის შეკეთება-განახლება [რაც მას თან ახლდა]. განადგურდა შიდა სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემები; აგრეთვე, - ომამდელი რკინიგზის ხაზების ორმოცი პროცენტი, ქვეყნის მოძრავი შემადგენლობის ნახევარი.

წარმოების გაზრდის მთავარ დაბრკოლებად რჩებოდა ნედლეულის, განსაკუთრებით ქვანახშირის ნაკლებობა. **(Harper, op. cit. pp. 1-21.)**

1946 წლის პირველ რვა თვეში, იტალიის ეკონომიკური

პოლიტიკა, დოგმატური(დებულებითი) და კომბატივური (საბრძოლო) ხაზინის მინისტრის, პროფესორ ეპიკარმო კორბინოს (Epicarmo Corbino) ბეჭდით იყო დაღდასმული, რომელმაც 1945 წლის დეკემბერში დაიკავა აღნიშნული თანამდებობა. კორბინოს უკან იდგა ცნობილი ეკონომისტისა და იტალიის ბანკის(Banca d'Italia) მმართველის, ლუიჯი ეინაუდის(Luigi Einaudi) პრესტიჟი და მხარდაჭერა. ისინი ერთად ცდილობდნენ ეკონომიკური ავანსცენიდან სახელმწიფოს ჩამოშორებას და წარმოების, ინფლაციისა და სტრუქტურული დისბალანსის პრობლემების საბაზრო ძალებზე გადატანას.

ცოტა თუ უარყოფს, რომ კორბინოს ხაზმა მოიტანა სამწუხარო შედეგები, რასაც ამოწმებს, ამ შედეგების შეფასება-შედარება მის მიერვე გაცხადებულ მიზნებთან: ფასების სტაბილურობის აღდგენა, ბიზნესის ნდობა და მდგრადი ინვესტიციები. კორბინოს პოლიტიკა ჰგავდა სამართებლით ჩარევას, რამაც შეძლო იტალიის ერთიანობის კოალიციური ფასადის მოცილება და გამოაშკარავა ამერიკული პოლიტიკის სისუსტე და შიდა წინააღმდეგობები პროცესში.

პაოლო ბაფი(Paolo Baffi) აღნიშნავს, რომ კორბინო 'რეალური ენთუზიაზმით' შეუდგა ფაშიზმის საპასუხოდ დაწყებული კონტროლის დემონტაჟს, პროცესის დასრულებას. გაუქმდა ომის მოგების გადასახადი(war profits tax), საფონდო ტრანზაქციების გადასახადი(surtax on stock transactions) და დივიდენდის შეზღუდვები(dividend limitations) და ამორტიზაციის გადასახადი(depreciation allowances/ამორტიზაციის შემწეობა, დანამატი). ვალუტის კონვერსიის(ცვლილების/შეცვლის) პროგრამა(currency conversion program), კომუნისტებთან შეთანხმებით, იანვრის თვისთვის გადაიდო. კორბინომ ასევე გადადო სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების/ ობლიგაციების (government securities) გამოცემა, რომელიც თებერვალში იყო დაგეგმილი. ეს ზომები ემსახურებოდა ნდობის აღდგენას და მომაკვდავი ფინანსური ბაზრების გააქტიურებას. **(Harper, op. cit. pp. 88-104.)**

ომის შემდგომმა აღდგენამ და შემდგომმა გაფართოებამ

სარგებელი ნახა სტაბილური ვალუტით 1948 წლიდან და იტალიის ხელსაყრელი წვდომით იაფ ნედლეულზე, განსაკუთრებით, - ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე. ENI-ის პრეზიდენტის, ენრიკო მატეის დინამიური პოლიტიკა, ცენტრალური იყო ამ განვითარებისთვის. ნავთობის კომპანიამ AGIP-მა(Azienda Generale Italiana Petroli / იტალიის გენერალური ნავთობკომპანია: იტალიური ავტომობილების ბენზინის, დიზელის, LpG, საპოხი მასალების, გათბობის ზეთისა და ბიტუმის დილერი, რომელიც დაარსდა 1926 წელს. 2003 წლიდან, როდესაც Eni-მ Agip Petroli S.p.A. შეიძინა და დააარსა გადამამუშავებელი და მარკეტინგის განყოფილება [R&M], ეს არის მრავალეროვნული ნავთობკომპანია Eni–ს შვილობილი კომპანია.), რომელიც 1953 წელს გახდა ENI-ის განყოფილება, აღმოაჩინა ბუნებრივი აირი პადანის დაბლობში/პოს ხეობაში(Pianura Padana / Val Padana) და დაბალ ფასად მიასყიდა ის მრეწველობას. შრომა/სამუშაო ძალა არ იყო ძვირი, რამდენადაც სოფლის მიგრანტები მიაწყდნენ ქალაქებს, პროფესიული კავშირები 60-იანი წლების ბოლომდე იყო სუტი და პოლიტიკურად დაყოფილი, პოლიტიკური ორგანოები - კიდევ უფრო სუსტი, ხოლო გადასახადები - დაბალი და თავიდან იოლად ასაცილებელი. ყოველივე ეს ასტიმულირებდა ინვესტიციებს, მით უმეტეს რომ ბიზნესმენებს შეეძლოთ სახელმწიფო-კერძო ბანკებისა და საკრედიტო ინსტიტუტების იაფი კრედიტით სარგებლობა. მუსოლინის მმართველობის დროს, 1933 წელს დაფუძნებული IRI(Istituto per la Ricostruzione Industriale / მრეწველობის აღდგენის ინსტიტუტი) აგრძელებდა დომინირებას ეკონომიკის დიდ ნაწილზე, არა მხოლოდ მძიმე მრეწველობის, არამედ კავშირგაბმულობის (სატელეფონო სერვისის), საჰაერო ტრანსპორტისა და ავტოსტრადების მშენებლობის სფეროში. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ 'ეკონომიკური სასწაული' ('miracolo economico') არ დაეყრდნო მხოლოდ ბაზრის პრინციპებს; მასში (ანუ, წარმატების მიღწევაში) სასიცოცხლო როლი ითამაშა სახელმწიფო ორგანოებმა(სამთავრობო

ორგანიზაცია-დაწესებულებებმა)**(www.britannica.com ; Italy - Italy since 1945 | Britannica)**

სოფლის მეურნეობაში, უმთავრეს ომის შემდგომ ცვლილებას წარმოადგენდა 1950 წლის მიწის კანონის(the land reform laws / მიწის რეფორმის კანონები) რეფორმა, რამაც მიწის რეფორმის სააგენტოებს შესაძლებლობა მისცა, უმთავრესად სამხრეთ და ცენტრალურ იტალიაში მოეხდინათ დიდი, ცუდად დამუშავებული მამულების ექსპროპრიაცია და მათი გაუმჯობესების(მოვლა-პატრონობის) შემდგომ, სხვა ფერმერთათვის მიყიდვა. მიზანი იყო კულტივატორ ფერმერთა(მიწათმოქმედ გლეხთა) მკვიდრად დასახლებული საზოგადოებების /თემების შექმნა, თუმცა ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ რამოდენიმე მხარეში, გამომდინარე იქიდან, რომ უბრალოდ აღარ იყო ყველასთვის სამყოფი მიწა: ფაქტობრივად, მხოლოდ 117000 ოჯახმა შეიძინა ფერმები. უმიწოდ დარჩენილი გლეხობა ტოვებდა ქვეყანას ან საცხოვრებლად მიდიოდა სხვადასხვა ქალაქში. თუმცა, მიწის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო ის, რომ (რომში ცენტრალურ პოლიტიკოსთაგან მმართული) აღნიშნული რეფორმის [წარმმართველი] სააგენტოები(the reform agencies), მრავალ აგრო სფეროში გახდნენ ეკონომიკურად დომინანტები, მათ შორის მიწების ალოკაციის(ინგლ.: allocation, - რესურსების გამოყოფა, დაყოფა და განაწილება. ცნება გამოიყენება ეკონომიკასა და აქტივების სტრუქტურირებაში), კრედიტებისა (სესხების), და გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილი გრანტების (სუბსიდია-დოტაციების) კონტროლით.

მექანიზაციამ და მოდერნიზაციამ თანდათანობით ჩაანაცვლა მრავალი ტრადიციული სამუშაო ადგილი იტალიის მრავალ პერიფერიაში(სასოფლო მხარეში). გაუჩინარდნენ სეზონურად ბრინჯზე მომუშავე ქალები ჩრდილოეთიდან, აგრეთვე უმეტესი დღიური მუშები და მოზიარე მომკელები. ნაწილობრივ EEC-ის (European Economic Community, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა: ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანება. დაფუძნდა 1957 წლის 25 მარტს, რომში, საფრანგეთის,

გერმანიის, იტალიის და ბენილუქსის ქვეყნების მიერ. ევროპის გაერთიანება ერთ-ერთი იმ სამ ბურჯთაგანია, რომელსაც ევროკავშირი ეყრდნობა. მეორე ბურჯს წარმოადგენს საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, მესამეს - თანამშრომლობა მართლმსაჯულების სფეროში. ევროკავშირში გაწევრიანებისათვის ქვეყანა უნდა გახდეს ორივე დღეს არსებული გაერთიანების წევრი და ითანამშრომლოს მეორე და და მესამე ბურჯებით მოცულ სფეროებში.) სუბსიდიების ხარჯზე, განსაკუთრებით ყვაოდა მცირე, კარგად მმართული ფერმები, და იზრდებოდა პატარა პროვინციული ქალაქები.**(www.britannica.com ; Italy - Italy since 1945 | Britannica)**

ძირითადი ეკონომიკური პრობლემა კვლავინდებურად ჯერ კიდევ არსებობდა შედარებით სუსტად განვითარებულ სამხრეთში, სადაც სამრეწველო ობოექტები ნაკლებად იყო, და სადაც, მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლები 1950 წელს, ორჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ჩრდილოეთ იტალიაში. თავდაპირველი პოლიტიკა ეხებოდა მიწის რეფორმისა და ირიგაციის (მიწის ხელოვნური რწყვის ღონისძიებათა სისტემის) საკითხებს. გარკვეული დროის განმავლობაში ისე ჩანდა, რომ თითქოს სამხრეთელებმა ე.წ. Risorgimento - ს(რიზორჯიმენტო, ანუ იტალიის გაერთიანება 1848-1871 წწ. ასე იწოდება პოლიტიკური და სოციალური მოძრაობა, რომლის შედეგადაც მეცხრამეტე საუკუნეში იტალიის ნახევარკუნძულის სხვადასხვა სახელმწიფოები გაერთიანდნენ და ერთი სახელმწიფო, იტალია შექმნეს.) შემდეგ პირველად დააწესეს კონტროლი საკუთარ ბედიღბალზე. უზარმაზარმა, ორგანიზებულმა მიწის საოკუპაციო(მიწადსარგებლობის) მოძრაობებმა(ინგლ. land occupation movements), რამაც 1949 და 1950 წლებში გაწმინდა და გაასუფთავა ქვეყნის სამხრეთი, მოიცვა ათასობით უმიწოდ დარჩენილი გლეხობა და პოლიტიზირებული მთელი თაობა. მაგრამ, სახელმწიფო მაინც აწარმოებდა გარკვეულ ინტერვენციებს, ზოგჯერ - ლეტალურად, რათა ძლიერი მიწადმფლობელების

სახელით, დაესრულებინა ოკუპაციები (მიწადსარგებლობები). რამდენადაც, მიწის რეფორმებით, რაც მოჰყვა ოკუპაციას (მიწადსარგებლობას), რეალურად, გლეხობას გადაეცა მიწის მცირე ნაკვეთები და ხელუხლებელი დარჩა მრავალი უთანასწორობა სამხრეთში, მილიონობით ახალგაზრდა ქალი და კაცი იძულებული შეიქმნა გადასახლებულიყო ჩრდილოეთში. **(www.britannica.com ; Italy - Italy since 1945 | Britannica)**

1950 წელს დაფუძნებული საგანგებო სამხრეთის განვითარების ფონდი(Cassa per il Mezzogiorno), აფინანსებდა გზების კეთილმოწყობას, სკოლების მშენებლობას, ელექტროფიკაციასა(ელექტრული ენერგიის, როგორც ენერგიის ძირითადი სახეობის დანერგვას მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტში, აგრეთვე ყოფა-ცხოვრებაში; - რისამე ელექტრულ ენერგიაზე გადაყვანა.) და წყლის მიწოდებას, და მიწის მელიორაციას(ღონისძიებათა სისტემა [ჭაობების ამოშრობით, მშრალი მიწების ხელოვნური მორწყვით, ხეთარგვითა და სხვ.], რომელიც მიზნად ისახავს მიწის არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების გაუმჯობესებას მისი ნაყოფიერების გაზრდის მიზნით). 1957 წლის შემდეგ, მან დაიწყო ინვესტირება სამრეწველო განვითარებაში. ამასთანავე, სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერა, რაც სამხრეთში სახელმწიფო ფირმების გაფართოებისკენ იყო მიმართული, ასევე ითვალისწინებდა სასესხო და საგადასახადო შეღავათების დაწესებას კერძო ინვესტორებისთვის. კონკრეტული სექტორების განვითარებისთვის შეიქმნა სხვადასხვა სააგენტოები. სამხრეთის პერსპექტიული რაიონები შეირჩა ინდუსტრიული განვითარებისთვის, და წამყვანი ფაბრიკა-ქარხნები, აუცილებელ ინფრასტრუქტურასთან ერთად, სწორედ იქ აშენდა. ამის შედეგი იყო რიგი მსხვილი, კაპიტალინტენსიური/ კაპიტალტევადი საწარმოების დაფუძნება, მაგ., ტარანტოში(Taranto) მეტალურგიული /ფოლადისა და მძიმე ინჟინერიის /მანქანათმშენებლობის და პორტო ტორესში (Porto Torres) ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, (რაც დაჯდა საკმაოდ ძვირი). ისინი ხშირად

აწარმოებდნენ არასაბაზრო საქონელს და იყენებდნენ მცირე ადგილობრივ სამუშაო ძალას. ეს ქარხნები უმალვე გახდნენ ცნობილნი როგორც 'კათედრალები უდაბნოში' (იტ. cattedrale nel deserto). თუმცა, გამოირჩეოდა ზოგიერთი რაიონი (კერძოდ, პულიას[Puglia] სანაპირო, ბარის[Bari] ჩრდილოეთით). მალე, ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა წააწყდა ფართო კრიტიკას. ჩრდილოელები აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ ამის საზღაურს ისინი გადაიხდიდნენ, ხოლო სამხრეთლებს არ შეეძლოთ რაიმე სარგებლის ნახვა აქედან, განსაკუთრებით, იმ პირობებში, როდესაც პატარა ფირმები იღებდნენ მცირე სტიმულებს. ასევე უზარმაზარი იყო ეკოლოგიური დანახარჯები (ეკოლოგიური ზიანი/გარემოსდაცვით ხარჯები).

ამასთან ერთად, სამხრეთმა, ზოგიერთი პირველადი ფონდებისგან მიიღო გარკვეული სარგებელიც, როგორიცაა რიგიანი, მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა, სუფთა, სასმელი წყალი, მეტად გაუმჯობესებული ჯანმრთელობის მომსახურება (სამედიცინო სერვისი) და ახალი, თანამედროვე საშუალო სკოლები. გარდა ამისა, ქვეყნის სამხრეთ ნაწილში საბოლოოდ იქნა დამარცხებული მალარია. მან ასევე მიიღო სოციალური უზრუნველყოფის მრავალი სახელმწიფო დახმარება, მეგობრულად განწყობილი პოლიტიკოსებისგან არჩევნების წინა და შემდგომ პერიოდებში, და სუბსიდიები(ფულადი ან ნივთიერი დახმარებები) სოფლის მეურნეობაში. ავტომობილების, ტელევიზიისა და მზა საკვები პროდუქტების სოციალური გავლენა იმდენადვე დიდი იყო იტალიის სამხრეთში, რამდენიც სხვა ადგილას. სამხრეთმა ასევე მიიღო სარგებელი ემიგრანტების ფულადი გზავნილებით, რამდენადაც 1950 წლიდან განახლდა ფართომასშტაბიანი მიგრაცია დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთის ქალაქებში. 1955 წლიდან 1970 წლამდე პერიოდში, სამხრეთი დატოვა 3 მილიონზე მეტმა ადამიანმა, განსაკუთრებით შრომისუნარიანმა ახალგაზრდობამ. ზოგიერთი სასოფლო რაიონი მნშვნელოვნად დაიცალა მოსახლეობისგან(მოხდა

დეპოპულაცია), მაშინ როდესაც რომისა და ჩრდილოეთის სხვა ქალაების მოსახლეობა პრაქტიკულად გაორმაგდა. ამასთან, იმიგრანტებით გადაივსო ქალაქების გარეუბნების მიწურები და იმპროვიზირებული (სახელდახელოდ შექმნილი) ჯურღმულები. **(www.britannica.com ; Italy - Italy since 1945 | Britannica)**

1947-48 წლების იტალიის ფინანსურმა სტაბილიზაციამ გამოიწვია ცხარე კამათი ეკონომისტებსა და ისტორიკოსებს შორის. დებატები მიმდინარეობდა სამი რელატიური(მომიჯნავე/ურთიერთდაკავშირებული) საკითხის ირგვლივ: ეკონომიკური კეთილგონიერება დეფლაციის არსებობასთან დაკავშირებით, მისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური მოტივაცია, და გარე ძალების, განსაკუთრებით, აშშ-ის როლი. პირველმა საკითხმა მოახდინა უმეტეს დიკუსიათა გენერირება, თუმცა, რომლის უმარტივესად გადაწყვეტა, ალბათ სავსებით შესაძლებლი იყო. კეინზიანელი და მემარცხენე კრიტიკოსები იწონებდნენ მარჩელო დე ჩეკოს(Marcello De Cecco, იტალიელი ეკონომისტი.) ვერდიქტს, რომ '... 1947 წლის სექტემბრიდან კორეის ომის დაწყებამდე, ხელისუფლების ქცევა სრულიად შეუწყნარებელი იყო'.**(Harper, op. cit. pp. 137.)**

ამ სკოლის მტკიცებით, ლიბერალ ეკონომისტებს არასწორი პოლიტიკა ჰქონდათ, უახლესი ეკონომიკური მეცნიერების აშკარა უგულვებელყოფით. მათ შეცდომით მიიჩნიეს, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებდა მთელი სიმძლავრით და მათი მონეტარული სიმკაცრე ქვეყანას გაწირავდა მფლანგველ, უსარგებლო დეპრესიისთვის. ზოგიერთის თანახმად, მხოლოდ დევალვაცია იკმარებდა ექსპორტის სტიმულირებისთვის და აუცილებელი იმპორტისა და რეზერვების ზრდისთვის, რაც შეარბილებდა ინფლაციურ წნეხს. ფულის შეზღუდვისკენ ჯიუტად სწრაფვა მაღალი უმუშევრობისა და ჭარბი სამრეწველო პოტენციალის პირობებში, არ შეილეძლებოდა გამართლებული ყოფილიყო მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებებით.

მეორე მხრივ, ლუიჯი ეინაუდის(Luigi Einaudi)

მხარდამჭერები, გაცილებით დამაჯერებლად ამტკიცე-ბდნენ, რომ კეინზიანური დოქტრინა ვერ გამოდგება იმ ეკონომიკისთვის, რომელშიც კვლავინდებურად დომინირებს მსხვილი აგრარული (სასოფლო-სამეურნეო) სექტორი და რომელიც იტანჯება დიდი რყევებით /მონაცვლეობით(extensive dislocation ექსტენსიური დისლოკაციებით), უკმარისობებით, და სხვა სუსტი მხარეებით. შიდა მოთხოვნის სტიმულირების თანმხლებ დევალვაციას შეეძლო გამოეწვია იმპორტის ზრდა გაცილებით მაღალი ფასებით, რაც გამოიწვევდა ხელახალ ინფლაციას/ინფლაციის განახლებასა და სერიოზულ, დიდ ზეწოლას შეზღუდულ სავალუტო რეზერვებზე.**(Harper, op. cit. pp. 137-158.)**

IRI(Instituto per la Ricostruzione Industriale, სამრეწველო რეკონსტრუქციის ინსტიტუტი, იტალიური სახელმწიფო ჰოლდინგი, რომელიც დაარსდა ფაშისტური რეჟიმის მიერ 1933 წელს ბანკების და კერძო კომპანიების გადარჩენის, რესტრუქტურიზაციისა და დაფინანსების მიზნით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, IRI -მ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იტალიის ეკონომიკურ სასწაულში 1950-იან და 1960-იან წლებში. IRI დაიშალა 2002 წელს.), ზრუნავდა ფოლადის თანამედროვე ინდუსტრიის განხორციელე-ბაზე. გარდა ამისა, სახელმწიფომ უზრუნველყო ფინანსური მხარდაჭერა ფულადი სესხებით და, უპირველეს ყოვლისა, მარშალის გეგმის მომსახურებიდან (1.6 მილიარდი აშშ დოლარი)**(Wikipedia, Art. "Marshallplan", http://de.wikipedia.org/wiki/Marshallplan [02.06.2007])** იტალიის ინფრასტრუქტურის აღდგენისა და მოდერნიზებისთვის.

მშენებლობის ამ წლებში ეს იყო დამოკიდებული იაფ მუშახელზე, რომელიც ძირითადად სამხრეთიდან მოდიოდა და ახდენდა სამუშაო ძალის გაჯერებას. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ 1950-იანი წლების ბოლოს მეორე (წარმოება) და მესამე (მომსახურება) სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ხარჯზე.

სამომავლო წარმოების დაგეგმვისა და მოთხოვნის

დაკმაყოფილების გათვალისწინებით, ასევე არსებობდა ინოვაციები ეკონომიკის განვითარებაში, რასაც განაპირობებდა (და ასტიმულირებდა) მზარდი მოთხოვნა იტალიურ პროდუქციაზე ქვეყნის შიგნით და გარეთ. ამ პროგრესს ამდიდრებდა მნიშვნელოვანი საჯარო და კერძო ინვესტიციები, საწარმოთა (ბიზნესის) შრომის ნაყოფიერების (მწარმოებლური შრომის) უნიფიცირების (საერთო ნორმაზე გადაყვანის /გაერთიანების), ზრდისა და ამაღლებისთვის.

1.3 §. დებატები რეკონსტრუქციის შესახებ

ომის შემდეგ, იტალია აღმოჩნდა ეკონომიკური და სტრუქტურული სიტუაციის იმგვარი აუცილებლობის წინაშე, რომელიც საჭიროებდა გადაუდებელ გადაწყვეტას. სწრაფად იყო მოსაგვარებელი ინდუსტრიული ობიექტების აღდგენა; აგრეთვე, - ომით გამოწვეული ინფლაცია, ანგარიშსწორებათა სისტემის/საგადამხდელო ოპერაციების სუსტი მხარეები, დეფიციტი და ვალუტის სიმცირე. ყოველივე ამას, თან ერთვოდა უმუშევრობის პრობლემაც. ამ უკანასკნელმა გააჩინა ომის შედეგად დაზარალებული სოფლის მეურნეობის დარგის აღორძინების საჭიროება.(**M. Colonna, L'economia italiana nei secoli XVIII – XX, in F. Assante - M. Colonna – G. Di Taranto – G. Lo Giudice, Storia dell'economia mondiale [secc. XVIII – XX], Monduzzi, Bologna, 1995, p. 324.**) ტრანსპორტის არაეფექტურობა და ელექტრო-ენერგიის არასაკმარისი წარმოება ითხოვდა გადაუდებელ გადაწყვეტას გრძელვადიან პერსპექტივაში.(**A. Graziani, Introduzione a L'economia italiana dal 1945 a oggi, Il Mulino, Bologna, 1979, p.17; P. Saraceno, Intervista sulla ricostruzione, di L. Villari in "La questione meridionale nella ricostruzione post bellica. 1943 – 1950", collana SVIMEZ, Giuffrè, Milano, 1980, p. 3.**)

საშიში (და უიმედო) ეკონომიკური პერსპექტივის მქონე ქვეყანაში, სახელისუფლო/მთავრობის ძალებს

ესმოდათ, რომ მიღებული გადაწყვეტილებები და პრიორიტეტები, რომლებიც ამერიკული დახმარების დაპირებებით იყო წახალისებული, საჭიროებდა გადამწყვეტ და აქტიურ ზომებს, რათა უზრუნველყოფილიყო ყველაფრის მიწოდება, რაც ხელს შეუწყობდა დასაქმების ზრდას, და (პირველ რიგში) გამოყენებული იქნებოდა ჩრდილოეთის სამრეწველო დარგის აღსადგენად და მისი ადაპტაციისთვის ახალი ბაზრების მოთხოვნებთან.

რეკონსტრუქციის (იტალიაში რეკონსტრუქციის თემებზე იხ.: G. Lombardo, L'Istituto Mobiliare Italiano, cit.) პრობლემამ მყისიერად იჩინა თავი. იტალიის ხელისუფლების ფაქტობრივი ავტონომიის გარიჟრაჟზე, (ე.ი. 1944 წლის აგვისტოდან), ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იტალიას გამოუყო მნიშვნელოვანი დახმარების თანხა დოლარებში, რაც უნდა გამოყენებულიყო წარმოების ასაღორძინებლად და ინდუსტრიული სექტორის რეაქტივაციისთვის(გამოცოცხლებისთვის), საჭირო ნედლეულისა და მასალების შესასყიდად.**(P. Saraceno, Intervista sulla ricostruzione, cit., pp. 17 – 20.)**

ამ კონტექსტში მომზადდა ანგარიში, მთელი კატასტროფული, დაუძლურებული სამრეწველო დარგის ინდუსტრიულ სექტორთან, ამ არაეფექტური სისიტემისა და სატრანსპორტო საშუალებების პარალიზებასთან, უკმარ ელექტრო-ენერგიასთან, ნედლეულის დეფიციტთან, ფასების მონეტარულ უწესრიგობასთან დაკავშირებით. შემუშავდა გადაუდებელი პირველადი დახმარების გეგმა, და ნედლეულის სექტორალური (დარგობრივი) გეგმები ნედლეულთან მიმართებით, რაც ითვალისწინებდა ნახევარფაბრიკატების, სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვანახშირის მიწოდებას, ჩრდილოეთის მრეწველობის სწრაფი გამოცოცხლებისა და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის მიზნით. **(Ibidem, p. 96.)** მაგრამ ბიუროკრატიული დაბრკოლებები (შეფერხებები თუ, საქმის გაჭიანურებები), სახელმწიფო ორგანიზაციების ნაკლოვანებები განაწილებაში, სირთულეები იმის განსაზღვრაში, თუ ვის ეკუთვნოდა უპირატესად ესა თუ ის

ნედლეული, თავის მხრივ იწვევდა სამუშაო პროცესების შეფერხება-შენელებას, რის გამოც ბევრი სექტორი დარჩა უყურადღებოდ მიტოვებული (და უგულებელყოფილი). ასეთ პირობებში საჭირო იყო ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ უარის თქმა პროტექციონიზმისა და იზოლაციის პოლიტიკაზე, რათა იტალიის ეკონომიკას შეეძინა სავაჭრო გახსნილობის ახალი მიმართულება და მომხდარიყო საგარეო ვაჭრობის რეაქტივაცია.

სექტორის ეკონომიკური კომისიებისა და ინდუს-ტრიული კომიტეტების გვერდით, 1945 წლის 21 ივნისს, პარის მთავრობამ ჩამოაყალიბა რეკონსტრუქციის დეპარტამენტი(un dicastero della Ricostruzione), რომელსაც შემდეგ (უკვე როგორც Il Ministero per la ricostruzione delle terre liberate dal nemico, მტრისგან გათავისუფლებული მიწების აღდგენის სამინისტრო), დე გასპერის პირველი მთავრობის დროს, მხარს უჭერდა და ხელმძღვანელობდა ლა მალფა(La Malfa). სამინისტროს ამოცანას არ წარმოადგენდა პროგრამის ფორმირება-ინიცირება, არამედ, 'მას მხოლოდ უნდა მოეხდინა იმის კოორდინირება, რაც შეთავაზებული იქნებოდა, უფრო ზუსტად, რაც გადაწყდებოდა ადმინისტრაციულ ორგანოებსა და დაწესებულებებში'. **(Ibidem.)**

იტალიამ, რომელმაც ამოწურა პროტექციონიზმისა და ფაშისტური-ავტარკიული (აქ, თვითკმაყოფილი /თვითკმარი; ავტარკია - იმპერიალისტური ქვეყნების აგრესიული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს იმპორტის შეზღუდვას და ამავე დროს ექსპორტის განვითარებას) იზოლაციონიზმის გამოცდილება, რომელშიც სახელმწიფო ინტერვენციების წონა ძლიერ საგრძნობი იყო საკრედიტო ინსტიტუტებსა და ინდუსტრიის მართვაში (და რომელშიც იტალიის ეკონომიკის განვითარება შეზღუდული იყო), იტალიის ეკონომიკის განვითარებისთვის იგრძნობოდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის არჩევანის საჭიროება. **(M. Colonna, L'economia italiana nei secoli XVIII – XX, cit., pp. 314–316.)**

და მაინც, რომელი კრიტერიუმის მიხედვით უნდა

მომხდარიყო რეკონსტრუქცია?

მღელვარებისა და მოლოდინის ატმოსფეროში, აგრეთვე, გაუთვალისწინებელ შემთხვევათა და გაურკვევლობის პირობებში, პროგრამებისა და გეგმების ჩამოსაყალიბებლად ეწყობოდა კონფერენციები და კონგრესები, და წარმოებდა გაცხოველებული დისკუსიები ეკონომიკის მართვის კრიტერიუმების თაობაზე, რაც უნდა ყოფილიყო მიღებული (და შეჯერებული) ყველაზე ავტორიტეტულ მეცნიერ-ეკონომისტებს შორის, რომლებიც განსხვავებულ პოზიციებს იკავებენ გეგმიურ თუ საბაზრო ეკონომიკის სისტემებთან მიმართებაში, ან მათი როლის შესახებ რეკონსტრუქციის პროცესში. **(P. Barucci, La politica economica e le scelte di politica economica dell'Italia (1945 – 1947), in «Rassegna economica», Maggio – Giugno 1973, p. 670.)**

ამ მხრივ სასარგებლო და საინტერესო იყო დებატები, რომელიც გაიმართა ისეთ მეცნიერ-ეკონომისტებს შორის, როგორებიც იყვნენ ეინაუდი(Einaudi), ბრეშანი ტურონი(Bresciani Turroni), დელ ვეკიო(Del Vecchio), დე მარია(De Maria), კორბინო(Corbino), სარაჩენო(Saraceno), პელა(Pella), და რომლებიც, ეკონომიკური ლიბერალიზმის პრინციპებისა და თავისუფალი ვაჭრობის დაბრუნებაში ხედავდნენ, იტალიის ინდუსტრიული ქვეყნების შემადგენლობაში შესვლის საფუძვლიან მიზეზს.

ამდენად, ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მიზეზებმა გავლენა მოახდინა იტალიის მთავრობაზე, ევროპულ ბაზრებთან სწრაფი ლიბერალიზაციის მიმართულებით.

მთავარი დილემა მდგომარეობდა შემდეგში. რას უნდა მინიჭებოდა უპირატესობა: კეინზიანური თეორიაზე(le teorie keynesiane) დამყარებულ დაგეგმვასა და ინტერვენციებს, თუ ლიბერალური თეორიის(le teorie liberiste) საფუძველზე ბაზრის გათავისუფლებას?

ლიბერალები(ლიბერალ-დემოკრატები) გამოდიოდნენ მთელი სახელმწიფო კონტროლის გაუქმებით და ხაზს უსვავდნენ თავისუფალი ბაზრის უპირატესობას. მაქსიმალური შესაძლებლობისა და დაშვებადობის ფარგლებში, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდნენ

თავისუფალ მოლაპარაკებებს (და შეთანხმებებს), კერძო ინიციატივების განვითარებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციის, ფინანსური, მონეტარული სტაბილურობისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიღწევას.**(A. Graziani, Introduzione a L'economia italiana dal 1945 a oggi, cit., p.23.)**

რეალობაში, მწირი ნედლეულის პირობებში, მრეწველობის აღდგენა და განვითარება (ინდუსტრიის რეაქტივაცია) შესაძლებელი იყო მხოლოდ იმპორტ-ექსპორტისა და თავისუფალი ვაჭრობის ზრდით.

გარდა ამისა, ასევე მოხერხდა ინვესტიციების დაგეგმვისა და დაგეგმვის პოლიტიკის შემუშავება-გატარება, რათა მომხდარიყო კერძო ინიციატივების ინტეგრირება(დაახლოება-გაერთიანება) სახელმწიფო ინიციატივებთან.**(V. Castronuovo, La politica deflazionistica italiana nel secondo dopoguerra (1945 – 1950), in AA. VV., "Politiche di rientro dall'inflazione", Laterza, Bari, 1986, pp. 96 – 97.)**

ლიბერალური პოლიტიკის მარტივად გამოყენებასა და ზედაპირულად გატარებას შესაძლოა გამოეწვია ფასების ზრდა კომპანიების მხრიდან, შეპირობებული როგორც მწირი ფინანსური რესურსების განკარგვადობით, ისე უკმარი ნედლეულის ფლობით.

პასკუალე სარაჩენო(Pasquale Saraceno), რომელიც იყო დაგეგმვის მომხრე, წერდა, რომ 'დაგეგმვასა და ღია ბაზარს შორის არჩევანის მიღმა, უნდა მოხდეს პრიორიტეტების დადგენა დასახული მიზნების მიღწევისთვის'.**(P. Saraceno, Intervista sulla ricostruzione, cit., p. 96.)**

კოლექტივისტური ეკონომიკის(una economia collettivistica) ჰიპოთეზაზე უარი ითქვა ამერიკული მიუღებლობის გამო. მეორე მხრივ, მონარქიიდან რესპუბლიკაზე გადასვლა ასევე გულისხმობდა შეჯახებასა და შედარებას ისეთ ორ ალტერნატიულ იდეოლოგიურ მიდგომას შორის, როგორებიცაა კათოლიკური და მარქსისტული წარმომავლობის ეკონომიკური კულტურები.

იტალიის კომუნისტურ პარტიასა და სოციალისტებს, რომლებიც კონცენტრირდებოდნენ 'პოლიტიკურ

დემოკრატიასა და სოციალ დემოკრატიას' შორის ინტეგრაციის ფორმებზე, რაც სახელმწიფო ინვესტიციების დაგეგმვისა და მშრომელთა/შრომითი მოძრაობების გაძლიერების გზით უნდა განხორციელებულიყო (**M. Colonna, L'economia italiana nei secoli XVIII – XX, cit., p. 326.**), სისტემატური ინფლაციური პოლიტიკის საწინააღმდეგ-ოდ, რომელიც ხელს უწყობდა გარკვეული ეკონომიკური ჯგუფების განვითარებას, მშრომელთა და ფიქსირებული შემოსავლების მქონე ჯგუფების საზიანოდ, საჭიროდ მიაჩნდათ მრეწველობის ნაციონალიზაცია.

ქრისტეან-დემოკრატები (იტალ.: Democrazia Cristiana, DC / ქრისტეან-დემოკრატია იყო ქრისტეან-დემოკრატიული პოლიტიკური პარტია იტალიაში.) თავის რეზოლუციებში, ეყრდნობიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებიც შემუშავდა 1943 წელს, კამალდოლის კოდექსის [Il Codice di Camaldoli] სახით (იგი გამოქვეყნდა 1945 წელს ინტელექტუალების ჯგუფის მიერ, რომლებიც შეიკრიბნენ ჟურნალ "Studium"-ის გარშემო, რათა შეესწავლათ ეკლესიის სოციალური დოქტრინა ეკონომიკურ საკითხებზე.). ავტორთა მიერ, ზომიერი ლიბერალური მიდგომის შემოთავაზებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა კერძო საკუთრების გავრცელების საჭიროება და იმავდროულად, სახელმწიფოს ჩარევა სოციალური ძალების ჰარმონიზაციისთვის და მათი 'საერთო სიკეთემდე /კეთილდღეობამდე'("Bene comune") მისაყვანად.(**A. Damilano, Atti e documenti della Democrazia Cristiana 1943 – 1967, Vol. I, ed. Cinque Lune, Roma, 1968, pp. 134 – 137.**)

ეროვნული საბჭოს DC-ის დოკუმენტი ერთადერთი იყო გეგმის განსახორციელებლად.(**F. Sullo, Il dibattito politico sulla programmazione economica in Italia dal 1945 al 1960, in «Economia e Storia», n. 3, 1960, pp. 392 – 393.**)

არსებითად, მეტნაკლებად ყველაზე უფრო აქტუალური პრობლემების ანალიზსთან დაკავშირებით, სწორედ ზოგიერთ გამოცდილ ეკონომისტს გააჩნდა მკაფიო წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა მოეხერხებინათ

გათავისუფლების შემდეგ წარმოქმნილი საბანკო ინსტიტუციებისა და კომისიებისთვის (ანუ, იმ კონტექსტში, თუ როგორ უნდა ეფუნქციონირათ მათ შემდგომში). მათ დაიკავეს სტრატეგიული მნიშვნელობის სამთავრობო პოზიციები და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საპარლამენტო საქმიანობაში და საკუთარი თეორიული (ცოდნის) მხარდაჭერით, გავლენა მოახდინეს ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაზე, რომელიც უნდა გატარებული განვითარებისა და სტაბილურობის მისაღწევად.

საზოგადოდ, ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს გარკვეული ჩარევის პერსპექტივა, ყველა პოლიტიკურმა ძალამ თანაბრად არ გაიზიარა. ომის დასრულებისა და ფაშისტური გამოცდილების შემდეგ, ერთნი, გეგმის ფორმულირებით, საჭიროდ მიიჩნევდნენ (ახალი) ეკონომიკური სისტემის შექმნის აუცილებლობას, რაც განსხვავებული იქნებოდა წარსულში არსებულისგან; სხვანი გრძნობდნენ ეკონომიკური რაციონალობის საჭიროებას.**(V. Castronuovo, L'economia italiana dal dopoguerra agli anni '60, cit., p. 3.)**

პროფკავშირები და ძირითადი პარტიები მხარს უჭერდნენ 'საერთო კონტროლის'('controllo generale') ფორმებს ეკონომიკურ ცხოვრებაში, მაგრამ ყველა მათგანმა უარი თქვა ცენტრალიზებული და მკაცრი, ხისტი დაგეგმვის იდეაზე.

საერთო ეკონომიკური დაგეგმვის იდეის გვერდით, გაბატონებული იყო თეზა(დებულება), რაც ეყრდნობოდი კერძო ინიციატივასა და მისთვის განუსაზღვრელად დიდი შესაძლებლობების შექმნას 'სოციალური მიზნების' მისაღწევად.**(P. Barucci, Il dibattito sulla politica economica della ricostruzione (1943 – 1947), cit., p. 400.)**

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ სისტემაში არსებობდა წარსულის ნამემკვიდრალი Iri, Agip და სხვა ინსტიტუციები/სუბიექტები, რაც წარმოდაგენს კორპორატიული ეკონომიკის მაგალითებს, საერთაშორისო ეკონომიკური იზოლაციის დასაძლევად, რასაც ქვეყანა ავტარკიის წლებში განიცდიდა, იტალიამ ხელი

მიჰყო შერეულ ეკონომიკას, პროგრამისტების (programmatori) ძლიერი განზრახვებით, რაც გამოხატული იყო მრავალ განსხვავებულ სექტორში სამოქმედო გეგმების შემუშავებით.

1945 წლიდან 1947 წლებამდე პერიოდში, რეკონსტრუქციის ლიბერალური არჩევანი აღემატებოდა პროგრამირების (programmazione) შესახებ არსებულ ყველა სხვა წინანდადებას, რაც აისახა დე გასპერის მიერ მიღებულ პოლიტიკურ ხაზში.

1945 – 1953 წლებში ალჩიდე დე გასპერი რჩებოდა იტალიის მთავრობის მეთაურად, ეკონომიკის მინისტრებთან, ეინაუდდთან (Einaudi) და პელასთან (Pella), და სხვა მნიშვნელოვან ეკონომისტებთან თანამშრომლობით, მოახდინა რა კერძო მეწარმეობის სრული თავისუფლების გადაფასება, მან დაიწყო ლიბერალური ეტაპი, განსაზღვრული როგორც 'კაპიტალისტური რესტავრაცია'("restaurazione capitalistica"). **(D. Ivone, Giuseppe Pella e la politica liberista nella ricostruzione economica del secondo dopoguerra, Atti del Convegno promosso dalla Società Italiana degli Economisti, L'opera scientifica di A. Breglia, F.S. Nitti, C. Bresciani Turroni, E. Rosso e G. del Vecchio e il loro contributo alla ricostruzione dell'economia italiana dopo la seconda guerra mondiale, Librairie Droz, Genève, 1985, p. 117.)**

არსებობდა მყარი საფუძველი იმისა, რომ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მოსაგვარებლად, იტალიაში საჭირო იყო მონეტარული პოლიტიკის მანევრის შესრულება, რაც ლიბერალიზმითა (liberismo) და არა პროგრამისტების ფილოსოფიით (filosofia dei programmatori) იქნებოდა შთაგონებული, რომლებიც 'რესურსებსა და ინვესტიციებს სახელმწიფო ბიუჯეტის გაუთვალისწინებლად გეგმავენ'.**(Ibidem.)** ამიტომ, ეინაუდის მიერ მიღებული იქნა მკაცრი დეფლაციური ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა საკრედიტო კრიზისზე/წნეხზე, ლირის დაცვაზე, დანაზოგებსა და სიფრთხილის გამოჩენაზე, თუკი ისინი ინვესტიციების შემცირებისა და უმუშევ-

რობის ზრდის საფუძველზე მოახდენდნენ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ბლოკირებას, რათა მათ შეძლებოდათ ინფლაციის ეფექტურად გაკონტროლება. **(Idem)**

დასავლეთის სამყაროს ეკონომიკასთან ჰარმონიზაციის შესაბამისად, ეინაუდი, იტალიის ბანკის მმართველ მენიკელასთან(Menichella, governatore della Banca d'Italia), სარაჩენოსა(Saraceno) და სილიენტისთან (Siglienti, presidente dell'IMI) თანამშრომლობით, შეუდგა პროგრამების შემუშავება-განხორციელებას, რათა საუკეთესო ფორმით მოეხდინათ ამერიკელების მიერ მათთვის გამოყოფილი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენება წარმოების, ინვესტიციებისა და ექსპორტის აღორძინებისთვის.

მარშალის გეგმის დაწყებამდე რამდენიმე წლის განმავლობაში, მეცნიერ-ეკონომისტებს შორის წარმოებდა გაცხოველებული დებატები დაგეგმვის, მისი ხასიათის შესახებ. მაგრამ არეულობისა და დაბნეულობის პირობებში, რაშიც იტალია აღმოჩნდა ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც გარკვეული დროიდან ინდუსტრიულად უკვე იყვნენ განვითარებულნი, პროგრამა (იმ სახით), სადაც არ იქნებოდა გათვალსწინებული იმ მომენტში არსებული მთელი სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო სექტორის ინტეგრაციისა და ადაპტაციის სირთულეები ევროპული ქვეყნების დონეზე, იყო რისკი როგორც პროგრამირების (programmazione) მხარდამჭერთა მხრიდან, ისე მოწინააღმდეგეთა მხრიდან, ვერ გამოევლინათ პრობლემების იერარქია და მათი გადაჭრის გზები.**(P. Barucci, Introduzione a P. Saraceno, cit., p. 48.)**

პროგრამირების(la programmazione) მოწინააღმდეგენი იყვნენ: ამოროზო(Amoroso), ბრეშანი ტურონი(Bresciani Turroni), დე მარია(De Maria), ეინაუდი(Einaudi), ფედერიჩი (Federici), პალომბა(Palomba), პეზენტი(Pesenti); მომხრეები იყვნენ: სარაჩენო(Saraceno), ბერტოლინო(Bertolino), კამპოლონგო(Campolongo), სილოს ლაბინი(Sylos Labini).

ცოცხალი და არტიკულირებული(გამოწვლილვით

წარმოებული [მუხლობრივად გავლილი-განხილული /მკაფიოდ ფორმულირებული]) დებატების შემდეგ, მოსაზრებები პოლარიზირდა 'ორ სოლიდურ, მძლავ საპირისპირო პოზიციად'. პირველი, - რომ პროგრამირება (programmazione) მიიჩნეოდა ორგანიზაციის ფორმად, რასაც სტრუქტურულად არ შეეძლო ქვეყნის ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფა, და მეორე, - რაც მხარდაჭერილი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ მას შეიძლებოდა ეფუნქციონირა მხოლოდ სრულად სოციალისტური სისტემის/რეჟიმის პირობებში.**(P. Barucci, Introduzione, in P. Saraceno, Ricostruzione e pianificazione 1943 -1948, Bari, Laterza, 1969, p. 43.)**

ეკონომისტებს შორის გამორჩეული პიროვნება იყო სარაჩენო. მისთვის გეგმა სასარგებლო იყო, როგორც საჯარო საქმიანობებისთვის, ასევე კერძო მეწარმეებისთვის, ასე რომ 'პირველი დაკავშირებული იყო საერთო მიზნების მიღწევასთან, ხოლო მეორე მიზნად ისახავდა მათ განხორციელებას). [...] ამ ურთიერთდამოკიდებულებასა და რეგულაციაში დაგეგმვის საფუძველი/არსი მდგომარეობდა შერეულ ეკონომიკაში. '[...] In questo vincolare e in questo regolare stava il, nocciolo della pianificazione in un'economia mista'.**(G. Lombardo, L'Istituto Mobiliare Italiano, cit., p. 31.).**

ქვეყნის მიერ გააქტიურებული სახელმწიფო ინტერვენცია ინფრასტრუქტურის, მშენებლობის, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და საჯარო სერვისის სფეროებში, ემსახურებოდა იმას, რომ 'ქვეყნის ეკონომიკა, განვითარების განსაზღვრულ მიმართულებასთან შესაბამისობით, რამდენადაც შესაძლებელია, წარმართულიყო მეტად ეფექტურად' **(P. Barucci, Introduzione, cit. p.44.);** მხოლოდ ამ მიზნების მიღწევის გზით მიღებულ ეკონომიკურ პოლიტიკას შეეძლო მოსალოდნელი, იმედისმომცემი წარმატების მიღწევისა და იტალიის ეკონომიკის აღდგენის უზრუნველყოფა.

ამ იდეების საფუძველზე, სარაჩენომ, რომელმაც უშუალოდ ომისშემდგომ პერიოდში შეიმუშავა პირველი ინტერვენციული გეგმები, ხოლო შემდეგ სექტორული

/სექტორალური გეგმები მოსახლეობისთვის ძირითადი სამომხმარებლო საქონლის მომარაგებისა და მრეწველობის ეფექტურად აღდგენის მიზნით, 1947-1948 წლებს შორის, პიეტრო კამპილისთან(Pietro Campilli) ერთად, რომელიც მაშინ იყო საგარეო ვაჭრობის მინისტრი, მარშალის გეგმის გათვალისწინებით ჩამოაყალიბა იტალიის ეკონომიკის განვითარების ოთხწლიანი პროგრამა. ეს აგრეთვე მიმართული იყო იმ მრეწველთა პოზიციის წინააღმდეგ, რომელთაც სურდათ კერძო სექტორის დახმარება მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთში, და მიზნად ისახავდა საჯარო სექტორის კერძო სექტორთან დაკავშირებას, იტალიის ჩრდილოეთსა და სამხრეთში.

გეგმა ეხებოდა 'წმინდად ტექნიკურ სექტორს' **(G. Lombardo, L'Istituto Mobiliare Italiano, cit., p. 32.),** სადაც იგი ფოკუსირებული იყო დასაქმების ზრდაზე და განსაკუთრებით Mezzogiorno-ს(სამხრეთ იტალია) განვითარებაზე, სადაც უმუშევართა რაოდენობა უაღრესად დიდი იყო.

ქვეყნის სამხრეთმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა სარაჩენოს პროგრამაში, სადაც Mezzogiorno -სთვის არასაკმარისადაა მიიჩნეული ახალი საწარმოების (ბიზნესის) დაფუძნება და ინდუსტრიალიზაცია **(Ibidem, p. 34.).** აღნიშნული პროგრამის თანახმად, ქვეყნის ამ ნაწილში, დღის წესრიგში დგება სახელმწიფოს ინფრასტრუქტურული ინტერვენციები და (ფინანსური) სახსრების დიდი ნაწილის გამოყენება საზოგადოებრივი საქმიანობების დასაწყებად, სრული რეკონსტრუქციის, მიწის რეფორმის, ირიგაციისა და ტრანსპორტის მიმართულებით.

მას შემდეგ, რაც მარშალის გეგმის ფართო სახელმძღვანელო პრინციპები/მონახაზი გაცხადდა, მთავრობამ საჭიროდ ცნო, რომ დაწვრილებით განესაზღვრა პროგრამის ხასიათი (მოეხდინა პროგრამის ტიპის დეტალების ფორმულირება) ERP-ს (სფეროში) დახმარების აღმოსაჩენად, რაც წარმოადგენდა 'სიძლიერისა და თავდაჯერებულობის ელემენტს'('un elemento di forza e di certezza')**(Ibidem, p.32.)** განვითარების პროგრამისთვის(un

programma di sviluppo), (მიმართულს) იმ დროს აღმოცენებული სერიოზული პრობლემების გადასაწყვეტად.

ტრუმენის ხელმოწერის შემდეგ, მარშალის გეგმა შევიდა ძალაში (რისთვისაც შემუშავდა საკუთარი ოპერატიული/სამოქმედო მექანიზმები).

1948 წლის 28 ივნისს ხელმოწერილი ბილატერალური (ორმხრივი) პროტოკოლით/ოქმით, იტალიის მთავრობამ აიღო როგორც სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო წარმოების, ისე ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის, ქმედითი გაცვლითი კურსის დადგენისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსების ვალდებულება.

ლირას ფონდი (Il Fondo – Lire), იმ სასარგებლო პროექტების დასაფინანსებლად, რასაც იტალიის მთავრობა გამოიყენებდა პროდუქტიულობის განვითარებისათვის, გულისხმობდა დრო და დრო შეთანხმებას შეერთებული შტატების მთავრობასთან.

რაც შეეხება მის გამოყენებას, ერთ მხარეს იყვნენ ლიბერალები(i liberisti), მეორე მხარეს - პროგრამისტები(i programmatori), მაშინ როდესაც La Confindustria (Confederazione generale dell'industria italiana / იტალიის ინდუსტრიის გენერალური კონფედერაცია. არის იტალიური საწარმოო და მომსახურების კომპანიების[imprese manifatturiere e di servizi italiane] მთავარი წარმომადგენლობითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 150000-ზე მეტ კომპანიას ნებაყოფლობით საფუძველზე, მათ შორის ბანკებს და 1993 წლიდან ასევე საჯარო კომპანიებს. სულ 5 439 370 თანამშრომელი. დაფუძნდა 1910 წლის 5 მაისს, შტაბბინა მდებარეობს რომში.) ანჯელო კოსტას(Angelo Costa) ხელმძღვანელობით, მათი პოლიტიკური და ბიუროკრატიული პოზიციის გამო, უპირატესობას ანიჭებდა ფინანსურ ჯგუფებს.

პროგრამა, 1948-1952 წლების განმავლობაში ითვალისწინებდა 2273 მილიარდი ლირას ინვესტიციას, რაც შემდეგნაირად ნაწილდებოდა: 665 მილიონი სოფლის მეურნეობას, 920 - მრეწველობას, 630 - ტრანსპორტსა და ტელეკომუნიკაციებს, 8 - გადამზადების კურსებისთვის

დასაქმების ხელშესაწყობად.

მრეწველობისთვის გამოყოფილი 920 მილიარდი ლირადან 40%-ზე მეტი ერგო ელექტრო-ენერგეტიკულ კომპანიებს, დაახლოებით 20% Finsider-სა და Falk -ს, ხოლო 20% მანქანათმშენებლობის ინდუსტრიას.**(C. Daneo, La politica economica della ricostruzione 1945 – 1949, Einaudi, Torino, 1975, pp. 249 – 250.)**

პროტოკოლით გაწერილი მიზნების გარდა, პროგრამამ, პრიორიტეტების დადგენით, დამატებით განსაზღვრა მრავალი მიზანი.

აუცილებელი გახდა სამრეწველო ქარხნებისა და მათი მოწყობილობების რეორგანიზაცია-ტრანსფორმაცია (ცვლილება/ გადაკეთება), სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, რათა პროდუქცია(წარმოება) კონკურენტ-უნარიანი ყოფილიყო უცხოურ ბაზრებზე; ევროპაში იტალიის უფრო ძლიერი ინტეგრაციისთვის, საჭირო შეიქმნა მრავალმხრივი გაცვლითი აქტივაცია ევროპის ქვეყნებს შორის, ასევე აღმოსავლეთში, რეაქტივირება და გადამამუშავებელი მრეწველობის გასაღების ბაზრების ხელახლა გახსნა, სადაც კონკურენტუნარიანობა (კონკურენცია) [ჩვენს] ინდუსტრიებთან შედარებით ნაკლებ კონკურენტული იყო. **(G. Lombardo, L'Istituto Mobiliare Italiano, cit., p.35.)**

ინვესტიციებზე კონცენტრაციის, სახელმწიფო საწარმოების დახმარებისა და დაფინანსების მიმართულებით წარმოდგენილ სფეროებს, რომლებზეც პროგრამა იყო ორიენტირებული და დაკავშირებული მარშალის გეგმის ოპერაციებთან, წარმოადგენდა:

ენერგეტიკის სფერო (ელექტრო ენერგიის წარმოება/გამომუშავება და ტრანსპორტირება, ნავთობ-ნედლეულის გადამამუშავებელი ქარხნები, აირის საწარმოები და პოტენციურად ხელმისაწვდომი წიაღისეული საწვავის მწირი შიდა რესურსების ექსპლუატაცია);

ფოლადისა და მანქანათმშენებლობის ინდუსტრიები;

საფეიქრო მრეწველობა;

ქიმიური და კაუჩუკის მრეწველობა.**(Ibidem, p. 42.)**

იმავდროულად, დასაქმების უკეთ ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა გადამზადების კურსები.

პროგამაში არ იყო განხილული სარაჩენოსთვის მტკივნეული სამხრეთელების პრობლემა, როგორც განვითარების გეგმის მძლავრი იდეა, რადგან ის ემყარებოდა კომპრომისს ლიბერალებს შორის, რომელიც მიჰყვებოდა პელას ხაზს, და ე.წ. მეწარმეთა 'მეოთხე მხარეს', რომელთაც საკუთარი ინტერესი გააჩნდათ ჩრდილოეთში.

ამ მანევრს, რასაკვირველია ხელს უწყობდნენ მემარცხენე ძალები, რომლებიც ჩრდილოეთის მუშების საარჩევნო მხარდაჭერას ეყრდნობოდნენ.

Mezzogiorno-ს გადაფასების/განახლების პოლიტიკის იდეა აღორძინდა და განხორციელდა 1950 წელს მიწის რეფორმითა (la riforma agraria) და სამხრეთ იტალიის/ მეძოჯორნოს ფონდით(la Cassa per il Mezzogiorno).

ERP-ის არსებითმა დაწყებამ ვერ შეცვალა ეინაუდის (მიერ მიღებული) რესტრიქციული ეკონომიკური მდგომარეობა, რაც მწარმოებლურობის ამაღლების დაბრკოლებით ეწინააღმდეგებოდა ERP -ის მიზნებს.

თუმცა შეერთებული შტატების პოზიცია, განსაკუთ-რებით, 1948 წლის 18 აპრილს, ქრისტეან დემოკრატების (DC) გამარჯვების შემდეგ გახდა უფრო გადაუდებელი და მკაცრი, რათა მთავრობას შეეცვალა დამოკიდებულება და შეემსუბუქებინა საკრედიტო კრიზისი, ის ჯიუტად განაგრძობდა იტალიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნების განხორციელებას/საკვანძო მიზნების მიღწევას: ბიუჯეტის დაბალანსებასა და სავალუტო რეზერვების ზრდას.**(U. F. Ruffolo, La linea Einaudi, in «Storia Contemporanea», n. 4, 1974, p. 659.)**

მიუხედავად იმისა, რომ მშპ-ის დონე და მისი(მშპ-ის) წილი ერთ სულ მოსახლეზე რეალურად საოცრად მაღალი იყო, ხოლო მიღწეული იქნა პროგრესი გადამამუშავებელი მრეწველობის, ქიმიური, მექანიკური და ფოლადის ინდუსტრიის მიმართულებით, ამას ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ მიღებულ ეკონომიკურ პოლიტიკას გამოეწვია კრიტიკა აშშ-ის მხრიდან.

იტალიური დაგეგმარების დეფექტების (ნაკლოვანებები /ხარვეზები) უაღრესად მკაცრ კრიტიკას შეიცავდა ქვეყნის შესწავლის(**V. Castronuovo, La politica deflazionistica italiana nel secondo dopoguerra (1945 – 1950), cit., p. 106; si veda C. Spagnolo, La polemica sul «Country Study», il Fondo - Lire e la dimensione internazionale del Piano Marshall, in «Studi Storici», gennaio-marzo 1996.**) კვლევა მოხსენებაში, რომელიც მომზადდა ECA(Economic Cooperation Administration)-ს მმართველის, პაოლ ჰოფმანის(Paul Hoffman) მიერ, და რაც იტალიის მთავრობისგან ითხოვდა პასუხს. დადებითად აფასებდა რა ექსპორტის ზრდისა და ფასებზე დაწესებული კონტროლის საკითხებს, ის ამავე დროს ახსენებდა იტალიას, რომელმაც არ მიიღო სახელმწიფო/საჯარო ინვესტიციების კოორდინირებული პროგრამა(un programma coordinato di investimenti pubblici), რომ მან ვერ შეძლო თავისი მიზნების მიღწევა განვითარების, წარმოებისა და დასაქმების სფეროში.

კერძოდ, კრიტიკა განსაკუთრებით მიმართული იყო დაბალი დასაქმების მულტიპლიკატორზე, რაც ძირითადად უკავშირდებოდა ინვესტიციებს, მიმართულს ისეთ სექტორებზე, როგორიცაა მექანიკური მეტალურგია და ენერგეტიკა, და კეინზიანური(კეინზიანური მიდგომის) პელასისა და მენიჩელას ეკონომიკური ხაზის მხარდაჭერით, მოუწოდებდა მთავრობას, რომ გაეზარდა მრეწველობა, წაეხალისებინა კერძო ინიციატივები, გადაეხედა სავალუტო სისტემისთვის და მოემზადებინა ეროვნული ბიუჯეტი.(**ECA, Country Study sull'Italia, ISE, Milano, 1950, p. 14.**)

ოპოზიციისა და პირველ რიგში კომუნისტების მიერ საპარლამენტო პოლემიკაში ფართოდ გამოყენებული ჰოფმანის ანგარიში შეიცავს მოწოდებას სახელმწიფო /საჯარო ინვესტიციებისა და ინფლაციურ მოვლენებთან დაკავშირებული შიშების გარეშე, იტალიის საინვესტიციო პრობლემებისა და ფულად-საკრედიტო სტაბილურობის უფრო გაბედული პოლიტიკის წარმოების შესახებ. იმავდროულად, გამოთქმული იყო იმედი, რომ ეროვნული საინვესტიციო ბიუჯეტი დაეფუძნებოდა ისეთ კრიტერიუ-

მებს, როგორიცაა:

კაპიტალის ფორმირების პროცესთან ერთად, მაქსიმალური დასაქმების მოცულობის შექმნა;

მაქსიმალური დასაქმების მოცულობის შექმნა, ახალი კაპიტალის უწყვეტი გამოყენების/სარგებლობის პირობებში;

მაღალი და სწრაფი უკუგების მქონე ინვესტიციების უპირატესობა;

სამრეწველო სექტორსა და განსაკუთრებით საექსპორტო ინდუსტრიაში/სექტორში ხარჯების შესამცირებლად, საერთაშორისო ხარჯებთან არსებული თანაფარდობის ყურადღებით შესაწავლის აუცილებლობა;

ავტარკიული ტენდენციების თავიდან აცილება.

ანგარიშის თანახმად, ERP- ის სახსრებით/ფონდებით სარგებლობის ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის, რომ იტალიას არ შეეძლო გეგმათა იმგვარად ფორმულირება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სხვა ქვეყნებში. ჰოფმანის შეთავაზება იყო, შეექმნათ საგეგმო /დაგეგმარების ორგანო, რომელიც უზრუნველყოფილი იქნებოდა (და თავს მოიწონებდა) შემდეგით:

დამოუკიდებლობა ძირითადი სამინისტროებისგან, რომელთაც გააჩნიათ აღმასრულებელი ამოცანები /ფუნქციები;

პროფესიული და ტექნიკური პერსონალი შესანიშნავი/ ბრწყინვალე მომზადებით;

ქმედითი/ეფექტური უფლებამოსილებანი, აღსრულებაზე პასუხისმგებელ სამინისტროებთან მიმართებით;

და მოითხოვდა:

1. აშშ-სა თუ/ან საფრანგეთში მომზადებულის მსგავსი ეროვნული ინვესტიციების კვარტალური ბალანსის მომზადებას;

2. პრეტენზიების ერთიანი კონტროლის მართვას, კერძოდ, კერძო ინვესტიციებში;

3. იმპორტის პროგრამას, ლიცენზირებისა და სავალუტო (გაცვლითი კურსის) კონტროლის პოლიტიკასთან კოორდინაციით.

ქვეყნის კვლევამ ვაშინგტონში, იტალიის ტექნიკური დელეგაციის მწვავე დებატები და მყისიერი კონტრდასკვნები გამოიწვია, რამაც ხელი შეუწყო იტალიის ეკონომიკური პირობების დამახინჯებული ხედვის გავრცელებას. პელამ და მენიჩელმა და ყველა სხვა ეკონომისტმა გაამართლა მთავრობის ქმედება, რომელიც მოქმედებდა იტალიელთა ცხოვრების დაბალი დონისა და შესაბამისი მონეტარული პოლიტიკის გათვალისწინებით.

სხვა ეკონომისტები, მათ შორის სარაჩენო, IRI-ის პრეზიდენტი ფრანჩესკო ჯორდანი(Francesco Giordani), უკვე ეწინააღმდეგებოდნენ ლიბერალურ პოლიტიკას, რადგან ის 'რესურსების სტერილიზატორია'['sterilizzatrice delle risorse'],**(P. Saraceno, Intervista sulla ricostruzione, cit. p. 102.)** და განვითარების დაწყებასთან დაკავშირებით გამოთქვამდნენ უფრო კონკრეტულ მოსაზრებებსა (და აყალიბებდნენ უფრო კონკრეტულ წინადადებებს), რომ ინფალციაზე კონტროლის პოლიტიკის გვერდით აუცილებელია გაფართოების პოლიტიკა და 'სპეციფიკური /კონკრეტული მიზნებისთვის საჭირო შესაბამისი ინვესტიციების' პროგრამა, მიმართული უწინარესად Mezzogiorno-სკენ.

1.4 §. სამხრეთის პრობლემა: დეპრესიული რეგიონები

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი, პრეზინდეტი ტრუმენის 1949 წლის 20 იანვარის საინაგურაციო მიმართვის IV პუნქტში ჩამოყალიბებული იყო განვითარების პროგრამის საერთო მიმართულება, რაც ითვალისწინებდა ამერიკის ტექნიკურ და ფინანსურ, მხარდაჭერას ეკონომიკურად ჩამორჩებილი ქვეყნებისადმი.

ეს პროგრამა წარმოადგენდა მრავალი ინიციატივისა და მრავალწლიანი გეგმის შედეგს, ბრიტანეთის თანამეგობრობასა (al Commonwealth britannico) და საფრანგეთის კოლონიალური იმპერიის(all'impero coloniale francese) შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების განვითარების

ზრდის ხელშეწყობისთვის.

საკანონმდებლო ზომების წყალობით, ე.წ. 'Distribution of Industry Act' -ში გათვალისწინებული იქნა ჩამორჩენილი რეგიონების, მათი ინდუსტრიული განვითარებისა და სამრეწველო ობიექტების/დარგების დაბალანსებულად გადანაწილების ხელშეწყობის საკითხები ქვეყნის შიდა ეროვნულ ტერიტორიებზე.

პაულ როზენშტაინ-როდანი(Paul Rosenstein-Rodan) ასაბუთებდა, რომ ჩამორჩენილი რეგიონების ინდუსტრიული განვითარების მისაღწევად აუცილებელია სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკაში, სახელმწიფოსი, რომელსაც მართებს თავდაპირველი დიდი ძალისხმევა ფიზიკური და ჰუმანური კაპიტალის ინვესტირებისთვის, რაც იქნებოდა ე.წ. 'დიდი ბიძგის'(big push), სტიმულის მიმცემი ავტარკიული ინდუსტრიალიზაციის გასააქტიურებლად. **(A. Pugliese, Mezzogiorno, meridionalismo ed economia dello sviluppo: la teoria dello sviluppo dagli anni della rinascita a quelli degli equilibri multipli, Liguori, Napoli, 2006, p. 23.)** ის აქვე დასძენდა, რომ დეპრესიული რეგიონების ინდუსტრიალიზაცია, 'როგორც კი ეს მოხდება, შეძლებს ბალანსის შექმნას, საიდანაც შესაძლებელი გახდება ნორმალური კერძო სტიმულების პოზიტიური ფუნქციონირება. თუმცა, ეს უკანასკნელი არ უნდა იყოს მოსალოდნელი იქამადე, ვიდრე მსგავსი წონასწორობა მიუღწეველია'.**(Ibidem.)**

ეკონომისტ ლეონტიევის(Leontief) აზრით, საინვესტიციო და ეკონომიკური პოლიტიკის არჩევანი, უნდა ეხებოდეს მთლიან ზემოქმედებას ეკონომიკაზე და არა მხოლოდ იმგვარ პირდაპირ ეფექტებს, როგორიცაა დასაქმების ზრდა ან იმპორტის შემცირება. ყოველ ინვესტიციას გააჩნია ორმაგი ეფექტი: ის ზრდის რეალური კაპიტალის ზომას/მოცულობას ქვეყნის ეკონომიკაში და დამატებით საწარმოო სიმძლავრეებს(Effetto di capacità / სიმძლავრის ეფექტი), რაც დროთა განმავლობაში იწვევს დამატებითი შემოსავალის გენერირებას და გამომდინარე აქედან, ხელს უწყობს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას (შემოსავლის ეფექტი ან მულტიპლიკატორის ეფექტი /

Effetto di reddito o effetto moltiplicativo). შემოსავლის ეფექტი დროებითია, მაშინ როდესაც ინვესტიციების გრძელვადიანი ეფექტები ხანგრძლივ გავლენას ახდენს საწარმოო სიმძლავრის/წარმოების მოცულობის ზრდაზე.

ჯონ ჰ. ადლერმა(John H. Adler) რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკიდან(della 'International Bank of Reconstruction and Development') ამერიკული ეკონომიკური ასოციაციის(dell'American Economic Association) შეხვედრაზე გააკრიტიკა მარშალის გეგმა, რადგან მან ის შეზღუდული ვადის გამო, სუსტად განვითარებული/განვითარებადი ქვეყნებისთვის არასაკმარისად მიიჩნია. ეკონომიკური განვითარება, განაგრძობდა ადლერი, ათწლეულობის განმავლობაში საჭიროებს ხელის შეწყობას (და უნდა იქნას მხარდაჭერილი).

ტრუმენის პოლიტიკითა და ცნობილი თეორეტიკოსების მიერ ჩამოყალიბებული სხვადასხვა თეორიებით, გაღრმავდა და გააქტიურდა დეპრესიული რეგიონებისა და მათი განვითარების საერთაშორისო კვლევა.**(Sul tema della 'aree depresse' in Italia vedi G. Ceriani Sebregondi, La teoria delle aree depresse (1950), ora in Sullo sviluppo della società italiana, Torino, Boringhieri, 1965; P. Saraceno, Lo sviluppo dei paesi non industrializzati, Roma, 1953; Atti del Congresso internazionale di studi sulle aree arretrate, Milano, Giuffrè, 1966. Di P. Rosenstein Rodan si veda La teoria dello sviluppo: il fabbisogno di capitali per lo sviluppo e la sua copertura, in Svimez, II Mezzogiorno nelle ricerche della Svimez, 1947-1968, Milano, Giuffrè, 1968.)**

როდესაც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებმა და საერთაშორისო ორგანოებმა/კომიტეტებმა დააანონსეს, სტრუქტურულად ჩამორჩენილი, სუსტი რეგიონების განვითარების შესახებ სამოქმედო პროგრამები როგორც ტექნიკურ, ისე ფინანსურ სფეროში, ამ თეორიების ფონზე და ERP-ის დახმარების პარალელურად, აგრეთვე ამოძრავდნენ იტალიელი პოლიტიკოსები და ეკონომისტები.

იგივე მოხდა სამხრეთ იტალიის სახელმწიფო

მხარდაჭერის ფონდის დაფუძნებით(l'istituzione della Cassa per il Mezzogiorno), რომელიც შეუდგა უზარმაზარი კომპლექსური საჯარო საქმიანობების შესრულებას მკვეთრად განსაზღვრული 10-12 წლიანი ხანგრძლივობით. 1944 წლიდან 1952 წლამდე პერიოდში ადგილი ჰქონდა გარკვეულ სამრეწველო გამოღვიძებას, რაც აიხსნება არა მხოლოდ შემოსავლის ეფექტით, არამედ ასევე იმგვარ ინვესტიციათა პოტენციალის ეფექტით, რომლის იმპულსიც შეპირობებული იყო არა მხოლოდ მარშალის გეგმით, არამედ შეცვლილი პოლიტიკური კლიმატით, (იტალიის) ეროვნული და რეგიონალური (Mezzogiorno) კანონმდებლობითა და, რა თქმა უნდა, ასევე სიცილიის ბანკის სამრეწველო სასეხო განყოფილების(dalla Sezione di Credito industriale del Banco di Sicilia.) მიერ.

შემდეგ, აღნიშნულ განყოფილებას დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებისა და ERP-ის (ფონდის) თანხების გადახდა; ასევე კერძო დანაზოგების აკუმულაცია, ე.ი., ობლიგაციებისა და საპროცენტო ვაუჩერების ემისია, რომელთა უმეტესი წილი განთავსებულ იქნა სიცილიაში.

იტალიის რეკონსტრუქციის პროცესის ანალიზი პირველ რიგში აღნიშნავს დაინტერესებას სამხრეთ იტალიის(Mezzogiorno) განვითარების დასაწყისში და იქ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებებს.

სამხრეთ იტალიის პრობლემა, რომელიც ფაშიზმის წლებში იყო უგულებელყოფილი, სიღარიბისა და ჩამორჩენილობის პირობების მიუხედავად, მოითხოვდა გადამჭრელ მოქმედებებს, რის თაობაზეც ომისშემდგომ პერიოდში არსებობდა (დიდი) მოლოდინი.**(F. Barbagallo, Mezzogiorno e questione meridionale 1860 – 1980, Guida, Napoli, 1982, pp.67 – 68; G. Barone, Stato e Mezzogiorno (1943 – 60), Il «Primo Tempo» dell'intervento straordinario, in "Storia dell'Italia repubblicana, Vol. I, La costruzione della democrazia, Einaudi, Torino, 1994, p. 296.)**

პერიფერიები(სასოფლო ადგილები და სოფლების მოსახლეობა) თავისი სიღატაკით, სადაც აჯანყების

/ამბოხების სასტიკი კერები ჩნდებოდა, და რაც სასტიკი ომიდან იშვა, ინდუსტრიულად განვითარებულ ჩრდილოეთთან შედარებით იმყოფებოდა მკვეთრი დისბალანსის მდგომარეობაში. ის დაზარალადა დაბომბვებისგან და ნგრევისგან საომარი ოპერაციების დროს, მიუხედავად იმისა, რომ მან ჩრდილოეთზე ადრე შეძლო კონფლიქტის მოქმედებებიდან გამოსვლა, მას არ გააჩნდა შესაძლებლობა, ესარგებლა ხელსაყრელი ომის შემდგომ გარემოებათა შედეგებით. პირიქით, მძიმე ეკონომიკური პირობები, უმუშევრობისა და ემიგრაციის ზრდა, სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა და სეპარატისტული ზეწოლის გავრცელება ხელს უწყობდა მასსა(სამხრეთსა) და ჩრდილოეთს შორის არსებული ნაპრალის გაღრმავებას. ჩრდილოეთთან შედარებით, ის ავლენდა დეპრესიული რეგიონის აშკარა ნიშნებს, ხოლო ელექტროენერგიის უქონლობამ მიიყვანა ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის დაკარგვამდე, სადაც ექსპორტს, განსაკუთრებით ხილზე და ბოსტნეულზე, ჰქონდა მნიშვნელოვანი უარყოფითი რეაქცია, რამდენადაც ის არ ძლიერდებოდა მისი მხარდამჭერი პოლიტიკით.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ იტალიის რეკონ-სტრუქციის ინტერესი მანიფესტირდა(გაცხადდა) ფაშიზმის დაცემის შემდეგ, საკმაოდ სუსტმა საკანონ-მდებლო ჩარევამ გამოიწვია ის, რომ სამხრეთის პრობლემას ემატებოდა სხვა კიდევ უფრო გადაუდებელი საკითხები, რომლებიც , 'მოკლე' დროში ითხოვდა გადაწყვეტას.**(P. Barucci, Introduzione a Il Meridionalismo dopo la ricostruzione (1948 – 1957), di P. Saraceno, Collana Svimez, Giuffrè, Milano, 1974, pp. 1-3.)**

ჯერ კიდევ (ქვეყნის) გათავისუფლებამდე შემუშავდა ჩრდილოეთ იტალიის მრეწველობის (სამრეწველო ობიექტების რეკონსტრუქციისა და განვითარების) აღდგენის პირველი გეგმები, რაც პრიორიტეტულ ამოცანად იქნა დასახული; ეს მიდგომა, სავარაუდოდ, როგორც შემდგომ გამოჩნდა 'ცივილიზაციის არჩევანის' მარშალის გეგმაში, მოკავშირე სახელმწიფოების მიერ იქნა დანაწილებული, რომელთა თავდაპირველ ვიზიონში

(ხედვაში) სამხრეთის რეგიონებს არ ეკავა ის ადგილი, რომელიც ყურადღებას დაიმსახურებდა, ყოფილიყო ხელსაყრელი, ახალი საწარმოო სტრუქტურების აღმოცენებისთვის. შესაბამისად, დაიწყო პრიორიტეტად მიჩნეული ჩრდილოეთ რეგიონების სარეკონსტრუქციო პროცესი, რომელშიც ამერიკისა და სახელმწიფო (ადგილობრივი) დაფინანსება გამოიყენებოდა ინდუსტრიული სექტორის გარდაქმნისა და მოდერნიზირებისთვის. **(A. Graziani, Inflazione e Mezzogiorno, in "L'altro dopoguerra. Roma e il Sud 1943 - 1945", a Cura di N. Gallerano, F. Angeli, Milano, 1985, pp. 65 – 66.)**

სამხრეთ იტალიის რეგიონების პრობლემებში ჩაღრმავებასა და ანალიზს დაეთმო მცირე ადგილი, და ცოტა რამ თუ იყო გათვალისწინებული მათ(სამხრეთის რეგიონების) სტრუქტურულ დისბალანსსა და არასაკმარის განვითარებაში, სადაც მიმოფანტული იყო სამრეწველო საწარმოები და სადაც სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ჩამორჩენილობა, თავისი ფეოდალური ურთიერთობებით, რომლებიც ლატიფუნდიებთან (მსხვილი კერძო ადგილ-მამულები) იყო დაკავშირებული, იწვევდა საშინელ უმუშევრობასა და მიგრაციის ნაკადს ჩრდილოეთ იტალიასა და საზღვარგარეთ.

მაშინ, როდესაც იტალია ცდილობდა გადაეჭრა სახელმწიფო ორგანიზაციის საკითხები, სტცოზოს(Stzozo), გრამშისა(Gramsci) და სალვემინის(Salvemini) აქტიური მოქმედების მიუხედავად, სამხრეთ იტალიამ ვერ მიიპყრო ვერც მეცნიერ-ეკონომისტების(თეორეტიკოსების) და ვერც პოლიტიკური პარტიების ყურადღება, რომელთაც 1946 წლის წინასაარჩევნო დებატების მიმდინარეობისას, საკუთარ პროგრამებში არ ასახეს Mezzogiorno -ს პრობლემა(პრობლემური საკითხი), რომ აღარაფერი ითქვას, ინდუსტრიალიზაციის თემაზე.**(P. Barucci, Introduzione a Il Meridionalismo dopo la ricostruzione (1948 – 1957), cit., p. 7 -10.)**

სამხრეთი მიიჩნეოდა იმ მხარედ, სადაც პოლიტიკური და სამოქალაქო მიღწევები ძალზედ დიდ დაბრკოლებებს უნდა წაწყდომოდა, (და) რომლებიც (თავის მხრივ)

გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვდა.

ეს არ წარმოადგენდა პოლიტიკური კლასის, პუბლიცისტებისა და მეცნიერთა/სწავლულთა განმეორებად სირთულეთა ორგანულ პრობლემას.

ბარუჩის(Barucci) განცხადებით, - 'ეს იყო უდიდესი პრობლემა მათთვის, ვინც ეკონომიკური სიტუაციის ლოგიკის ფარგლებში მოძრაობდა და უმცირესი პრობლემა იყო მათთვის, რომლებიც სიამოვნებით საუბრობდნენ დიდი იდეოლოგიური გადაწყვეტილებების შესახებ'. **(Ibidem, p. 11.)**

თავად დამფუძნებელი კრებაც(la Costituente, აგრეთვე, - L'Assemblea Costituente) კი არ შეხებია კონკრეტულად სამხრეთ იტალიის ეკონომიკურ პრობლემას, მიუხედავად იმისა, რომ იქ წარმოდგენილი ეკონომისტების ჯგუფი არ იყო პატარა: კორბინო(Corbino), ეინაუდი(Einaudi), ფანფანი(Fanfani), გრიეკო(Grieco), ლაბრიოლა(Labriola), ნიტი (Nitti), პეზენტი(Pesenti), ტავიანი(Taviani) და ვანონი (Vanoni).

როდესაც ეკონომიკურმა კომისიამ დამფუძნებელ კრებაზე გამოთქვა მოსაზრება Mezzogiorno-ს ინდუსტრიალიზაციის შესახებ, რაც შემდგომ დადასტურდა და აისახა კიდეც მისსავე რაპორტებში (მოხსენებები /ანგარიშები) იყო ის, რომ სამრეწველო განვითარების პროცესში, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო არსებული ინდუსტრიული აპარატი (სამრეწველო მდგომარეობა), რომელსაც უკვე გააჩნდა ჭარბი გამოუყენებელი საწარმოო სიმძლავრეები /წარმოების შესაძლებლობები; რომ მას არ სჭირდებოდა, არსებითად იმ დარგების დუბლირების კვლავწარმოება (ხელახლა შექმნა/აღდგენა), რომლებსაც გასაღების ბაზრები ექნებოდა ჩრდილოეთ რეგიონებში.**(A. Maria Fusco, Ricostruzione e Mezzogiorno, in, L'opera scientifica di A. Breglia, F.S. Nitti, C. Bresciani Turroni, E. Rosso e G. Del Vecchio e il loro contributo alla ricostruzione dell'economia italiana dopo la seconda guerra mondiale, cit., p. 196.)** ამიტომ, სამხრეთის ინდუსტრიალიზაცია გადაიდო იმის გამო, რომ მას ხელი არ შეეშალა ჩრდილოეთის განვითარებისთვის.

საკონსტიტუციო ქარტიის(la Carta Costituzionale) განხილვა შემოიფარგლებოდა მხოლოდ რეგიონების ორგანიზაციასთან და ლატიფუნდიებთან დაკავშირებული მუხლების შესწავლით, ქალაქსა და სოფელს, სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობას შორის არსებული დისბალანსის გაუთვალისწინებლად. **(P.Barucci, Il Mezzogiorno alla Costituente, in AA . VV., "Studi in onore di Pasquale Sraceno", Collana Svimez, Giuffrè, Milano, 1975, pp. 91, 100 – 101.)**

1946 წლიდან 1947 წლამდე პერიოდში, Mezzogiorno-ს პრობლემა წარმოადგენდა კულტურული და პოლიტიკური დებატების თემას, (ეს) მაშინ როდესაც დებატები სახელმწიფო ინვესტიციების თაობაზე გადაჯაჭვული იყო საარჩევნო კამპანიებთან.

კომუნისტურმა პარტიამ(Il PCI) ხელი შეუწყო სამხრეთ იტალიის ეკონომიკური ცენტრის(del Centro Economico per il Mezzogiorno / CEIM) დაფუძნებას, რომელიც ხელისუფლებაზე ახდენდა ძლიერ ზეწოლას იმასთან დაკავშირებით, რომ მთავრობას კონკრეტული ღონისძიებებით გადაეჭრა Mezzogiorno-ს პრობლემა და მისი საკითხი ყოფილიყო საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ორგანულად შემადგენელი ნაწილი.**(G. Brancaccio, Elettrificazione e questione meridionale, in "Storia dell'industria elettrica in Italia", Vol. IV, Dal dopoguerra alla nazionalizzazione 1945 – 1962, a cura di V. Castronovo, Laterza, Bari, 1994, p. 340.)**

მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა ჯ. ტონიმ(G. Togni), თავის ერთ-ერთ სიტყვაში, იტალიის მთავრობის მიერ სამხრეთის ინდუსტრიალიზაციისთვის მიღებულ პროგრამულ და ფინანსურ მითითებებთან დაკავშირებით, აღწერა ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა სამხრეთის ინდუსტრიული განვითარების მხარდაჭერას, დეკრეტის დამტკიცების(განკარგულების გამოცემის) ჩათვლით, რომელიც უფლებას აძლევდა ნაპოლის ბანკსა(il Banco di Napoli) და სიცილიის ბანკს(il Banco di Sicilia), მათი წესდების მიუხედავად, სპეციალური, საშუალო და გრძელვადიანი სესხების გაცემის შესახებ, რაც

შეადგენდა 10 მილიარდი ლირას ჯამურ თანხას, სახელმწიფოს მიერ სესხების 4%-ის დაფარვით; ასევე, - 18.000 ტონა ჯართის(რკინის, ფოლადისა და ფერადი ლითონების გამოუსადეგარი ნარჩენები) საგანგებო მიწოდება-განაწილებას სამხრეთ იტალიის ოთხი მეტალურგიული ქარხნისთვის[ILVA Bagnoli, Torre Annunziata, Cantieri Metallurgici di Castellammare di Stabia e Acciaierie e ferriere pugliesi].**(M. Gesummaria, Piano Marshall e Mezzogiorno, Mephite, Atripalde [AV], 2003, p. 109.).**

ამდენად, Mezzogiorno-მ, რომელიც ფაშიზმის დროს იძულებული გახდა რომ დადუმებილიყო, სამხრეთის საკითხით (მისი წინ წამოწევითა და გააქტიურებით) კვლავ აღიდგინა თავისი ღირსება, რასაც უფრო მეტად სამეცნიერო საფუძველი ჰქონდა, ვიდრე ლიტერატურული. ასე იშვა 'ახალი სამხრეთიზმი'('nuovo meridionalismo'), წარმოდგენილი პოლიტიკოსებითა და ეკონომისტებით, რომელთა შორის იმყოფებოდა თავად სარაჩენოც.

მათ, სამთავრობო ღონისძიებებათა კონცეფციის განსამტკიცებლად, მთავრობის ლიბერალური ხაზისგან განსხვავებით, სამხრეთ იტალიის განვითარების მიზნით, საერთო ეროვნულ კონტექსტში და ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე, სადაც პრიორიტეტი ენიჭებოდა ინდუსტრიალიზაციის პროცესს, შეიმუშავეს ყველა პოლიტიკური შეზღუდვებისგან თავისუფალი, პროფკავშირების მხრიდან მხარდაჭერილი დაგეგმვის პოლიტიკა, ადაპტირებული როგორც ქვეყნის ახალ საჭიროებებთან, ისე ახალ საერთაშორისო ურთიერთობებთან. **(P. Barucci, Introduzione a Il Meridionalismo, cit., p. 20.)**

დეპრესიული რეგიონების შესწავლით დაკავებული მეცნიერები, აგრეთვე მრავალრიცხოვანი პოლიტიკოსები და ეკონომისტები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ქვეყნის ერთი ნაწილის აღდგენა არ შეიძლება უგულებელყოფდეს მეორის ზრდას; რომ ეს უთანასწორობა აჩენდა შეუქცევად სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ნაპრალს; ასე რომ სამხრეთის სამრეწველო

განვითარება განიხილებოდა, როგორც 'ძლიერი' ელემენტი (elemento 'di forza') მთელი ქვეყნის წინსვლისთვის, და როგორც თავად მინისტრმა პელამ თქვა, 'სამხრეთი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის მულტიპლიკატორს'('il Mezzogiorno è il moltiplicatore della economia nazionale').

ამას ეწინააღმდეგებოდა აგრარულთა ჯგუფი(il gruppo degli agraristi), რომლებსაც სჯეროდათ, რომ, სამრეწველო განვითარება, მისი ნელი პროცესის/ტემპების გამო ვერ მოაგვარებდა უმუშევრობის ან ემიგრაციის პრობლემებს. ისინი მოითხოვდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას და მიწის რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხის გადაუდებელ გადაწყვეტას. ამისათვის, მათ მიერ შეთავაზებული იქნა ახალი პოლიტიკა, რომელიც შეაჩერებდა მიგრაციულ პროცესს, ინფლაციას, ხელს შეუწყობდა სარწყავი(მელიორაციისა და ირიგაციის) პროგრამების განხორციელებას.**(M. Rossi Doria, Riforma agraria e azione meridionalista, in "Mezzogiorno e agricoltura", a cura di E. Zagari, collana Svimez, Giuffrè, Milano, 1977, pp. 178, 187.)**

ის ფაქტი, რომ სასოფლო-სამეურნეო სექტორი არ შეიძლებოდა ყოფილიყო პროდუქტიულობის ზრდისა(მწარმოებლური შრომის) და უმუშევრობის მოგვარების სტიმული, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, უგულებელყოფილი იქნა ჩენსატოსა(Cenzato) და გვიდუტის(Guidotti) პოპულარული ნაშრომით 'მეძოჯორნოს ინდუსტრიული პრობლემა'('Il problema industriale del Mezzogiorno'), რითაც მხარდაჭერილი იქნა სამრეწველო ხაზი, ელემენტები იტალიის ეკონომიკის განვითარების ოთხწლიანი გეგმისთვის, თუმცა ეს უპირველეს ყოვლისა (გაამყარა და) დაამოწმა SVIMEZ -ის(Associazione per lo sviluppo dell'industria del Mezzogiorno / მეძოჯორნოს ინდუსტრიის განვითარების ასოციაცია) მოქმედებებმა, რომლებიც იშვა 1946 წლის 2 დეკემბერს, მინისტრი მორანდის(Morandi) ბრძანებით.**(P. Barucci, Il Mezzogiorno alla Costituente, cit. p. 110.)**

პრობლემის რაოდენობრივ გამოხატულებაში

წარმოდგენით, ის მიისწრაფვოდა სამხრეთ იტალიაში განვითარების მნიშვნელობის გაცნობიერებისა (ცნობიერების/ შეგნების ამაღლებისა) და მიზნობრივი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისთვის, მთავრობაზე ზემოქმედების მოხდენისკენ.

SVIMEZ -ის სამხრეთული მოწოდება/დანიშნულება ხაზგასმით აღინიშნა მისი ერთ-ერთი კომპანიის მიერ, რომელიც დაარსდა მასში 1947 წლის 22 ივლისს იტალიის დედაქალაქ რომში, და რომელსაც უნდა ეტვირთა პასუხისმგებლობა, ომის შემდგომი სამხრეთის საწარმოო აპარატის რეკონსტრუქციისა და სრულყოფის თაობაზე. ეს იყო 'სამხრეთ რეგიონების ინდუსტრიალიზაციის საზოგადოება'('Societa per l'Industrializzazione delle Regioni Meridionali'), სამხრეთის მრეწველობა(Sudindustria) [სააქციო საზოგადოება, სააქციო კაპიტალით იმ დროისთვის შეადგენდა 2 000 000 ლირას. დირექტორთა საბჭოში შედიოდნენ იმ წლების 'სამხრეთის ბრძოლის' გმირები. კომპანიის სათავეში იყო რუდოლფო მორანდი (Rodolfo Morandi), ხოლო ჯუზეპე ჩენსატო(Giuseppe Cenzato) და ჯუზეპე პარატორე(Giuseppe Paratore) ვიცე-პრეზიდენტების თანამდებობას იკავებდნენ. პასკუალე სარაჩენოს გარდა, მის შემადგენლობაში იყვნენ ვინჩენცო კალიოტი (Vincenzo Caglioti), პიეტრო ფრასკა პოლარა (Pietro Frasca Polara), ჯუზეპე ლაურო(Giuseppe Lauro), ჯერლანო მერულო(Gerlando Marullo), ფილიპო მაში (Filippo Masci), დონატო მენიკელა(Donato Menichella), ვინჩენცო ბრუნო(Vincenzo Bruno), ოტორინო პომილიო (Ottorino Pomilio), პაოლო რიკა სალერნო(Paolo Ricca Salerno), ჩეზარე რიჩარდი(Cesare Ricciardi), სტეფანო სილიენტი(Stefano Siglienti).], რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ინდუსტრიული და ტექნიკურ-ექსპერიმენტული ინიციატივების ხელშეწყობა, სამხრეთის რეგიონებისა და დიდი კუნძულების ინდუსტრიალიზაციის განვითარების მიზნით. კერძოდ, კომპანიას, სოციალური მიზნის მისაღწევად შეეძლო:

ა. ექსპერიმენტული ცენტრებისა და სამრეწველო მოწყობილობების(კაპიტალის) შექმნა;

ბ. მოწყობილობების(კაპიტალის) პროექტების მომზადება და მათი წარდგენა სამრეწველო კომპანიებში შესაძლო აღსრულებისთვის.

გ. საერთაშორისო შეთანხმებების/ხელშეკრულებების ხელშეწყობა/მხარდაჭერა, მიმართული სამხრეთის მრეწველობის ტექნიკური და კომერციული საქმიანობის განვითარებისკენ.

დ. დახმარება/მხარდაჭერა, მათ შორის აგრეთვე სამუშაოების, ინიციატივების სახით დახმარების აღმოჩენა მესამე მხარისთვის, რომლებიც მის მიზნებს ემთხვევა.

ე. ნებისმიერი სხვა საქმიანობა, დაკავშირებული ზემოაღნიშნულ მიზნებთან.

ვ. უძრავი ქონების, მოწყობილობების(მანქანა-დანადგარების), პატენტების ყიდვა-გაყიდვა და მსგავსი მიზნებით კომპანიებში მონაწილეობა.**(F. Dandolo, A. Baldoni, Sudindustria, prospettive imprenditoriali per lo sviluppo economico del Mezzogiorno (1947 – 1956),Guida, 2007, Napoli, p. 5.)**

სარაჩენოს ოთხწლიან დაგეგმარებაში მნიშვნელოვან როლს იკავებდა სამხრეთიზმისა(Il meridionalismo) და ინდუსტრიალიზაციის(l'industrializzazione) საკითხები, (რომლებიც მიიჩნევა/განიხილება) როგორც Mezzogiorno-ს ეკონომიკური განვითარების, ისე ყველა სხვა პრობლემის მოგვარების გასაღები.

ეკონომიკური სტრუქტურისა და ეკოლოგიური რეალობის პირისპირ სამხრეთის რეგიონებში, სადაც შეინიშნებოდა კომერციული ორგანიზაციებისა და საჯარო მომსახურებათა სიმცირე, ანუ ყველაფერი ის, რაც საჭირო იყო 'ინდუსტრიული კლიმატის'**(P. Bini, Introduzione a Il Mezzogiorno nel Parlamento repubblicano [1948 – 1952], vol. II, Giuffrè, Milano, 1976, pp. 8 – 10.)** შესაქმნელად, მოითხოვდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, რომელიც ეკონომიკური პროგრამის შემუშავების გზით ითვალისწინებდა საყოველთაო სამელიორაციო სამუშაოების, მიწის კულტივირების, სატრანსპორტო ქსელის განვითარებისა და ენერგიის წყაროთა ფორმირების დაფინანსებას.

რაც შეეხება ბენეფიციარი რეგიონების შერჩევას და

მარშალის გეგმით გათვალისწინებული ფინანსური სახსრების გამოყოფის ფორმას, Mezzogiorno-ს დახმარებასთან დაკავშირებით, ენთუზიაზმის ტალღამ შეაღწია სამხრეთ-აღმოსავლეთით პოლიტიკურ ძალებში, რომლებიც შეეცადნენ იმის ჩვენებას, რომ ჩრდილოეთის ინდუსტრიის განვითარების დაბრკოლების (შექმნის) გარეშე, შესაძლებელი იქნებოდა, ქვეყნის დანარჩენი რეგიონებისთვისაც მოეტანა მას სარგებელი.

ისინი ეროვნულ მთავრობას დაბეჯითებით მოუწოდებდნენ, ერთი მხრივ საკანონმდებლო ზომების/ღონისძიებების გაერთიანებისკენ, რომლებიც საკუთარი ბუნებით, სახელმწიფო კანონმდებლობის თანახმად ეხება ნაციონალურ ტერიტორიებს, ხოლო მეორე მხრივ, იმავდროულად, თავაზობდნენ, რომ საკანონმდებლო ღონისძიებათა/ზომების ფარგლებში დაეთმო განსაკუთრებული ყურადღება Mezzogiorno-სა და კუნძულებისთვის. ამ მოთხოვნების შედეგად შეიქმნა Cassa per il Mezzogiorno.

ამგვარად, Mezzogiorno-ს პრობლემამ შეიძინა ეროვნული ხასიათი/ნიშა, და რის შესახებაც ლა მალფა(la Malfa) იტყვის '[...] მეძოჯორნოს პრობლემა წარმოადგენს მთელი იტალიის პრობლემას'('[...] il problema del Mezzogiorno è un problema di tutta l'Italia').**(U. La Malfa, La politica economica in Italia, 1946 – 1962, Ed. Comunità, Milano, 1962, pp.73 – 74.)**

ქვეყნის სამხრეთის, კერძოდ სარაჩენოს მიერ წარმოებულ კვლევაში, მიღწეულ იქნა ქვეყნის სამხრეთ რეგიონებში არსებული სინამდვილის რეალური აღქმაგაგება, რამაც შესაძლებელი გახადა (ფართომასშტაბიანი) კვლევის წარმოება Mezzogiorno-ს არსებული დეპრესიის ფენომენის [სტრუქტურული დისბალანსით გამოწვეული მოსახლეობის სიჭარბე-ჭარბად დასახლება, დაბალი განვითარება, ემიგრაცია/squilibrio strutturale sovrapopolamento, sottosviluppo, emigrazione],**(P. Saraceno, Il problema del Mezzogiorno d'Italia, in "Il Meridionalismo dopo la ricostruzione [1948 – 1957]", a cura di P. Barucci, Giuffrè, Milano, 1974, pp. 110 – 111.)** შესაფასებლად, რათა კომისია

დარწმუნებულიყო იმაში, რომ Mezzogiorno-სა და ნაკლებად დეპრესიულ მხარეებში არსებული სიტუაციის მხოლოდ განსჯა-დაგმობა არ იყო საკარისი, და რომ ეს გარემოება მოითხოვდა მთავრობის ქმედითი ინტერვენციონისტური პოლიტიკის გატარებას.**(P. Barucci, Introduzione a Il meridionalismo dopo la ricostruzione [1948 – 57], cit., pp. 25–26.)**

სარაჩენომ, თავის 1948-1952 წლების ეკონომიკურ გეგმაში, რომელიც მოამზადა რეკონსტრუქციის უწყებათაშორისი კომიტეტის(Il Comitato Interministeriale per la Ricostruzione) მოთხოვნის საფუძველზე, წინა პლანზე წამოწია Mezzogiorno-ს საკითხი და კონფიგურირებული პოლიტიკური და ეკონომიკური სახელმძღვანელო პრინციპები მისი აღდგენისთვის. ეს იყო თითქმის პოლიტიკური და ეკონომიკური მანიფესტი.**(L. Pellé, Il Piano Marshall e la Ricostruzione in Puglia [1947 – 52], Piero Lacaita Editore, Manduria – Bari – Roma, 2004, p. 70.)**

"ნებისმიერ შემთხვევაში, ფაქტად რჩება ის, რომ მრავალი ათწლეულის განმავლობაში თეორიულად გამოვლინდა და ახლა, დღევანდელ კვლევებში სრულად გაანალიზებულია დეპრესიული რეგიონების ყველა ასპექტი, რომ ამა თუ იმ მიზეზით ისინი რატომღაც ჩამორჩა თავისი თავდაპირველი ეკონომიკური განვითარებით, აღარ შეუძლია დაეწიოს ყველაზე განვითარებულ რეგიონებს და რეალურად უფრო მეტად ექცევა იზოლაციაში, თუ გარედან არ ექნა ადგილი გარკვეულ მოვლენებს/მოქმედებებს, თავდაპირველი უარყოფითი მხარეების აღმოსაფხვრელად, ან სულ მცირე, მათ შესამცირებლად/შესარბილებლად. (და) საყოველ-თაოდ აღიარებულია, რომ ასეთ სიტუაციაში, მხოლოდ სახელმწიფოს ინტერვენციას(ჩარევას) ძალუძს გაარღვიოს მანკიერი სიღარიბის მოჯადოებული წრე, რასაც თავის მხრივ მივყავართ შემდგომი გაღატაკებისკენ. "**(Ibidem, p. 70.)** ("Resta in ogni caso il fatto, rilevato già da molti decenni in sede teorica e ormai compiutamente analizzato in tutti i suoi aspetti nelle odierne indagini sulle zone depresse, che una regione rimasta per un qualsivoglia motivo inizialmente in

arretrato nel suo sviluppo economico, non può più raggiungere le zone più progredite ed anzi ne viene sempre più staccata se non interviene un fatto esterno tendente ad eliminare o quanto meno ad attenuare lo svantaggio iniziale. E generalmente si ammette che in una tale situazione solo un intervento dello Stato può rompere il circolo vizioso di una povertà che a sua volta è causa di ulteriore impoverimento".(Ibidem, p. 70.)

ამიტომ, სარაჩენომ ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს მოქმედებებზე/ზომებზე, რომ კერძო ინიციატივების არაეფექტურობა საჭიროებს დამატებით ინვესტიციებს პირველ ეტაპზე, რომელთაც შეუძლიათ გაუმჯობესონ საცხოვრებელი პირობები და შექმნან ახალი კომპანიების ფორმირებისათვის აუცილებელი საარსებო გარემო(საჭირო ჩარჩო პირობები).

ამასთან დაკავშირებით არსებობდა (გარკვეული) შეუსაბამობა, ადგილი ჰქონდა უთანხმოებას, Confindustria -ს პრეზიდენტს კოსტასა(Costa, presidente della Confindustria [The General Confederation of Italian Industry / იტალიის მრეწველობის გენერალური კონფედერაცია. იტალ.: Confederazione generale dell'industria italiana, საყოველთაოდ ცნობილი როგორც Confindustria, არის იტალიის დამსაქმებელთა ფედერაცია და ეროვნული სავაჭრო პალატა, რომელიც დაარსდა 1910 წელს.]) და სიცილიის ინდუსტრიის წარმომადგენლებს შორის, რომელთაც სათავეში ედგა ლა კავერა, Sicindustria -ს პრეზიდენტი(La Cavera, presidente di Sicindustria. [Confindustria Sicilia არის Confindustria-ს რეგიონალური წარმომადგენლობა. ის იყო კონფინდუსტრიის სისტემის პირველი რეგიონალური დონის ფედერაცია. დაარსდა პალერმოში, 1950 წელს.]).

კოსტა, ლიბერალი და ცენტრისტი, მტკიცედ იყო დარწმუნებული ჩრდილოეთით მრეწველობის განმტკიცებისა და გაძლიერების აუცილებლობასა, და სამხრეთით სოფლის მეურნეობის ეტაპობრივი განვითარების ხელშეწყობაში, ხოლო, მისი ინდუსტრიალიზაციის (პროცესის) სტიმულირებისთვის ხელსაყრელი პირობების გაჩენის დრომდე გადავადებაში.

Mezzogiorno-ს ეკონომიკური და სოციალური

ჩამორჩენილობის პრობლემას შეეხო რესპუბლიკური პარლამენტი, მისი ფორმირების მომენტიდან მრავალი საკანონმდებლო ზომის მიღებით, მათ შორის, 1948 წლის 5 მარტის №121 საკანონმდებლო დადგენილებით, რომელშიც გადაწყვეტილება იყო (მიღებული) Mezzogiorno -ს სასარგებლოდ. 1948 წლის 29 დეკემბრის კანონი №1482, ითვალისწინებდა, სამხრეთში სამრეწველო საწარმოების დაფინანსებასა და საგადასახადო შეღავათების დაწესებას; 1949 და 1950 წლებში მიღებული სხვა კანონები, ითვალისწინებდა განსაკუთრებულ უპირატესობებს სამხრეთის ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, გაზრდილი/დამატებითი დახმარებების (გადაცემის) გზით.**(P. Bini, Il Mezzogiorno nel Parlamento repubblicano [1948 – 1972], cit., pp. 116, 133.)**

ამ ღონისძიებებმა საფუძველი ჩაუყარა 50-იანი წლების განსაკუთრებულ ინტერვენციებს. ბოლო დროს ინიცირებულმა კვლევებმა იმ წლების საზოგადოებრივი პოლიტიკის შესახებ აჩვენა, რომ ეს ზომები ნამდვილად იყო მიმართული სამხრეთის რეგიონების განვითარების პროცესის დასაწყებად და არა, როგორც ეს ხშირად ისმის, - მათში დაგროვილ ნაკლოვანებათა 'ასანაზღაურებლად' ('risarcimento') თუ 'საკომპენსაციოდ' ('compensazione').

განვითარებული რეგიონების არსებობამ, სახელმწიფოს გაუჩინა მოტივაცია გათანაბრების სტრატეგიის/პოლიტიკის შესამუშავებლად, რათა დაერეგულირებინა თანდაყოლილი კონფლიქტი დეპრესიული რეგიონების ფარგლებში.

კერძოდ, ზომები, რომლებიც მიღებული იქნა 1948 წლიდან 1950 წლამდე პერიოდიში (მიწის რეფორმასთან დაკავშირებული ღონისძიებებები), გახდა ირელევან-ტური, თუ ისინი ეხებოდა ინფრასტრუქტურის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და სამოქალაქო სფეროში არსებულ დიდ საჭიროებებს.

Mezzogiorno, როგორც აღნიშნა ზვიმეცმა(la Svimez) თავის კვლევებში, (ნაწილობრივ მაინც) სარგებლობდა, მარშალის გეგმის კეთილისმყოფელი ზეგავლენით, რადგან, როგორც ჩამორჩენილი მხარე, სწორედ თავისი

მდგომარეობიდან გამომდინარე, ის იყო ძნელად შემთვისებელი პროგრესის ან მის ზღვართან მიმართებით; გამომდინარე აქედან, ERP- ს დახმარება არ წარმოადგენდა მიზანმიმართულ ჩარევას, დეპრესიული რეგიონების (მათი არსებული) მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

სიცილიელმა ეკონომისტმა, სალვატორე აბადესამ (Salvatore Abbadessa) ეს კონცეფცია დაამოწმა და აღნიშნა, რომ ERP-ის დახმარება ვერ იქნებოდა ერთგვაროვანი, რამდენადაც მარშალის გეგმა უნდა ყოფილიყო არა გათანაბრების გეგმა(un piano di livellamento), არამედ, ის წარმოადგენდა რაციონალიზაციის, ინტეგრაციისა და უნიფიკაციის(გაერთიანების/კავშირის) გეგმას(un piano di razionalizzazione, di integrazione e di unificazione.).

პირველად, მხოლოდ 1950-იან წლებში უნდა ყოფილიყო Mezzogiorno-ში განსაკუთრებული/რიგგარეშე სახელმწიფო ინტერვენციის მოლოდინი. სამხრეთში უმუშევრობის შესამცირებლად და მასების ცხოვრების სტანდარტის ამაღლების მიზნით, ცენტრალურმა მთავრობებმა გადაავადეს/უარყვეს ინდუსტრიალიზაციის იდეა, კონცენტრირდნენ ემიგრაციაზე და მოგვიანებით გამოიყენეს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტები, როგორიცაა აგრარულ რეფორმა(la Riforma Agraria) და სამხრეთის განვითარების ფონდი(la Cassa per il Mezzogiorno).

თუ ამ რეფორმას დადებითი შედეგები მოჰყვა, (თავად) ის და ის ადგილები, სადაც ხორციელდებოდა ტერიტორიის ტრანსფორმაციის სამუშაოები სოფლის მეურნეობის მოსავლიანობის გაზრდის მიზნით იყო ლიმიტირებული. მეორე მხრივ, რეგიონებში, განსაკუთრებით ქვეყნის შუაგულში, რეფორმაციამ მხოლოდ ექსპროპრიაციები და მინიმალური წარმოება მოიტანა. '[...] ფაქტებმა აჩვენა, რომ ექსპროპრიაცია შეეხო მხოლოდ 800 ათას ჰექტარს, რომელთაგან 650 ათასი ჰექტარი, რეალურად იყო Mezzogiorno-ში'.**(M. Gesummaria, Piano Marshall e Mezzogiorno, cit., p.140.)**

სამხრეთის განვითარების ფონდი(la Cassa per il Mezzogiorno) შეიქმნა 1950 წლის 10 აგვისტოს კანონის

საფუძველზე. ამ ახალ ინსტიტუციას დაევალა მნიშვნელოვანი სამოქალაქო ინფრასტრუქტურის (გზების, წყალმომარაგების, სკოლებისა და საავადმყოფოების) მშენებლობა, იტალიის სამხრეთში დასაქმების, ცხოვრების დონისა და შემოსავლების მოცულობის ზრდითვის, რაც (და რის წინააღმდეგაც გამოდიოდნენ სამხრეთელები) გახდებოდა ჩრდილოეთის სამრეწველო პროდუქციის კომერციული ექსპანსიის სივრცე.

პასკუალე სარაჩენო წერდა, რომ სამხრეთის განვითარების ფონდის(la Cassa per il Mezzogiorno) შექმნა არ იყო შთაგონებული სამხრეთიზმით(meridionalismo), ეს არ იყო მისი გამარჯვება, არამედ შედეგი, (როგორც) 'იმგვარი ინსტრუმენტის ძიება, რაც ხელსაყრელია საერთაშორისო სესხების მისაღებად' / 'della ricerca di uno strumento adatto all'ottenimento dei prestiti internazionali'.**(P. Saraceno, Ricostruzione e pianificazione, ed. Laterza, Bari, 1969, pp. 60 – 61.)**

ფონდის იდეა გაჩნდა მსოფლიო ბანკთან (la Banca Mondiale) და იტალიის ბანკთან (la Banca d'Italia) ურთიერთობისას.

1947 წლის აგვისტოში, როდესაც იტალიამ მოითხოვა 250 მილიონი დოლარის სესხი, რესპუბლიკაში გაიგზავნა ექსპერტთა მისია, ქვეყნის საჭიროებების შესაფასებლად. გამოიძებნა ცალკეული ფირმების დაფინანსების (სხვა) ფორმა და შეთავაზებული იქნა Mezzogiorno-ს განვითარების პროგრამის დაფინანსების შესაძლებლობა. 1948 წელსა და 1949 წლის ზაფხულს შორის პერიოდში, BIRS(la Banca Internazionale per la Ricostruzione e lo Sviluppo/ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი)-თან მოლაპარაკებების დროს, იშვა სამხრეთის განვითარების ფონდის(la Cassa per il Mezzogiorno) ფორმულა. BIRS-ის სახელით, ამ მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობდა ეკონომისტი პაულ როზეშტაინ-როდანი(Paul Rosestein-Rodan), რომელიც, როგორც დეპრესიული ტერიტორიების ყველაზე დიდ ექსპერტი, ფლობდა იტალიის სიტუაციის განსაკუთრებულ ცოდნას. BIRS-ის ყოყმანის დაძლევა, რომელიც იძულებული გახდა

შეეცვალა საკუთარი ფუნქციები, მოხდა იმიტომ, რომ Tennessee Valley Authority (ან, TVA არის უმსხვილესი საჯარო ენერგო კომპანია შეერთებულ შტატებში. დაფუძნების თარიღი: 1933 წლის 18 მაისი; შტაბ-ბინა: ნოქსვილი, ტენესი, აშშ.)-ის მოდელის სახით დაიბადა ახალი ორგანო.

მიუხედავად იმისა, რომ სესხის ოპერაციის შესახებ გარანტიები არსებობდა ამერიკული მხრიდან, la Birs-მა ივალდებულა იმპორტში გაზრდილი მოთხოვნის დაფარვა, რაც გახდება მოთხოვნილზეც კი გაცილებით მეტი თანხის მოცულობის მიღების საფუძველი კრედიტში და 'მარშალის გეგმის' ხანგრძლივობაზე გაცილებით მეტი პერიოდის განმავლობაში.**(S. Cafiero, La nascita della <<Cassa>>, cit., p.179.)** თავის მხრივ, იტალიამ აიღო ჩამორჩენილ რეგიონებში მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელების ვალდებულება. ეს ორი მოვლენა იყო გადამწყვეტი და განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადგან მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვერ გადაწყვეტს სამხრეთის პრობლემას, სამომავლოდ გავლენას მოახდენს ყველა იმ პოლიტიკურ სტრატეგიაზე, რაც შეეხება Mezzogiorno -ს და მოემსახურება ჩრდილოეთ და სამხრეთ რეგიონებს შორის გაჩენილი ღრმა უფსკრულის ელიმინირებას(აღმოფხვრა/გაქრობა).**(V. Zamagni, Dalla periferia al centro. La seconda rinascita economica dell'Italia 1861-1990, cit., p. 427.)**

თავი 2. ეკონომიკური სასწაული (1951-1963/73 წწ.)

2.1 §. ეკონომიკური სასწაულის წარმოშობა

ბუმის ანალიზი უნდა დაეფუძნოს არა მხოლოდ იტალიურ რეალობას, არამედ (ის) (დადებით) გლობალურ ეკონომიკურ სცენარში უნდა იყოს კონტექსტუალიზირებული, რაც პოზიტიურია სულ მცირე, დასავლეთის იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც, არა მხოლოდ პოლიტიკურად იყვნენ (და დღესაც რჩებიან) დამოკიდებული ამერიკის შეერთებულ შტატებზე.

1950-70-იან წლებს შორის (20 წლიანი) პერიოდი მართლაც ოქროს ხანა იყო საერთაშორისო ვაჭრობისთვის; ეს პერიოდი განსაკუთრებით სასიკეთო აღმოჩნდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, სადაც მშპ-ს საშუალო ზრდამ 5.5% შეადგინა.

ამ დადებითი ტენდენციის ფარგლებში იტალიამ, სხვა მსგავსი ან ნაკლებად მსგავსი სახელმწიფოებისგან განსხვავებით, - როგორიცაა ესპანეთი **(ob. Berend 2006, pp. 258-60. / I.T. Berend, An economic history of twentieth-century Europe: economic regimes from laissez-faire to globalization, Cambridge-New York 2006 (in partic. il 5° cap., Mixed economy and welfare state in an integrated post-world war II in western Europe, pp. 196-262)** - იცოდა როგორ 'ეთამაშა', უარი თქვა რა თავის ტრადიციულ პროტექციონისტურ პოლიტიკაზე და შეუდგა საყოველთაო მოდერნიზაციას.

'იტალიურ სისტემას' დიდი სარგებელი მოუტანა რესპუბლიკის პირველი მთავრობების მიერ რეალიზებულმა პოლიტიკურმა სტრატეგიებმა. კერძოდ, ალჩიდე დე გასპერის მეთაურობით, 1948 წლის 18 აპრილის არჩევნებში DC-ის გამარჯვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიის, ე.წ. დასავლეთ ევროპის ბლოკსა(blocco occidentale) და ევროპის რეკონსტრუქციის პროგრამაში (European recovery program) (რაც უფრო ცნობილია' მარშალის გეგმის'/ the Marshall Plan სახელწოდებით) ჩართვის კუთხით. ეს უკანასკნელი ინიცირებული იყო აშშ-ს მთავრობის მიერ, ევროპელი მოკავშირეების მხარდასაჭერად და მსოფლიო ეკონომიკური სისტემის

რეორგანიზაციისთვის, 'კომუნისტური ბლოკის' წინააღმდეგ.

აშშ-ს მთავრობის მრავალი წარმომადგენელი ფაქტობრივად დარწმუნებული იყო, რომ 'ცივი ომი'(the Cold War) ასევე გადიოდა ეკონომიკაზე: ამ თვალსაზრისით, ევროპის აღდგენა გააჩენდა აშშ-ს პროდუქციის განთავსებისთვის აუცილებელი ბაზრების მოძიების შესაძლებლობას, ხოლო მოსახლეობაში გავრცელებული კეთილდღეობა შეასუსტებდა ყოველგვარ რევოლუციურ სურვილს, და ამით გააცამტვერებდა საბჭოთა კავშირის შესახებ არსებულ მითს.

მარშალის გეგმის წყალობით, რომელიც 1948 წლიდან 1952 წლამდე მოქმედებდა, იტალიამ მიიღო დაახლოებით 1.4 მლრდ(ერთი მილიარდ ოთხასი მილიონი) დოლარის დახმარება, რაც გამოიყენა რეკონსტრუქციის დასასრულებლად და ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საჯარო საქმიანობათა/საზოგადოებრივი სამუშაოებისა და მრეწველობის სექტორთა გამოსაცოცხლებლად(აღდგენა-განახლებისთვის).

გადამწყვეტი იყო დე გასპერის მკაფიო პრო-ევროპული გადაწყვეტილება, რომელსაც სჯეროდა, რომ ერთიანი და ძლიერი ევროპა შესაძლებელს გახდიდა დაებალანსებინა ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან და იტალია გადაექცია სრულად დასავლურ სახელმწიფოდ. 1949 წელს, დე გასპერი, საგარეო საქმეთა მინისტრ, კარლო სფორცასთან(Carlo Sforza) ერთად, კავშირს ამყარებს ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებთან, ხოლო 4 აპრილს, მიწვეულია ვაშინგტონში ატლანტიკური პაქტის(the Atlantic Pact) დაფუძნებაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის წევრი-დამფუძნებელი ხდება იტალია.

1951 წლის 18 აპრილს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, რობერტ შუმანის(Robert Schuman) ევროპული გაერთიანების გზის ინიციატივა, რაზეც, 1943 წლიდან ოცნებობდა ალტიერო სპინელი(Altiero Spinelli), იქცა სინამდვილედ, მიიღო რა CECA-ს(Comunità Europea del Carbone e dell'Acciaio / ნახშირისა და ფოლადის ევროპული

გაერთიანება) ოფიციალური კონსტიტუციის ფორმა, რომელშიც, იტალიის გარდა მონაწილეობდა საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. ამ შეთანხმების ფარგლებში იტალიამ, სარდინიაზე, ზულჩის (სამთო) საბადოს/მაღაროების(miniere del Sulcis, in Sardegna) რევიტალიზაციისთვის ორგანიზაციიდან მიიღო დაფინანსება.

ასევე მნიშვნელოვანი იყო ახალი ენერგეტიკული /ენერგიის წყაროების აღმოჩენა, (ისეთი) როგორიცაა მეთანი და ნახშირწყალბადი, რომლებიც ENI-ის მიერ მოძიებულ იქნა ვალ-პადანაში(Val Padana) და რამაც უზრუნველყო ქვანახშირის ჩანაცვლება, რითაც იტალია (გადაასწრო რა დასავლეთ გერმანიას) გახდა უმთავრესი ევროპული ექსპორტიორი სამოციანი წლების დასაწყისში.

შიდა პოლიტიკაში ე.წ. centrismo-ს ფორმულა, კონცენტრირებული DC-ზე, უზრუნველყოფდა კურსის გარკვეულ სტაბილურობასა და უწყვეტობას 1948 -1953 წლებში. დროის ამ მონაკვეთში სახელმწიფო ინტერვენცია წარიმართა სწორი მიმართულებით, როგორც ზომების გატარებით სამუშაო ადგილების, ენერგეტიკისა და სიმდიდრის შექმნისათვის, ისე თავად სახელმწიფო სამრეწველო დარგების გამოყენებით, რომლებიც ჯერ კიდევ შორს იყო კლიენტურის დეკადანსისა, ბიუჯეტის საჭიროებათა არასენსიტიურობისა და ცუდი ადმინისტრაციისგან, რამაც ღიად იჩინა თავი მხოლოდ 60-იან წლებში(**Vecchio, Trionfini 2008, p. 450 / G. Vecchio, P. Trionfini, L'Italia contemporanea. Un profilo storico [1939-2008], Bologna 2008.).**

ამ წლებში განხორციელებული ერთ-ერთი რეფორმათაგანი იყო ე.წ. 'ფანფანის გეგმა'(Il piano Fanfani), რომელსაც ასე ეწოდა შრომის მინისტრის, ამინტორე ფანფანის (Amintore Fanfani) საპატივსაცემოდ და რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი საცხოვრებლების /საყოფაცხოვრებო ბინების მშენებლობას, რათა დაეჩქარებინა რეკონსტრუქცია და საცხოვრებელთა (შენობა-ნაგებობათა) კრიზისის შემსუბუქება. ამგვარმა ინტერვენციამ შესაძლებელი გახადა დაახლოებით 300.000

(საცხოვრებელი) ბინის აშენება და უმუშევრობის მაჩვენებლებლის მნიშვნელოვნად შემცირება.

აღმასრულებელი ხელისუფლება ასევე შეშფოთებული იყო სამხრეთის ჩამორჩენილობით და 1950 წელს წამოიწყო აგრარული რეფორმა(სამეურნეო გარდაქმნა), რის სათავეშიც იდგა სოფლის მეურნეობის მინისტრი, ანტონიო სენი(Antonio Segni), ხოლო შემდეგ, შეიქმნა სამხრეთ იტალიაში საზოგადოებრივი ინტერესების განსაკუთრებული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ფონდი(la Cassa per opere straordinarie di pubblico interesse nell'Italia meridionale), უკეთ ცნობილი, როგორც ფონდი სამხრეთისთვის(Cassa per il Mezzogiorno), რომელიც დაფუძნდა ინფრასტრუქტურის მოდერნიზების მიზნით.

1951 წელს დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის, ეციო ვანონის(Ezio Vanoni) მხრიდან შემოთავაზებული საგადასახადო კრებულთა ახალი წესები(საგადასახადო კანონთა კრებული), რაც მიმართული იყო გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების/გადაუხდელობის მაღალი დონის წინააღმდეგ საბრძოლველად, თითოეული გადამხდელის მიერ ყოველწლიური შემოსავლების სავალდებულო დეკლარირების გზით. ვანონი ასევე შეეცადა მოეწესრიგებინა ეკონომიკური სისტემა, წარმოადგინა რა გეგმა, რომელიც გულისხმოდა ქვეყნის იმგვარი უზარმაზარი სტრუქტურული პრობლემების მოგვარებას, როგორიც იყო სამხრეთის ჩამორჩენილობა, უმუშევრობის დრამა, და სასკოლო და სამედიციონო სისტემების ჩამორჩენა. მისმა მოულოდნელმა გარდა-ცვალებამ შეაფერხა პროექტის რეალიზაცია. მოგვიანებით, 1956 წელს შეიქმნა სახელმწიფო მონაწილე-ობის [ინვესტიციების/ ჰოლდინგების] სამინისტრო (il ministero delle Partecipazioni statali), რომელსაც იმ სხვა და სხვა ინიციატივების კოორდინირება უნდა მოეხდინა ეკონომიკის დარგში, რომლებიც უმთავრესად ეხებოდა სახელმწიფო ინდუსტრიებს (მრეწველობის სახელმწიფო სფეროს), პირველ რიგში ENI-ის და IRI-ის.

ეკონომიკაში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის იდეა მოსაწონი იყო ყველა მხარისთვის, - როგორც

უმრავლესობისთვის, ისე ოპოზიციისთვის, - რომლებიც ესწრაფვოდნენ ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერას, რასაც შეეძლო მყარი (ეკონომიკური) განვითარების უზრუნველყოფა და ჩამორჩენილობის აღმოფხვრის პროცესის მხარდაჭერა სამხრეთში. ამავდროულად, ისინი განიხილავდნენ სახელმწიფო ინდუსტრიას, როგორც უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტს და ახალი 'კლიენტურის' ფორმირების მხარდამჭერს: მხოლოდ წარმოვიდგინოთ, რომ 1960 წელს, IRI-სა და ENI-ს 350 000-ზე მეტი ადამიანი ჰყავდა დასაქმებული.

2.1.1 §. სახელმწიფო კომპანიების(ჰოლდინგური სექტორის) როლი ეკონომიკური სასწაულის მიღწევის პროცესში

სახელმწიფო ჰოლდინგური სექტორი წარმოადგენს იტალიის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს, რამაც მთავარი და მზარდი როლი ითამაშა ქვეყნის განვითარებაში. თუმცა მისი საქმიანობის სფერო უპირატესად მოიცავს მრეწველობის ისეთ საკვანძო დარგებს, როგორიცაა ფოლადის წარმოება, მძიმე მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, სატელეფონო მომსახურება, საბანკო საქმე, ნახშირწყალბადები და მძიმე ქიმიური ნივთიერებანი(ქიმიური მრეწველობა). უკანასკნელ წლებში ის ასევე მძლავრად განვითარდა სხვა დარგების მიმართულებითაც - სატრანსპორტო საშუალებები, ავტომაგისტრალები, საქალაქო ინფრა-სტრუქტურა, სუპერმარკეტები, ელექტრონიკა (ელექტრო აპარატურა), კომპიუტერული პროგრამული უზრუნ-ველყოფა და ბირთვული ინჟინერია. თანამედროვე პერიოდში, იტალიის ეკონომიკაში ცოტაა ისეთი სექტორი, სადაც სახელმწიფო ჰოლდინგები არ ფუნქციონირებდეს. მრავალი ცნობილი პროდუქტი თუ ჰოლდინგი იმყოფება სისტემაში - მათ შორის Alfa Romeo, Ducati, Alitalia, Autostrada del Sole, AGIP(Azienda Generale Italiana Petroli),

RAY television and radio, Cinecittà და Banco di Roma. მთლიანობაში არსებობს დაახლოებით 350 სახელმწიფო ჰოლდინგური ფირმა, რომლებშიც მთელი იტალიის მასშტაბით დასაქმებულია 510,000 ადამიანი (ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ კიდევ 22,000). მათმა ერთობლივმა საინვესტიციო მოცულობამ 1972 წელს დაახლოებით 1915 მილიარდი ლირა შეადგინა.

მთლიანობაში არსებობს ექვსი სახელმწიფო ჰოლდინგური ჯგუფი, რომელთაგან თითოეული მათგანი ორგანიზდება და იმართება დამოუკიდებელი მმართველი ორგანოს/მართვის ავტონომიური სააგენტოს(ente autonomo di gestione) მიერ. მრავალი თვალსაზრისით enti შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ჰოლდინგური კომპანიები. ამ აღნიშნული ექვსი ჯგუფიდან ანუ enti-დან ოთხს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა გააჩნია. EAGAT(Ente Autonomo di Gestione per le Aziende Termali), მონაწილეობს კურორტების(თერმული და მინერალური წყლებით) მართვასა და განვითარებაში, და მათთან დაკავშირებულ ინვესტიციებთან მიმართებით; Ente Autonomo di Gestione per il Cinema, დაკავებულია ფილმების შექმნითა და დისტრიბუციით; EGAM(Ente Gestione Aziende Minerarie), საქმიანობს სამთო მრეწველობისა და შავი ლითონების წარმოების მიმართულებით; და ბოლოს EFIM(Ente Participazione e Finanziamento Industrie Manifatturiere). EFIM, უდიდესი ამ მეორე რიგის ჯგუფთაგან, საქმიანობს დამუშავებითი /გადამამუშავებლი მრეწველობის ფართო სპექტრით, და განსაკუთრებით აქტიურად იძენს და ავითარებს საშუალო ზომის საწარმოებს, გამორჩეულად სამხრეთში.

მეორე რიგის ეს ოთხი ჯგუფი არც ისე დიდია, როგორც ორი ძირითადი ჯგუფი IRI (Instituto per la Ricostruzione Industriale) და ENI (Ente Nazionale Idrocarburi). დასაქმების მოცულობა ამ ოთხ ჯგუფში შეადგენს მხოლოდ ENI-ის ფირმებში მთელ დასაქმებულთა რიცხვის დაახლოებით 3/5-ს და IRI-ში დასაქმებულთა დაახლოებით 12 პროცენტს. მათი ყოველწლიური ფიქსირებული ინვესტიციები შეადგენს ENI-ის ინვესტიციების დაახლოებით 2/5 -

ს და IRI-ის ინვესტიციათა 1/7-ს. IRI და ENI აშკარად დომინირებენ სახელმწიფო ჰოლდინგურ სექტორში. ისინი ფუნქციონირებენ საქმიანობის ფართო სპექტრით, თუმცა გარკვეულწილად კონცენტრირდებიან კონკრეტულ სექტორებზე. IRI-ის საქმიანობის ძირითადი სახეობები მოიცავს ფოლადს, მანქანათმშენებლობას, ელექტრონიკას, სავაჭრო გემებს, ავიაციას (საავიაციო/ საჰაერო ხაზს), რადიოსა და ტელევიზიას, ავტო-ბანებს /მაგისტრალებს (autostrade) და საბანკო საქმეს. ENI არის უფრო მონოსექტორალური(monosettoriale) და უმთავრესად დაკავებულია ნავთობისა და გაზის მოძიებითი, დაზვერვითი სამუშაოების წარმოებით, ნავთობის გადამუშავებით, ტრანსპორტირებითა და დისტრი-ბუციით, და მძიმე ქიმიური ნივთიერებებით (ქიმიური მრეწველობა), თუმცა არც თუ უმნიშვნელო ინტერესს იჩენს ატომური ენერგეტიკის, ტექსტილისა და მანქანათმშენებლობის მიმართულებით.

სახელმწიფო ჰოლდინგური სექტორი სწრაფად გაიზარდა ოთხმოციან წლებში და განსაკუთრებით 1960 და 1970-ანი წლების დასაწყისში. თუ 100 ავიღებთ 1953 წლის შესადარ/საანგარიშო რიცხვად, სექტორში დასაქმება 1950 წლისთვის შეადგენდა 115-ს და 1971 წელს - 195-ს, მაშინ როდესაც ინვესტიციები (1955 წელს 100) 1960 წლისთვის 218-მდე და 1971 წელს 994-მდე გაიზარდა. როგორც ინვესტიციების, ისე დასაქმების სფეროს მხრივ ეს სექტორი გაცილებით სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე შესადარი საერთო ეროვნული მაჩვენებლები, და ამიტომ დღეს ის გარდაუვლად წარმოადგენს ეკონომიკის უფრო მნიშვნელოვან ნაწილს. 1953 წელს დასაქმებამ ამ სექტორში შეადგინა არასასოფლო სფეროს (მიმართულების) სრული სამუშაო დღით დასაქმებულთა 3.5%, მრეწველობაში სრული სამუშაო დღით დასაქმებულთა 6.0% და დასაქმებულთა 8% მრეწველობაში (მშენებლობის გამოკლებით). 1970 წელს ეს პროპორცია შესაბამისად იყო 4.0, 7.0 და 7.8 პროცენტი.

სახელმწიფო ჰოდინგური სისტემის ორგანიზაციული და კონტროლის სტრუქტურა ქვემოთ დაწვრილებით არის

განხილული, თუმცა ზოგიერთი წინასწარი/შესავალი რემარკა ყურადღებას იმსახურებს. მარტივად რომ ვთქვათ, სისტემას გააჩნია პირამიდული ორგანიზაციული სტრუქტურა. სათავეში იმყოფება სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტრო, რომელიც გამოსცემს საერთო დირექტივებს enti(დეპარტამენტები, განყოფილებები, უწყებები.)-სთვის და პასუხისმგებელია /ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე მათი საქმიანობისთვის. სამისნისტროს ქვემოთ იმყოფება ექვსი enti, რომელთაგან თითოეულს გააჩნია ამოცანა, უზრუნველყოს ამ დირექტივათა აღსრულება მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ფირმების დონეზე. პირამიდის ბოლოში იმყოფებიან ფირმები და საწარმოები, რომლებშიც enti პირდაპირ თუ ირიბად ფლობს აქციათა საკონტროლო პაკეტს. ორივეს, IRI და ENI შემთხვევაში, ეს ფირმები ორგანიზებულია სხვა და სხვა სექტორში (მაგ., გემთმშენებლობა, ტელეფონები და ტექნიკა [მანქანათმშენებლობა]) და ფუნქციონირებენ სუბ-ჰოლდინგური კომპანიის მმართველობის ქვეშ, რომელიც პასუხისმგებელია enti-ის წინაშე თავის სექტორში მყოფი ფირმების საქმიანობაზე.

სახელმწიფო ჰოლდინგური სექტორი არის კერძო და საჯარო ინიციატივების უნიკალური კომბინაცია. ფინანსური თვალსაზრისით, თავად enti სრულად კონტროლდება მთვარობისგან იმ თვალსაზრისით, რომ მთავრობა მთელ თავის საკუთარ კაპიტალს გადასცემს ე.წ. შემოწირულობათა ფონდის მეშვეობით, თუმცა ეს ფონდი ასევე განკუთვნილია სექტორის სოციალურ თუ ნაციონალურ ინტერესთა ინტერვენციების დასაფარავად. Enti-ის ქვემოთ მყოფ ფენებს შეუძლიათ და ეძიებენ სააქციო კაპიტალს საზოგადოებიდან/ხალხიდან, თუმცა enti ინარჩუნებს აქციათა საკონტროლო პაკეტს. კერძო მონაწილეობის ფრაგმენტული ხასიათის გათვალისწინებით მრავალ ფირმაში, ამგვარი კონტროლი შესაძლოა უზრუნველყოფილი იყოს სააქციო კაპიტალის სულ რაღაც 15 პროცენტით.

სახელმწიფო ჰოლდინგური სექტორი განსხვავდება

იტალიის ნაციონალიზებული დარგებისგან (რკინიგზა და ელექტროობის წარმოება-განაწილება) იმით, რომ პირველ რიგში, მას აქვს წვდომა ფინანსების გაცილებით ფართო სპექტრზე, ხოლო მეორე რიგში, ამასთან კავშირში მას გააჩნია თავისუფლების მაღალი ხარისხი. ბრიტანული ნაციონალური მრეწველობების მსგავსად, იტალიის მრეწველობებიც პირდაპირ არის ანგარიშვალდებული მინისტრთან და ექვემდებარება მნიშვნელოვან კონტროლს საკუთარ ინვესტიციებსა და საერთო სტრატეგიებში (თუმცა, საინტერესო განსხვავება, - არა მათ საფასო პოლიტიკაში). სახელმწიფო ჰოლდინგურ სექტორში კონტროლის ამგვარი ხარისხი არ არის.

ეკონომიკასთან მიმართებით, სახელმწიფო ჰოლდინ-გური სიტემა იმდენად დიდია, რომ ის მხოლოდ საკუთარი ზომით/მასშტაბებით ახდენს მნიშვნელოვან გავლენას მასზე. ქვემოთ განხილული იქნება სისტემის ძირითადი თავისებურებანი/მახასიათებლები, როგორ კონტროლ-დება და ორგანიზირდება ის, და მისი წვლილი იტალიის განვითარებაში. IRI-სა და ENI-ის დომინანტური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ ფართოდ ვკონცენტრირდებით ამ ორ ჯგუფზე.

2.1.1.1 §. IRI

სერიოზული საბანკო კრიზისის საპასუხოდ, 1933 წლის იანვარში დაფუძნდა IRI, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა დაკრედიტების ორგანიზების სრულყოფა 'ქვეყნის სამრეწველო საქმიანობის ტექნიკურ, ეკონომიკურ და ფინანსურ რეორგანიზაციასთან კავშირში' (Preamble to 1933 decree setting up IRI / IRI-ის შექმნის შესახებ 1933 წლის დეკრეტის /ბრძანებულების პრეამბულა). თავდაპირ-ველად ის ორგანიზებული იყო ორ დამოუკიდებელ სექციაში: ინდუსტრიული დაფინანსების სექციასა(Sezione Finanziamenti Industriali) და ჰოლდინგურ სექციაში(Sezione Smobilizzi Industriali). პირველი შეიქმნა იტალიის კერძო ფირმებისთვის გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნ-ველსაყოფად, მაშინ როდესაც ჰოლდინგურმა სექციამ

ითამაშა ორმაგი როლი სირთულეების ქვეშ მყოფი ბანკებისთვის ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენით, და იმ აქტივების (მათ შორის აქციებისა, თუ სხვა ფასიანი ქაღალდების) მმართვით, რომლებიც უფრო ადრეული საბანკო ხსნა-გადარჩენისა და გაჯანსაღების(risanamenti) ოპერაციების დროს აღმოჩნდა სახელმწიფოს ხელში. გარკვეული აზრით, IRI-ის ჰოლდინგური სექცია უბრალოდ იყო კიდევ ერთი იმ ინსტიტუციათაგანი, 'გენერირებული საბანკო კრიზისებით, რომლებიც თავს დაატყდა ქვეყანას პირველი მსოფლიო ომის შემდეგ'.**(P. Saraceno, Ministero dell'Industrtia e del Commercio, Instituto per la Ricostruzione Industriale. Vol. III, p. 4., Torino, 1956. [პროფ. პასკუალე სარაჩენოს რეპორტი/ანგარიში])**

მცირედი ეჭვიც კი არ შეიძლება არსებობდეს იმასთან დაკავშირებით, რომ როდესაც შეიქმნა IRI, ისევე როგორც მისი წინამორბედები, როგორც ჩანს, მას დროებითი, თუმცა უფრო ყოვლისმომცველი ხასიათი ჰქონდა. ეს იყო 'გადაუდებელი ხასიათის' ორგანო.**(ibid., p. 2)** მსხვილი სადეპოზიტო ბანკები განიცდიდნენ მძიმე ფინანსურ სირთულეებს; მათი ადრინდელი სესხები მრეწველობის-თვის, განსაკუთრებით 1929 წლის შემდეგ, თითქმის უსარგებლო იყო და მათ არ შეეძლოთ გაეგრძელებინათ დაკრედიტება. IRI მიზნად ისახავდა ბანკების მრეწველო-ბისგან გათიშვას და იმავდროულად, ფინანსური სექციის(განყოფილების) მეშვეობით, იძენდა მათ ადრინდელ როლებს.

თუმცა, IRI-ს ფინანსური სექცია(განყოფილება) დიდხანს არ ფუნქციონირებდა. მისი სესხების უდიდესი წილი, დაახლოებით 84 პროცენტი, მოდიოდა კომპანიებზე ან ჯგუფებზე, რომლებშიც მონაწილეობდა/ჩართული იყო IRI-ს ჰოლდინგის სექცია(განყოფილება). 1934 და 1935 წლებში გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა პირობებმა შეამცირა მისი აქტუალობა. 1936 წელს ის დაიშალა და მის როლს ასრულებს დიდი საკრედიტო ინსტიტუტი IMI(Istituto Mobiliare Italiano), რომელმაც IRI-სთან ერთად ითამაშა უმთავრესი როლი ეკონომიკის მხარდასაჭერად 1929 წლის შემდეგ ეკონომიკური, საბანკო და საწარმოო

კრიზისის წლებში. **(https://it.wikipedia.org/ wiki/Istituto_ Mobiliare_Italiano)**

IRI-ის ჰოლდინგური სექციის(განყოფილების) მთავარი ადრეული ამოცანა იყო ბანკების გათავისუფლება საშუალო და გრძელვადიანი ინვესტიციებისგან ამ აქტივების ბანკებისგან შესყიდვის გზით. გადახდილი ფასი არ იყო დაფუძნებული საბაზრო ღირებულებაზე, არამდ წარმოადგენდა ფასს, რომელიც საშუალებას მისცემდა ბანკებს დაეფარათ მათი დეპოზიტები და სხვა ვალდებულებები. ამ ოპერაციის დიდი ნაწილი დასრულდა 1934 წელს. ბევრი აქტივი იყო ფირმებში, რომლებიც თავის მხრივ ფლობდნენ აქციათა საკონტროლო პაკეტს თავად ბანკებში და ერთ-ერთი შედეგი იყო ის, რომ IRI აღმოჩნდა მაკონტროლებელი იტალიის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი კომერციული ბანკის, – Banca Commerciale Italiana, Credito Italiano და Banco di Roma.

გათვალისწინებული იყო, რომ, რომ IRI გაყიდდა თავის ახლად შეძენილ აქტივებს კაპიტალის ბაზრის გაუმჯობესებასთან ერთად, და 1933-36 წლებში მან ფაქტობრივად განკარგა თითქმის 50 პროცენტზე მეტი აქტივები, ვიდრე შეიძინა. თუმცა, 1937 წლის ივნისში, IRI, რომელიც მაშინ შედგებოდა მხოლოდ ჰოლდინგური სექციისგან (განყოფილებისგან), გამოცხადდა მუდმივ (მოქმედ) ორგანოდ. მოსაზრებები იმის თაობაზე, თუ რატომ გადაიდგა ეს ნაბიჯი, კვლავ განსხვავებულია. ზოგიერთი დამკვირვებლისთვის ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც ასახავდა IRI-ს ლიდერების პირად შეხედ-ულებებს და მათ გავლენას მუსოლინიზე. 'იტალიაში ამბობენ, რომ ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ ალბერტო ბენედუჩე(Alberto Beneduce), ფრანჩესკო ჯორდანი(Francesco Giordani) და დონატო მენიჩელა (Donato Menichella), რომლებიც აკონტროლებდნენ IRI-ს, შეძლეს დაერწმუნებინათ ილ დუჩე(il Duce), არ მომხდარიყო სახელმწიფო ჰოლდინგების/აქტივების ლიკვიდირება.'**(La Palombra, Italy: The Politics of Planning , Syracuse N. Y.: Syracuse University Press 1966, p.15)**

სხვებისთვის ეს მომდინარეობდა ფაშიზმის ავტარკისტული (ჩაკეტილი ერონული საემურნეო სისტემის) და მილიტარისტული მიზნებიდან ან, სრულიად განსხვავებულად (ის შეიძლება დახასიათდეს, როგორც), 'ალბათ ისტორიაში ნაციონალიზაციის ყველაზე უაზრო აქტი'.**(A. Schonfield, Modern Capitalism, Oxford: Oxford University Press 1965, p.179.)** ცნობილი იტალიელი ეკონომისტი სარაჩენო მიიჩნევს, რომ ეს გადაწყვეტილება ემთხვევა ნაციონალური პოლიტიკის ფაზას - 'იდეას, რომ სახელმწიფო აქტიურად უნდა იყოს დაინტერესებული იმ წარმოების სექტორების განვითარებით, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავს ქვეყნის რიტმს და პროგრესს', და რომ IRI იყო 'იდეალური ინსტრუმენტი ამ ახალი მიზნების მისაღწევად'.**(Saraceno, op. sit., p. 38.)**

IRI-ს მუდმივ ორგანოდ ჩამოყალიბების კანონმდებლობის პრეამბულაში საუბარია უფრო სპეციფიკურ /კონკრეტულ, ფაშიზმით ინსპირირებულ როლებზე, განსაკუთრებით ახალ აქტივობებთან დაკავშირებით, რომლებიც მას შეეძლო გაეტარებინა, 'როდესაც ისინი ინჰერენტული(არსებითი/თანამდევი) იყო ქვეყნის დაცვასთან, ან ეკონომიკური ავტარკიის პოლიტიკის განხორციელებასთან, ან მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებასთან მიმართებით იტალიის აღმოსავლეთ აფრიკაში'. IRI, რა თქმა უნდა, უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული რეჟიმთან. მას უნდა ეწარმოებინა თავისი ოპერაციები 'რეჟიმის პოლიტიკურ-ეკონომიკური დირექტივების მიხედვით', თანდათან უნდა გათავისუფლებულიყო იმ 'ჰოლდინგებიდან და აქტივობებიდან ('მარაგები და საქმიანობები / holdings and activities), რომლის შენარჩუნების ინტერესი სახელმწიფოს არ აქვს'; მაშინ როდესაც ინვესტიციები და გაყიდვები, 'რომლებიც აღემატება ათ მილიონ ლირას' უნდა დაამტკიცოს ფინანსთა მინისტრმა. IRI-ს მართვაში ჩართული მამაკაცების უმეტესობა სახელმწიფოს მიერ იყო დანიშნული.

გარდაუვალად, 1937-39 წლების სამწლიანი პერიოდმა, მუდმივობის გამოცხადების შემდეგ, განიცადა ცვლილება

სტრატეგიაში IRI-ს პირველ სამ წელთან შედარებით. აქტივების გაყიდვები არსებითად შემცირდა, თუმცა ისინი კვლავ აღემატებოდნენ ახალ ინვესტიციებს. მან გაყიდა თავისი ჰოლდინგების(აქტივების/საკუთრების) საკმაოდ მნიშვნელოვანი ოდენობა/წილი ელექტრო ინდუსტრიაში, ტექსტილის ინდუსტრიაში, სოფლის მეურნეობისა და უძრავი ქონების სფეროში, ისევე როგორც არაერთი უცხოური ინვესტიცია. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა სანაოსნო გადაზიდვებში, მანქანათმშენებობასა/ინჟინერიასა და ფოლადის ინდუსტრიაში - ეს ყველაფერი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო იმდროინდელი ფაშისტური ინტერესებისთვის და გაწერილი იყო 1937 წლის მუდმივობის დეკლარაციაში. 1939 წლისთვის IRI-ის ჰოლდინგების(აქტივების) დაახლოებით 21 პროცენტი მოდიოდა ფოლადის მრეწველობაზე, 14 პროცენტი (ძირითადად მძიმე) მანქანათმშენებლობაზე/ინჟინერიაზე და 19 პროცენტი სანაოსნო გადაზიდვებზე. ეს წარმოადგენდა მნიშვნელოვან ზრდას 1934 წელთან შედარებით, როდესაც პროპორციები იყო 13, 7 და 6 პროცენტი შესაბამისად.**(ibid. p. 132.)**

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე/წინა დღემდე, IRI იყო ნებისმიერი სტანდარტით დიდი ჯგუფი და აკონტროლებდა იტალიის ინდუსტრიის საკმაოდ მნიშვნელოვან ნაწილს. მას ეკუთვნოდა ეროვნული წარმოების ჩუგუნის/რკინის 77 პროცენტი, ფოლადის წარმოების 45 პროცენტი, ლითონის მილების - 75 პროცენტი, მოპოვებული რკინის მადნის 67 პროცენტი, გემთმშენებლობის 80 პროცენტი, თვითმფრინავების წარმოების 22 პროცენტი, ავტომობილების წარმოების 39 პროცენტი, იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოების 50 პროცენტი, მანქანათმშენებლობის წარმოების /საინჟინრო პროდუქციის 23 პროცენტი და სანაოსნო გადაზიდვების/ტრანსპორტირების დაახლოებით 90 პროცენტი, ასევე ფლობდა ხუთი მსხვილი იტალიური სატელეფონო კომპანიიდან სამს.**(R. Romeo, Breve Storia della Grande Industria in Italia, Rome: Cappelli 1967, p. 1972.)**

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ასეთი კონტროლი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი მოკლე ექვსწლიან პერიოდში.

ძირითადად ადმინისტრაციულ მიზეზთა გამო, IRI-ს სხვადასხვა ინტერესი კონცენტრირებული იყო IRI-ს მიერ კონტროლირებად რიგი finanziarie (ჰოლდინგები/ ჰოლდინგური კომპანიები)-სა ან/თუ სუბჰოლდინგური კომპანიების ირგვლივ. STET შეიქმნა 1933 წელს ტელეფონებისთვის, Finmare 1936 წელს სანაოსნო გადაზიდვისთვის და Finsider 1937 წელს რკინისა და ფოლადისთვის. ამ finanziarie-ბის რაოდენობა ომის შემდეგ გაფართოვდა Finmeccanica-ს (მანქანათმშენბელობა /საინჟინრო) შექმნით 1948 წელს, Finelettrica-ს (ელექტროენერგია) 1952 წელს და Fincantieri-ს (გემთმშენებლობა) 1959 წელს. მანამდე ეს სექტორები იყო IRI-ის უშუალო კონტროლის ქვეშ.

ომი კატასტროფად იქცა IRI-სთვის, ისევე როგორც მთლიანად იტალიისთვის. ომის დასაწყისში მან გააფართოვა თავისი საქმიანობა ომის ინდუსტრიებში (სამხედრო მრეწველობაში), განსაკუთრებით საინჟინრო (მანქანათმშენებლობა) და ქიმიურ მრეწველობაში, და გაყიდა ტექსტილის, უძრავი ქონების და აგროჰოლდინ-გების (სასოფლო-სამეურნეო საწარმოები /მეურნეობები) უმეტესთაგანი. სამხედრო წარმოებაზე გაძლიერებულ გადართვას სერიოზული სირთულეები უნდა წარმოეშვა ომისშემდგომ პერიოდში. მაგრამ უფრო უშუალო თვალსაზრისით, IRI-ს დიდი ზიანი მიადგა ომის შედეგად მისი საქმიანობის ბუნებისა/ხასიათისა და ადგილ-მდებარეობის გამო. მიყენებული ზიანი 'გამორჩეულად მძიმე იყო იმის გამო, რომ IRI-ს ინტერესები განსაკუთ-რებით ძლიერი იყო სავაჭრო ნაოსნობაში/ სანაოსნო გადაზიდვების სექტორში, რომელიც ომის დროს/შედეგად განადგურდა; ჩუგუნის (რკინის) სექტორში, რომლის ქარხნები უმეტესად ხმელთაშუა ზღვის არეალში მდებარეობდა, უშუალოდ აღმოჩნდნენ საბრძოლო ზონაში; მძიმე ინჟინერის (მანქანათმშენებლობა) სექტორში, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი

სამიზნე იყო საჰაერო შეტევების, ექსპროპრიაციის, საბოტაჟისა და დესტრუქციისთვის; ელექტრო და სატელეფონო მრეწველობის სექტორში, (კერძოდ, ქვეყნის) ცენტრში /სამხრეთში, მხარეში, სადაც ყველაზე გახანგრძლივებული საომარი მოქმედებები იყო.'**(Saraceno, op. sit., p. 67.)** უფრო კონკრეტულად, განადგურდა IRI-ის სანაოსნო გადაზიდვის სიმძლავრის და რკინისა და ფოლადის სიმძლავრის დაახლოებით 90 პროცენტი, ელექტრო-ენერგიის სიმძლავრის 40 პროცენტი და სატელეფონო სიმძლავრის 15 პროცენტი.**(ibid., p. 67 , pp. 375-81.)**

ამგვარად, ომის დასრულების შემდეგ IRI-ს გააჩნდა საგრძნობლად შემცირებული საწარმოო პოტენციალი და ის, რომ დიდი ნაწილი რაც (მას) დარჩა, იყო სამხედრო პროდუქცია ან არ მოდიოდა შესაბამისობაში ომისშემგომ პირობებთან, მაშინ როცა მისი სამუშაო ძალა მნიშვნელოვნად აჭარბებდა მის საჭიროებებს, (რაც) ნაწილობრივ ასახავდა 'IRI-ს ლიდერთა ჰუმანურ პოლიტიკას, რომლებიც ასაქმებდნენ მამაკაცებს, რათა თავიდან აეცილებინათ მათი გაწვევა ან დეპორტაცია გერმანიაში ნაცისტური ოკუპაციის წლებში 1943-დან 1945-მდე'.**(M. Posner and S. Woolf, Italian Public Entorprise, London: Duckworth 1967, p.26.)**

IRI-ის ფაშისტური წარმომავლობისა და მისი წვლილის გათვალისწინებით საომარ ძალისხმევაში, ალბათ არ არის გასაკვირი, რომ IRI-ის მომავალზე მსჯელობა დაიწყო თითქმის მაშინვე, როდესაც ომი დასრულდა - დისკუსიები, რომლებიც ეფუძნებოდა ძირითად კითხვებს იმის შესახებ, უნდა მომხდარიყო თუ არა მისი დემონტაჟი და/ან ხომ არ დაბრუნებოდა კერძო მეწარმეობას; თუ უნდა შენარჩუნეულიყო, მაშინ, ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა მომხდარიყო მისი გაკონტრო-ლება. მრავალ გამოკვლევათაგან პირველი ამ მიმართულებით განხორციელდა 1946-47 წლებში, რომელიც ჩატარდა ეკონომიკური კომისიის მიერ დამფუძნებელ კრებაზე. წარმოდგენილი მტკიცე-ბულებები ასახავდა მოსაზრებების ფართო სპექტრს IRI-

სთან დაკავშირებით, მათ შორის (ისეთ) მოსაზრებას, რომ ეს იყო 'ყველაზე დიდი უზნეობა, რომელიც არსებობს, რადგან ის იღებს ფულს როცა სურს იმ ფასად, როგორადაც სურს'.**(ციტირებულია G. Amato-ს [რედ.] Il Governo dell'Industria in Italia -ში, Bologna: Il Mulino 1972, p.226. ეს წიგნი შეიცავს მნიშვნელოვან ამონარიდებს სტატიებიდან [რომელთაგან ზოგიერთი ისტორიული მნიშვნელობისაა] სახელმწიფო/საჯარო ჰოლდინგის სექტორზე.)**

თუმცა, მთლიანობაში, აღიარებული იყო, რომ IRI-ის ჰოლდინგების(აქტივები) კერძო საწარმოებისთვის გადაცემაზე საუბარი არ იქნებოდა. იტალიის ომისშემდგომი კაპიტალის ბაზრები ვერ შთანთქავდა (აითვისებდა/დაიტევდა) IRI-ს რაიმე ფართომასშტაბიან დაშლას და მისი მრავალი კომპანია მაინც იმდენად წამგებიანი იყო, რომ კერძო სექტორი მათ არანაირ ფასად მიიღებდა. გარდა ამისა, აღიარებული იქნა, რომ მხოლოდ IRI-ს შეეძლო ეფუნქციონირა ფართომასშტაბიანი გათავისუფლებების/შემცირებების გარეშე და ამით თავიდან აეცილებინა უმუშევართა რაოდენობის ზრდა.

ომის შემდგომ პირველ წლებში ეკონომიკური ვითარება იყო იმდენად მწვავე და IRI-ს ჩანაცვლების ამოცანა ისეთი მოკლევადიანი საფრთხეებით სავსე, რომ ყველა პოლიტიკური პარტია, ლიბერალების ჩათვლით, ვალდებული იყო მიეღო სტატუს კვო(status quo). 1948 წელს IRI-მ მიიღო ახალი წესდება, შეინარჩუნა საქმიანობის ის მიმართულებები(სახეობები/ფორმები), რასაც უკვე ეწეოდა და მოექცა მინისტრთაშორისი კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, რაც ასახავდა კონტროლის გაძლიერების სურვილს. 1948 წლის წესდება ნიშნავდა თანხმობას IRI-ს (არსებობის) გაგრძელებაზე. მან გააფართოვა თავისი საქმიანობა და როლი, რითაც გახდა იტალიური ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სულ უფრო ფასდაუდებელი ინსტრუმენტი.

IRI-ის ომისშემდგომი აღდგენა განსაკუთრებით გართულდა ომის დროს მიყენებული ზიანისა და მასალებისა და აღჭურვილობის საერთო დეფიციტის გამო, რასაც თან ერთვოდა და კიდევ უფრო ამძიმებდა თავად

IRI-ში ორგანიზაციული და ადმინისტრაციული სტაბილურობის ნაკლებობა, რაც დიდწილად გამოწვეული იყო უშუალოდ ომის შემდგომი გაურკვევლობით მის მომავალთან დაკავშირებით. 1945-1948 წლებს შორის არსებობდა 'ორგანიზაციული ქაოსი'.**(Posner and Woolf, op. cit., p. 26.)** ის მოქმედებდა წესდების გარეშე და სხვა და სხვა ლიდერითა და სისტემით. 'ინიციატივა მთლიანად გადაეცა ფინანსური კომპანიების გენერალურ დირექტორებს, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ IRI-ს (ფარგლებში არსებული) სხვა და სხვა სექტორებზე და ხშირად, უფლებამოსილების სიმცირის თუ არარსებობის გამო (ის) ხშირად გადადიოდა ქვედა დონეებზე. შედეგად, არ არსებობდა რეკონსტრუქციის არანაირი საერთო გეგმა".**(ibid., pp. 26-7.)**

მიუხედავად ამ სირთულეებისა, IRI სექტორების უმეტესობამ 1948 წლისთვის აღადგინა ომამდელი პოტენციალი და შეემზადდა უწყვეტი, სწრაფი და ჯანსაღი ზრდისთვის. მნიშვნელოვანი გამონაკლისი იყო ინჟინერია/მანქანათმშენებლობა(მათ შორის გემთ-მშენებლობა). ინტენსიური სამხედრო წარმოების /პროდუქციის გამოშვების(output) შემდეგ, მრავალი წლის განმავლობაში ის მძიმე ტვირთი იყო. დასაქმება ამ სექტორში არა მხოლოდ დიდი იყო (100 000 ომის შემდგომ წლებში და შეადგენდა IRI-ს მთლიანი დასაქმების ნახევარს), ის ასევე იყო გეოგრაფიულად კონცენტრირე-ბული გენუაში, ნეაპოლში, ტრიესტსა და, უფრო მცირე ზომით მილანში. ამ დროისთვის საუკეთესო გამოსავალი /გადაწყვეტა IRI-ს თვალსაზრისით ალბათ იქნებოდა საინჟინრო სექტორის ყოვლისმომცველი /ფართო რესტრუქტურიზაცია, რომელიც მოიცავდა მნიშვნელოვან დახურვის პროგრამას და მასთან ასოცირებულ მნიშვნელოვან შემცირებებს. IRI-ს ორგანიზაციული სირთულეები შექმნიდა პრობლემებს ნებისმიერი ასეთი რადიკალური ცვლილების გზაზე, მაგრამ ამის მიღმა მთავრობამ 1946 წელს გასცა მითითება, რომ ქარხნები არ უნდა დახურულიყო, არამედ შეძლებისდაგვარად განხორციელებულიყო რეკონვერსია(ხელახალი

გარდაქმნა) და რეკონსტრუქცია არსებული ერთეულების ფარგლებში.

ხმლიდან გუთანზე გადასვლა არასოდეს ყოფილა ადვილი. IRI-ის ინჟინერიის შემთხვევაში ეს იყო რთული და ნელი. ვერფებში(ნავსაშენებში) სამოქალაქო გემთმშენებლობაზე გადასვლის პრობლემა გაცილებით რთულად გადაუჭრელი იყო ინდუსტრიის არაკონ-კურენტუნარიანობის გამო უცხოურ ბაზრებზე – ზედმეტად დაკომპლექტებისა(ჭარბი პერსონალის რიცხოვნობა) და შემდგომი მაღალი შრომის/სამუშაო ძალის დანახარჯების შედეგი (და ორივე დიდწილად წარმოადგენს ზედმეტობის/სიჭარბის დაუშვებლობის შესახებ არსებული დირექტივის შედეგს), კომბინირებული (შეერთებული/გაერთიანებული) ფოლადის მაღალ ხარჯებთან, რაც გამოწვეულია იტალიური (ძირითადად IRI) ფოლადის წარმოებისთვის მინიჭებული დაცვის მნიშვნელოვანი ხარისხით. არანაკლებ სერიოზული პრობლემები იყო საინჟინრო სექტორის დანარჩენ ნაწილშიც. შიდა ბაზარს არ შეეძლო მოეხდინა მძიმე ინჟინერიის(მანქანათმშენებლობის) პროდუქციის მნიშვნელოვანი ზრდის აბზორბცია (შთანთქმა/ათვისება), და მაინც, (სწორედ) ეს იყო მიმართულება რომელშიც მარტივად იქნებოდა შესაძლებელი ყოფილი სამხედრო საინჟინრო პოტენციალის დიდი ნაწილის კონვერტირება. საზღვარგარეთის ბაზრებს არ შეეძლო რაიმე დიდი პერსპექტივის შეთავაზება ამ სფეროში, იმ მიზეზების გამო, რომლებიც არ განსხვავდებოდა მათგან, რომლებიც (უარყოფით) გავლენას/ზიანის მიყენებას ახდენდა გემთმშენებლობის ექსპორტზე.

1948 წლამდე პერიოდში (და რეალურად შემდგომაც) საინჟინრო სექტორმა უშველებელი ზარალი განიცადა და არაეკონომიკურად(არაეკონომიკური სახით/ფორმით) შთანთქა IRI-ს ინვესტიციების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. ოთხ წელიწადში (1945-1948 წწ.) ის შეადგენდა IRI-ის მთლიანი წმინდა ინვესტიციების დაახლოებით 73 პროცენტს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ე.წ.

ინვესტიცია 'უმეტესწილად გამოიყენებოდა იმ სამუშაო ძალის (შრომის) ანაზღაურების შესანარჩუნებლად, რომლისთვისაც არ არსებობდა ეკონომიკური დასაქმების შესაძლებლობა'.**(Saraceno, op. sit., p. 74.)**

1948 წელს (და კიდევ მას შემდეგ) საინჟინრო სექტორი, გემთმშენებლობის ჩათვლით, მოექცა finanziaria (ფინანსური კომპანია)–Finmeccanica-ს კონტროლის ქვეშ. მას(ვე) გადაეცა სხვა სექტორებში უკვე არსებული finanziarie (ფინანსური კომპანიების)-ს მსგავსი როლები/ფუნქციები: საინჟინრო სექტორის განვითარების კოორდინაცია და ფინანსური, ტექნიკური და კომერციული დახმარების გაწევა მისი კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიებისთვის.

მას შემდეგ საინჟინრო სექტორის პრობლემები გარკვეულწილად ნელ-ნელა მოგვარდა, თუმცა ვერფები (ამჟამად გამოყოფილი ახალი finanziaria-ს, Fincantieri-ის ქვეშ) არასოდეს, გარდა 1972-1973 წლების გემთმშენე-ბლობის ბუმის პერიოდისა, (რაც, მნიშვნელოვანწილად პროფ.კავშირისა და ადგილობრივი ოპოზიციის რაციონალიზციის შედეგია), არასოდეს გამხდარან მომგებიანი ან კონკურენტუნარიანი. საინჟინრო სექტორი თავისთავად(per se) უფრო წარმატებული იყო, თუმცა ის თანდათან ხდებოდა უზარალო (Alfa Romeo-ს გარდა, რომელიც Finmeccanica-ს გაყიდვების 40-45 პროცენტს შეადგენს, 1953 წელს გახდა მომგებიანი და 1966 წლიდან იხდის დივიდენდებს). კვლავ პროფკავშირების ზეწოლამ შეაფერხა რეორგანიზაციის რადიკალური სქემების იმპლემენტაცია და სექტორი 70-ანი წლების დასაწყისში ჯერ კიდევ ფლობდა (რამდენიმე ნახევარ ათეულ) უკიდურესად არარენტაბელურ ფირმას. თუმცა დანარჩენი დაახლოებით ოცდახუთი ფირმა რეგულარულად იღებდა ზომიერ/მოკრძალებულ მოგებას.

მთლიანობაში IRI-სთვის, უშუალოდ ომის შემდგომი რეკონსტრუქციის პერიოდი იყო დიდი ცვლილებებისა და გაფართოების პერიოდი. 1948-დან 1972-მდე პერიოდში დასაქმება გაიზარდა 93 პროცენტით 233,000-დან 451,000-მდე, ხოლო გაყიდვები გაიზარდა დაახლოებით ცამეტჯერ,

348 მილიარდი ლირადან 4678 მილიარდ ლირამდე. ფიქსირებული/მყარი ინვესტიცია(Fixed investment, ინვესტიციები ძირითად კაპიტალში.) 1950-1972 წლებში გაიზარდა თხუთმეტჯერ, 103 მილიარდი ლირადან 1527 მილიარდ ლირამდე. ყველა შემთხვევაში, ზრდის ეს ტემპები უფრო სწრაფი იყო, ვიდრე ეროვნული ეკონომიკის შესადარ სფეროებში. მაგრამ IRI-ს ზრდის ასეთი გლობალური ინდიკაციების მიღმა არის რიგი სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მოხდა უშუალოდ ომის შემდგომი რეკონსტრუქციის პერიოდის შემდეგ, და კერძოდ ოთხი. პირველი, IRI გადავიდა ახალ სფეროებში; მეორე, თავისი განვითარების მზარდ წილს ის ფლობდა სამხრეთ იტალიაში; მესამე, მან ნელ-ნელა მიატოვა თავისი როგორც ჰოსპიტალური (განმკურნებელი /გამაჯანსაღებელი) როლი დაუძლურებული /ავადმყოფი ფირმებისთვის; და მეოთხე, მან დაკარგა კონტროლი ელექტროენერგიის მნიშვნელოვან სექტორზე.

პოსტ-რეკონსტრუქციის შემდგომ პერიოდში, IRI-მ დაიკავა მთელი რიგი ახალი სექტორები და აქტივები - ავიახაზები, ავტოსტრადები, ურბანული ინფრასტრუქ-ტურა, ტელევიზია და ელექტრონიკა. გარდა ამისა, მან მოიპოვა კონტროლი პრაქტიკულად მთელ სატელეფონო სექტორზე. მოკლედ შევეხოთ თითოეულ ამ მოვლენას.

იტალიის ომისშემდგომი ავიახაზების ინდუსტრიას საფუძველი ჩაეყარა 1946 წელს, როდესაც გაერთიანე-ბულმა სამეფომ, შეერთებულმა შტატებმა და იტალიამ ითანამშრომლეს ორი იტალიური ავიაკომპანიის შესაქმნელად. პირველი იყო Alitalia, რომელიც ძირითადად საერთაშორისო მარშრუტებზე მუშაობდა და რომლის 40 პროცენტს ფლობდა BEA(British European Airways), ხოლო 60 პროცენტს იტალია. მოგვიანებით, ამ ჰოლდინგის დიდი უმრავლესობა/წილი იტალიის სახელმწიფოს ხელში იყო, მცირე ნაწილს კი ფლობდა IRI . მეორე, იყო LAI(Linee Aeree Italiane), მფრინავი შიდა მარშრუტებით, რომლის 40 პროცენტს ფლობდა TWA(Trans World Airlines), ხოლო დანარჩენის მესაკუთრე, აქაც იტალიის სახელმწიფო იყო. ფაქტობრივად IRI

მართავდა სახელმწიფოს წილებს/აქციებს ორივე კომპანიაში და ეს შეთანხმებები გაგრძელდა 1957 წლამდე, სანამ Alitalia და LAI გაერთიანდნენ, TWA და BEA-ს აქციები იქნა გამოსყიდული/შეძენილი და შედეგად კომპანია გადავიდა IRI-ს მფლობელობაში. 1964 წელს Alitalia-მ დააარსა ახალი შვილობილი კომპანია ATI (Aero Transporti Italiana), რომელსაც LAI-ის მსგავსად, უნდა მოეხდინა ოპერირება მხოლოდ შიდა მარშრუტებზე, განსაკუთრებით სამხრეთ იტალიის მიმართულებით. კომპანია ზარალზე მუშაობდა, მაგრამ რეალური წვლილი შეიტანა სამხრეთის განვითარებაში.

IRI-ის შესვლა იტალიის საავტომობილო გზის (autostrade) პროგრამაში არ მომხდარა 1955 წლამდე, როდესაც 1950-იანი წლების დასაწყისში საგზაო ტრანსპორტის დიდმა ექსპანსიამ(გაფართოებამ/მატებამ) აიძულა მთავრობა დაფიქრებულიყო ავტომაგისტრალის მშენებლობის ძირითად/ფართო პროგრამაზე.**(იტალიის საავტომობილო გზების პროგრამაში IRI-ს როლის უკეთ განხილვისთვის იხ. N. Despicht 'Diversification and Expansion: the Creation of Modern Services' in S. Holland [ed.] The State as Entrepreneur London: Weidenfeld and Nicolson [1972], pp. 138-46.)** არსებობდა ეჭვები იმის შესახებ, თუ რამდენად შეეძლო ნაციონალური და მთავარი პროვინციული გზების სახელმწიფო სააგენტოს ANAS (Azienda Nazionale Autonoma Strade Statale) უზრუნველეყო ასეთი ქსელის განვითარება/აგება (მისი) გრძელვადიანი დაფინანსების უზრუნველყოფის პრობლემებით. ალტერნატივას წარმოადგენდა ფასიანი ავტომაგის-ტრალები კერძო კონცერნების ინტერესებით. ასე რომ, 1955 წელს განზარახული ქსელის პროექტის პირობები შეთავაზებული იქნა კერძო საწარმოებისთვის კონცესიურ(დათმობით/შეღავათიან) საფუძველზე (ოცდაათი წლის განმავლობაში). IRI იბრძოდა და მიიღო დიდი Autostrada del Sole, რომელიც გადიოდა მილანიდან ნაპოლამდე. ეს და მოგვიანებით კონცესიები(დათმობები) განხორციელდა 1956 წელს დაარსებული IRI-ის კომპანიის Società Concessioni e Costruzioni Autostrade-ის მეშვეობით.

მოგვიანებით ალოკაციებში, 1960-იანი წლების განმავლობაში, IRI-მ მიიღო მისთვის გამოყოფილი ავტომაგისტრალის მშენებლობის შემდგომი მონაკვეთები და (ამ პროცესის) მართვის უფლება. თავის მხრივ, ANAS-მა დაასრულა საავტომობილო გზების ქსელის მხოლოდ შედარებით მცირე ნაწილი და რომლის დიდი ნაწილი მოიცავდა არარენტაბელურ სამხრეთის მონაკვეთებს. თუმცა, IRI-მ არ აიღო თავის თავზე მხოლოდ რენტაბელური მონაკვეთები. 1968 წელს მან აიღო არარენტაბელური ბარი, ტარანტო, სიბარი. IRI-ის ძალისხმევა საავტომობილო გზების სფეროში იყო შთამბეჭდავი. მან თავისი ქსელი ძირითადად დროულად და ეფექტურად განავითარა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, როგორც ტემპის მდგენელმა სხვა ჯგუფებისთვის, მათ შორის ANAS-სთვის. 1971 წლისთვის, გამოყენებული ავტოსტრადის(autostrade) დაახლოებით 44 პროცენტი იყო IRI-ს საკუთრებაში.

IRI-ის საწარმოები ურბანული ინფრასტრუქტურის დარგში გასული საუკუნის სამოციანი წლების მეორე ნახევარში გაჩნდა და გარკვეულწილად გასცდა მათი მაგისტრალის ინტერესებს. 1966 წელს შეიქმნა Infrasud ნაპოლისთვის ტანგენციალური(tangential/შემხები) რელიეფური მაგისტრალის ასაშენებლად და მართვის მიზნით, და მას შემდეგ დაფუძნდა სხვა უფრო მცირე (ზომის/მასშტაბის) IRI კომპანიები, ქალაქის ახლად განვითარებისა და ურბანული ტრანსპორტის პროგრამებში ოპერირებისთვის. 1967 წელს შეიქმნა Italstat (Società Italiana per le Infrastrutture e l'Assetto del Territorio) Infrasud-სა და IRI-ის სხვა ინფრასტრუქტურულ კომპანიებზე კონტროლის მიზნით. ეს არის რაღაც შუალედური finanziaria-სა და საკონსულტაციო კომპანიას შორის. Italstat-ის ძალისხმევის დიდი ნაწილი რეალიზდება სამხრეთში. IRI-ის პოტენციური როლი ურბანულ განვითარებაში იტალიის ადგილობრივი ხელისუფლების სიმწირის გათვალისწინებით, როგორც ფინანსური, ისე დაგეგმვის თვალსაზრისით, და იტალიაში მიმდინარე დიდი ურბანული რევოლუციის კვალდაკვალ,

დიდ ქალაქებში ხალხის უზარმაზარი ნაკადებით /შემოდინებით, - ძალიან დიდია.

იტალიურ რადიო მაუწყებლობას 1952 წლამდე კონცესიურ საფუძველზე მართავდა RAI, რომელსაც თავად აკონტროლებდა IRI-ს ჰიდროელექტრო კომპანია (SIP). 1952 წელს, როდესაც კონცესია განახლდა, აქციების 75 პროცენტიანი ფლობით IRI-მ მიიღო პირდაპირი კონტროლის უფლება, ხოლო SIP-ს მფლობელობაში აღმოჩნდა დანარჩენი 25 პროცენტი. ეს მიღება დაემთხვა სატელევიზიო სერვისების განვითარებასა (რეგულარულად დაიწყო 1954 წელს) და მასთან დაკავშირებულ დიდ მოთხოვნას კაპიტალზე. 1952 წლის კონცესიის მოქმედების ვადა უნდა ამოწურულიყო 1972 წელს, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება გადაიდო 1973 წლის ბოლომდე.(**გადაწყვეტილება კონცესიის კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების შესახებ მიღებულ იქნა იმ დროს, როდესაც არსებითი დებატები მიმდინარეობდა პრესისა და ზოგადად საინფორმაციო მედიის თავისუფლების შესახებ, კერძო ინდუსტრიული ფირმების მიერ რიგი მთავარი გაზეთების ხელში ჩაგდების შემდეგ. ითვლებოდა, რომ მეტი დრო იყო საჭირო იმის განსახილველად, თუ როგორ [ან საერთოდ] უნდა მომხდარიყო რადიოსა და ტელევიზიის სერვისების რეორგანიზაცია ისე, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო ეს მოვლენები. შეიძლება დავამატოთ, რომ RAI არის IRI-ის იმპერიის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად 'ბედნიერი' სექცია/განყოფილება. ყველა თვალსაზრისით, RAI -ზე IRI ახორციელებს შედარებით მცირე კონტროლს, ხოლო დომინანტურს, - პოლიტიკური პარტიები.**) RAI თავის ოპერაციებში მტკიცედ ითვალისწინებდა სამხრეთს. ტრანსმისიული(გადამცემი) სისტემები სამხრეთში, მცირე აუდიტორიის მიუხედავად, ისეთივე სწრაფად განვითარდა, როგორც ჩრდილოეთში, თუმცა პროგრამების ფარგლებშიც არ იყო უგულებელყოფილი სამხრეთის საჭიროებები. მაგალითად, 1960-იანი წლების გარკვეული პერიოდის განმავლობაში, RAI-მ გაუშვა პროგრამა სახელწოდებით 'Telescuola', რომელიც სხვა

საკითხებთან ერთად გათვალისწინებული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის/გაუნათლებლობის დასაძლევადაც.

სატელეფონო სექტორი არ არის ახალი სფერო IRI-სთვის, არამედ ის სფერო, რომელშიც მან ვირტუალური (პრაქტიკულად/თითქმის) მონოპოლიური პოზიცია მოიპოვა ომისშემდგომ პერიოდში. 1925 წელს კონცესია გადაეცა ხუთ კერძო კომპანიას ადგილობრივი სატელეფონო სერვისების განსახორციელებლად. თითოეული (მათგანი) ფუნქციონირებდა საკმაოდ მკაფიოდ შემოსაზღვრულ გეოგრაფიულ არეალში, სადაც საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სერვისები იმართებოდა სახელმწიფო კონცერნის, ASST(Azienda di Stato per i Servizi Telefonici) მიერ. 1933 წელს, მიუხედავად მისი სამაშველო ოპერაციებისა, IRI-მ უზრუნველყო კონტროლი ამ ხუთი კომპანიიდან სამზე და განათავსა ისინი სპეციალურად შექმნილ finanziaria-ს, STET-ის დაქვემდებარებაში. დანარჩენი ორი კომპანია (TETI და SET) რჩებოდა კერძო კონტროლის ქვეშ 1957 წლამდე, სანამ 1925 წლის კონცესიების ვადა (არ) ამოიწურა. იმ დროისთვის ნათლად იყო აღიარებული, რომ ეს ორმხრივი დაყოფა არასასურველი იყო და რომ ერთიანი კონტროლი იყო საჭირო. ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ახალი კონცესიები არ მიენიჭებინა ორი კერძო კომპანიისთვის, თუ ისინი არ იქნებოდნენ IRI-ს კონტროლის ქვეშ. შედეგი იყო ის, რომ IRI-მ შეიძინა აქციების უმრავლესობა/აქციათა პაკეტი, რომლებიც შემდეგ გადაეცა STET-ს 1958 წელს. შემდგომი ერთიანობა უზრუნველყოფილი იქნა, როდესაც ხუთივე კომპანია(Società idroelettrica piemontese, Società Telefonica Interregionale Piemontese e Lombarda, Telefoni Italia Media Orientale, Società Telefonica Tirrena, Società Esercizi Telefonici.) გაერთიანდა SIP(Società Italiana per l' Esercizio Telefonico)-ის შესაქმნელად 1964 წელს. ASST (რიგ მიზეზეთა გამო, რომელთა შეფასება და აღქმა რთულია) კვლავ რჩება სახელმწიფო ჰოლდინგური სისტემის მიღმა. თუმცა, არსებობს მტკიცებულება, რომ პასუხისმგებლობა მკაფიოდ არის განსაზღვრული და რომ ASST-ის როლი

შემცირდა. 'პასუხისმგებლობა ... ASST-ის შეზღუდულია მხოლოდ მითითებულ ცენტრალურ სატელეფონო სადგურებს შორის (გაშვებული) ზარებით. აპარატურის /ტექნიკის (უზრუნველყოფის) სახით, ეს ცენტრალური სატელეფონო სადგურები ინსტალიერებულია და ოპერირებს SIP-ის მიერ, რომელიც შემდეგ იჯარით აძლევს გარკვეულ ხაზებს ASST-ს.'**(Despicht, op. cit., p. 137.)**

IRI-ს გადასვლა აქტივობათა ახალ სახეობებში, სხვებში მისი პოზიციის გამყარებასთან ერთად, წარმოადგენდა მისი ომისშემდგომი განვითარების ერთ-ერთ მახასიათებელს (და თავისებურებას).

მეორე მახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი ინტერვენცია სამხრეთში, განსაკუთრებით 1957 წლის შემდეგ, როდესაც IRI და სხვა სახელმწიფო ჰოლდინგური ჯგუფები კანონით აიძულეს განლაგებულიყვნენ ამ რეგიონში მათი ინვესტიციების განსაზღვრული პროპორციებით, - მათი მთლიანი იტალიური ინვესტიციების 40 პროცენტით და ახალ ინდუსტრიულ საწარმოებში მათი ინვესტიციების 60 პროცენტით. 1971 წელს ისინი(ე.ი. ეს ინვესტიციები) გაიზარდა შესაბამისად 60 და 80 პროცენტამდე. 1957 წლამდე IRI-ის საქმიანობის დიდი ნაწილი იყო ინდუსტრიულ ჩრდილოეთში. ეს გარდაუვალი იყო, რადგან იგი თავდაპირველად შეიქმნა, როგორც სამრეწველო სამაშველო(გადარჩენის/ხსნის) სააგენტო. IRI-ის იმპერიის ომისშემდგომმა რეკონსტრუქციამ მოიტანა ამ პოზიციის კონსოლიდაცია რამოდენიმე ახალი საწარმოთი სამხრეთში. '1955 წლისთვის IRI ჯერ კიდევ ძალიან ჩრდილოურ ჯგუფად რჩებოდა... 1955 წელს მისი წარმოებაში დასაქმების მხოლოდ 13,9 პროცენტი მოდიოდა სამხრეთზე და დაახლოებით 11,6 პროცენტი, - მის მთლიან დასაქმებაზე. ის თავისი წლიური ინვესტიციის დაახლოებით 25 პროცენტს ათავსებდა სამხრეთში და ინვესტიციების დაახლოებით იგივე წილს წარმოებაში.'**(K. Allen 'Regional Intervention' The State as Entrepreneur , op. cit., p.174.)**

IRI იცავდა 1957 წლის კანონს და გადააჭარბა კიდეც მის მოთხოვნებს, რადგან პრაქტიკულად ყველა ინვესტიცია

ახალ ინდუსტრიულ საწარმოებში განხორციელდა სამხრეთში. ეს ინვესტიციები მოიცავდა საქმიანობის ფართო სპექტრს, თუმცა მისი განვითარების მთავარი მიმართულება 1960-იანი წლების ბოლომდე იყო კაპიტალის ინტენსიური(კაპიტალტევადი/ capital-intensive) ფოლადის სექტორი, განსაკუთრებით ტარანტოში(Taranto). ეს ნათელს ჰფენს, თუ რატომ იყო სამხრეთში IRI-ის დასაქმების ზრდა უმნიშვნელო მის საინვესტიციო ექსპანსიათან შედარებით. ფოლადში ინვესტიციებმა 1958-69 წლებში შეადგინა IRI-ის სამხრეთ საწარმოო ინვესტიციების(manufacturing investments) დაახლოებით 80 პროცენტი და მისი მთლიანი სამხრეთის ინვესტიციების დაახლოებით 48 პროცენტი. მრავალი თვალსაზრისით, ამ ინვესტიციების შედეგები იმედგამაცრუებელი იყო, რადგან განმეორებითი /ხელმეორე(მეურეული) განვითარება არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, IRI-ის გეგმები 1970-იანი წლების პირველი ნახევრისთვის მოიცავს უფრო ფართო და ხშირად ნაკლებად კაპიტალტევად დარგებს.

IRI-ის მესამე მახასიათებელი ომისშემდგომ პერიოდში იყო დაუძლურებული/ავადმყოფი ფირმებისთვის ჰოსპიტალური როლის შემცირება. 1950-იან წლების განმავლობაში იგი ინარჩუნებდა უამრავ კონცერნს (ფირმას/საწარმოს), რომლებიც, ნორმალური კომერ-ციული კრიტერიუმებით დახურული უნდა ყოფილიყო. ეს განსაკუთრებით ეხებოდა საინჟინრო სექტორს. 1950-იანი წლების ბოლოს შრომის ბაზრის პირობების გაუმჯობესებამ ამ პოლიტიკის შერბილება გამოიწვია საკმაოდ მსხვილ ფირმათა დახურვით, რომელთაგან ბევრს საოცრად დიდი ზარალი/დანაკარგები მოჰქონდა. მაგალითად, Ansaldo Fossati-მ გენუაში '1950 და 1958 წლებში 18 მილიარდი ლირას ზარალი განიცადა, 4 მილიარდი ლირით მეტი იმ პერიოდის მთლიან/ჯამურ სახელფასო ანაზღაურებაზე; და რომ ამ დროის ბოლოსთვის ტრაქტორების რამდენიმეწლიანი პროდუქცია(output) კომპანიის შენობაში რჩებოდა გაუყიდავი/დასაწყობებული.(**V. Lutz, Italy: a Stady**

Economic in Development, Oxford: Oxford University Press [1962], p. 279.) 1960-იანი წლების დასაწყისში ასევე განხორციელდა ძირითადი რეკონსტრუქციისა და რაციონალიზაციის პროგრამები სხვა სექტორებში, განსაკუთრებით გემთმშენებლობაში, თანამდევი შემცირებებით /გათავისუფლებებით, მაგრამ, პროფკავშირისა და ადგილობრივი ზეწოლის გამო, რეორგანიზაცია არ იყო ისეთი რადიკალური, როგორც ამას IRI ისურვებდა. სამსახურიდან დათხოვილი /გათავისუფლებული პირები გადამზადდნენ, დასაქმდნენ IRI-ს სხვა ფირმებში ან მიიღეს კომპენსაცია. თუმცა, 1950-იანი წლების უმეტესი დროის განმავლობაში IRI-ს არა მხოლოდ უჭირდა თავის დაღწევა საკუთარი სუსტი ადმინისტრაციისგან /დანაწევრებული ძალაუფლებისგან, (არამედ) მან მოიცვა ის ერთიანად. 1956 წელს 'ის კვლავ დაბრუნდა ტექსტილის სექტორში - (საიდანაც მანამდე მთლიანად გამოვიდა) - მთავრობის მანდატის გადაცემის შედეგად ფინანსური დახმარებითა და რეორგანიზაციით, სამხრეთში უმსხვილესი ბამბის საწარმოსთვის(Manifatture Cotoniere Meridionali), რომელიც მარცხის ზღვარზე იმყოფებოდა.'**(ibid., p. 280.)** 1959 წელს მან მიიღო ტარანტოს ვერფი(გემთმშენებელი ქარხანა), 'ვერფი მოძველებული ობიექტებით, თითქმის არანაირი შეკვეთებით და განსაკუთრებით გაკოტრებულ მდგომარეობაში, რომელიც IRI-ს მთავრობის მოთხოვნით გადაეცა კერძო საწარმოსგან.'**(IRI Annual Report 1959, p. 101.)** თუმცა, 1960-იანი წლების განმავლობაში და 1970-იანი წლების დასაწყისში ის დაეხმარა ძალიან ცოტა მსგავს დაუძლურებულ/სუსტ კომპანიას, და მართლაც მოიშორა ზოგიერთი მარგინალური და ხშირად წამგებიანი ფირმა - ზოგჯერ სხვა სახელმწიფო ჰოლდინგის ჯგუფების, როგორც სახელმწიფო ჰოლდინგის სისტემის რაციონალიზაციის საერთო მცდელობის ნაწილი.**(IRI-ს ტექსტილის ფირმები გადაეცა ENI-ს 1970 წელს, მისი რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის [მწარმოებელი] ფირმები და სამხედრო იარაღის [მწარმოებელი] კომპანია გადაეცა EFIM-ს 1968 წელს, ხოლო ტექსტილის მანქანების**

კომპანია EGAM-ს 1971 წელს. მეორე მხრივ, 1970-1973 წლებს შორის პერიოდში, IRI-მ EFIM-ისგან მიიღო მძიმე ელექტროტექნიკის [მწარმოებელი] სამი კომპანია.) GEPI-ს შექმნას 1971 წელს, რომელზეც დამყარებული იყო სუსტი ფირმების გადარჩენის იმედები, ამ კუთხით შესაძლოა შეემცირებინა IRI-ს ინტერვენციის საჭიროება, თუმცა ალბათ არ ღირს ამ საკითხის (მნიშვნელობის) გაზვიადება, რადგან GEPI იყო გამიზნული მსხვილი კონცერნების /ფირმების პრობლემების გადაჭრის საქმეში მონაწილეობისთვის.

IRI-სთვის ომისშემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მისი დანაკარგები ენერგეტიკულ ინდუსტრიაში. IRI-მ 1930-იანი წლების შუა ხანებში სამაშველო ოპერაციების მეშვეობით უზრუნველყო ელექტროენერგიის რამდენიმე კომპანიის კონტროლი. მთავარი (მონაწილე) კომპანია იყო SIP(Società Idroelettrica Piemonte), თუმცა იგი ასევე ფლობდა მცირე წილს SME(Società Meridionale di Elettricità)-ში, რომელიც იყო სხვა მსხვილი იტალიური ენერგო/ელექტრო(ენერგიის) კომპანია, მოქმედი (როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს) სამხრეთ მატერიკზე. IRI განუხრელად ზრდიდა თავის წილს SME-ში და 1939 წლისთვის ფლობდა მისი აქციების 18 პროცენტს. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ 1951 წელს მოიპოვა მან სრული ფინანსური კონტროლი, როდესაც გაზარდა თავისი წილი 32 პროცენტამდე. IRI-ის იმპერიაში SME-ის დამატებით, IRI ოპერირებდა (თუმცა არა მონოპოლიით) ელექტროენერგიის გენერაციაში, ტრანსმისიასა და რეალიზაციაში მთელ სამხრეთ მატერიკზე, ცენტრალური იტალიის უმეტეს ნაწილში, თითქმის ჩრდილოეთით ფლორენციამდე (მაგრამ დასავლეთ სანაპირო ზონის გამოკლებით), და ჩრდილო-დასავლეთით, ტურინის ჩათვლით, მაგრამ მილანისა და გენუას გამოკლებით. მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმიანობის ძირითადი სფეროები გეოგრაფიულად იყო სეპარირებული, ტერიტორიათაშორისი/მხარეთაშორისი ტრანსფერები ტექნიკურად განხორციელებადი იყო 1950-იანი წლების დასაწყისში და ნაწილობრივ ამის შედეგად,

IRI-ს ელექტროენერგიის სექტორი 1952 წელს დაექვემდებარა finanziaria (Finelettrica)-ს. იტალიის წარმოებული/გამომუშავებული(output) ელექტრო-ენერგიის დაახლოებით მეოთხედი იყო Finelettrica-ს მიერ უზრუნველყოფილი და ის ამ პროპორციას/თანაფარდობას ფლობდა 1962 წლის დეკემბრის ნაციონალიზაციამდე.

ელექტროენერგიის ინდუსტრიის ნაციონალიზაცია 1960-იანი წლების დასაწყისში ეროვნული დაგეგმა-რებისადმი იტალიის მზარდი ინტერესის შედეგი იყო, იმის აღიარებით, რომ არსებული სისტემა ელექტრო-ენერგიის ფასების მიმართ არახელსაყრელ მდგომარეო-ბაში აყენებდა სამხრეთს(**1959 წელს საყოფაცხოვრებო დანიშნულებით/განათებისთვის ელექტროენერგია კვტ/სთ-ზე ჩრდილოეთში ღირდა 33,2 ლირა, ცენტრში - 35,5 ლირა, სამხრეთ მატერიკზე - 40,1 ლირა და კუნძულებზე 42,4 ლირა. მცირე და საშუალო ზომის ინდუსტრიები[მრეწველობა] ელექტრო-ენერგიისთვის იმავე წელს იხდიდნენ 18,7 ლირას ჩრდილოეთში, 19,4 ლირას ცენტრში, 22 ლირას სამხრეთ მატერიკზე და 24,0 ლირას კუნძულებზე. A. Servidio, Il Nodo Meridionale. Naples: Edizioni Sientifiche Italiane. 1972, p. 212.)**

IRI -ის ჰოლდინგის მიღმა, ენერგო/ელექტროენერგიის სექტორი იყო ფრაგმენტული და საჭიროებდა რაციონალიზაციას. საინტერესოა, რომ არსებობდა მცირე დისკუსია იმის შესახებ, რომ ეს განხორციელებულიყო IRI-ის მეშვეობით. სავარაუდოდ, (მასში) ჩართული კომპანიების დიდი რაოდენობის გათვალისწინებით (ეს) შესაძლოა რთული ყოფილიყო, მაგრამ პოლიტიკურმა ფაქტორებმა უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა ნაციონალიზაციის და არა 'IRI-ზაციის' გადაწყვეტი-ლებაზე. IRI-ს გამოყენება არც ქრისტეან-დემოკრატების კონსერვატიულ ფრთას დაამშვიდებდა კერძო ფირმების ხელში ჩასაგდებად მათ წინააღმდეგობაში, და არც სოციალისტებისა და ქრისტეან-დემოკრატების მემარცხენე ფრთისთვის იქნებოდა საკმარისად შორს წასული.

ნაციონალიზაციის კანონი მიღებულ იქნა 1962 წლის

დეკემბერში და ელექტროენერგიის ინდუსტრიის დიდი ნაწილი მოექცა ENEL-ის(Ente Nazionale di Energia Elettricà) დაქვემდებარებაში. ელექტროენერგიის მწარმოებელი სამრეწველო ფირმების მფლობელობაში მყოფი ქარხნები, რომლებიც აწარმოებდნენ ელექტროენერგიას საკუთარი საჭიროებისთვის, ისევე როგორც კომპანიები, რომლებიც ოპერირებდნენ ადგილობრივი ან სამხარეო ადმინისტრაციების მიერ, გამოირიცხა ნაციონალიზაციისგან, ასე რომ ENEL პასუხისმგებელი გახდა ეროვნული ელექტროენერგიის პროდუქციის/წარმოების(output) 75 პროცენტზე ოდნავ ნაკლებზე.

ელექტროენერგიის ძველმა კომპანიებმა მიიღეს კომპენსაცია ნაციონალიზაციის დროს მათი აქციების საშუალო ფასების საფუძველზე 1959-1961 წლებში. თუმცა, კომპენსაცია გაიცა არა ცალკეულ აქციონერებზე, არამედ თავად კომპანიებზე, 'რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობდნენ სხვა პროდუქტიულ აქტივობებში... რაც უზრუნველყოფს დამატებით სტიმულს ზრდისთვის'.**(La Palombara, op. cit., p. 74.)** ეს იმედები გარკვეულწილად ფრუსტრირებული(გაცრუებული) იქნა და ზოგიერთმა ძველმა ელექტროენერგეტიკულმა კომპანიამ/ქარხანამ, საკუთრი მონაწილეობით იმაში, რაც მათთვის წარმოების რელატიურად(შედარებით) უცნობ სექტორს წარმოადგენდა, უფრო მეტი ზიანი მოიტანა, ვიდრე სარგებელი. მაგალითად, Montecatini-Edison-ის პრობლემები, არ არის ელექტროენერგიის ნაციონალიზაციის სრულიად შეუსაბამო შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ აქციონერებს ჰქონდათ გასვლის უფლება, არსებობს მტკიცებულება, რომ ამით მხოლოდ მცირედმა ისარგებლა. ეს განსაკუთრებით ეხება IRI-ის ფირმებს. შეგახსენებთ, რომ ამ სფეროში IRI-ის ორი მსხვილი კომპანია იყო - SIP და SME. ნაციონალიზაციის შემდეგ, SIP გაერთიანდა IRI-ის ხუთ სატელეფონო კომპანიასთან, რათა შექმნილიყო ახალი კომპანია STET-ის დაქვემდებარებაში, რომელსაც ექნება ინიციალები SIP, მაგრამ განსხვავებული სახელწოდება, - Società Italiana per l'Esercizio Telefonico. საკომპენსაციო ფონდები/თანხები

დიდწილად გამოიყენებოდა სატელეფონო სექტორის მოდერნიზაციისთვის. SME-ის კომპენსაცია უფრო საინტერესო სახით იქნა გამოყენებული. კომპანიამ მიიღო ახალი სახელი (Società Meridionale Finanziaria), თუმცა შეინარჩუნა ძველი ინიციალები და დაიწყო სრულიად ახალი საქმიანობები. იგი გახდა IRI-ს დაქვემდებარებული ჰოლდინგული კომპანია, რომელიც ფართო სპექტრით იძენდა წილებს მრეწველობაში, მშენებლობაში, მსხვილ საცალო ვაჭრობასა და სოფლის მეურნეობაში. მისი ყველაზე ცნობილი შენაძენები იყო კვებისა და საკონდიტრო მრეწველობაში და უკვე გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების ბოლოს და ოთხმოციანი წლების დასაწყისში ის ფლობდა აქციათა საკონტროლო პაკეტს ისეთ ცნობილი კომპანიებში, როგორიცაა Motta, Surgela, Alemagna, STAR და CIRIO. SME-მა მიზანმიმართულად განახორციელა მნიშვნელოვანი შესყიდვები სამხრეთში და ითამაშა სასარგებლო როლი ამ სფეროში. SME-ის საქმიანობამ კვებისა და საკონდიტრო მრეწველობაში მსხვილ სასურსათო მულტინაციონალურ /ტრანსნაციონალურ კომპანიებს ასევე არსებითად წაართვა იტალიის საკონდიტრო მრეწველობის ხელში ჩაგდების შესაძლებლობა. ეს როლი, რომელიც იცავს იტალიის მრეწველობას უცხოური დომინაციისგან, არც თუ ისე უცნობია IRI-სთვის. იტალიური მრეწველობის უცხოური მფლობელობის ხარისხისა/მასშტაბისა და მზარდი პოლიტიკური ინტერესის გათვალისწინებით ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს შეიძლება იყოს გაფართოებული როლი მომავალში.

IRI-ის ომისშემდგომი განვითარების ბოლო მახასიათებელია ის, რომ როგორც წესი ის უპირატესად აკვირდებოდა უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებს, Alitalia იყო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველთაგანი ავიაკომპანიებს შორის, რომელმაც ფართოდ გამოიყენა რეაქტიული თვითმფრინავები. მან განიცადა სწრაფი ექსპანსია გიგანტური რეაქტიული თვითმფრინავების (ავიალაინერების/ეარბუსების) ოპერაციებში/ სექტორში. ფოლადის ინდუსტრიის განვითარება, რომელიც

ძირითადად დაფუძნებული იყო დიდ თანამედროვე ინტეგრირებულ ქარხნებსა და იაფი რკინისა და ფოლადის წარმოებაზე ქვეყანაში, მცირე რაოდენობის აუცილებელი ბუნებრივი რესურსებით, წარმოადგენდა (მის) მთავარ მიღწევას და (რითაც) მან დაძლია ინდუსტრიის განვითარების მნიშვნელოვანი დაბრკოლებები. სატელეფონო სექტორი შეუდგა სრულად ოპერირებას STD -ით და დაიწყო მოწინავე სატელიტური ტრანსმისიის სისტემების მნიშვნელოვნად გამოყენება, ხოლო IRI-ს ავტოსტრადის პროგრამის(IRI's autostrade programme) წყალობით შეიქმნა უმაღლესი სტანდარტების გზები. გემთმშენებლობის სექტორი, თუმცა ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი იყო 1950-იანი წლების დროის უმეტესი ნაწილი, 1960-იან წლების განმავლობაში მან წარმოების სისტემების მნიშვნელოვანი სრულყოფა-განვითარება განიცადა. რიგ სექტორებში IRI იყენებდა გამოცდილ და დახვეწილ უცხოურ ტექნოლოგიას, მაშინაც კი, როდესაც ეს მოითხოვდა ერთობლივი კომპანიების ჩამოყალიბებას უცხოურ კონცერნებთან.

1970-იანი წლებისთვის IRI იყო იტალიის უმსხვილესი კომპანია, (იმისგან დამოუკიდებლად იქნება ეს) გაზომილი აქტივების ღირებულებით, დასაქმებითა თუ გაყიდვებით. საერთაშორისო შედარებები ყოველთვის რთულია, მაგრამ ის, უდავოდ მსოფლიოს ოც უმსხვილეს ფირმას შორის იმყოფებოდა. იტალიის ფარგლებში მისი ზომა(მოცულობა/მასშტაბი) ნიშნავდა, რომ იგი (ამ მოცულობით) იკავებდა ეკონომიკური აქტივობის არც თუ ისე უმნიშვნელო წილს. 1971 წელს მასში დასაქმებული იყო დაახლოებით 407 000 თანამშრომელი, რაც უდრიდა არასასოფლო-სამეურნეო სფეროში იტალიელ დასაქმებულთა სრული განაკვეთის 3,3 პროცენტს. მისი წარმოების დასაქმება(დასაქმების წილი მრეწველობაში) 246.000 (მაჩვენებლით) უტოლდებოდა წარმოებაში სრულ განაკვეთზე დასაქმებულთა 5.1 პროცენტს. 412 მილიარდი ლირას (ოდენობის) მისი წარმოების ფიქსირებული ინვესტიციები(მყარი კაპიტალდაბანდებები [გადამამუშავებელი] მრეწველობის ძირითად ფონდებში)

(1970 წელს) იყო შესაბამისი ეროვნული მაჩვენებლის 11.1 პროცენტი.

IRI-ის იმპერიაში ომისშემდგომი დიდი ცვლილებების მიუხედავად, ის კვლავ რჩებოდა დიდი მასშტაბით მძიმე ინდუსტრიის, საკვანძო სექტორის ჯგუფად. 1970 წელს მისი წარმოების(გადამამუშავებელი მრეწველობის) გაყიდვების 84 პროცენტი (და მთლიანი გაყიდვების 53 პროცენტი) მოდიოდა ფოლადის, (უმთავრესად მძიმე) ინჟინერიასა(მანქანათმშენებლობასა) და გემთმშენებლობაზე. 1960 წელს პროპორციები/წილი იყო შესაბამისად 87 და 57 პროცენტი. 1960-70 წლებში, IRI-ის წარმოების ინვესტიციების(ინვესტიციები [გადამამუშავებელ] მრეწველობაში) 93 პროცენტი და მისი მთლიანი ინვესტიციების 41 პროცენტი იყო ამ სექტორებში. ინვესტიციების ეს სექტორული კონცენტრაცია ნიშნავდა იმას, რომ IRI მიდრეკილია გაზარდოს თავისი საბაზრო წილები ამ სექტორებში. 1967 წელს იგი აწარმოებდა იტალიის თუჯის 94 პროცენტს 1951 წლის 60 პროცენტთან შედარებით, 58 პროცენტს ფოლადს 1951 წლის 42 პროცენტთან შედარებით და ფლობდა გემთმშენებლობის სიმძლავრის 80 პროცენტს 1951 წლის 62 პროცენტთან შედარებით. გარდა ამისა, მას ჰქონდა სრული მონოპოლია სატელეფონო სექტორში 1951 წლის სატელეფონო ბიზნესის 59 პროცენტთან შედარებით და, ანალოგიურად, (ის ფლობდა) საჰაერო ტრანსპორტის იტალიურ მონოპოლიას.**(მაჩვენებლები ძირითადად აღებულია: M. Guido, 'State Holdings in the Italian Economy'. Review of Economic Conditions in Italy. Banco di Roma. [September 1968])** ამ საკვანძო სექტორებში IRI-ის დომინირება და ეროვნული, თუნდაც არა საერთაშორისო კონკურენციის ნაკლებობა გარდაუვლად გააჩენდა რისკებს, თუ არ იარსებებდა გარკვეული ხარისხის სარწმუნოობა/ნდობა, რომ IRI ფუნქციონირებდა ეროვნული ინტერესების შესაბამისად.

2.1.1.2 §. ENI

მრავალი თვალსაზრისით ENI-ს ისტორია არანაკლებ საინტერესო და მღელვარეა ვიდრე IRI-ის ისტორია. ENI შეიქმნა პარლამენტის აქტით 1953 წლის თებერვალში, რომლის ფართო ამოცანაც იყო 'ნახშირწყალბადებისა და ბუნებრივი აირის სფეროში ეროვნული ინტერესების ხელშეწყობა და განვითარება'**(კანონი No136 [10 თებერვალი 1953 წ.] 1 მუხლი, რის საფუძველზეც შეიქმნა ENI),** ხოლო1969 წელს მისი წესდების ცვლილების შემდეგ, - ქიმიკატებში/ქიმიურ ნივთიერებებში, ბირთვულ საწვავსა და მომიჯნავე დარგებში. შექმნისას მან დააწესა კონტროლი სხვადასხვა ადრინდელ სახელმწიფო და ნახევრადსახელმწიფოებრივ საწარმოზე. მათი ისტორია და თავად ENI-ს შექმნამდელი ფაქტორები და დისკუსიები მნიშვნელოვანია მისი შემდგომი განვითარებისა და მუშაობის გასაგებად.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია ცნობილი იყო, რომ იტალიაში არსებობდა ადგილობრივი ნავთობი და გაზი, მათი ექსპლუატაცია თითქმის არ ხდებოდა, მიუხედავად გულუხვი ფისკალური სტიმულებისა. ამ სფეროში მოქმედი იტალიური კომპანიები უფრო მეტად იყვნენ დაინტერესებულნი გარე, ვიდრე შიდა (მათი) [მო]ძიებითა და გამოვლენით. 1920-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იტალიური ნავთობის მარაგების დიდ ნაწილს ბრიტანული ან ამერიკული კომპანიები უზრუნველყოფდნენ (და დაახლოებით 17 პროცენტს სსრკ), სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი მარაგების უფრო ფართოდ გამოყენების უზრუნველსაყოფად ერთადერთი გზა იყო სახელმწიფო ან პარასახელმწიფო კომპანიების ჩამოყალიბება. ამიტომ, 1926 წელს შეიქმნა AGIP, რომელსაც დაეკისრა ნავთობის მოძიების ამოცანები (ქვეყნის შიგნით და გარეთ), აგრეთვე მათი ექსტრაქცია(მოპოვება) და რაფინირება(დაწმენდა-გასუფთავება). კომპანიის 60 პროცენტს ფლობდა სახელმწიფო, 20 პროცენტს სადაზღვევო კომპანია INA(Instituto Nazionale delle Assicurazioni) და 20 პროცენტს სახელმწიფო საყოველთაო-სავალდებულო სადაზღვევო ფონდი.

მრავალი თვალსაზრისით, ENI-ის შექმნამდე, AGIP იყო მთელი რიგი სახელმწიფო და ნახევრადსახელმწიფო კომპანიების ცენტრი ნავთობის, ბუნებრივი გაზის და მონათესავე ინდუსტრიებში. AGIP-ის წესდება მას საკმაოდ ფართო საინვესტიციო უფლებამოსილებას აძლევდა და ის იქნა გამოყენებული. მან შეიძინა დომინანტური წილი ჰოლანდიის მიერ კონტროლირებად ფირმა ROMSA (Raffineria Oli Minerali)-ში, რომელიც ოპერირებდა ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას ფიუმში(Fiume) ჩრდილოეთ იტალიაში; AGIP-მა (თავის თავზე) აიღო მთავარი პასუხისმგებლობა გადამამუშავებელ ქარხანაზე და ROMSA-ს დაუტოვა ქარხნის საპოხი მასალებისა და სხვა ქვეპროდუქტების გაყიდვის ფუნქცია. AGIP ასევე დაკავშირებული იყო ANIC-თან (Azienda Nazionale Idrogenazione Combustibili), რომელიც შეიქმნა 1936 წელს და რომლის ნახევარს ფლობდა Montecatini, ნახევარს კი სახელმწიფო რკინიგზა და AGIP-ი. ANIC-მა ააშენა ორი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (ხელისუფლების მნიშვნელოვანი დახმარებით), რომლებმაც დაიწყეს ფუნქციონირება 1938 წლისთვის. ROMSA-სა და ANIC-ის გარდა, AGIP-მა ასევე მიიღო წილი SNAM-ში (Societa Nazionale Metanodotti), რომელიც შეიქმნა 1941 წელს მეთანის მილსადენების ასაშენებლად და სამართავად, ასევე მისი(მეთანის) დისტრიბუციისთვის და გასაყიდად. SNAM-ის 30 პროცენტს ფლობდა AGIP, 30 პროცენტს - Regie Terme di Salsomaggiore (სახელმწიფო ფირმა) და 30 პროცენტს - ENM (Ente Nazionale Metano). ეს უკანასკნელი იყო 1940 წელს შექმნილი საჯარო კორპორაცია, რომელსაც ევალებოდა მეთანის ექსპლორაცია([მო]ძიება) და ექსტრაქცია იტალიაში. მრავალი ასპექტით ENM-ს მეთანის სფეროში, ჰქონდა ანალოგიური როლი, როგორც AGIP-ს ნავთობში.

ომმა კატასტროფა გამოიწვია იტალიის ნავთობისა და გაზის მრეწველობისთვის და მასში ჩართული კომპანიებისთვის. ANIC-ის ორი (ნავთობ) გადამამუშავებელი ქარხანა ძალიან მძიმედ დაზიანდა, ფიუმეს(Fiume) (ნავთობ)გადამამუშავებელი ქარხანა ანექსირებული იქნა

იუგოსლავიის მიერ და AGIP-ის მნიშვნელოვანი კოლონიალური და ომისდროინდელი აღმოსავლეთ ევროპული საქმიანობა შეწყდა. გარდა ამისა, სხვადასხვა სადისტრიბუციო სისტემა - მილსადენები, საგზაო და საზღვაო ტანკერები - რომლებიც შეიქმნა AGIP-ის და სხვა კომპანიების მიერ, ძლიერ დაზიანდა დაბომბვისა და საბოტაჟის/დივერსიის შედეგად.

ისევე როგორც IRI-ს შემთხვევაში, ომისშემდგომი პერიოდი ხასიათდებოდა გაცხოველებული აქტივობებით კომპანიების აღდგენისა და ომის დანაკარგების ანაზღაურების მიზნით. ROMSA-მ, თავისი (ნავთობ) გადამამუშავებელი ქარხნის გარეშე, გააფართოვა საცხებ-საპოხი მასალების დისტრიბუცია და გაყიდვები, ააშენა რამდენიმე ბიტუმოვანი/ბიტუმის(ფისოვან ნივთიერებათა, როგორიცააა: ასფალტი, გუდრონი, ნავთობი და მისთ.) ემულსიების(ზეთოვანი სითხეების) წარმოებისთვის და შემრევი/შემზავებელი ქარხანა ჩრდილო-აღმოსავლეთ იტალიაში. ENM-მა გააფართოვა მეთანის წარმოება და დისტრიბუცია, ხოლო SNAM-ს 1948 წლისთვის გაჰყავდა დიდი დიამეტრის მეთანის მილსადენები. თავის მხრივ, ANIC-მა ხელახლა ააშენა თავისი ორი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა Standard Oil Company-სთან ერთად. თუმცა, ეჭვგარეშეა, რომ AGIP იყო ლიდერი, მანათობელი შუქურა ომისშემდგომ რეკონსტრუქციაში. იგი ახორციელებდა ფინანსურ კონტროლს ყველა ზემოთ ხსენებულ კომპანიაზე, გარდა ENM-ისა; და საინტერესოა, რომ ENM-მა დაკარგა მნიშვნელობა ომისშემდგომ პერიოდში და დაიშალა ENI-ს შექმნით 1953 წელს. თავად AGIP-ის განვითარება იმ სფეროებში, სადაც მას პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, შთამბეჭდავი იყო. მან სწრაფად აღადგინა საგზაო და საზღვაო ტანკერების ფლოტი და საცალო (ვაჭრობის) ბენზინგასამართი სადგურები. მაგრამ AGIP-ის ომისშემდგომი მთავარი მოვლენა იყო იტალიაში ნახშირწყალბადების მოძიება და ექსპლუატაცია (დამუშავება-გამოყენება).

ომთაშორის წლებში AGIP-მა ჩაატარა ნახშირწყალ-

ბადების ფართო კვლევები/საძიებო სამუშაოები იტალიაში, განსაკუთრებით პოს ველზე (იტალ.: Pianura Padana [pja nu ra pa da na], ან Val Padana). მიუხედავად იმისა, რომ ომის ბოლოს არც გაზი და არც ნავთობი არ იქნა ნაპოვნი კომერციული რაოდენობით, არსებობდა უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ ასეთი აღმოჩენები მრავლად იყო შესაძლებელი. რა თქმა უნდა, 1945 და 1946 წლებში არაერთი უცხოური კომპანია ენთუზიაზმით დაინტერესდა პოს ველის პერსპექტივით. თუმცა, 'როგორც ჩანს, ნაკლებად ოპტიმისტური იყო ამ პერიოდში სამთავრობო უწყებებისა და AGIP-ის პასუხისმგებელი პირების დამოკიდებულება'.**(L. Faleschini and G. Kojanec 'Ente Nazionale Idrocarburi' in Volume IV of Enciclopedia del Petrolio e del Gas Naturale. p. 5.)** 1945 წელს მთავრობამ გამოსცა AGIP-ს ინსტრუქციების (მთელი) სერია ჰოლდინგური პოლიტიკის გასატარებლად მისი საძიებო საქმიანობის შესაძლებლობის ფარგლებში და ახალი საძიებო პროგრამების შესაჩერებლად, ჭარბი სამუშაო ძალისა და ქარხნების თავიდან აცილებისა, და მისი საქმიანობის (სწრაფი უკუგების მომტანი აქტივობების გარდა) შეზღუდვის მიზნით.

პესიმიზმი ან გაურკვევლობა პოს ხეობაში პერსპექტივების შესახებ არ იყო საერთო მთელი AGIP-ისთვის. ომის დროს AGIP ორ ნაწილად იყო დაყოფილი, ერთი რომიდან ოპერირებდა, მეორე კი ჩრდილოეთში. განთავისუფლებისთანავე ჩრდილოეთის ნაწილი მოექცა ექსპარტიზანი ლიდერის, უზარმაზარი თავდაჯერებულობისა და მონდომების მქონე კაცის, ენრიკო მატეის(Enrico Mattei) კონტროლის ქვეშ, - კაცის, რომელსაც შემდგომში სასიცოცხლო (მნიშვნელობის) როლი უნდა შეესრულებინა ENI-ს განვითარებაში. 1945 წელს, დარწმუნებული პოს ველის დიდ პერსპექტივაში, ის იბრძოდა AGIP-ის საძიებო პროგრამის ყოველგვარი შეჩერების წინააღმდეგ. ამაში ის წარმატებული იყო და მისმა თავდაჯერებულობამ და მონდომებამ შედეგი გამოიღო. გაზის დიდ აღმოჩენას ადგილი ჰქონდა კავიაგაში(Caviaga) 1946 წელს და რიპალტაში(Ripalta) 1947

წელს. 1948 წელს მატეი გახდა AGIP -ის ვიცე-პრეზიდენტი და რამაც ახალი ბიძგი მისცა ექსპლორაციას. იმავე წელს ნავთობი აღმოაჩინეს პატარა სოფელში, რომლის სახელიც (მომავალში) ცნობილი უნდა გამხდარიყო - (ეს იყო) კორტემაჯორე(Cortemaggiore). მას შემდეგ, AGIP-მა საგრძნობლად გააფართოვა თავისი საქმიანობა, როგორც საკუთარი პირდაპირი პასუხისმგებლობის სფეროებში, ასევე იმ კომპანიების დახმარებით, რომლებშიც ის ფლობდა აქციებს. კერძოდ, მეთანის წარმოება გაიზარდა 1948 წელს 28 მილიონი კუბური მეტრიდან 724 მილიონამდე 1951 წლისთვის, მაშინ როდესაც მილების დისტრიბუციის სისტემა SNAM-ის მეშვეობით, გაფართოვდა მზარდი წარმოების მოცულობისა(output) და ბაზრების დასაკმაყოფილებლად.

სხვადასხვა სახელმწიფო და ნახევრადსახელმწიფო-ებრივი კომპანია, რომლებიც მონაწილეობდნენ ნახშირწყალბადების მოძიება-დაზვერვით სამუშაოებში, გადამუშავებასა და განაწილებაში, იზრდებონენ სხვადასხვა დროს და შედარებით ცუდად იყვნენ კოორდინირებულნი. მათი ამოცანები და როლები ხშირად ფუჭად (ნაწილობრივ) ემთხვეოდა ერთმანეთს. იმავდროულად, AGIP-ის ნავთობის აღმოჩენებმა და მეთანის მოპოვების მუდმივმა ზრდამ აღაფრთოვანა საზოგადოებრივი აზრი და აიძულა მთავრობა აქტიურად განეხილა, თუ როგორ უნდა დაორგანიზებულიყო (მოწყობილიყო) სწრაფად მზარდი ნახშირწყალბადების ინდუსტრია და დაკმაყოფილებულიყო მისი დიდი მოთხოვნები კაპიტალზე. საბოლოო შედეგი, ძალიან ხანგრძლივი დისკუსიისა და დებატების შემდეგ, იყო სახელმწიფო ჰოლდინგი ENI, რომელიც შეიქმნა 1953 წლის თებერვალში. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ENI-ს შექმნისკენ მიმავალი დებატები ძალიან გაჭიანურებული იყო თუნდაც იტალიური სტანდარტებით. კანონპროექტი პარლამენტში დაახლოებით წელიწადნახევარი განიხილებოდა და მის შემოღებას წინ უძღოდა სამი წლის განმავლობაში საკომიტეტო მუშაობა. ხანგრძლივი დისკუსიების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ

არსებობდა მნიშვნელოვანი უთანხმოება იმის თაობაზე, უნდა გადასცემოდა თუ არა ENI-ს პოს ხეობაში ექსპლორაციისა და ექსპლუატაციის მონოპოლია. მატეი ჯუტად ამტკიცებდა ამის საჭიროებას, და მიუხედავად იმისა, რომ მონოპოლიის არსებობის საჭიროება საბოლოოდ იქნა აღიარებული, მას პარლამენტის მრავალი წევრის მხრიდან სერიოზული დაეჭვებისა და სიფრთხილის გამოვლენის გარეშე მაინც არ ჩაუვლია.

მრავალი თვალსაზრისით ENI დაფუძნებული იყო IRI -ს მოდელზე. კანონით, რომლითაც ის შეიქმნა, იურიდიულად წარმოადგენდა საჯარო კორპორაციას და, ისევე როგორც IRI, მას უნდა ემოქმედა კონტროლქვეშ ან კავშირში მყოფი კომპანიების მეშვეობით. მას გადაეცა სახელმწიფოს საკუთრება AGIP, ANIC, ROMSA და SNAM-ში და, ამრიგად, მან მიიღო აქციათა საკონტროლო პაკეტი ყველა ამ კომპანიაში. ENM დაიშალა. მატეი გახდა ENI-ის პირველი პრეზიდენტი და მის დროს ის სწრაფად გაფართოვდა და გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნავთობ-ქიმიური კონცერნი.

მატეის გარდაცვალებამდე (ავიაკატასტროფა 1962 წლის მარტში) პერიოდი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და (ხასიათდებოდა) გარკვეულწილად მკვეთრი და გაბედული ექსპანსიით. ფიქსირებული ინვესტიციები (ანუ, ინვესტიციები წამოებაში /ინვესტიციები ძირითად ფონდებში[ძირითად კაპიტალში]), 1954-1962 წლებში რვაჯერ გაიზარდა, გაყიდვები - 170 პროცენტით და დასაქმება - 250 პროცენტით. ბუნებრივი აირის აღმოჩენები პოს ხეობაში სწრაფად ექვემდებარეობოდა გამოყენება-ათვისებას, და გაზისა და ნავთობის ფართომასშტაბიანი ძიება სხვა ქვეყნებში მიმდინარეობდა, რასაც მოჰყვა მნიშვნელოვანი ინვესტიციები, რომლებიც მიმართული იყო მოპოვებაზე. ასევე დიდი ინვესტიციები განხორციელდა ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებსა და სადისტრიბუციო სისტემებში (ბუნებრივი აირის ძირითადი მილსადენების ჩათვლით იტალიაში) ნავთობისა და გაზის გადამუშავებისა და განაწილებისთვის. წარმოების პროცესში წინსვლის

კვალდაკვალ ჯგუფმა გააფართოვა თავისი ნავთობ-ქიმიური ინტერესები და განსაკუთრებით (მინერალური) სასუქების მიმართულებით (რითაც დაირღვა ის, რაც შედარებითი მონოპოლია იყო იტალიაში). მიუხედავად ამისა, ENI ითვლებოდა საკმაოდ მძლავრ ენერგეტიკულ ჯგუფად, და 1950-იანი წლების მეორე ნახევარში, მისი სხვა ენერგეტიკული ინტერესების შესავსებად, მან დაიწყო დიდი ინვესტიციების ჩადება ბირთვულ ენერგიაში - კვლევებში და ატომური ელექტროსადგურების მშენებლობასა და მართვაში. ამ საქმიანობის დიდი ნაწილი დასრულდა 1962 წელს, როდესაც მოხდა ელექტრო-ენერგიის ნაციონალიზაცია.

ბევრი თვალსაზრისით ENI-ს უფრო გაუმართლა ვიდრე IRI-ს. მას არ მიუღია მემკვიდრეობით დიდი ინვესტიციები მძიმე და კლებად(რეგრესულ) მრეწველობაში და არც იმავე მასშტაბით (ხარისხით /მოცულობით) გამოიყენებოდა/იყო ჩართული სამაშველო ოპერაციებში. თუმცა, მან ვერ შეძლო სრულად აეირიდებინა თავიდან ტვირთი და მას შესთავაზეს დაპატრონებოდა(პატრონაჟი გაეწია) რამდენიმე სუსტ/დაუძლურებულ საინჟინრო ფირმას (რომელთაგან Pignone იყო ყველაზე მნიშვნელოვანი) და ტექსტილის ზოგიერთ კონცერნს, რომელთა შორის იყო დიდი ფირმა Lanerossi. როგორც სახელმწიფო ჰოლდინგის რაციონალიზაციის პროგრამის ნაწილი, მან შეიძინა IRI-ს ტექსტილის წილი 1970 წელს.

ENI-ის ექსპანსია(გაფართოება) დიდწილად ფინანსდებოდა პადანის დაბლობი-ს(Pianura Padana [pja nu ra pa da na], or Val Padana / პოს ხეობა ან პოს დაბლობი) გაზით. ის იყიდებოდა მხოლოდ ნავთობზე ოდნავ დაბალი ფასებით, ასევე (გა)დამუშავებისა და ექსპლუატაციის ხარჯები გაცილებით დაბალი იყო. აქ მონოპოლიის უზრუნველყოფით, ENI-მ მოიპოვა ის, რაც არც თუ ისე შორს იყო ფულის საბეჭდი დაზგისგან. სირთულეები, რომლებსაც მთავრობა გადააწყდა ENI-ის კონტროლის დროს, დიდწილად იყო იმის შედეგი, რომ ჯგუფი ფინანსურად დამოუკიდებელი იყო

მთავრობისგან, - სრულიად განსხვავებული IRI-სგან.

მატეის სიკვდილის შემდეგ ENI-მ ძალიან რთული დრო გამოიარა. ნაწილობრივ ეს განპირობებული იყო მატეის დაკარგვით და იმ ფაქტით, რომ არ არსებოდა მისი ბუნებრივი მემკვიდრე, მაგრამ, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია, (ის) რომ ENI-მ საკმაოდ უზარმაზარი ინვესტიციები განახორციელა 1961-1963 წლებში, მათ შორის (იყო) მთავარი ნავთობქიმიური კომპლექსი ჯელაში(Gela), სიცილიაში. ამ სამი წლის განმავლობაში ENI ჯგუფმა 25 პროცენტით მეტი ინვესტიცია განახორციელა, ვიდრე წინა შვიდი წლის განმავლობაში. ENI მრავალი თვალსაზრისით იმყოფებოდა თავისი შესაძლებლობების ზღვარზე და საჭიროებდა მნიშვნელოვან გარე/მოზიდულ სახსრებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1964-65 წლებში იტალიის დეპრესიამ შეამცირა თვითდაფინანსების პერსპექტივები, რამაც, ამ პერიოდში კაპიტალის ბაზრებზე არსებულ სირთულეებთან ერთად აიძულა ENI მიემართა მთავრობისთვის თავისი დოტაციური/საფინანსო ფონდის გაზრდის თაობაზე. 1953 წელს, შექმნისთანავე, ENI-ს გადაეცა 30 მილიარდი ლირის დოტაციური ფონდი. 1953-1963 წლებში, მატეის საკუთარი შეხედულებებისა და გაზიდან მიღებული მოგების რეფლექსიით, ის მხოლოდ 6,9 მილიარდი ლირით გაიზარდა. თუმცა, 1964 წელს ENI-მ მიაღწია 25 მილიარდი ლირით გაზრდას, ხოლო 1965 წელს კიდევ 20,5 მილიარდი ლირით. მიუხედავად ამისა, მას მოუწია ინვესტიციების შემცირება. მთლიანი ინვესტიცია(კაპიტალდაბანდება ძირითად ფონდებში) შემცირდა, როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტორების, ასევე ჯელას პროექტის(the Gela project) დასრულების შედეგად, 264 მილიარდი და 236 მილიარდი ლირადან 1962 და 1963 წლებში, 167 მილიარდ და 134 მილიარდ ლირამდე 1964 და 1965 წლებში შესაბამისად.

1966 წლიდან მოყოლებული დროის განმავლობაში ENI განიცდიდა სტაბილურ ზრდასა და კონსოლოდაციას (განმტკიცება-გაძლიერებას). 1966-1972 წლებში ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 280

პროცენტით, გაყიდვები 130 პროცენტით და დასაქმება 45 პროცენტით. 1972 წლისთვის ENI-ში დასაქმებული იყო დაახლოებით 80 000 მუშა. ბევრად უფრო მეტად, ვიდრე უწინ, 1966 წლის შემდგომი ზრდა ფინანსდებოდა დოტაციური ფონდის(the endovment fund, - მიზნობრივი კაპიტალის ფონდი არის საინვესტიციო პორტფელი[an investment portfolio], რომლის საწყისი კაპიტალი[the initial capital] მომდინარეობს შემოწირულობებიდან[donations]. ის იქმნება საქველმოქმედო და არაკომერციული ინსტიტუტების დასაფინანსებლად, როგორიცაა ეკლესიები, საავადმყოფოები და უნივერსიტეტები. შემოწირულობები საქველმოქმედო ფონდებში არ იბეგრება გადასახადებით[tax-deductible]) მეშვეობით. 1960-იანი წლების შუა პერიოდიდან, მთლიანი ფიქსირებული ინვესტიციების დაახლოებით ერთი მეოთხედი იფარებოდა დოტაციური ფონდის მიერ და, როგორც ჩანს (ეს) გახდა ე.წ. a rule of thumb (ე.ი., საკმაოდ ზუსტი სახელმძღვანელო ან პრინციპი, რომელიც დაფუძნებულია პრაქტიკაზე და არა თეორიაზე.), რომ ENI-ს კაპიტალზე მოთხოვნების ეს ნაწილი ამ გზით უნდა დაკმაყოფილებულიყო. IRI-სთან შედარებით, (ეს) პროპორცია/წილი არის მაღალი, რაც ასახავს მოსაზრებას, რომ ENI, უფრო მეტად, ვიდრე IRI, ჩართული იყო ისეთ საქმიანობაში, რომელიც მოითხოვდა მეტ კვლევას, ზოგადად იყო უფრო რისკიანი და, შესაბამისად, საჭიროებდა არაფიქსირებული საპროცენტო კაპიტალის (ე.ი., კაპიტალს არაფიქსირებული პროცენტით) გაცილებით მაღალ წილს.

როგორც IRI-მ, ENI-მაც თავისი ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი სამხრეთში განათავსა. როგორც წესი, კაპიტალტევადობის გამო, ისინი არ ხასიათდებოდნენ დასაქმების მნიშვნელოვანი ექსპანსიით. 1972 წელს, ENI-ს სამხრეთული დასაქმება (სამხრეთში დასაქმების წილი) იყო დაახლოებით 18,300 (აქედან 5,000 ტექსტილის სექტორში) - უტოლდებოდა ENI-ს მთლიანი იტალიური დასაქმების დაახლოებით 29 პროცენტს. მისი სამხრეთში აქტივობათა ირიბი ეფექტების შეფასება

გაცილებით რთულია. რაც შეეხება დამხმარე /დამატებით(თანმხლებ/თანამდევ) განვითარებას, უნდა იყოს იმედგაცრუება. (ისევე) როგორც IRI-ის საკვანძო /ძირითადი პროექტების შემთხვევაში (ალფასუდის/ Alfasud შესაძლო გამონაკლისის გარდა), ENI-ის დიდმა (ნავთობ) გადამამუშავებელმა ქარხნებმა და ნავთობქიმიურმა ქარხნებმა, გარკვეული დემონსტრა-ციული (საჩვენებელი) ეფექტის გარდა, უშუალოდ, შედარებით მცირე დამხმარე (დამატებითი/თანამდევი) განვითარება წაახალისეს.

1972 წლისთვის ENI იყო მთავარი ინდუსტრიული კონცერნი. ის აკონტროლებდა 180-ზე მეტ კომპანიას (აქედან დაახლოებით ასი ექსკლუზიურად საზღვარგარეთ ოპერირებდა), იყო მეთოთხმეტე უდიდესი ნავთობ-კომპანია მსოფლიოში ბრუნვის თვალსაზრისით და იყო ნავთობქიმიური პროდუქტების ძირითადი მწარმოებელი მსოფლიოში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი ფუნქციები საწყის ეტაპზე იყო ნახშირწყალბადების მოძიება, წარმოება და განაწილება, მან, აკვიზიციისა(შეძენისა) და რესტრუქტურიზაციის (გადაწყობის/გარდაქმნის) გზით მოახდინა სხვა ინტერესთა ფორმირება, რომელთაგან ბევრი მათგანი დაკავშირებულია მის საქმიანობებთან ნახშირ-წყალბადების სფეროში. ძნელი არ არის ამ საკითხის ილუსტრირება ENI-ს ცხრა ძირითად ფირმას, ანუ capogruppo-ს (ENI-ს ექვივალენტი IRI finanziarie) შორის ურთიერთობების გადახედვით. AGIP, ENI-ს იმპერიის ფულკრუმი(ლათ.: fulcrum, - საყრდენი [წერტილი]), ექსპლორირებს(იკვლევს) და ექსპლუატირებს(იყენებს) ბუნებრივ აირს და ნავთობს, SNAM Progetti და SAIPEM ახორციელებენ საკონტრაქტო ბურღვით და რელევანტურ(შესაბამის) კონსტრუქციის(სამშენებლო) და მილსადენის სამუშაოებს. SNAM ანაწილებს AGIP-ის პროდუქტებს SAIPEM მიერ დამონტაჟებული(აწყობილ-გამართული) მილსადენებით. ANIC (გადა)ამუშავებს AGIP-ის ნავთობს/ზეთს და აწარმოებს ბენზინს და ნავთობქიმიკატებს SNAM Progetti-ს, SAIPEM-ისა და Nuovo

Pignone-ს მიერ კონსტრუირებულ(აშენებულ) ქარხნებში. Lanerossi იყენებს ANIC-ის მიერ წარმოებულ სინთეტიკურ ბოჭკოებს Nuovo Pignone-ს მიერ შექმნილ საქსოვ დაზგებზე, ხოლო SOFID ეძიებს სახსრებს მთელი ჯგუფისთვის.

მრავალი თვალსაზრისით მოსახერხებელი და სრულიად რეალურია ENI იმპერიის, როგორც დიდი, ვერტიკალურად ინტეგრირებული კომბინატის /გაერთიანების დანახვა, თუმცა არასწორი იქნებოდა ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის გაზვიადება (და მისი გადაჭარბებული შეფასება). მაგალითად, SNAM Progetti და SAIPEM (მომუშავენი მსგავს დარგებში და ერთმანეთთან კონკურენციაში) ასრულებენ მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოს ENI-ის არაწევრი ფირმებისთვის (ესენია:) - გადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობა, მილგაყვანილობის სამუშაოები, ნავთობქიმიური ქარხნების მშენებლობა და ბურღვითი სამუშაოები. ამგვარი ქარხნებიდან და აქტივობებიდან ზოგიერთი ქარხანა და აქტივობა არის იტალიაში და, ფაქტობრივად, ENI-ს კონკურენტებისთვის.

2.1.1.3 §. ორგანიზაციული სტრუქტურა და კონტროლი

სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის კონტროლის ორგანიზაციული სტრუქტურა ძირითადად საკმაოდ მარტივია. მას პირამიდის ფორმა აქვს. სათავეში არის მთავრობა (პრაქტიკაში უწყებათაშორისი დაგეგმვის კომიტეტი, CIPE), რომელიც ადგენს საერთო დირექტივებსა და გაიდლაინებს(სახელმძღვანელო პრინციპებს). შემდეგი დონე არის სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტრო, რომელსაც 1956 წლიდან ევალებოდა სექტორის მეთვალყურეობა და უზრუნველყოფა, რომ ის 'მიჰყვება პოლიტიკური ძალების [პარლამენტისა და მთავრობის] მიერ დასახულ მიზნებს საბაზრო ეკონომიკის საჭიროებების კონტექსტში'.

(Ministero delle Participazioni Statali Relazione Programmatica [Rome, 1972]. Vol.1, p.39.) სამინისტროს ქვემოთ არის ისეთი უწყებები(enti), როგორიცაა IRI, 'რომლის ამოცანაა სამთავრობო ორგანოების/მთავრობის მიერ დადგენილი ეკონომიკური პოლიტიკის საერთო დირექტივების გარდაქმნა საინვესტიციო და საწარმოო პროგრამებად იმ საწარმოებისთვის, რომლებსაც ის აკონტროლებს'.**(G. Petrilli 'IRI and Planning' Review of Economic Conditions in Italy Banco di Roma [March 1965])** შემდეგ მოდის finanziarie, – 'რომელსაც, ფინანსური ხასიათის სხვა ამოცანებისა მიღმა, დაკისრებული ჰქონდა მრეწველობის ერთსა და იმავე დარგში მოქმედი ფირმების ხელმძღვანელობა, კოორდინაცია და კონტროლი, - მსგავსი იმ ფუნქციებისა, რასაც ასრულებენ კერძო ჰოლდინგური კომპანიები'; ხოლო პირამიდის საფუძველში იმყოფება ცალკეული კომპანიები, რომლებსაც გააჩნიათ 'ოპერატიული პასუხისმგებლობა, განახორციელონ ჯგუფის პოლიტიკა(the group's policy) წარმოების დონეზე'.**(ibid.)**

მიუხედავად იმისა, რომ ეს არის სექტორის ორგანიზაციული სტრუქტურის მნიშვნელოვანი რეპრეზენტაცია, პრაქტიკაში მას სჭირდება გარკვეული კვალიფიკაცია, და განსაკუთრებით ორი თვალსაზრისით. პირველი, ზოგიერთ საწარმოს აკონტროლებს (ზედამხედველობს) უშუალოდ enti, finanziaria -ს სახით შუამავლის გარეშე. მაგალითად, თავად IRI აკონტროლებს Alitalia-სა და IRI-ს ბანკებს. პირდაპირი კონტროლის ეს შემთხვევები, როგორც წესი, წარმოიქმნება მაშინ, როდესაც სექტორში იმდენად ცოტა მოქმედი კომპანიაა, რომ ფინანსური ორგანიზაციის შექმნა ზედმეტად ხელგაშლილობა/ფულის ფლანგვა(ფინანსურად არა ხელსაყრელი) იქნებოდა. მეორე კომპლიკაცია(სირთულე) მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად იმისა, რომ IRI-ს finanziarie უბრალოდ ჰოლდინგის კომპანიებია, ENI-ში მათი ექვივალენტი (capogruppo) ასევე მწარმოებელი კომპანიებია. ამის მიზეზები საკმაოდ აშკარაა. მიუხედავად იმისა, რომ IRI-მ მიზანმიმართულად შექმნა finanziarie საწარმოებისთვის მხოლოდ საკოორდინაციო,

ტექნიკური და კომერციული როლების შესასრულებლად სხვადასხვა სექტორში, ENI-მ მემკვიდრეობით მიიღო მისი capogruppo და ისინი უკვე იყვნენ ჩართულნი წარმოებაში. გარკვეულწილად, თავად ENI ყველაზე ახლოსაა IRI-ს finanziarie-სთან, ხოლო კომპანიები, როგორიცაა AGIP, მსგავსია IRI -ს მსხვილი ფირმის, როგორიცაა Italsider, რომელსაც არა მხოლოდ აქვს აქტივები(holdings/წილები) სხვა ფირმებში, არამედ თავად აწარმოებს საქონელს.

მნიშვნელოვანი საკითხია (ის), თუ როგორ ახორციელებენ enti და finanziarie კონტროლს სისტემაზე. კონტროლის მთავარი ფორმა არის ფინანსური. enti-ს აქვს დომინანტური საკუთარი/სააქციო კაპიტალი, დომინანტური სააქციო კაპიტალის პაკეტი finanziarie-ში (თუმცა ENI-ს შემთხვევაში ის აკონტროლებს მხოლოდ ოთხ ძირითად capogruppo-ს), რომლებიც, თავის მხრივ, ფლობენ საკოტროლო წილს/აქციების საკონტროლო პაკეტს მცირე capogruppo-ში. ამის საპირისპიროდ, IRI ფლობს აქციათა/წილების დიდ უმრავლესობას მთელ მის finanziarie-ში. ორივეში, როგორც IRI-ში ისე ENI-ში, finanziarie თუ/ან capogruppo ფლობენ მათ კომპანიებში აქციათა საკონტროლო კაპიტალის წილებს. ხშირ შემთხვევაში ეს გულისხმობს 50 პროცენტზე მეტს.

იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის კონტროლი ხშირად შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს 50 პროცენტზე გაცილებით ნაკლები წილით, სხვა აქციათა პაკეტის/აქციების ფრაგმენტაციის გამო, შეიძლება გასოცრად მოჩანდეს, რომ ორივე, როგორც IRI, ისე ENI იღებენ რა არც თუ მცირე აქტივს/წილს, არ იყენებდნენ გამოთავისუფლებულ კაპიტალს საკუთარი იმპერიების გასაფართოებლად. თუმცა, ამისათვის არსებობს რიგი მიზეზები. ჯერ ერთი, იტალიის აქციების ბაზარი (საფონდო ბირჟა) ამ დროისთვის იმდენად სუსტია, რომ სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის მხრიდან ნებისმიერი არსებითი განტვირთვა-განმუხტვა უბრალოდ ვერ აბზორბირდება(შეიწოვება/შთაინთქმება). მეორეც, კერძო ინვესტორებს შეიძლება არ სურდეთ ასეთი სააქციო კაპიტალით დაკავდნენ, რამდენადაც კერძო აქციონერის

დამოკიდებულება, რომელსაც ხშირად სურს კარგი უკუგება(შემოსავალი/მოგება), და სახელმწიფო აქციონერი, რომელსაც გააჩნია (თავისი) ობიექტური სოციალური პოლიტიკა და რეინვესტირება, შეიძლება მოვიდეს კონფლიქტში. თუმცა, არ არის ამ საკითხის ზედმეტად ხაზგასმის საჭიროება, განსაკუთრებით იმის გამო, რომ კაპიტალის მოგება (განსაკუთრებით მიმზიდველია გადასახადების აცილების მიზნით) და რეინვესტირებული მოგება სულაც არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამავდროულად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბევრ სახელმწიფო ჰოლდინგულ ფირმაში, ეს არის შემთხვევა, როდესაც სექტორი ფლობს სააქციო კაპიტალს არა მცირე კერძო აქციონერებთან პარტნიორობით, არამედ სხვა მსხვილ ფირმებთან, და აკონტროლებს ცალკეულ კომპანიას მათი საერთო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მესამე, ბევრი ფირმა, რომლებშიც ente-ს ან finanziaria-ს აქვს დიდი წილი/აქციები, განიცდის ზარალს ან იღებს ძალიან დაბალ მოგებას (მიუხედავად იმისა, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ მომავლის კარგი პერსპექტივები). როგორც წესი, კერძო აქციონერები ნაკლებად ინტერესდებიან ასეთი სააქციო კაპიტალით. და ბოლოს, არავითარ შემთხვევაში არ არსებობს კერძო სექტორის დიდ რაოდენობა, რომელსაც შეეძლოს ან სურდეს ყიდვა. ეს სექტორი არასოდეს ყოფილა წარმატებული მცირე ფირმებთან მიმართებაში და ცდილობს თავიდან აიცილოს შემდგომი ჩარევა ამ ზომის ჯგუფში. ამავდროულად, რიგი ძალიან მსხვილი კერძო იტალიური ფირმები (როგორიცაა მაგ., Fiat) კონტროლდება ოჯახური ინტერესებით, ხოლო ალტერნატიული მოცემულობა იმგვარია, რომ მათი ხელში ჩაგდება პოლიტიკურად მიუღებელი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი დიდი პოლიტიკური პარტია არ უჭერდა მხარს სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის დაშლას, არ არსებობს ასეთი ერთსულოვნება ექსპანსიასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენე პარტიები მიესალმებოდნენ ამგვარ ნაბიჯს (განსაკუთრებით, თუ მოხდებოდა მთავრობის კონტროლის გაძლიერება), ქრისტეან-დემოკრატები,

განსაკუთრებით მემარჯვენეები, ბევრად ნაკლები სიმპათიით იქნებოდნენ გამსჭვალულნი. სინამდვილეში, ქრისტეან-დემოკრატების პარტიაში მზარდია განცდა, რომ კერძო მრეწველობა, რომელიც დაქუცმაცებული, დათრგუნული და განადგურებულია უცხოურ მფლობელებსა და სუბსიდირებულ სახელმწიფო ჰოლდინგურ კომპანიებს შორის, წინდაუხედავი, ცუდი გარიგებაა. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა Montecatini-Edison. უზარმაზარი დანაკარგებისა და პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორი არ არის დაცული ყოველგვარი პირდაპირი დაუფლებისგან/შთანთქმისგან, თუმცა IRI-ს და ENI-ს აქვთ 50 პროცენტიანი წილი 'კონტროლის კომიტეტში' ('committee of control')), რომელიც მართავს Montecatini-Edison-ს. დანარჩენ 50 პროცენტს ფლობენ კერძო პირები (ძირითადად Fiat და Pirelli) IMI-ის თავმჯდომარეობით. სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის უფრო ექსტენსიური (ფართო) და აშკარა კონტროლი შეფერხდა პირველ რიგში იმით, რომ Montecatini-Edison გაცილებით დიდია ENI-სთან შედარებით (დაუფლების/ შთანთქმის აშკარა კანდიდატი). მეორე, იმიტომ, რომ ENI-ს წესდება უნდა შეიცვალოს, რათა დაუშვას ასეთი კონტროლი და მესამე (ყველაზე მნიშვნელოვანი) ქრისტეან-დემოკრატების პარტიაში იმ განცდის თუ დამოკიდებულების გამო, რომ Montecatini კერძო მეწარმეობის ერთ-ერთი ბოლო ბასტიონია.

enti-სა და finanziarie-ის მიერ მათ შესაბამის იმპერიებზე განხორციელებული კონტროლი მკაცრია და, რა თქმა უნდა, მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ კომპანიის ყოველწლიურ შეხვედრებზე გამოჩენა-გამოსვლას და წლიური ანგარიშის პასიურ მოსმენას. დირექტორთა საბჭო იტალიურ კომპანიებში ირჩევა მათ მიერ, ვინც ფლობს აქციათა საკონტროლო პაკეტს კომპანიებში და ამ უფლებამოსილებას ახორციელებს როგორც enti, ასევე finanziarie. კომპანიები, რომლებიც ცდილობენ წავიდნენ enti-ის ან finanziarie-ის სურვილების წინააღმდეგ, იღებენ ცვლილებებს თავიანთ დირექტორიატში.

უფრო საინტერესო და ბევრად უფრო დახვეწილი, ვიდრე ურთიერთობა და კონტროლის სისტემა enti-ს, finanziarie-სა და მოქმედ კომპანიებს შორის არის ურთიერთობა enti-სა და მთავრობას შორის. თავის წესდებებში enti მოვალეა განახორციელოს შესაბამისი სამთავრობო ორგანოს (CIPE) მიერ მათთვის დაწესებული სხვადასხვა მთავარი დირექტივები, ხოლო 1956 წლიდან არსებობს სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტრო, რათა, სხვა საკითხებთან ერთად უზრუნველყოს ამგვარი დირექტივების შესრულება. როგორც სამინისტროს, ისე enti-ს სხვადასხვა განცხადებები/განმარტებები შესაძლოა ადასტურებდეს enti-ს მორჩილებას ხელისუფლების სურვილებისადმი. 1968 წლის თავის ყოველწლიურ რეპორტში სამინისტრო აღნიშნავს, რომ 'სახელმწიფო ჰოლდინგის სისტემა არის ინიციატივების ორგანული ჯგუფი, რომელიც მოქმედებს სექტორების ფართო სპექტრით, მაგრამ მათ საქმიანობას სათავეში უდგას (და ხელმძღვანელობს) პოლიტიკური მიმართულებისა და აქტიური ადმინისტრირების ერთიანი ცენტრი, - (რომელიც არის) სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტრო'.**(Ministero delle Participazioni Statali Relazione Programmatica, Rome 1968, p. 19.)** ჯუზეპე პეტრილი (Giuseppe Petrilli) (IRI-ს პრეზიდენტი), საჯარო მრეწველობის შესახებ ესეების მომხიბლავ კრებულში, IRI-ის ხედავს ნეიტრალურ ინდუსტრიებში, ნეიტრალურ და დაქვემდებარებულ მდგომარეობაში მთავრობასთან მიმართებით - 'უკიდურესად მოქნილი და დრეკადი ინსტრუმენტი საჯარო მიზნების მისაღწევად, სახაზინო რესურსების მინიმალური რაოდენობით,**(G. Petrilli, Lo Stato Imprenditore Gappelli 1967, p. 101.)** და 'ხელისუფლების სამსახურში მყოფი ინსტრუმენტი'.**(ibid, p. 84.**) რაც შეეხება პრაქტიკაში მათ შორის ურთიერთობას, აქ ალბათა რთული იქნებოდა მთავრობის მხრიდან enti-ზე კონტროლის ხარისხის შეფასება.

არსებობს საერთო თანხმობა, რომ სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტროს შექმნამდე ente -ზე/უწყებაზე იყო ხელისუფლების მცირე კონტროლი. ოფიციალურად,

IRI-ს შესახებ ომისშემდგომი პირველი დეკრეტის (დადგენილების) თანახმად, რომელიც მიღებულ იქნა 1946 წლის აპრილში, IRI-ზე საერთო კონტროლის პასუხისმგებლობა ეკისრებოდა CIR-ს(Comitato Interministeriale per la Ricostruzione). 1948 წლის IRI-ს წესდებით ეს უფლებამოსილებები გადაეცა მინისტრთა საბჭოს (იტალიის კაბინეტი), თუმცა კონტროლის უმეტესობა, როგორც ჩანს, დარჩა CIR-ს.**(Saraceno, op. cit., p. 193.)** როგორც მინისტრთა საბჭოსთვის, ასევე CIR-ისთვის, IRI-ზე კონტროლი იქნებოდა მათ წინაშე მდგარი მხოლოდ ერთ-ერთი იმ მრავალი ამოცანათაგანი, რომელიც მათ წინაშე იდგა და რაც სავარაუდოდ, არ შედიოდა მათი პრიორიტეტების რიცხვში და იმყოფებოდა მათი ჩვეულებრივი საქმიანობის სფეროს მიღმა. ეს იყო სამთავრობო დირექტივა, რომელმაც განაპირობა IRI-ს სამუშაო ძალის შენარჩუნების პოლიტიკა უშუალოდ ომის შემდგომ პირველ წლებში, მაგრამ ამის იქით, უმეტესწილად, მთავრობის გავლენის ხარისხი უმნიშვნელო იყო. ასახავდა რა შეშფოთებასასა და საერთო გაურკვევლობას იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთებულიყო IRI-სთან მიმართებით, ომისშემდგომი პერიოდი 1956 წლამდე აღინიშნებოდა რიგი გამოძიებითა და კომისიით, რომლებიც სწავლობდნენ/იკვლევდნენ IRI-ს და სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორს მთლიანად.**(ამ საკითხების განხილვისთვის იხ. Amato, op. cit., pp. 223-35; და Posner and Woolf, op. cit.)**

1946-47 წლებში დამფუძნებელი ასამბლეის ეკონომიკური კომისიის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ ნაციონალიზაციისა და IRI-ის მიმართ დამოკიდებულების შესახებ ... დასვა საკითხი IRI-ს საქმიანობაზე პარლამენტის მხრიდან უფრო დიდი კონტროლის დაწესების შესახებ. ამ წინადადებას არანაირი ზომები არ მოჰყოლია, და მომდევნო წლებში არსებობდა მცირე მტკიცებულება საჯარო სექტორის კოორდინირებული ხელმძღვანელობის ან გამოყენების თაობაზე. განსხვავებული სახელმწიფო ჰოლდინგების ანაქრონისტული (ქრონოლოგიურად/დროსთან შეუსაბამო) პოზიცია [მათ

შორის შიდა კონკურენცია] და მთავრობის მიერ არაადეკვატურად კონტროლირებადი მიდგომა მუდმივი პოლემიკის საგანს წარმოადგენდა; საბოლოოდ, 1951 წელს უგო ლა მალფა(Ugo La Malfa) დაინიშნა მინისტრად, რათა წარედგინა რეპორტი ყველა სახელმწიფო ჰოლდინგის რეორგანიზაციის შესახებ. იმდენად არეული იყო მდგომარეობა, რომ La Malfa-ს გაუჭირდა სახელმწიფო სამრეწველო აქტივების სრული ჩამონათვალის შედგენა. მის მოხსენებას ჩვეული ოფიციალური დუმილი მოჰყვა.**(Posner and Woolf, op. cit., pp. 30-1.)**

რამდენიმე წლის შემდეგ გამოჩნდა კიდევ ერთი რეპორტი 'საპარლამენტო კომიტეტის [ჯაკის კომიტეტის/[the Giacchi Committee]] დანიშვნის თაობაზე, IRI-ის სტრუქტურის შესასწავლად და რეფორმების შეთავაზების მიზნით. 1966 წელს ჯაკის კომიტეტის რეპორტში წარმოადგენილი იყო მკაფიო ბრალდება (საბრალდებო ოქმი) იმის შესახებ, რომ მთავრობამ ვერ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება IRI-სთვის პოლიტიკური დირექტივების შესამუშავებლად.**(ibid, pp. 32-3.)** რა თქმა უნდა, როდესაც ENI-ს ხელმძღვანელობდა მატეი(Mattei), არსებობდა აშკარა უგულებელყოფა პოლიტიკური ზეწოლის მიმართ, ან თუნდაც სულ მცირე იმ ზეწოლის მიმართ, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მატეის შეხედულებებს. 1962 წელს, გარდაცვალებამდე მატეი უფრო მეტ პოლიტიკურ ზეწოლას ახდენდა, ვიდრე მასზე ხორციელდებოდა. ის იყენებდა ENI-ს სახსრებს პოლიტიკურ აქტივობებში (ქრისტეან-დემოკრატების მხარდასაჭერად) და ორგანიზაციებში, მათ შორის გაზეთებში (აქციათა) საკონტროლო პაკეტების მოსაპოვებლად, რაც სასარგებლო იქნებოდა მისი მიზნების უზრუნველსაყოფად. 'თავად საკანონმდებლო ორგანოს არ შეეძლო [მისი გაკონტროლება], არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი კონტროლი რთულია, არამედ იმიტომაც, რომ პარლამენტის ძალიან ბევრი წევრი სადეპუტატო მანდატის ფლობით პარლამენტში, დავალებული იყო ENI-სგან (ამ უკანასკნელის) ფინანსური მხარდაჭერის გამო.' **(La Palombara, op. cit., p. 57.)** Confindustria-ს პრეზიდენტმა

აღნიშნა, რომ 'ნახშირწყალბადების სფეროში(in the field of hydrocarbons) ჩადენილი იქნა ქმედებები, რომლებიც ჩვენს მიერ რომ ჩადენილიყო, ჩაითვლებოდა ბოროტმოქმედებად (სისხლის სამართლის დანაშაულად)'. **(ibid., p. 57.)** მატეის უფრო სულგრძელ შეხედულებას წარმოადგენს ის, რომ 'ძირითადად მას ჰქონდა იგივე რეალისტური ან პესიმისტური მიდგომა იტალიის პოლიტიკის მიმართ, როგორიც ჯოლიტის(Giolitti) და დე გასპერის(de Gasperi) და, ისევე როგორც ჯოლიტი, მზად იყო კორუფცია მეტნაკლებად ღიად გამოეყენებინა იმისთვის, რასაც ის კეთილშობილ და უმაღლეს მიზნად თვლიდა'.**(N. Jucker Italy, London: Thames and Hudson. 1970, p. 143.)** თუმცა, არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ENI-ს დამოუკიდებლობა აღმოცენდა მხოლოდ მატეის ძლიერი პიროვნებიდან. როგორც ვნახეთ, ENI იმყოფებოდა ბევრად უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში, ვიდრე IRI, რადგან ის ფუნქციონირებდა აყვავებულ სექტორებში, საითკენაც არ იყო საჭირო სამთავრობო ან საბაზრო დაფინანსების მიმართვა, მასთან დაკავშირებული კონტროლით. 1953 წელს გადახდილი საწყისი დოტაციური (საქველმოქმედო /შემოწირულობის) ფონდის(the initial endowment fund) შემდეგ ENI-მ ცოტა მეტი მიიღო მთავრობისგან 1964 წლამდე. მას შემდეგ იგი იზრდებოდა წლების განმავლობაში. საყოველთაოდ მიღებული და აღიარებულია, რომ ENI ახლა სამთავრობო ხაზს ადგას (მხარს უჭერს სამთავრობო ხაზს), ან სულ ცოტა უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე 1963 წლამდე.

იტალიის პოლიტიკის ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ პრობლემის აღიარებასა და დოკუმენტირებას და მის გადასაწყვეტად საჭირო ღონისძიებათა შორის არსებული დრო შეიძლება იყოს უკიდურესად ხანგრძლივი. IRI-სა და სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორში ომისშემდგომმა სხვადასხვა გამოძიებამ /გამოკვლევებმა სოლიდური შედეგები არ გამოიღო 1956 წლამდე. ასეთ შემთხვევაშიც კი შეიძლება დაეჭვება იმაში, თუ რამდენად იქნებოდა მიღებული ზომები, როდესაც 1953 წელს ქრისტეან-დემოკრატიული პარტიის

მემარცხენე ფრთა მხარს დაუჭერდა სექტორის გასვლას Confindustria-დან და სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტროს შექმნას.**(ამ ადრეული პოლიტიკური მანევრების დეტალებისთვის იხილეთ La palombra, op. cit., pp. 28-33. საინტერესოა, რომ საჯარო ჰოლდინგების სამინისტროს შექმნის წინადადება წამოყენებული იქნა 1951 წელს La Malfa-ს ანგარიშში საჯარო ჰოლდინგების სექტორის შესახებ. იხ., Amato, op. cit., p. 231.)** მნიშვნელოვანი იყო გაცილებით მძლავრი ორგანოს, ვიდრე ბრიტანეთის CBI-ა(the British CBI), Confindustria-დან გასვლის გადაწყვეტილება. Confindustria ახდენს მნიშვნელოვან გავლენას იტალიის ეკონომიკურ პოლიტიკაზე და იყო და არის მთავარი ორგანო, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებებს პროფკავშირებთან შრომითი ანაზღაურებისა და პირობების შესახებ. სექტორის გასვლას, რა თქმა უნდა, უაღრესად საგულისხმო იმპლიკაციები(შედეგები) ჰქონდა კოლექტიურ შრომით ხელშეკრულებაზე/შეთანხმებებზე იტალიაში.

Confindustria-დან სექტორის გაყვანისა და მაკონ-ტროლებელი სამინისტროს შექმნის წინააღმდეგობა იყო ძლიერი. Confindustria, რომელიც ხედავდა ძალაუფლების დაკარგვას, ეწინააღმდეგებოდა მას, ისევე როგორც ჩვეულებრივი ექსტრემალური ჯგუფები, რომლებსაც სურდათ სექტორის ნაციონალიზაცია თუ კერძო მეწარმეობის დაბრუნება. მხოლოდ 1956 წელს მიიღეს საჭირო კანონმდებლობა და შეიქმნა სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტრო(Ministero delle Partecipazioni Statali, 1956-1993). სამინისტროს დაევალა სექტორის ზედამხედველობა, კოორდინაცია და კონტროლი. ამ მხრივ მან მიიღო ის უფლებამოსილებები, რომლებსაც ადრე ახორციელებდნენ სხვადასხვა სამინისტროები და სხვა ორგანოები. თავად სამინისტრო დაექვემდებარა ახლად შექმნილ უწყებათაშორის კომიტეტს (interministerial committee) 'რომელიც კოორდინაციას უწევდა სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტროს საქმიანობას სხვა სამინისტროებთან, სამინისტროს მიერ კონტროლირებად სხვადასხვა სექტორებთან

დაკავშირებული ზოგადი პოლიტიკის მიმართულებით.' **(Law No. 1589 [December 1956], setting up the Ministry of state Holdings [article 4] / კანონი No1589 [1956 წლის დეკემბერი], სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტროს შექმნის შესახებ [მუხლი 4])** კანონი მოითხოვდა, რომ ერთი წლის განმავლობაში სექტორი Confindustria-დან გამოცალკევებულიყო, და პროფკავშირებთან მომავალი მოლაპარაკებები წარემართათ ახლადშექმნილ დამსაქმებელთა ასოციაციებს (employers' associations), რომლებიც სპეციალურად შეიქმნა ამ სექტორისთვის. შედეგად, Intersind დაფუძნდა როგორც დამსაქმებელთა ასოციაცია (employers' association) IRI და EFIM კომპანიებისთვის, ხოლო ASAP-ი, - ENI-ს კომპანიებისთვის. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებდა, რომ სექტორის ყველა კომპანია უნდა ყოფილიყო 'ორგანიზებული(მოწყობილი) თვითმმართველი ორგანოების ფარგლებში'.**(ibid., article 3.)** თუმცა, სექტორის უმრავლესობა უკვე სათანადოდ იყო ორგანიზებული ისე, რომ ერთადერთი ცვლილება იყო სხვადასხვა (საჭირო) უძრავი ქონებისა და სპა კონცერნების ახალი ჰოლდინგური სააგენტოს ქვეშ დაჯგუფება, EAGAT-ის კინოკონცერნების/კინოკომპანიების Ente Autonomo di Gestione per il Cinema-ს ქვეშ, და სხვადასხვა მინერალებისა და მეტალის/ლითონის მწარმოებელი კომპანიების ახლად შექმნილი EGAM-ის ქვეშ დაჯგუფება. იდეა, რომელიც ასახავს გადაჭარბებული ბიუროკრატიის შიშს, თუკი სხვადასხვა კომპანია დარჩება ხელისუფლების პირდაპირი კონტროლის ქვეშ, აქ მდგომარეობდა იმაში, რომ უზრუნველყოფილიყო ბუფერი მთავრობასა და მოქმედ კომპანიებს შორის. კანონის თანახმად, ამ შუალედური ორგანოების შექმნა ერთი წლის განმავლობაში უნდა განხორციელებულიყო. თუმცა, პროცესი დასრულდა მხოლოდ 1970-იანი წლების დასაწყისში.

სექტორის Confindustria-დან გამოცალკევება, და სამინისტროს მიერ მემკვიდრეობით მიღებული სხვადასხვა ჰოლდინგის სააგენტოების შექმნა, საკმაოდ

მკაფიო ამოცანებს წარმოადგენდა. ბევრად უფრო რთული იყო საკითხი, თუ როგორ და რა ხარისხით უნდა განეხორციელებინა სამინისტროს კონტროლი მის ახალ იმპერიაზე. მან სრულად აღიარა თავისი ამოცანის დელიკატურობა. ჯერ კიდევ 1968 წელს, მისი გენერალური დირექტორი წერდა სამინისტროზე, რომ 'ხანგრძლივი და სტერილური „კომპეტენციის" ნაცვლად, მან გონივრულად გადადო/შეაჩერა ეს პრობლემა და თავი მიუძღვნა მისთვის კანონით დაკისრებული ფუნდამენტური ამოცანების შესრულებას, რომელთა შორის უპირველესია ფირმების გამოყოფა Confindustria-ს მიერ კონტროლირებადი კერძო ინდუსტრიის დამსაქმებელთა გაერთიანებებიდან და ავტონომიური ჰოლდინგური კორპორაციების(autonomous holding corporations) შექმნა'.**(Guidi, op. cit., p. 345.)**

ძნელია რაიმე მყარი დასკვნის გამოტანა სამინისტროების მიერ მათი კომპეტენციის სფეროებზე განხორციელებადი კონტროლის ხარისხის შესახებ. რა თქმა უნდა, სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტროს აქვს ძალაუფლების ძირითადი ელემენტი - enti-ს დირექტორების დანიშვნა და გადაყენება (IRI-ს შემთხვევის გარდა), თუმცა ეს არ არის ერთადერთი ორგანო, რომელიც მონაწილეობს ამ გადაწყვეტილებაში და, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საკმაოდ მკაცრია ჩვეულებრივი კონტროლის მოთხოვნებისთვის. ზოგიერთი დამკვირვებელი თვლის, რომ სამინისტროს ზედამხედველობა მინიმალურია და სინამდვილეში, ისეთ ორგანოებს, როგორიცაა IRI, მიიჩნევს როგორც 'მანქანას უმესაჭეოდ'.**(Posner and Woolf, op. cit., p. 128.)** არსებობს სამინისტროს მიერ განხორციელებული უფლებამოსილების /ძალაუფლების მაგალითები – ტარანტოს ფოლადის ქარხნის(the Taranto steel mill) აშენების გადაწყვეტილება როგორც ჩანს მოდიოდა სამინისტროდან (თუმცა IRI-სგან იყო მტკიცედ მხარდაჭერილი) , – მაგრამ ad hoc(აუცილებლობის/საჭიროების)-ის საფუძველზე განხორციელებული ძალაუფლება სრულიად განსხვავდება კონტროლისგან. კონტროლი არის უწყვეტი ხასიათის (ბუნების/რაობისს). ამასთან კავშირში უნდა

აღინიშნოს, რომ სამინისტრო ფლობს შეზღუდულ რესურსებს, და ეს თავის მხრივ ზღუდავს იმ შესაძლებლობათა მასშტაბს, რა მასშტაბითაც მისგან შეიძლება შეფასდეს სექტორის საჭიროებანი და ნაკლოვანებები.**(სამინისტროს შექმნის კანონმა, გადაჭარბებული ბიუროკრატიის გამო, სექტორში სამეწარმეო სულისკვეთების დათრგუნვის საფრთხის შიშით, მისი პერსონალი, მუდმივი და დროებითი, 100 კაცამდე შეზღუდა. მოგვიანებით ეს დებულება შეიცვალა.)**

1966 წელს სამინისტრო ათი წლის იყო და 1967 წლის წლიური ანგარიში შეიცავდა რამდენიმე პასაჟს, რომელიც ასახავდა მისი კონტროლის ბუნებასა და სისუსტეს. '[კონტროლის] მთავარ ობიექტად/პრინციპად რჩება საერთო დირექტივების გაცემა, თუმცა, რომლებიც ატარებს გარკვეულ ვალდებულებებს უფრო მეტად პოლიტიკური, ვიდრე იურიდიულ-სამართლებრივი აზრით',**(Ministero delle Partizipazioni Statali Relazionie Programmatica, Rome 1967, p.17.)** და რომ ზუსტი კონტროლის ნაკლებობამ შვა ანომალიური ვითარება იმ 'ორგანოში, რომელიც ქვეყნის, პარლამენტისა და მთავრობის წინაშე პასუხისმგებელია სახელმწიფო ჰოლდინგების განვითარებაზე, ხშირ შემთხვევაში არ იმყოფება (იმგვარ) მდგომარეობაში ინსტიტუციურად, რომ განაცხადოს თავისი სურვილების პირობები იმ ფირმებისთვის, რომლებიც მის კონტროლს ექვემდებარება. **(ibid., p. 17.)** სამინისტრო არაერთხელ მიუთითებდა იმაზე, რომ მას არ სურდა თავისი ძალაუფლების 'ინდისკრიმინირებულად(განურჩევლად) და ირაციონალურად(არაგონივრულად)'**(ibid., p. 17.)** გაზრდა, თუმცა გარკვეული ზრდის სურვილი აშკარად იყო. რა თქმა უნდა, სამინისტროს ჰქონდა და აქვს, ნაკლები კონტროლი enti -ზე, ვიდრე (ამას) enti მოითმენდა საკუთარ იმპერიებზე.

რიგი პრობლემათგანი, რომელსაც აწყდებოდა სამინისტრო, შეპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ მან ზუსტად არ უწყოდა, თუ რა როლი უნდა ეთამაშა. 'ზედამხედველობა'('Supervision') და 'კოორდინაცია'('co-

ordination') არის ფართო ცნებები, რომლებიც ღიაა მრავალი ინტერპრეტაციისთვის. პრაქტიკაში ეს იყო უძლური შუამავალი. სექტორის შესახებ ძირითადი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა სამინისტროთაშორისი /უწყებათაშორისი კომიტეტის(Il Comitato Interministeriale) მიერ, მაშინ როდესაც სამინისტრო საკმარისად არ ფლობდა რესურსს ამ სექტორის დეტალური ფინანსური ან სხვა სახის შესწავლისთვის, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა ეთამაშა უფრო უწყვეტი (და თანმიმდევრული) მმართველობითი როლი. მდგომარეობა ნაწილობრივ გაუმჯობესდა 1967 წელს, როდესაც გაუქმდა სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის სამინისტროთაშორისი /უწყებათაშორისი კომიტეტი(Il Comitato Interministeriale) და მისი უფლებამოსილება გადაეცა CIPE-ს (რომლის წევრი, რა თქმა უნდა, სამინისტროა / Il Ministero). CIPE(Il Comitato Interministeriale per la Programmazione Economica è un organo collegiale del Governo presieduto dal Presidente del Consiglio dei Ministri/ეკონომიკური დაგეგმვის სამინისტროთაშორისი /უწყებათაშორისი კომიტეტი, არის მთავრობის კოლეგიალური ორგანო, რომელსაც თავმჯდომარეობს მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტი. https://www.programmazioneeconomica.gov.it›...) არის ძლიერი ორგანო (სულ მცირე გარეგნულად), რომელიც შეიქმნა იტალიის ეროვნული გეგმების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით. სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტროსთვის CIPE-ს საქმიანობაზე პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, დიდწილად მნიშვნელოვანი იყო ამ სექტორის დაგეგმვის პროგრამაში ჩართვა. სამინისტროს როლი გახდა ახლა უფრო ნათელი. მას უნდა წარმოედგინა სექტორი დაგეგმვის პროცესში, უნდა დაეცვა ზედმეტი მოთხოვნებისგან და გაეკონტროლებინა მის წინაშე დასახული მიზნების მიღწევები. სამწუხაროდ, 1970-იანი წლების დასაწყისში, როდესაც 1971-75 წლების ეროვნული გეგმა ძირითადად პოლიტიკური გაურკვევლობისა და დაბნეულობის შედეგად იქნა შეჩერებული, კვლავ ღიად დაისვა სამინისტროს როლის საკითხი.

სამინისტროს როლის შესახებ ეჭვები გაძლიერდა რიგი მოვლენებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ enti არ არის კმაყოფილი იმით, რომ ტოვებენ სამინისტროს საპარლამენტო დისკუსიებს და გადაწყვეტილებებში მათი წარმომადგენლობით, - მათი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი და მუდმივი როლით/ფუნქციით. ამის პირველი მაგალითი იყო დებატები Alfasud-ის პროექტზე სპეციალურად დანიშნული საპარლამენტო კომისიის მიერ. როგორც კომისიას, ასევე IRI-ს სურდათ, რომ საკითხები განეხილათ ერთმანეთთან და არა სამინისტროს მეშვეობით. სამინისტრომ წინააღმდეგობა გაუწია ამას და ნათლად აჩვენა, რომ ის იყო სექტორზე პასუხისმგებელი. საბოლოოდ IRI-მ თავისას მიაღწია(**ამ დისპუტის დეტალების შესახებ იხ. C. Johnson 'Relations with Government and Parliament', The State as Entrepreneur -ში, op. cit., pp. 212-13.)** მეორე მაგალითი იყო 1970-იანი წლების დასაწყისში, როდესაც IRI-მ გააკეთა განაცხადი მისი endowment fund-ის შემდგომი გაზრდის თაობაზე და საქმე განიხილებოდა IRI-ს პრეზიდენტის, თავმჯდომარისა და საპარლამენტო კომისიის მიერ და არა სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტროს კონვენციონალური (პირობითი/ჩვეულებრივი) შუამავლის მეშვეობით. სამინისტრო კვლავ წინააღმდეგი იყო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავსი უთანხმოება enti-სა და სამინისტროს შორის იშვიათია. ზოგადად, სხვა ძირითად საკითხებზე კონფლიქტი არ ყოფილა. მიუხედავად მათი შესაბამისი როლების/ფუნქციების სიცხადის ნაკლებობისა, ნებისმიერი 'სირთულე დაიძლია პოლიტიკური მიმართულების მგრძნობელობისა და enti-ის დირექტორების მიერ გაცნობიერებული პასუხის-მგებლობის წყალობით'.(**Ministero delle Participazione Statali Relazione Programmatica. Rome, 1967. op. cit., p. 18.)** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაიმარჯვა საღმა აზრმა.

მაგრამ არა მხოლოდ საღი აზრის გამო მოხდა კონფლიქტის თავიდან აცილება. როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში სისტემის სხვადასხვა დონეებს/ფენებს საერთო მიზანი გააჩნიათ და, უპირველეს ყოვლისა,

(ისინი) ხედავენ საზოგადოებრივი და ეროვნული მოსაზრებებით შერბილებული/დარეგულირებული სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის აუცილებლობას. ზოგჯერ ინიციატივები ამ მიზნების მისაღწევად მომდინარეობდა სამთავრობო ორგანოებიდან /ხელისუფლებისგან, მაგრამ უფრო ხშირად, განსაკუთ-რებით მომსახურების სექტორში, ისინი ჩნდებოდა enti -ის მხრიდან. 'სერვისის სექტორის ისტორია გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს პოლიტიკა მხოლოდ IRI-ს ინტერვენციით კრისტალიზდებოდა – თითქოს IRI საკუთარ ინსტრუქციებს წერდა'.**(Despicht, op. cit., p. 154. მეორე მხრივ, 1967 წელს IRI-ს წინადადება ფერადი სატელევიზიო გადაცემების შემუშავება/განვითარების შესახებ უარყო მთავრობამ იმ მოტივით, რომ ის ძლიერ იყო მომხმარებელზე ორიენტირებული.)**

სამინისტროს უფლებამოსილების სიმცირის (თუ არქონისა) და enti-სა და მთავრობის მიზნების, ერთი შეხედვით საერთო დამთხვევის გათვალისწინებით, ბუნებრივად ჩნდება კითხვა, იყო თუ არა (ეს) სამინისტრო ზედმეტი. IRI-ს ყოფილმა თავჯდომარის მოადგილემ სამინისტრო აღწერა როგორც 'შინაარსით დაცლილი და enti-ის საპარლამენტო წარმომადგენლობითი ფუნქციებით შემოფარგლული'.**(იხ. B. Visentini-ს სტატია Corriere della Sera-ში [22.06.1976])** როგორც ვნახეთ, ეს უკანასკნელი როლიც კი შემცირდა მას შემდეგ, რაც enti-მ იწყო საკუთარი თავის წარმოდგენა პარლამენტში გარკვეულ მნიშვნელოვან საკითხებზე. ამრიგად, ნაწილობრივ შეიძლება ითქვას იმის შესახებ, რომ სამინისტრო ზედმეტი იყო, თუმცა ნებისმიერი სამინისტროს უფლებამოსილებები და როლები /ფუნქციები უფრო მეტად მინისტრის სიძლიერით განისაზღვრება, ვიდრე (თავად) მისი დეპარტამენტის ოფიციალური უფლებამოსილებით. თუმცა შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ თუ სამინისტრო ზედმეტი იყო, ეს საკმაოდ უწყინარ ზედმეტობას წარმოადგენდა. რა თქმა უნდა თითქმის არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ enti -ს სურდა მისი სრულად დაშლა, ვინაიდან ჩვეულებრივ

მას სასარგებლო/მნიშვნელოვან ბუფერად მიიჩნევდა მათსა და ხელისუფლებას/მთავრობას შორის. მეორე მხრივ, ეს მხოლოდ ერთ-ერთი იყო, რიგი ეკონომიკური პროფილის სამინისტროთაგან და მისი არსებობა კიდევ უფრო ამძაფრებდა საერთო ეკონომიკური პროგრამებისა და პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემას.**(იხ. G. Ruffolo Rapporto sulla Programmazione Rome: Laterza 1973. Visentini, op. cit., ასევე მტკიცედ ემხრობა ასეთ ნაბიჯს.)** მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი სისტემა ეკონომიკის სფეროში იძლეოდა (და გარკვეულ წილად დღესაც იძლევა) ძალაუფლების გადანაწილების საშუალებას კოალიციაში შემავალ სხვადასხვა პარტიებს შორის, საბოლოოდ მაინც, 70-80-იან წლებში ეკონომიკის ერთიან სამინისტროს არსებობის მზარდი მოთხოვნის კვალდაკვალ მიმდინარე პროგრესული ტენდენციის პირობებში, 1956 წელს დაარსებული სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტრო (Ministero delle Partecipazioni Statali) გაუქმდა 1993 წელს და შეუერთდა ჯერ ხაზინის სამინისტროს(Ministero del Tesoro), ხოლო შემდეგ, 2001 წლიდან, - ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს (Ministero dell'Economia e delle Finanze) .

2.1.1.4 §. ფინანსები

ეს ქვეთავი ეხება, პირველ რიგში, დაფინანსების სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სექტორისთვის (სექტორის განკარგულებაში არსებული /მყოფი) და მეორეც, თუ როგორ ხდება მისი ფინანსური საჭიროებების დაკმაყოფილება პრაქტიკაში.

დაფინანსების/ფინანსური წყაროები, რომლებიც Enti-ის განკარგულებაში იმყოფება, რამდენადმე განსხვავდება იმათგან, რომლებიც finanzierie-სა (სიტყვა, რომელიც გამოიყენება აქ, გულისხმობს როგორც ENI capogruppo-ს ისე IRI finanziarie-ს) და მოქმედი კომპანიებისთვის არის ხელმისაწვდომი (და მათ განკარგულებაშია). Enti-ს აქვს დაფინანსების ხუთი ძირითადი წყარო - ობლიგაციები,

საშუალო და გრძელვადიანი სესხები, მოკლევადიანი სესხები, თვითდაფინანსება და სახელმწიფო დაფინანსება. Finanziarie და კომპანიები განსხვავდებიან იმით, რომ მათ არ აქვთ პირდაპირი წვდომა სახელმწიფო ფინანსებზე, მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლიათ ფულის მოზიდვა მცურავი კაპიტალით. ახლა ჩვენ გადავხედავთ დაფინანსების ამ განსხვავებულ ფორმებს.

Enti 100 პროცენტით იმყოფება სახელმწიფოს საკუთრებაში და არ აქვს სააქციო კაპიტალის თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების/ყოფნის უფლება; finanziarie-ს, (ეს) შეუძლია და (ამას) აკეთებს კიდეც. თავდაპირველად, IRI financiarie-ს გააჩნდა თავისი სააქციო კაპიტალის 100 პროცენტი, რომელსაც ფლობდა IRI, მაგრამ ეს (მდგომარეობა) ახლა შეიცვალა. IRI-ის ყველა financiarie -მ გამოიყენა სააქციო კაპიტალის საკითხები (ანუ, ახდენდა სააქციო კაპიტალის ბაზარზე გამოტანა-გაყიდვას /საფონდო სპეკულაციებს) და უმეტეს შემთხვევაში IRI კმაყოფილი იყო საკუთარი ჰოლდინგების (აქტივების /ქონების) აქტუალობის შემცირებით. მაგალითად, Finsider-სა და STET-ში, IRI 70-იანი წლების დასაწყისში ფლობდა საკუთარი კაპიტალის მხოლოდ 55 პროცენტს. ეს ის სექტორები იყო, სადაც ბაზარი მზად იყო ამ საკითხების/პრობლემების გადასაჭრელად. თუმცა, სხვა finanziarie-ს შემთხვევაში, ბაზარი არც თუ ისე სულგრძელი/კეთილშობილური აღმოჩნდა და საჭიროებდა ყველა საკითხის/პრობლემის სრულად განხილვას (და გადაჭრას) enti-ს მიერ. ამ პერიოდში, Fincantieri-ის კაპიტალის 100 პროცენტს კვლავ ფლობს IRI, ისევე როგორც Finmeccanica-ს 99.9 პროცენტს. IRI-ს მიერ საქციო კაპიტალის/აქციათა ემისიის საკითხის პრაქტიკულად სრულად აღება ხელში(მისი სრული კონტროლი) და იმის გაცნობიერება-აღიარება, რომ გადახდილი დივიდენდები იქნება უმნიშვნელო ან საერთოდ არარსებული, წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას, რა გზითაც ასუბსიდირებს IRI იმ სექტორებს, რომლებიც ან ფინანსურ სირთულეებს განიცდიან, ან ასრულებენ (იმ) დავავლებებს/ამოცანებს, რომლებიც არ

არის სრულად კომერციული ხასიათის.

ENI-ის შემთხვევა ცოტა უფრო რთულია. მას ეკუთვნის სააქციო კაპიტალის/აქციათა 100 პროცენტი თავისი ცხრა capogruppo-დან ორში (SNAM და AGIP Nucleare) და უმეტესი წილი სხვა ორში (AGIP, 84 პროცენტი და ANIC, 70 პროცენტი). დანარჩენი ხუთი capogruppo კონტროლდება ამ ოთხის მიერ. (მაგ., Nuovo Pignone-ს ერთ მესამედს აკონტროლებს AGIP და ორ მესამედს SNAM. SNAM Progretti-ს აკონტროლებს AGIP, SNAM და ANIC, თითოეული მესამედი წილით. ამ ხუთი capogruppo-დან მხოლოდ Lanerossi-ს აქვს 26 პროცენტის ოდენობის გარე/ნასესხები კაპიტალი, 26 პროცენტი, ხოლო დანარჩენს ფლობს ANIC.)

მოქმედ კომპანიებს ასევე შეუძლიათ სააქციო /საკუთარი კაპიტალის გამოშვება. finanziarie -ს შეუძლია მოითხოვოს ეს აქციები ღია ბაზარზე ან შეუძლია მიიღოს მთელი ბლოკი; მიღებული მონაცემები დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. თუ fiananziaria არის კონტროლის ზღვარზე და სურს შეინარჩუნოს თავისი საკონტროლო პაკეტი, მას დასჭირდება გამოშვებული აქციების ნახევარი მაინც. მან შეიძლება ისურვოს მეტი, როდესაც ჩათვლის, რომ ამონაგები(შემოსავალი/მოგება) იქნება მაღალი და როდესაც სასურველია ფულადი სახსრების ნაკადის ზრდა ან, ალტერნატიული ფორმით, როდესაც ამონაგები (შემოსავალი/მოგება) სავარაუდოდ იქნება დაბალი და ფირმა მუშაობს საზოგადოებრივი ინტერესების ან enti -სა თუ/ან finanziaria-ს სხვა დირექტივების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ კონტროლისა და სუბსიდირების თვალსაზრისით, კაპიტალი წარმოადგენს სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის ფინანსური სისტემის მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც განიხილება უბრალოდ, როგორც დაფინანსების წყარო, ის გაცილებით ნაკლებად მნიშვნელოვანია. 1960-იან წლებში სექტორის ფინანსური საჭიროებების მხოლოდ 3,5 პროცენტი დაკმაყოფილდა სააქციო კაპიტალით. ეს ასახავს იტალიის სუსტად განვითარებულ სააქციო კაპიტალის ბაზარს, კარგად განვითარებულ (საკრედიტო) საშუალო და გრძელვადიანი

სესხების ბაზარს და იტალიელი მრეწველების ერთი შეხედვით გაბედულ დამოკიდებულებას ე.წ. high gearing - ის მიმართ(ე.ი. კრედიტების/ფიქსირებული პროცენტის სესხების მაღალ წილს მთლიან კაპიტალში; იგივეა რაც მაღალი დავალიანების კოეფიციენტი/სიდიდე; Gearing არის საზომი, იმის შესახებ, თუ კომპანიის ოპერაციების რა ნაწილი ფინანსდება ვალის გამოყენებით, აქციონერებისგან საკუთარი კაპიტალის[equity or capital] სახით მიღებულ დაფინანსებასთან შედარებით.).

ობლიგაციები და საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სესხები სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის დაფინანსების უაღრესად მნიშვნელოვანი წყაროა. 1960-იან წლებში მისი ფინანსური საჭიროებების 35.4 პროცენტი მოდიოდა ამ წყაროებიდან და გამოიყენებოდა ყველა ფენის, ანუ enti-სა და finanziarie-ს, ასევე მოქმედი კომპანიების მიერ. დაფინანსების ამ ფორმის დაახლოებით 45 პროცენტი მოდიოდა ობლიგაციებზე, დანარჩენი კი საშუალო და გრძელვადიანი სესხებია.

ობლიგაციები ბაზარზე (გამოტანილია და) იყიდება ნებისმიერი სხვა კომპანიის ობლიგაციების მსგავსად. (უშუალოდ ომის შემდგომ პერიოდში, და 1953 წლამდე, სახაზინო გარანტიები გაცემული იყო IRI-ს ობლიგაციებზე, მაგრამ ეს პრაქტიკა მას შემდეგ გახდა არასაჭირო და შეწყდა/გაუქმდა.) არჩევანი ობლიგაციების გამოტანა-შეთავაზებასა თუ/ან საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სესხების აღებას შორის დამოკიდებულია ობლიგაციების გაყიდვის მოსალოდნელ სიმარტივეზე. პრაქტიკაში, ნებისმიერი დეფიციტი(დანაკლისი) იფარება ente-სა თუ finanziaria-ს (იმის მიხედვით, თუ ვინ ასრულებდა მათ) ან, ალტერნატიულად, სხვადასხვა იტალიური საშუალო და გრძელვადიანი სამრეწველო საკრედიტო ინსტიტუტების მიერ. ობლიგაციებითა და საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სესხებით ფინანსების უზრუნველყოფა (დღის წესრიგში) არ წამოჭრის (სადისკუსიო) საკითხებს სექტორის კონტროლის ირგვლივ - დაფინანსების ამ წყაროს არ გააჩნია ხმის უფლება. თუმცა, ეს ზრდის ე.წ. gearing ratio-ს

და ეს შეიძლება იყოს სერიოზული პრობლემა, როდესაც ბიზნესი განიცდის ვარდნას. ამ პრობლემის (სიმძიმის) შესამცირებლად IRI-მ გამოიყენა კონვერტირებადი ვალები/სავალო ვალდებულებები, ე.ი. კონვერტირებადი სააქციო კაპიტალში. მიუხედავად ამისა, gearing ratio (გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი / საკუთარი და ნასესხები საშუალებების თანაფარდობა / დავალიანების ხარისხი [ოდენობა], რომელიც ასევე ცნობილია როგორც ფინანსური ლევერიჯის/ბერკეტის კოეფიციენტი /საზომი [financial leverage ratio], რომელიც აჩვენებს /დემონსტრირებს ფირმის ოპერაციების დაფინანსების ხარისხს /ოდენობას, სააქციო/საკუთარი კაპიტალით, მოზიდული სახსრებით/ვალით დაფინანსებასთან შედარებით. A gearing ratio არის ზოგადი კლასიფიკაცია, რომელიც აღწერს ფინანსურ კოეფიციენტს /თანაფარდობას, რომელიც/და მესაკუთრის საკუთარ სახსრებს (ან კაპიტალს) ადარებს კომპანიის მიერ ნასესხებ სახსრებს. წმინდა დავალიანების ხარისხი (ოდენობა) ასევე შეიძლება გამოითვალოს მთლიანი დავალიანების გაყოფით მთლიან აქციონერთა კაპიტალზე.) რჩება მაღალი სახელმწიფო ჰოლდინგების სექტორში, ისევე როგორც ზოგადად იტალიურ ინდუსტრიაში. თუმცა სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის შემთხვევაში კი ორი ფაქტორი ემსახურება მის დაცვას უფრო სერიოზული შედეგებისგან. პირველი, ფინანსური პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება მაღალი gearing-ის(high gearing) შედეგად, შეიძლება გადაწყდეს დივიდენდების შემცირებით სააქციო კაპიტალზე და, იმდენად რამდენადაც ეს არის enti-ს ან finanziarie-ს საკუთრება, ზედმეტი პროტესტის ან უნდობლობის გარეშე, რასაც შეიძლება ჰქონოდა ადგილი მრავალი კერძო აქციონერის ჩართულობის შემთხვევაში. ამავდროულად, ეს საკითხი არ უნდა იყოს ზედმეტად ხაზგასმული/შეფასებული(გაზვიადებული), რადგან ნებისმიერი ასეთი ქმედება შეაფერხებს და შეზღუდავს გარე დაფინანსების შემდგომი, სამომავლო გამოყენების შესაძლებლობას. მეორეც, სერიოზული ფინანსური პრობლემები შეიძლება გადაიჭრას სახელმწიფო

დაფინანსების ხარჯზე endowment fund -ის მეშვეობით, - რომელსაც მალე დავუბრუნდებით.

სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის ყველა დონე სარგებლობს მოკლევადიანი სესხებით, რომლის წყაროსაც წარმოადგენს ბანკები, ხოლო IRI-ს შემთხვევაში მისივე ბანკები, თუმცა, სავარაუდოდ, იმავე პირობებით, როგორც ნებისმიერი სხვა მომხმარებლისთვის. ENI-ს გააჩნია საკუთარი საფინანსო კომპანია, რომელიც ეძებს გრძელვადიან და მოკლევადიან სახსრებს ჯგუფისთვის. მთლიანად სექტორში მოკლევადიანი დაფინანსება არ არის უმნიშვნელო. 1960-იან წლებში ფინანსური მოთხოვნილებების 13,2 პროცენტი ამ გზით დაკმაყოფილდა, - რაც საკმაოდ აღემატება საკუთარი /სააქციო კაპიტალის/სახსრების მეშვეობით დაფინანსებული თანხის მოცულობას. მოკლევადიანი დაფინანსების მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, საგრძნობლად იცვლებოდა წლიდან წლამდე. მოკლევადიანი სესხების აღება ფინანსების უზრუნველსაყოფად როგორც წესი წარმოადგენს ძვირადღირებულ საშუალებას.**(იხ. Posner and Woolf, op. cit., pp. 81-3, იმ ფაქტორების განხილვისთვის, რომლებიც ხელს უწყობს/ახალისებს სექტორს მოკლევადიანი სესხის აღებაში.)** ეს არის წყარო, რომელიც გამოყენებული იქნებოდა, თუ იარსებებდა მოლოდინი, რომ დაეცემოდა საშუალო და გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები. მაგალითად, 1962-64 წლების იტალიაში საპროცენტო განაკვეთები მაღალი იყო, როგორც მთავრობის დეფლაციური პაკეტის ნაწილი და, შესაბამისად, სექტორმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ზომით აიღო მოკლევადიანი სესხი. მოკლევადიანი სესხის აღების კიდევ ერთი მიზეზი იქნებოდა საშუალო და გრძელვადიანი კაპიტალის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობა. 1962-1964 წლებში სხვადასხვა საკრედიტო ინსტიტუტზე განხორციელდა ზეწოლა და ეს იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც იმ წლებში წარმოშვა მასიური/მსხვილი მოკლევადიანი სესხები (მოკლევადიანი სესხების მნიშვნელოვანი რაოდენობა). გარდა ამისა, ამ სექტორს

შეეძლო მიეღო მცირე სესხები, თუ მოელოდა საჯარო ფინანსების ზრდას და სურდა მხოლოდ ის, რაც იყო ე.წ. a bridging loan(ან a bridge loan, ხიდის სესხი, - არის მოკლევადიანი სესხი, რომელიც გამოიყენება პირველი საქონლის ყიდვასა და მეორე საქონლის გაყიდვას შორის არსებული უფულობის/ფულადი წყვეტის დასაძლევად. მაგ.,ზოგჯერ გსურთ იყიდოთ ახალი სახლი თქვენს მფლობელობაში არსებული სახლის გაყიდვამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ/არ გაქვთ შესაძლებლობა გამოიყენოთ გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები თქვენი ახალი სახლის შესაძენად /გადასახდელად.)-ის ტოლფასი. და ბოლოს, შეიძლება საჭირო გახდეს მოკლევადიანი სესხის აღება, თუ ტექნიკური ან სხვა მიზეზების გამო, ობლიგაციების გამოშვება ფერხდება (ან გადაიდო). მაგალითად, IRI-ს მიერ 1966 წელს მასიური/მსხვილი, მოკლევადიანი სესხის აღება ასახავდა არა მხოლოდ დამატებითი სახსრების გამოყოფის შეფერხებას (ან გადადებას) endowment fund-ში, არამედ IRI-ის მიერ გარანტირებული ავტოსტრადის ობლიგაციების გამოშვების შეფერხებასაც, - ემისია დაგეგმილი იყო 1966 წელს, მაგრამ არ განხორციელდა 1967 წლამდე.**(IRI Annual Report 1966 pp. 61-2.)**

თვითდაფინანსება სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის ყველა დონისთვის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყაროა. 1960-იან წლებში სექტორის ფინანსური საჭიროებების 34,4 პროცენტი ამ გზით დაკმაყოფილდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემი ჩანს დიდი, შედარებით მცირეა იტალიური სტანდარტებით. იტალიის ბანკის(Banca d'Italia) მსხვილი სამრეწველო ფირმების მაგალითი მიუთითებს, იმაზე რომ 1966-70 წლებში, იტალიური საწარმოების(მრეწველობის) კაპიტალზე საჭიროებების დაახლოებით 55 პროცენტი დაკმაყოფილდა თვითდაფინანსებით, **(Banca d'Italia Relazione Annuale 1970, pp. 330-1.)** იმ 37 პროცენტიან მაჩვენებელთან შედარებით, რასაც ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორში. ის, რომ სახელმწიფო ჰოლდინგურ სექტორს ექნება თვითდაფინანსების უფრო დაბალი დონე, ალბათ

გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითდაფინანსების ძირითადი წყაროებია საამორტიზაციო ფონდები (depreciation funds) და, გაცილებით ნაკლები ზომით, გაუნაწილებელი მოგება (retained profits). აქ არის ორი რელევანტური საკითხი. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, იტალიის ინდუსტრიის დიდ ნაწილს უფრო გაუჭირდება მოიზიდოს გარე ფინანსები, ვიდრე სახელმწიფო ჰოლდინგურ სექტორს და მოუწევს უფრო მეტად დაეყრდნოს საკუთარ რესურსებს. მეორე, მრავალი სახელმწიფო ჰოლდინგური ფირმა მხოლოდ მცირე მოგებას იღებს და სავარაუდოდ, კერძო სექტორის მხრიდან განიდევნება.

ჩვენ საბოლოოდ მივდივართ სახელმწიფოსთან, როგორც დაფინანსების წყაროსთან - პირველ რიგში, endowment fund-ის მეშვეობით. endowment fund-ის ზრდა არის მთავრობის მიერ enti-სადმი (წარმოებული) სპეციალური გადახდები(ad hoc payments). 1940-იანი წლების ბოლოს შემოიღეს მნიშვნელოვანი პრემიები IRI-ს რეკონსტრუქციის პროგრამის დასახმარებლად (რომელიც ხორციელდებოდა კაპიტალის ბაზრის რთულ პირობებში) და მისი სხვადასხვა არაკომერციული პოლიტიკის საკომპენსაციოდ, განსაკუთრებით გემთმშენებლობისა და მანქანათმშენებლობის სექტორებში. თუმცა, 1951-დან 1959 წლამდე პერიოდში IRI-ს არ ჰქონია შემდგომი პრემიები(დამატებითი ფულადი ანაზღაურებები/წამახალისებელი თანხები), ხოლო ENI-ს endowment fund პრაქტიკულად უცვლელი რჩებოდა მისი შექმნიდან 1964 წლამდე.

endowment funds-ის გაზრდა, რომელსაც პარლამენტმა უნდა უყაროს კენჭი (და დაამტკიცოს), სამი მიზეზის გამო ხდება. პირველ რიგში, ისინი ემსახურება მთავრობის მოთხოვნით ან მხარდაჭერით განხორციელებული არაკომერციულ საქმიანობებთან დაკავშირებული enti - ს ხარჯების დაფარვას. როგორც ჩანს, ეს იყო მთავარი ფაქტორი ომისშემდგომი პერიოდის ადრეულ მონაკვეთში, განსაკუთრებით გემთმშენებლობასთან და მანქანათმშენებლობასთან(engineering) დაკავშირებით, და

მან ასევე ითამაშა როლი IRI-ის გაზრდილ endowment fund-ში 1950-იანი წლების ბოლოს, მას შემდეგ, რაც ის ტარანტოს დაუძლურებულ ვერფს(გემების საშენებელ-სარემონტო საწარმოს) დაეუფლა. მეორეც, და ეს ძალიან არ განსხვავდება ჩვენი პირველი პუნქტისგან, ზრდა/მატება მოხდა იმისათვის, რომ კომპენსაცია გაწეოდა enti-ს მთავრობის მიერ წახალისებული პროექტებისთვის, რომლებიც, სულ მცირე, მოკლევადიან პერსპექტივაში, სავარაუდოდ, მცირე შემოსავლს/ამონაგებს მისცდემა. ტარანტოს ფოლადის ქარხანა(l'acciaieria di Taranto) და ალფასუდის ქარხანა(lo stabilimento di Alfasud) ამის მაგალითებია. როგორც არაკომერციული საწარმოების შენარჩუნებისას, ისე გადავადებულ უკუგებასთან /შემოსავლებთან დაკავშირებით პროექტების ხელშეწყობისას, endowment fund გამოიყენება oneri impropri-ს (არასაჭირო ხარჯები/დანახარჯები), ან/თუ სოციალური ვალდებულებების დასაფარად. თუმცა მესამეც, როგორც ჩანს, ბოლო წლებში მოიძიებოდა და გადაიხდებოდა დამატებითი სახსრები ინვესტიციების იმ ნაწილის დასაფინანსებლად, რომელიც როგორც ითვლებოდა, შეუძლებელი იყო დაფარულიყო კაპიტალის ბაზრით ან თვითდაფინანსებით, ანდა რაც შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც კაპიტალის ბაზრისთვის მიმართვა (რაც იტალიაში ზოგადად ნიშნავს კაპიტალს ფიქსირებული[მყარი] პროცენტით / ფიქსირებული პროცენტის სესხებს) გამოიწვევდა gearing ratio-ს არასასურველ ზრდას.

უწყებათა[დეპარტამენტების/განყოფილებების] (enti) დოტაციური ფონდის/მიზნობრივი კაპიტალის ფონდის (the endowment funds) გაზრდის ეს სამი ძირითადი მიზეზი საინტერესოა იმით, რომ ისინი წარმოადგენს კაპიტალურ [საინვესტიციო] გრანტს(capital grant, - თანხა[a sum of money], რომელსაც მთავრობა აძლევს ორგანიზაციას შენობების, მიწის, აღჭურვილობის და ა.შ. შესაძენად, ან მათ გასაუმჯობესებლად.) მთავრობისგან. ეს მოსაზრება განსაკუთრებით რელევანტური იყო უშუალოდ ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც ნარჩუნდებოდა

არაკომერციული ობიექტები/საწარმოები. მეორე მოსაზრება, რომელიც უფრო რელევანტური/აქტუალური იყო 1960-იან წლებში, არის ის, რომ ისინი წარმოადგენს მთავრობის (მხრიდან) აქციონერული კაპიტალის საინვესტიციო ფორმას, (რომელიც) მიზნად ისახავს განსაკუთრებით ზედმეტად მაღალი gearing-ის თავიდან აცილებას - ინვესტიციებს აქციონერულ კაპიტალში, საიდანაც ის ელის დივიდენდს, თუნდაც გადავადებული იყოს. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ფინანსური უკუგება იყო უმნიშვნელო.

მნიშვნელოვანია, რომ დოტაციური ფონდი/ მიზნობრივი კაპიტალის ფონდი(the endowment fund) არ იყოს არაპროპორციული(არათანაზომიერი), იმდენად რამდენადაც ის არ წარმოადგენს კაპიტალის უმთავრეს წყაროს. 1960-იან წლებში ამ გზით დაკმაყოფილდა სექტორის მთლიანი კაპიტალის მოთხოვნების მხოლოდ 12,5 პროცენტი. თუმცა, (ეს) წილი მყარად იზრდებოდა და EEC (ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა: ორგანიზაცია ჩამოყალიბდა 1958 წელს, რომელიც გადაიზარდა ევროპულ თანამეგობრობაში, ხოლო 1994 წელს გარდაიქმნა ევროპის კავშირად.), სულ მცირე გამოთქვამდა შეშფოთებას სუბსიდირების ელემენტთან დაკავშირებით, - რის საპასუხოდ, სახელმწიფო ჰოლდინგების სამინისტრო(the Ministry of State Holdings / Il Ministero delle Partecipazioni Statali [PPSS]) საკმაოდ რეალისტურ პოზიციას აფიქსირებდა. კერძოდ, მას მიაჩნდა, რომ (ორგანიზაციის) ყველა წევრი ქვეყნის საჯარო სექტორი გარკვეულწილად შეუფასებლად იყო სუბსიდირებული.

1956-70 წლების მთელი პერიოდის განმავლობაში, თვითდაფინანსებით დაკმაყოფილებული კაპიტალზე მოთხოვნილებათა წილი, დაახლოებით მესამედი, რჩებოდა მაღალი. სექტორის უნარი შეენარჩუნებინა საპროცენტო წილი(პროცენტული თანაფარდობა) 1966-70 წლებში განსაკუთრებით შთამბეჭდავია 1970 წლის კატასტროფული შედეგის გათვალისწინებით, როდესაც თვითდაფინანსების კოეფიციენტი(self-financing ratio) 28,7

პროცენტამდე დაეცა. (The self-financing ratio /თვითდაფინანსების კოეფიციენტი[ratio ლათ./ინგლ., თანაფარდობა /პროპორცია. რაოდენობრივი დამოკიდე-ბულება/თანაფარდობა ორ სიდიდეს [რიცხოვნობას /მოცულობას] შორის, რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენჯერ შეიცავს/იტევს პირველი მეორეს ან პირიქით. მაგ., 'მამაკაცთა და ქალთა სამუშაოების თანაფარდობა არის 8 / 1'] კიდევ უფრო დაეცა 18,7%-მდე 1971 წელს. ეს იყო მთავრობის მიერ წახალისებული ინვესტიციების გაფართოების შედეგი [თითქმის 40 პროცენტით მეტი 1970 წლის დონესთან შედარებით] იტალიის ეკონომიკის დეპრესიულ პირობებთან ერთად. 1971 წელს კაპიტალის წყაროების შესახებ მეტი იხ., Ministero delle Participazioni Statali Relazione Programatica vol.1, Rome 1973, p. 65.) ეს იყო კაპიტალზე მოთხოვნების მკვეთრი ზრდის შედეგი (დაახლოებით 50 პროცენტი 1969 წლის დონესთან შედარებით), 1969-70 წლებში გაფიცვების ტალღის შედეგად გამოწვეული შემოსავლების კლება და სექტორის სირთულეები ხელფასების მნიშვნელოვან მატებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვისას, რაც შემდგომში იქნა აღიარებული, (და) თანხვედარაში (მყოფი) სექტორის მაღალ gearing -თან (სექტორის დავალიანების მაღალ დონესთან) და შესაბამისად, - სესხებზე პროცერნტების გადახდის განგრძობასთან მისი ფინანსური მდგომარეობის /მაჩვენებლების მიუხედავად.

დროის ამ მონაკვეთში სტაბილურად იზრდებოდა სახელმწიფოს კონტრიბუცია. ეს ასახავს სექტორის სწრაფად მზარდ მოთხოვნებს კაპიტალზე (საქმიანობის ზოგიერთ სფეროსა და სახეობაში, სადაც ადრეული მაღალი შემოსავალი/უკუგება არ არის მოსალოდნელი) და მათი სრულად დაკმაყოფილების სირთულეებს ბაზრით ან თვითდაფინანსებით,**(1971 წელს ეს მდგომარეობა მწვავე ფორმით გამოვლინდა და სექტორის ფინანსური საჭიროებების მასიური 23% დაკმაყოფილდა სახელმწიფო ფინანსებით.),** მთავრობის აღიარება-მოწონებასთან ერთად, რაც ეჭვგარეშეა უდავოდ წახალისებულია enti-ის მიერ (იმ პრინციპით), რომ მეტი სააქციო ტიპის კაპიტალი

ცხოვრებას ბევრად გაამარტივებდა.

1956-70 წლების მთელი პერიოდის განმავლობაში, სააქციო კაპიტალი თავისთავად(per se) წარმოადგენდა დაფინანსების შედარებით უმნიშვნელო წყაროს, - მთლიანი კაპიტალის მოთხოვნილების დაახლოებით 3,8 პროცენტს. ეს არის მთელი რიგი ფაქტორების შედეგი. ჯერ ერთი, იტალიის საფონდო(აქციათა/ფასიანი ქაღალდების) ბაზრები ცუდად არის განვითარებული. მეორეც, აქციონერული(სააქციო კაპიტალით) დაფინანსება ადმინისტრაციულად ძვირია ობლიგაციებთან შედარებით.**(როგორც წესი, აქციონერებისთვის 6-7%-იანი დივიდენდის წლიური გადახდის უზრუნველყოფა კომპანიას უჯდება დაახლოებით 12-14%, - რაც აუცილებელია ობლიგაციების ტიპურ შემოსავლებთან კონკურენციისთვის - მაშინ როცა ფიქსირებული შემოსავლის/მყარი შემოსავლებით ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას ეს მხოლოდ 10-11%-ია. Financial Times, 27 April 1972.)** მესამე, იტალიის საფონდო ბაზარს ჰქონდა წლები, როდესაც ის უკიდურესად დუნე იყო და სადაც ახალი საკითხები მარტივად არ გვარდებოდა. აქციონერული დაფინანსების ძალიან დაბალი წილი, მაგალითად, 1964 და 1965 წლებში (0.3 პროცენტი და 1.2 პროცენტი შესაბამისად) წარმოადგენდა უკიდურესად არასახარბიელო საფონდო ბაზრის ვითარების შედეგს - რაც განმეორდა 1970 და 1971 წლებში, როდესაც ის შეადგენდა მხოლოდ 1.0 და 1.5 პროცენტს. და ბოლოს, საკუთარი/სააქციო კაპიტალის მეშვეობით დაფინან-სებული სექტორის კაპიტალზე მოთხოვნათა წილი დამოკიდებული იქნება ინდუსტრიულ სექტორზე, რომელიც (დაი)საჭიროებს ფინანსებს. მცირე წილი ცალკეულ, კონკრეტულ წლებში შეიძლება ასახავდეს იმ ფაქტს, რომ ჯგუფები, რომლებსაც სურთ კაპიტალის მიღება, დიდად არ იყენებენ სააქციო კაპიტალით დაფინანსებას. მაგალითად, ძალიან დაბალი წილი 1967 წელს (0,7 პროცენტი) იმის შედეგი იყო, რომ IRI (რომელიც 1960-იან წლებში პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო ჰოლდინგის სექტორის მიერ მოზიდული სააქციო

კაპიტალის დაახლოებით 60 პროცენტზე) ეძიებდა კაპიტალის საკითხებს 'კომპანიებისთვის, რომლებშიც არ არის ან პრაქტიკულად არ არის გარე/მოზიდული კაპიტალი '.(IRI Annual Report 1967 p. 56.)

ობლიგაციები და საშუალო და გრძელვადიანი სესხები იყო სექტორის დაფინანსების ძირითადი წყარო და საკმაოდ სტაბილური წყაროც 1966-70 წლამდე, როდესაც ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ვარდნას, განსაკუთრებით ობლიგაციებთან მიმართებით. ობლიგაციებით დაფინანსება შემცირდა ამ პერიოდის ორ ძალიან ცუდ წელს - 1966 წელს, როდესაც (მისი) ხვედრითი წილი იყო 5 პროცენტი და 1970 წელს, როდესაც უარყოფითი მაჩვენებელი შეადგენდა 1,9 პროცენტს. ორივე წლის განმავლობაში კრედიტის ეს ფორმა (და ზოგადად საშუალო და გრძელვადიანი სესხები) იყო ძვირი და მწირი. ამიტომ სექტორი იძულებული გახდა აეღო მოკლევადიანი სესხები.

სექტორის კაპიტალზე მოთხოვნილების წილი, რომელიც დაკმაყოფილებულია მოკლევადიანი სესხებით, რამდენიმე საინტერესო საკითხს აჩენს. 1960-იან წლებში მას უწევდა დაეფინანსებინა საკუთრი ფინანსური საჭიროებების თითქმის 20 პროცენტი მოკლევადიანი სესხების აღების გზით - რაც იყო გაცილებით მაღალი წილი, ვიდრე 1950-იან წლებში. ეს მაღალი პროცენტი ასახავს იმ ფინანსური დანის პირს(the financial knife-edge, ფინანსური გაჭირვება/გაკოტრების ზღვარი), რაზეც უწევდა ოპერირება სექტორს. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ მისი ფინანსური სისტემა ხასიათდება მაღალი gearing -ით და თვითდაფინანსებაზე დიდი დამოკიდებულებით.

ეს კარგად მუშაობს მაღალი მოგების მქონე სტაბილურ ეკონომიკურ გარემოში, მაგრამ მოწყვლადია ამ პირობებიდან ნებისმიერი აბერაციის(გადახრის) შემთხვევაში. 1968 და 1969 წლებში სისტემა იმყოფებოდა ხელსაყრელ პირობებში. მოგება იყო დიდი და ფულის გამომუშავება ადვილი, რის შედეგადაც მან შეძლო დაეფინანსებინა საკუთარი მოთხოვნების/საჭიროებათა მნიშვნელოვანი ზრდა კაპიტალზე, თვითდაფინანსებითა

და საშუალო და გრძელვადიანი სესხებით. 1970 წელი მიუთითებს სექტორის მოწყვლადობაზე. მთავრობის მიერ წახალისებულმა, მან ხელი მოჰკიდა მასშტაბური /არსებითი საინვესტიციო პროგრამის განხორციელებას. თუმცა, ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო, მოგება დაბალი იყო და თვითდაფინანსების კოეფიციენტი/self-financing ratio დაეცა 45,2 პროცენტიდან (1969 წელი) 28,7 პროცენტამდე (1970 წელი). გარდა ამისა, საშუალო და გრძელვადიანი სავალუტო/ფულის ბაზრები(medium- and long-term money markets) იყო მჭიდრო(tight) და ძვირი(costly) (ნაწილობრივ, წინასწარ განზრახული დეფლაციური პოლიტიკის გამო.), რის შედეგადაც დაფინანსების ეს წყაროები ფარავდნენ/აკმაყოფილებდნენ კაპიტალის საჭიროებების მხოლოდ 22 პროცენტს 1962 წლის 52 პროცენტთან შედარებით. შედეგად, სექტორს მოუწია თავისი კაპიტალის საჭიროების დაახლოებით 37.6 პროცენტის სესხება მოკლევადიან ბაზარზე(the short-term market). მოკლევადიანი სესხების აბსოლუტური თანხა იყო 632 მილიარდი ლირა - მეტი, ვიდრე სექტორის მთლიანი წლიური კაპიტალის მოთხოვნა 1950-იან წლებში. 1971 წელს სექტორმა კვლავ მოიზიდა სოლიდური ოდენობის მოკლევადიანი სესხები (535 მილიარდი ლირა) - იმ წლისთვის მისი ძალიან მაღალი ფინანსური მოთხოვნების დაახლოებით 22 პროცენტი. (ეს) წილი უდავოდ უფრო მაღალი იქნებოდა, რომ არა დოტაციური ფონდის(the endowment fund) მასიური ზრდა (კაპიტალის მოთხოვნილებათა 23 პროცენტიანი დაფარვით) და ბევრად უფრო ადვილი საშუალო და გრძელვადიანი სესხის აღების პირობები, რაც საშუალებას აძლევდა დაეფარა კაპიტალის მოთხოვნების 35 პროცენტი ამ წყაროდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სექტორის დაფინანსების სისტემა არ ქმნის პრობლემებს სტაბილურ და მზარდ საბაზრო პირობებში და როდესაც შრომით სფეროში მდგომარეობა იძლევა/უშვებს თვითდაფინანსების მაღალ დონეს. იმ პერიოდისთვის, - (1970-71 წლებში წარმოქმნილი პრობლემების მიღმა),- სექტორის

კაპიტალზე საჭიროებების მუდმივად მზარდი წილი, რომელიც კმაყოფილდება სააქციო კაპიტალის ტიპის დოტაციური ფონდის მიერ(the equity-type endowment fund), წარმოადგენდა სვლას სწორი მიმართულებით. იმავდროულად, სახელმწიფოსგან სულ უფრო მეტი სექტორის დაფინანსების შემთხვევაში, აუცილებლად უნდა დასახულიყო უფრო მკაფიო ფინანსური მიზნები და დანერგილიყო უფრო ძლიერი სახელმწიფო კონტროლი, - თუმცა, სამეწარმეო მისწრაფებათა შესუსტების გარეშე.

2. 2. 1 §. 'სასწაულის' ეკონომიკური შედეგები

1951 წელს დაიწყო თითქმის მოულოდნელი გარღვევა და დადგა გარდამტეხი მომენტი.

ერთ ათწლეულში (1954-64 წწ.), წმინდა ეროვნული შემოსავალი(il reddito nazionale netto) გაიზარდა 17.000 მილიარდიდან 30.000 მილიარდამდე, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი(il reddito procapite) გაიზარდა 350,000 ლირადან 571.000 ლირამდე, ხოლო იტალიის საწარმოო ხვედრითი წილი ევროპულ წარმოებაში გაიზარდა 9 %-დან 12 %-მდე. ინდუსტრიულ სექტორში დასაქებული მოსახლეობის რაოდენობა 32 %-დან 40 %-მდე გაიზარდა, მაშინ როდესაც სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა 40 %-დან 25 %-მდე შემცირდა. შთამბეჭდავი წარმატება იქნა მიღწეული აგრეთვე მესამეულ, მომსახურების სექტორში, სადაც სამუშაო ძალის 35 % იყო დასაქმებული.

1956 წლის 25 მაისს, ლონდონის გაზეთი 'Daily Mail' მიანიშნებდა იტალიის საწარმოო პოტენციალის ეფექტიანობის დონისა და კეთილდღეობის თაობაზე, როგორც (ევროპის ერთ-ერთ) ეკონომიკურ სასწაულზე. ფაქტობრივად, ზოგიერთი ელემენტი, რომლებიც ხელს უწყობდა ეკონომიკური სასწაულის მიღწევას, საერთო იყო აგრეთვე სხვა ევროპული ქვეყნებისთვისაც. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გახსენებად ღირდეს თუნდაც ამერიკული დახმარება, ექსპანსიური ეკონომიკური

ციკლის დადებითი ეფექტები, დაბალი ვალუტის კურსი (და მისი შენარჩუნება) დოლართან მიმართებით, ქარხანა-ფაბრიკებისა და ტექნიკური პროცესების განახლება, უფრო თანამედროვე და იაფი ენერგიის წყაროებით სარგებლობა, ახალი პროდუქტების გავრცელება.

გარდა ამისა, ის რაც ამასთან გამოარჩევას იტალიურ შემთხვევას, რამაც შესაძლებელი გახადა ასეთი სწრაფი ეკონომიკური ზრდა, იყო იაფი მუშახელის დიდი რაოდენობის არსებობა, ქვეყნის ეკონომიკის ზოგიერთ სტრუქტურულ პირობებთან ერთად (საწარმოო სისტემის შედარებითი ჩამორჩენილობა იმ ფორმით, როგორადაც ის გამოვიდა ომიდან, და კვლევებზე წინასწარი დანახარ-ჯების გაწევის გარეშე, გაცილებით მოწინავე ქვეყნებში უკვე ფართოდ აპრობირებული ზოგიერთი მართვის მეთოდის უყოყმანოდ მიღება.). ამგვარად, საწარმოო აპარატის ზრდა მიმდინარეობდა მოგების ზრდის პირო-ბებში, განსაკუთრებული ინფლაციური მოძრაობებისა და საგარეო ხარჯების პროგრესირებადი პროფიციტის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ იტალია ფლობდა კონკურენტულ უპირატესობას საწარმოო ხარჯების კუთხით (ტრადიციული პროდუქტები მაღალი შრომითი /შრომის კოეფიციენტით), მდიდარი და ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების გარე მოთხოვნა მიმართული იყო ახალ პროდუქტებზე, კაპიტალისა და ტექნოლოგიის უმაღლესი დონით. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების აბსოლუტური აუცილებლობა გულისხმობდა შესაბამისი დარგების განვითარებას (ქიმია, მექანიკა, მეტალურგია), რომლებიც თანდათანობით სულ უფრო დინამიური ხდებოდა. ასე იშვა, გარე და შიდა მოთხოვნების მიხედვით მოდელირებული, დარგობრივ სტრუქტურებს შორის შეუსაბამობა, რაც შესაძლოა გამართლებული ყოფილიყოს მხოლოდ შედარებით აუცილებელი პროდუქტების წარმოებით (კვების პროდუქტები, ტექსტილი): პირველი სექტორი ჩნდება სულ უფრო დინამიური, ხოლო შიდა ბაზართან მიმართებით, - სულ უფრო სტატიური.

ამ პერიოდში,მწარმოებლურობის/წარმადობის საათობრივი ზრდა ტექსტილის და კვების სექტორებში

შეადგენს 4-5%, ქიმიურ, საავტომობილო და ფოლადის სექტორებში ის მერყეობდა 8.5%-დან და 11%-მდე ფარგლებში. 1953 – 1962 წლებს შორის პერიოდში, მოგების ნორმა/ოდენობა საფეიქრო და კვების მრეწველობის სექტორებში იზრდება 0-10%-ით, დინამიურად განვითარებულ სექტორში 28-55%-ით. როგორც ჩანს, ორი სხვადასხვა სიჩქარის არსებობა აჩვენებს, რომ ეკონომიკურმა ბუმმა გამოიწვია ზოგიერთი არსებითი წინააღმდეგობა. ეჭვსგარეშეა, რომ დინამიური სექტორის სიჩქარე არის გასაოცარი: 1947 წელს, Candy ერთ სარეცხ მანქანას აწარმოებდა დღეში, 1967 წლისთვის, - ყოველ 15 წამში. 1951 წელს 18.500 მაცივარი იქნა გამოშვებული, 1957 წელს - 370.000 და 1967 წელს - 3.200.000. ევროპის ქვეყნებს შორის იტალია გახდა საყოფაცხოვრებო ტექნიკის პირველი და უმსხვილესი მწარმოებელი. ავტომობილების წარმოება ასევე ძირითად ძრავას წარმოადგენდა მთელი ეკონომიკისთვის.

1959 წლიდან 1964 წლამდე საზოგადოერბივი სამუშაოების 40 % დაკავშირებული იყო ტრანსპორტთან, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, - საგზაო და საავტომობილო მაგისტრალების მშენებლობასთან. მხოლოდ 1959 წელს, სარკინიგზო სამუშაოებზე დაიხარჯა 36 მილიარდამდე, ხოლო საგზაო სამუშაოებზე, - 238 მილიარდი. ეს არის წლები, როცა დაიწყო მილანი-ვეჯო კალაბრიის მზის ავტომაგისტრალის(dell'Autostrada del Sole Milano-Reggio Calabria) მშენებლობა, რა გზითაც გადაჰქონდათ ფიატის(Fiat), ლანჩასა(Lancia) და ალფა-რომეოს(Alfa Romeo) ქარხნებში გამოშვებული ახალი ავტომობილები.

ინდუსტრიის გაფართოებასთან ერთად მრეწველობა ასევე ვითარდებოდა დიდი ქალაქების ფარგლებს გარეთ. ის ჩნდებოდა აგრეთვე ჩვეულებრივი სამრეწველო სამკუთხედის(მილანი-ტურინი-გენუა) საზღვრებს მიღმა.

მაშასადამე, ყველა ზემოთ აღნიშნული წარმოების სექტორი სარგებლობას იღებს იმ ვირტუოზული წრიდან(di un circolo virtuoso, დადებითი წრებრუნვიდან /მიმოქცევით), რომელშიც პროდუქტიულობის ზრდა იწვევს მაღალ მოგებას; თავის მხრივ, ხელფასის ზრდა (არც

თუ ისე მოქნილი/ნაკლებ ფლექსიბლური) შრომის მწარმოებლურობის პროპორციულ ზრდასთან მიმართებით მცირეა: ეს კი თავის მხრივ იწვევს პროფკავშირების ძალაუფლების შესუსტებას. (გაკვრით აღვნიშნოთ ის, რომ 1948 წელს CGIL- ში, CISL და UIL- ში პროფკავშირული ერთობა დაირღვა.).

შრომის/სამუშაო ძალის დაბალ აბზორბციასთან კომბინირებით(გაერთიანება/შერწყმა), კომპანიებს ეძლევათ თვითდაფინანსების საშუალება, ამგვარად განავითარონ კაპიტალის ფაქტორი (ე.ი. ტექნოლოგიები). კიდევ ერთი რეზულტატი არის ფასების სტაბილურობა, რაც ყველაზე ხელსაყრელი გარემოა ხელფასების ზრდის შესაკავებლად, პროდუქტიული ინვესტიციებისა და მოხმარების ზრდისთვის. მარტივად შესამჩნევი და ადვილი მისახვედრია, თუ როგორ აძლიერებს თითოეული ეს ელემენტი მეორეს.

დიდი გარდაქმნების მიმოხილვისას, რასაც ადგილი ჰქონდა იტალიაში ორმოცდაათიანი წლების შუადან, შეუძლებელია დაშორება დისბალანსისა და დისფუნქციის ანალიზისგან, (იმის) რაც გენერირდა(იშვა/გაჩნდა) ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურაში. შესაბამისად, ამ ქვეყნის განვითარების გზა არ ყოფილა ია-ვარდით მოფენილი. ფაქტი, რაც მრავლად დადასტურებულია, არსებითად არის ეკონომიკური სასწაულის სპონტანური და უკონტროლო ხასიათი, განპირობებული განვითარების ორგანული გეგმის არარსებობით, დაქვემდებარებული სახელმწიფო ორგანოების კონტროლს და მიმართული როგორც სხვადასხვა რეგიონების, ისე მოხმარების დაბალანსებული ზრდის მიღწევისკენ. ამდენად, საბაზრო ძალების თავისუფალ თამაშზე დამყარებულმა 1951-63 წლების ბუმმა, ძირითადად მოიცვა ჩრდილო-დასავლეთის ის რეგიონები, სადაც უკვე არსებობდა სამრეწველო სტრუქტურა და წარმოების/საწარმოო კულტურა.

პოლიტიკამ ვერ შეძლო ამ პრობლების გადაწყვეტა და მისი ძირითადი, არსებითი დისბალანსის კორექტირება. ამ კონტროლის არარსებობის გამო, ე.წ. 'მოხმარების

დამახინჯება'('distorsione dei consumi') წარმოადგენს სტრუქტურული დისბალანსის ნათელ მაგალითს. 'მოხმარების დამახინჯება' იყო ექსპორტზე ორიენტირებული ზრდის პროდუქტი, რამაც გამოიწვია ზღვარგადასული აქცენტ(ებ)ი პირად მოხმარებაზე(di consumo privati), (და ხშირად ფუფუნების საქონლზე / e spesso su quelli di lusso), საზოგადოებრივი მოხმარების ადეკვატური განვითარების საზიანოდ. ეს ასევე (კარგად) ხსნის იმ ფაქტს, რომ ინფრასტრუქტურა ისეთი განვითარებული ქვეყნის, როგორიც იტალიაა, ხშირად ჩამორჩებოდა ევროპულ სტანდარტებს.

ეს დამახინჯება აღინიშნა აგრეთვე ინდივიდუალური მოხმარების დონეზეც, რომელიც ხელს უწყობდა ეკონომიკის ორმაგ სიჩქარეს: ტრადიციული სექტორის გაცილებით დაბალი დინამიზმი ნიშნავდა იმას, რომ პირველადი მოხმარების საქონელი პროპორციულად ძვირი იყო, მეორადი საჭიროების და ფუფუნების საქონელთან შედარებით. საზოგადოების უმდიდრესი ნაწილის/მდიდარი ფენის ემულაციამ (წამბაძველობა /მიბაძვა) და ბურჟუაზიული და ქალაქის მკვიდრთა /ქალაქელთა კლასის მოხმარების სტრუქტურის საკმაოდ სწრაფმა ასიმილაციამ ჯერ კიდევ პროვინციული და სოფლის(გლეხთა) საზოგადოების მხრიდან, დაასრულა პარადოქსული სურათი, ალბათ უკეთ შესრულებული ალბერტო სორდის(Alberto Sordi) ფილმებით, ვიდრე მრავალი სოციოლოგიური ნაშრომით: ოთახებში გამოჩნდა ტელევიზორები, მაგრამ კვლავაც უკმარი იყო ტუალეტები(ჰიგიენური საჭიროების სერვისი); მაშინ როდესაც ავტომობილი იქცა სტატუსის სიმბოლოდ, რკინიგზა/სარკინიგზო ხაზები მიტოვებული იყო ბედის ანაბარა; მცირე და საშუალო საწარმოების დინამიზმს აფერხებდა სახელმწიფო მართვის არაეფექტურობა.

როლი, რომელსაც თამაშობდნენ ხელისუფლებები, რომლებიც მიყოლებით ცვლიდნენ ერთმანეთს იმ წლებში, ძირითადად კონცენტრირებული იყვნენ სწრაფ გარღვევაზე ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა ინფრასტრუქტურის მშენებლობა,

სახელმწიფო ორგანოების მასობრივი დაფინანსება, ისეთის, როგორიც არის IRI და ENI, ფულად-საკრედიტო სტაბილურობის შენარჩუნება და საგადასახადო კონტროლის შესუსტება კორპორატიულ მოგებებსა თუ შემოსავლებზე, მაგრამ არა ეკონომიკური დაგეგმარების გრძელვადიანი პროგრამის ერთგულებაზე.

რათა წინ აღდგომოდნენ საერთაშორისო კონკურენციას, გარე ბაზარზე მომუშავე ინდუსტრიები ახდენდნენ ინვესტირებას ტექნოლოგიურად თანამედროვე მოწყობილობა-დანადგარების შეძენის მიმართულებით, მაშინ როდესაც ის ფირმები, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებოდნენ შიდა ბაზრის აქტიორებად/სუბიექტებად, ხასიათდებოდნენ მაღალი შრომითი ტევადობით/შრომის მაღალი ინტენსივობით(ad alta intensità di lavoro) და წარმოების მოძველებული მეთოდებით.

სამრეწველო დუალიზმის ამ ფორმამ გამოიწვია ძლიერი დისბალანსი ქვეყნის ეკონომიკურ სტრუქტურაში, მაშინვე, როგორც კი სახელმწიფო და კერძო მოხმარებას შორის საშიშმა დივერგენტულობამ (დაშორიშორებამ /დაცილებამ/გაუცხოებამ) იწყო აღმოცენება. შიდა მოთხოვნის პოტენციალის აღმოჩენამ, რასაც განაპირობებდა შემოსავლების ზრდა ერთ სულ მოსახლეზე, მრავალ კომპანიას უბიძგა საკუთარი პროდუქციის ეროვნული/შიდა ბაზრისკენ წარმართვისკენ, რომლებიც მანამდე მდიდარი ევროპული ქვეყნებისთვის იწარმოებოდა, და როგორც პოლ გინსბორგი აცხადებს(Paul Ginsborg), 'ექსპორტზე ორიენტირებულმა ზრდამ გამოიწვია ყურადღების გადატანა კერძო მოხმარების საქონელზე, ხშირად, - ფუფუნების საგნებზეც, საჯარო მოხმარების საქონლის შესაბამისი და თანხვედრი განვითარების გარეშე. სკოლები, საავადმყოფოები, სახლები, ტრანსპორტი, პირველადი საჭიროების ყველა საგანი მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა კერძო მოხმარების [საქონლის] სწრაფ განვითარებას .... მოდელი, რაშიც (ეკონომიკური) ბუმია ნაგულისხმევი (ანდა ის, რაც ბუმთან დაკავშირებით შეიძლებოდა მოგვეაზრა) გულისხმობდა კეთილდღეო-

ბისთვის სრბოლას, რაც სრულად იყო კონცენტრირებული ინდივიდის და ოჯახის სტრატეგიულ არჩევანზე, ყოველდღიურ კოლექტიურ საჭიროებებზე აუცილებელი საზოგადოებრივი რეაქციების იგნორირებით.'(**P. Ginsborg, A history of contemporary Italy: society and politics, 1943-1988, London 1990 [trad. it. Torino 1989]**) სწორედ იმ წლებში, სწორად თუ არასწორად, იტალია განიხილებოდა როგორც ქვეყანა, რომელიც მიეჩვია საკუთარ შესაძლებლობებზე ზევით მოხმარებას.(**წყარო: IL MIRACOLO ECONOMICO: DALL'ITALIA CONTADINA ALL'ITALIA DEI CONSUMI DI MASSA GLI ANNI DEL BOOM**)

იტალიის ნახევარკუნძულის ეკონომიკური ანალიზი 'სასწაულის' წლებში იწვევს სახელმწიფო ტერიტორიების გაყოფას სამ მნიშვნელოვნად სხვადასხვა ნაწილად. პირველში შედის ჩრდილო-დასავლეთის რეგიონები, სადაც კონცენტრირებული იყო ქვეყნის ძირითადი წარმოების სექტორები/დარგები და, სადაც განლაგებული იყო დიდი სამრეწველო საწარმოები, აღჭურვილი თანამედროვე კაპიტალტევადი კონვეირული ხაზებით. ისეთი ქალაქები, როგორიც არის მილანი(Milano) და ტურინი(Torino), იქცნენ მშრომელი იტალიის სიმბოლოდ, თუმცა ამავე დროს, მძლავრი განვითარება ასევე აღინიშნებოდა პატარა ქალაქებში, კერძოდ: მონცაში(Monza, sede della Candy / კომპანია Candy -ს სათავო ოფისი) და ივრეაში(Ivrea), სადაც მდებარეობდა Olivetti-ის მოდელის ფაბრიკა(la fabbrica-modello della Olivetti.). ეკონომიკურმა ბუმმა ასევე მიაღწია ცერტრალურ და ჩრდილო-აღმოსავლეთის რეგიონებს, სადაც ძველი სისტემის კრიზისმა უბიძგა ოჯახების დიდ ნაწილს მოეხდინათ საკუთარი შემოსავლის წყაროთა დივერსიფიცირება, ახალი სექტორების/დარგებში დაკავებით, როგორიცაა ტანსაცელი, ფეხსაცმელი, კერამიკა და სხვ. ამ რეგიონების განვითარება (კერძოდ, ვენეტო[Veneto], ემილია-რომანია[Emilia-Romagna], მარკე[Marche]) შესაძლებელი გახდა მცირე და საშუალო საწარმოების სწრაფი გავრცელებით, რომლებიც სწორედ თავისი მოკრძალებული ზომით აღმოჩნდნენ ძლიერ

მოქნილი და უნარიანი, მოეხდინათ წარმოების მოდიფიცირება ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ყოფილმა მოიჯარე-მონახევრე ოჯახთა წევრებმა(I membri delle ex famiglie mezzadrili) ჩამოაყალიბეს ახალი კომპანიების ბირთვი, რომელთაც, მცირე რაოდენობის თანამშრომელთა წყალობით შეეძლოთ ადვილად აეცილებინათ თავიდან პროფკავშირების კონტროლი და შემოწმებები საგადასახადო სისტემის მხრიდან, რაც იყო საკმაოდ დაქსაქსული ან არაეფექტური.

თავდაპირველად (ისე) ჩანდა, რომ დიდი ტრანსფორმაცია სამხრეთსაც შეეხებოდა. 'სამხრეთის საკითხი' იტალიის ისტორიაში ჩნდება (ჯერ კიდევ) ქვეყნის ერთიანობიდან მოყოლებული და ეს პრობლემა, უკვე კარგად ცნობილი იყო 1947 წლის დამფუძნებლი კრების წევრთათვის: (ამ დროს) სამხრეთის ეკონომიკა იტანჯება სუსტად განვითარებული და ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი მრეწველობით, საერთო დაბალი შრომის ნაყოფიერებით/მწარმოებლურობით, სოფლის მეურნეობაში დასაქებული მოსახლეობის საკმაოდ დიდი წილით, სადაც კვლავაც დაუბალანსებელია მარცვლეული კულტურების წარმოების/მოყვანის საკითხი(რაზეც, თავის მხრივ [უარყოფით] გავლენას ახდენს ფასების ფლუქტუაცია[რყევები]). კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობა არის მცირე, ხოლო ინფრასტრუქტურა სრულიად უკმარი. მმართველ კლასს არ ყოფნის სამეწარმეო მენტალიტეტი, და ამ კონტექსტში საჭიროა იმის გახსენება, რომ სამხრეთის რეგიონებისთვის ომის დროს უცხო იყო წინააღმდეგობის ფენომენი(il fenomeno della Resistenza) და რამაც, ეჭვგარეშეა, ხელი შეუწყო რეალური პოლიტიკური და ადმინისტრაციული განახლების/აღორძინების(rinnovamento) არქონას: სამხრეთში, ისე როგორც არსად, ფაშისტური თუ ფაშისტურამდელი კლასის გადარჩენა იყო იოლი. ამგვარად, 'სამხრეთის საკითხი' -ს შესახებ საუბარი სიმწვავეს იძენს უკვე პირველი მსოფლიო ომის დროიდან, თუმცა ის განიხილება მხოლოდ შემთხვევით იმგვარი საკითხების მსჯელობისას თანხვედრაში, როგორიცაა

რეგიონალიზმი ან ლატიფუნდიები(ob./cfr. art. 44 Cost.).

ერთი მხრივ, ეს ითვლება საკმაოდ დიდ პრობლემად, მეორე მხრივ, ეს სხვა არაფერია, თუა არა საბაბი ტრადიციული სამხრეთელობის რიტორიკისთვის. მაგრამ სწორედ ნაპოლი(Napoli) გახდება მალე 'ახალი სამხრეთულობის/სამხრეთიზმის'(un 'nuovo meridionalismo') მამოძრავებელი ძალა(il centro propulsivo), უფრო თანამედროვესი, რომელიც თავის ცენტრალურ საკითხად დაისახავს მის ინდუსტრიალიზაციას. სამხრეთის ბევრი ეკონომისტი ცდილობს აჩვენოს, რომ მეძოჯორნო(il Mezzogiorno) აგერთვე ჩრდილოეთისთვის არა საფასური/ხარჯი(un costo), არამედ ინვესტიციაა. ამ მოძრაობის ლიდერია la SVIMEZ(Associazione per lo Sviluppo del Mezzogiorno, centro di studi e ricerche che riunisce diversi studiosi e politici di prestigio/სამხრეთის განვითარების ასოციაცია, სასწავლო და კვლევითი ცენტრი, რომელიც აერთიანებს რიგ მეცნიერებსა და პოპულარულ პოლიტიკოსებს), რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ სამხრეთი განხილულიყო სტრუქტურულ პრობლემად, რისი გადაწყვეტაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო საერთო ეკონომიკური დაგეგმარების/დაგეგმვის პოლიტიკის ფარგლებში.

1950 წლის ოქტომბერში, მიღებული იქნა კანონი ე.წ. Cassa del Mezzogiorno-ს შესახებ, რომლის დასახელებაც დღეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულადი მასის უზარმაზარ ხარჯვასთან არის დაკავშირებული, მაგრამ რომელიც, ამასთან ერთად იყო ძალზე სერიოზული და კარგად მოფიქრებული მცდელობა, რაც უდავოდ მოწინავე ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი იყო. Mezzogiorno-ში ინვსეტიციები მიემართებოდა სამი ძირითადი მიმართულებით: ინფრასტრუქტურის პოლიტიკის, კერძო ბიზნესის (კომპანიების) საქმიანობის დახმარების, სახელმწიფოს უშუალო ჩარევის კუთხით. არსებობს ამ მცდელობათა მარცხის/ჩავარდნის (თუნდაც არასრული) ცნობილი ისტორია.

ამ წლებში გაჩნდა გამოთქმა 'კათედრალები/მონასტრები უდაბნოში'('cattedrali nel deserto'), რითაც

აღინიშნებოდა უმსხვილესი სამრეწველო კომპანიების ცალკეული უშველებელი ინდუსტრიული ლოკაციები საჯარო მიმართულებით (მაგ., ტარანტოს l'Italsider / l'Italsider di Taranto ან პომილიანოს l'Alfasud / l'Alfasud di Pomigliano), ისე კერძო კუთხით (მაგ., სირაკუზას le raffinerie / le raffinerie di Siracusa, ბრინდიზის la Montecatini / la Montecatini di Brindisi), გარემომცველი ეკონომიკური და სოციალური ქსოვილისგან ყოველგვარი კავშირის გარეშე, რადგან მათ არ შეეძლოთ მოეხდინათ ადგილობრივი გაუნათლებელი, არაკვალიფიციური სამუშაო ძალის გენერირება თუ აბზორბცია, რამდენადაც ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ მოწინავე ტექნოლოგიებს და არა სამუშაო ძალას. ისინი თითქმის ყოველთვის იყვნენ კაპიტალტევადი(di industrie ad alta intensità di capitale), და არა შრომატევადი ინდუსტრიები(di industrie non di lavoro), და ამდენად, მათ უმნიშვნელო წვლილი შეჰქონდათ სამხრეთული უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტაში. მათ აგრეთვე ვერ შეძლეს ადგილობრივი ეკონომიკის სათანადოდ წახალისება და მისთვის ბიძგის მიცემა. სამოციანი წლების განმავლობაში ახალი ფაბრიკები(le nuove fabbriche), ნავთობ-ქიმიური(gli stabilimenti petrolchimici) და მეტალურგიული ქარხნები(le acciaierie) ქალაქებში რჩებოდნენ იზოლაციაში, როგორც 'სასწაულის' ყველაზე დრამატული სიმბოლო სამხრეთში.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო ამ წარუმატებლობათა /ჩავარდნების მიზეზები, ასეთი კი იყო ბევრი, 'ეკონომიკური სასწაულის' წლები იყო ყველაზე დრამატული სამხრეთის მოსახლეობისთვის: 1951-1974 წლებს შორის მონაკვეთში, გადასახლება /ადგილმონაცვლეობა მართლაც შთამბეჭდავია: 4.2 მილიონი სამხრეთელი (18 მილიონიდან) ემიგრირდა (გადაცხოვრდა) ჩრდილო იტალიაში. ყველაზე მასობრივი გადინება მოხდა 1955-სა და 1963 წლებს შორის პერიოდში. (გარდა ამისა, აქვე უნდა დავძინოთ ისიც, რომ იმავე პერიოდში, 550.000 მეტი იტალიელიდან, თითქმის სამი მეოთხედი სამხრეთელი ემიგრირდა ჩრდილოეთ ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიაში). ენთუზიაზმის

ტალღაზე, მრავალი დამკვირვებელი დარწმუნებით აცხადებდა, რომ მათ მოელოდათ ეპოქალური გარდატეხა, რაც დაასრულებდა სამხრეთის მრავალსაუკუნოვან ჩამორჩენილობას და დაძლევდა რეგიონების სირთულეებს, სადაც აგრარულმა რეფომამაც კი ვერ შეძლო გადაეწყვიტა დრამატული დისბალანსი მოსახლეობასა და რესურსებს შორის. მოხდა ეპოქალური გარდატეხა, მაგრამ არა საჭირო და სასურველი მიმართულებით. თუმცა, ქვეყნის ამ მხარეში ეკონომიკის აღორძინების ფინანსური ძალისხმევა მნიშვნელოვანი და შთამბეჭდავი იყო. Cassa per il Mezzogiorno -ს გარდა ხელისუფლებამ ფაქტობრივად გამოყო დიდი თანხები ახალი სამრეწველო საწარმოების ასაშენებლად: მან გადაწყვიტა შეექმნა განვითარების ცენტრები/პოლუსები(poli di sviluppo) და ინდუსტრიალი-ზაციის ცენტრები/ბირთვები(nuclei di industrializzazione) ისეთი ქალაქების სიახლოვეს, როგორიცაა ბარი(Bari), ბრინდიზი(Brindisi), კალიარი (Cagliari), ნაპოლი(Napoli), სალერნო(Salerno), ტარანტო (Taranto). მან ასევე ბიძგი მისცა მსხვილ კომპანიებს ფიატს(la Fiat), ალფა რომეოს (l'Alfa Romeo), ოლივეტის (la Olivetti), რათა მათ გაეხსნათ საწარმოები (ქარხნები-ფაბრიკები) პოჯორეალეში (Poggioreale), პომილიანო დ'არკოში (Pomigliano d'Arco), პოცუოლში (Pozzuoli). რეალობა, სამწუხაროდ აღმოჩნდა გაცილებით ნაკლებად გასახარი. ზოგიერთი განვითარების პოლუსის არჩევანი წააწყდა სასტიკ კრიტიკას, რამდენადაც ის უფრო მეტად იყო დეტერმინირებული კლიენტურის წნეხით, ვიდრე რაციონალური ეკონომიკური არჩევანით.

ემიგრაციის, განსაკუთრებით შიდა ემიგრაციის გზა (სამხრეთის რეგიონებიდან ჩრდილოეთის რეგიონებში), იქცა სავალდებულო, იძულებით გზად, სამუშაოს მძებნელი ასობით ათასი უმუშევარი ადამიანისთვის. მხოლოდ 1961 წელს, 1.700.000 სამხრეთელმა დატოვა თავისი მიწაწყალი/სამკვიდრო, გაეშურა მსხვილი სამრეწველო ცენტრებისკენ, როგორიც არის მილანი, სადაც მოსახლეობის რიცხოვნება 24% -თ გაიზარდა, თუ ტურინი, რომლის მოსახლეობამ იმ წლებში 42 % -თ მოიმატა.

მუშახელზე დიდი ხელმისაწვდომობა ჩრდილოეთში დაემთხვა სოფლად დეპოპულაციას(მოსახლეობის შემცირება, კლება) სამხრეთში, და (რაც) წარმოადგენდა ერთ-ერთი ყველაზე დრამატულ ასპექტს აგრარული ეკონომიკიდან ინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლის გზაზე. ამასთან მიმართებით სტატისტიკის საიმედოობა რასაკვირველია ფარდობითია(შეფარდებითი/შედარებითი), თუმცა ამდენადვე ეჭვშეუვალია კითხვები რეალურ გეოგრაფიულ რყევებთნ დაკავშირებით, რაც გამოწვეული იყო სასოფლო ადგილებიდან გაქცევითა (და მათი დაცარიელებით). ეკონომიკური სასწაულის წლებში მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობაში დასამებულთა პროცენტი, ხოლო ინდუსტრიულ სექტორში დასაქმება მნიშვნელოვნად გაიზარდა (და) გახდა ძირითადი სექტორი. შემდგომ წლებში, მესამეულმა(მომსახურების) სექტორმა(il settore terziario) შთანთქა დასაქმებული მოსახლეობის დიდი ნაწილი.

მოგების თავბრუდამხვევი ზრდა თითქმის არ თამაშობდა როლს ხელფასის/სახელფასო ანაზღაურების ზრდაში, რასაც ხელს არ უშლიდა არანაირი ინფლაციური ტენდენციები/პროცესები, და იტალიის მრეწველობას შესაძლებლობას აძლევდა წინააღმდეგობა გაეწია უცხოური კონკურენციისთვის, კონკურენტუნარიანი ფასების პირობებში პროდუქციის ფართო ასორტიმენტის მიწოდებით. სამუშაო ძალის დაბალი ღირებულება ომისშემდგომი იტალიაში (ასევე დაკავშირებული უმუშევართა დიდი ოდენობის არსებობასთან) ითვლებოდა 'ეკონომიკური სასწაული'-ს ერთ-ერთ ძირითად მამოძრავებელ ფაქტორად. ჯერ კიდევ 1961 წელს, უმუშევრობის დონე ფასდებოდა მიახლოებით 7.3 %-ით არსებული სამუშაო ძალიდან. სამუშაო ძალის რეზერვუარი აღმოჩნდა ფასეული სამრეწველო სექტორის განსავითარებლად იმ ვითარებაში, რომელშიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძლიერ დასუსტებული პროფკავშირული ფრონტი იძულებული გახდა გადასულიყო თავდაცვაზე.

ამიტომ 1963-1973 წლების პერიოდი, რომელიც

ცნობილია 'პროფკავშირების ბრძოლის' სახელწოდებით, ხასიათდებოდა შემოსავლების უჩვეულო ზრდით ერთ სულ მოსახლეზე, რომლის ტემპებიც წარმოადგენს იმის თქმის უმთავრეს საფუძველს, რომ 'სასწაულის' ცნება მთლიანობაში რეალიზირდა. 1952 წლიდან 1970 წლამდე იტალიელთა საშუალო შემოსავალი გაიზარდა 130 % -ზე მეტად (თუკი ჩვენ 1952 წლისთვის, შემოსავლების აღმნიშვნელ საბაზისო მაჩვენებლად ავიღებთ 100 -ს, მაშინ 1970 წლისთვის ის იქნება 234.1). ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის საფრანგეთი და ინგლისი, იმავე პერიოდში ზრდამ შესაბამისად შეადგინა 36 % და 32 %. იმავდროულად გაიზარდა მსყიდველთუნარიანობა, და შესაბამისად, - ზემოთ ნახსენები ყველა დისტორციის (დამახინჯების) მიუხედავად, - ცხოვრების დონეც. 1958 წელს, იტალიელთა მხოლოდ 12 % -ს ჰქონდა ტელევიზორი, 1965 წლისთვის კი, - ოთხჯერ მეტს. 1958 წელს 100 -დან მხოლოდ 13-ს გააჩნდა მაცივარი და 3-ს სარეცხი მანქანა. 1965 წლისთვის პროცენტი შესაბამისად შეადგენდა 55-სა და 23 -ს.

2. 2 .2 §. პროფკავშირები

დე გასპერის მთავრობის ფრთხილი საკანონმდებლო ჩარევის მიღმა, (ეკონომიკურ) ზრდას ადგილი ჰქონდა ძლიერი და ცხადი პოლიტიკური დაგეგმარების გარეშე. ამასთან, ბაზრის ლოგიკის მიყოლით (და მასთან თანხვედრაში), (ის) უფრო მეტად ეყრდნობოდა მსხვილი სამრეწველო ჯგუფების ინიციატივებს. კერძო სამომხმარებლო საქონლის მნიშვნელოვანმა ზრდამ გამოიწვია საყოველთაო უყურადღებობა საზოგადოებრივი საქონლის(სიკეთის) მიმართ: ამიტომ, სკოლების, საავადმყოფოებისა და ტრანსპორტის (ავტომაგისტრალების ქსელთა გამოკლებით) მშენებლობით იტალია სხვა ევროპულ ქვეყნებს ჩამორჩებოდა და რამაც (საბოლოოდ)

გამოიწვია სტრუქტურული დისბალანსი, რის საფასურსაც ეს ქვეყანა დიდხანს იხდიდა.

პირველი არსებითი დისბალანსის ფაქტორი იყო შრომის ხარჯები: კომპანიებმა შეძლეს, რომ ხანგრძლივი დროით შეენარჩუნებინათ კონკურენტუნარიანი სასაქონლო ფასები, სამუშაო ძალის ექსპლუატაციისა (დაბალი ფულადი ანაზღაურების/დაბალი ხელფასების) და პროფესიული კავშირების საქმიანობის პარალიზების პირობებში.

1951 წლიდან და 1963 წლამდე პერიოდში, იზრდებოდა ყველა ეკონომიკურ მაჩვენებელი (წარმოება 95% -ით და მოგება 86% -ით), საშუალო ყოველდღიური სამუშაო დროის ხანგრძლიობა 10 საათამდე გაიზარდა (ხოლო ზოგიერთ დარგსა თუ წარმოების სფეროში, მისი მაჩვენებელი 12 საათს გაუტოლდა); მეორე მხრივ, თანამშრომელთა სამუშაო ძალის ღირებულება პირიქით, რჩებოდა თითქმის ძველ დონეზე.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია იმ თანამშრომლების /მუშების რაოდენობა, რომლებიც, გაფიცვებში მონაწილეობის გამო, პოლიციური ძალების წყალობითა და შინაგან საქმეთა მინისტრის, მარიო შელბას(Mario Scelba) (მეთაურობითა და) 'დამსახურებით', აღმოჩნდნენ მკაცრი რეპრესიების პირობებში. პროფკავშირების დემონსტრაციებში მონაწილეობისას, 1948 წლიდან 1954 წლამდე დროის მონაკვეთში, მოკლული იქნა 75 მუშაკი, 5104 დაიჭრა და დააკავეს 150,000 (რომელთაგან, 61.200 გაასამართლეს).

ისინი იმყოფებოდნენ ცივი ომის შუაგულში და ქრისტეან-დემოკრატიულ ხელისუფლებაზე აშშ-ს ზეწოლა პროფკავშირების ინიციატივის შესაზღუდად, იყო ძლიერი და დაჟინებული. 1954 წელს, აშშ-ს ელჩმა იტალიაში ქლერ ბუუზ ლიუსმა(Clare Boothe Luce), Fiat-ის პრეზიდენტთან, ვიტორიო ვალეტასთან(Vittorio Valletta) შეხვედრაზე განაცხადა, რომ მისი მთავრობა გაწყვეტდა ურთიერთობას ტურინულ კომპანიასთან, თუ იგი არ შეასუსტებდა იმ გავლენას, რაც la CGIL-ის(La Confederazione Generale Italiana del Lavoro [CGIL] è un

sindacato italiano. Fondato a Roma nel 1944, è la più antica organizzazione del lavoro esistente in Italia ed è ideale continuazione della preesistente Confederazione Generale del Lavoro, fondata nel 1906 e sciolta forzosamente dal fascismo. / იტალიის შრომის გენერალური კონფედერაცია [CGIL] არის იტალიური პროფკავშირი. დაარსდა რომში 1944 წელს, ის არის უძველესი შრომითი ორგანიზაცია იტალიაში და არის 1906 წელს დაარსებული შრომის გენერალური კონფედერაციის სრულყოფილი გაგრძელება, რომელიც დაარსდა 1906 წელს და ფაშიზმის მიერ იძულებით დაიშალა.) გააჩნდა მუშებს შორის. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაწყვეტის შიშმა, აიძულა Fiat -ის ხელმძღვანელობა, წამოეწყო ყველაზე მეტად მებრძოლი, აქტიური პროფკავშირების მოღვაწეთა/წევრთა გათავისუფლებისა და შიდა ტრანსფრების(გადაყვანების) ტალღა, რომლებსაც აგზავნიდნენ იმ დეპარტამენტებში, სადაც მუშაობა რთული იყო. ფაქტობრივად, კომპანიამ უფლება მისცა სამართალდამცავ ორგანოებს ესარგებლათ თანამშრომელთა სიებზე წვდომით, რათა საქმე აღეძრათ(დაეწყოთ სისხლის სამართლის მოქმედებები) იმ ეჭვმიტანილ პირთა მიმართ, რომლებიც კომუნისტური პარტიისადმი თანაგრძნობითა და კელთილგანწყობით იყვნენ გამსჭვალულნი: (ხდებოდა) რაღაც ძალიან მსგავსი მაკარტიზმისა (the McCarthyism - არის დივერსიისა და ღალატის ცრუ ან დაუსაბუთებელი ბრალდებების წაყენების პრაქტიკა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ასოცირდება ანარქიზმთან, კომუნიზმთან და სოციალიზმთან, და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ხდება საჯარო და ყურადღების მიპყრობის გზით.), რაც იმ დროს აშშ-ის ინსტიტუციებსა და საზოგადოებებში, რესპუბლიკელი სენატორის, ჯოზეფ მაკარტის(Joseph McCarthy) მიერ ფართოდ იქნა გავრცელებული.

შედარებითი 'სოციალური მშვიდობის' ხუთი-ექვსი წლის შემდეგ, 1962 წელს იფეთქა ახალმა საპროტესტო აქციებმა, როდესაც მეტალურგების საკონტრაქტო პირობებზე მიმდინარე მოლაპარაკებების დროს, la

FIOM(Federazione Impiegati Operai Metallurgici, facente capo alla CGIL / მეტალურგ მუშაკთა ფედერაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს CGIL) მოითხოვა, ყოველკვირეული ექვსდღიანი სამოუშაო დროის 44 საათიდან 40 საათამდე შემცირება და მისი ხუთ დღეზე გადანაწილება. ივლისში, ტურინში(Torino), ფიატის(Fiat), ლანჩასა(Lancia) და მიკელინის(Michelin) თანამშრომლებმა გადააჭდეს ერთმანეთს ხელები და მოითხოვეს ხელფასების ზრდა და ანაზღაურებადი დასვენების(შვებულების/არდადეგების) მესამე კვირის აღიარება. მათი მობილიზაცია გრძელდებოდა ერთი თვე, რა დროსაც მუშებმა მიიღეს მხარდაჭერა ბორგო სან პაოლოს(Borgo San Paolo) რაიონის მაცხოვრებლების მხრიდან. მიკელინის(Michelin) თანამშრომლებმა დაიკავაეს პორტა ნუოვას(Porta Nuova) სარკინიგზო სადგური, ხოლო ფიატ მირაფიორის(Fiat Mirafiori) მუშებმა, პირველად რამდენიმე წლის განმავლობაში, თავი შეიკავეს სამუშაოზე გასვლისგან: იტალიის საწარმოო ურთიერთობათა ისტორიაში ეს იყო ახალი და მღელვარე ეპოქის დასაწყისი.

პროფკავშირებს შორის არსებული განხეთქილება, დიდი ხნის განმავლობაში უშლიდა ხელს მუშათა მოძრაობას, ჰქონოდა საკმარისი წონა/გავლენა კომპანიებთან საკონტრაქტო მოლაპარაკებების დაწყებისთვის და მხოლოდ 1970 წლის შემდეგ, როდესაც დამტკიცებული იქნა შრომითი კოდექსი(lo Statuto dei lavoratori საკანონმდებლო აქტი/წესდება მშრომელთა შესახებ), გაუმჯობესდა ყოფითი (სამუშაო) პირობები ფაბრიკა-ქარხნებში.

დასაქმების ზრდამ და ახალმა პოლიტიკურმა კლიმატმა, რაც პირველი მემარცხენე-ცენტრისტული მთავრობების(primi governi di centro-sinistra) ფორმირების შედეგად იქნა ხელშეწყობილი და წახალისებული, მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სამუშაო ურთიერთობების კუთხით. სამოციანი წლების დასაწყისში აღდგა პროფკავშირული საქმიანობა, რაც მიმართული იყო მშრომელი კლასის ხელფასის პირობების გაუმჯობესებისკენ, სახელფასო ანაზღაურებისა და

მოგების ტენდენციას შორის არსებული შესამჩნევი დისბალანსის შესამცირებლად. არეულობები და გაფიცვები ჩრდილოეთის ბევრ ქარხანაში, რამაც თავის პიკს 1962 წლის ივლისში მიაღწია, დასრულდა მძაფრი შეტაკებებით დემონსტრანტებსა და სამართალდამცავებს შორის, ტურინში, სტატუტოს მოედანზე(in Piazza Statuto a Torino) ოცნებები შოკის გარეშე(senza scosse) ეკონომიკურ განვითარებაზე გაცამტვერდა, და ხელფასების შემდგომ ზრდას, რაც პროფკავშირების დამსახურებაა, ახასიათებდა ნაწილობრივი ეფექტი, რადგან 'სასწაულისთვის' ნიშანდობლივი დაბალი ფასებისა და ვალუტის სტაბილურობის რეჟიმი ფაქტობრივად ქრებოდა. ინფლაციის ზრდას ხელს უწყობდა აგრეთვე (კიდევ უფრო) ღრმა დისბალანსი არსებულ ჩამორჩენაში სოფლად (სადაც წარმოება აღმოჩნდა უკმარი მოხმარების ზრდის მხარდაჭერისთვის, რასაც ხელი შეუწყო ხელფასების ზრდამ). ქრონიკული უფსკრული/განსხვავება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ეკონომიკური ბუმის წყალობით კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა. სამოციანი წლების მეორე ნახევარსა და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში, მთლიანი შიდა პროდუქტი განაგრძობდა ზრდას, თუმცა მნიშვნელოვნად დაბალი ტემპით, მაგრამ, ამავე დროს, წინააღმდეგობები, რომელიც ინჰერენტული (თანამდევი/ორგანული) იყო სისტემისთვის, დღის შუქზე ჩნდებოდა მთელი სიმძიმით.

სამხრეთული წარმომავლობის, ქრისტეან-დემოკრატების ლიდერთა დაჟინებული მოთხოვნით, მთავრობამ გამოყო მნიშვნელოვანი თანხა სოფლის მეურნეობის აღსადგენად და ახალი ინფრასტრუქტურის (გზები, ელექტრო-გადამცემი ხაზები და აკვადუკები) ასაგებად სამხრეთში. ისინი ასევე ცდილობდნენ მრეწველობის აღორძინებას (და თავისი ტრადიციული ელექტორატისა და სხვადასხვა კლიენტების/მომხმარებლების ინტერესების გაკონტროლებას) გარკვეულ ქალაქებში (როგორიცაა სალერნო/Salerno, ბარი/Bari და ტარანტო /Taranto), ფინანსური დახმარების გადაცემითა და უსასყიდლო შემოწირულობებით (არადაბრუნებადი კონტრიბუცი-

ებით/შენატანებით) სამხრეთის აღორძინების ფონდიდან(la Cassa per il Mezzogiorno), რამაც 1984 წლამდე შეძლო არსებობა.

2. 2 .3 §. სოციალური შედეგები

ეკონომიკური სასწაულის დამამთავრებელ ფაზაში, ახალგაზრდული საპროტესტო გამოსვლების პირველი ფორმების გავრცელებასა და განახლებულ სამოქალაქო გრძნობებს შორის, გამოჩნდა კოლექტიური ეთოსის ახალი ცვლილების რამდენიმე ნიშანი, რომლებიც მოგვიანებით, 1968 წელს გამოვლინდა. თაობათა შორის კონფლიქტი ტანსაცმლისა და მუსიკის, ცხოვრების წესისა და გოგონებისთვის ქვედა ბოლოს სიგრძის საბაბით, მალავდა გაცილებით მკვეთრ ჭიდილს, ცხოვრებისა და პოლიტიკის გაგების საშუალებათა და ფორმათა შესახებ. იტალია იყო ალბათ პირველი ქვეყანა ევროპაში, რომელიც ჩაერთო იმ თაობის მსოფლიო საპროტესტო ციკლში, რომელსაც ეწოდა '1968'. (უნივერსიტეტების ოკუპაცია და სტუდენტური მობილიზაცია დაიწყო უკვე 1967 წლის შემოდგომაზე, რასაც მოჰყვა 'Valle Giulia'['ვალე ჯულია'] -ს ცნობილი ბრძოლა რომში სტუდენტებსა და პოლიციას შორის 1968 წლის 1 მარტს.).

ეკონომიკური სასწაულის წლებს თან ახლდა ტრანსფორმაციის საკვანძო პერიოდი, რომელიც შეეხო ყოველდღიური ცხოვრების თითოეულ ასპექტს: კულტურას, ოჯახს, გართობას, მოხმარებას, ენას და სექსუალურ ჩვეულებებსაც(სექსუალური ქცევის ფორმებსაც) კი.

პირველი ელემეტი, რამაც ხელი შეუწყო ცვლილებებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, იყო სატრანსპორტო საშუალებები, სახელდობრ, კერძო ტრანსპორტი (ავტომობილი, მოტოციკლი, ველოსიპედი), რომელიც იძლეოდა სწრაფი გადაადგილების საშუალებას. 1950 -იან წლებამდე, საქალაქთაშორისო მიმოსვლა ხორცილ-დებოდა საჯარო ტრანსპორტით, საზოგადოებრივი ავტობუსებით (torpedoni), საფოსტო ავტობუსებითა

/საფოსტო ვაგონებითა(corriere) და მატარებლებით(treni), რომლებიც იყო ძალიან ნელი და მუდამ ხალხით გადავსებული, ხოლო ქალაქში, - ძირითადად ველოსიპედებით.

ქალაქთა ცენტრებში, ველოსიპედები გარშემორტყმული იყო სკუტერებით, რაც წარმოადგენდა დიდ წარმატებას, იმდენად, რამდენადაც ქუჩები სავსე იყო კომპანია Piaggio-ს მიერ, პატარა ინდუსტრიულ ქალაქ პონტედერაში(Pontedera) წარმოებული Vespa-სა და მილანის საავტომობილო ქარხანა ინოკენტში(dalla Innocenti di Milano) დამზადებული Lambretta-ს მარკის მოტოციკლეტებით. 1956 წელს, გამოშვებული იქნა მემილიონე Vespa, ხოლო იმავდროულად, ორივე ბრენდს ათობით სხვა მოტო-მწარმოებელი დაემატა**(G.F. Vené, Vola colomba. Vita quotidiana degli italiani negli anni del dopoguerra, 1945-1960, Milano 1990.).**

'ორბორბლიანების' უპირატესობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან 50-იანი წლების შუაში მას დაემუქრა ავტომობილების გავრცელება, რაც უფრო კომფორტულს ხდიდა მოგზაურობას და ყველაზე უფრო შორეული დანიშნულების პუნქტამდე მიღწევის საშუალებას აძლევდა ოჯახებს, შაბათ-კვირასა(უქმეებსა) თუ სადღესასწაულო დღეებში ქალაგარეთ მოგზაურობის დროს, რასაც ისინი ჩვეულებრივ ატარებდნენ საზღვაო კურორტებზე.

სამუშაო კვირის შემცირებით გაიზარდა თავისუფალი დრო, რომელიც შესაძლებელი იყო გამოყენებულიყო სიამოვნებისთვის: იმ დროისთვის, ეს აგრეთვე იყო ნამდვილი რევოლუცია, რამდენადაც იტალიელთა დიდ უმრავლესობას შეეძლო თავისუფლად გადაადგილება, იმ შეზღუდვებისგან გათავისუფლებით, რასაც დრო და სივრცე უწესებდა მათ ყველა წინა თაობას.

'ეკონომიკური სასწაულის' წლების ტრადიციათა ტრანსფორმაციის კიდევ ერთი სიმბოლოა ავტომობილი. Fiat-ის კონვეირიდან გამოვიდა ჯერ la '600', ხოლო შემდეგ პატარა, მცირე ლიტრაჟიანი la '500'. სატრანსპორტო საშუალებათა რიცხვი გზებზე სწრაფად გაიზარდა, და მალე საკვირაო(უქმეებზე) გასეირნება (ქალაქგარეთ)

სოფლის მიდამოებსა თუ ზღვაზე ჩვეულებად იქცა. ავტომობილი წარმოადენდა სტატუსის ახალ სიმბოლოს, რომელიც ხელმისაწვდომი იყო აგრეთვე მუშათა კლასის ზედა ფენებისთვის. განვადების ფორმის(PAGAMENTO A RATE / გადახდა განვადებით) სწრაფად გავრცელების წყალობით, სულ უფრო მეტ ოჯახს შეეძლო მსუბუქი ავტომობილის შეძენა, რომელთა რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა. საკრედიტო ინსტიტუციამ(L'istituto del credito) უდიდესი წვლილი შეიტანა სამომხმარებლო რევოლუციის საქმეში: ისეთი ძირითადი პრინციპები, როგორიც არის დანაზოგები/ანაბრები(il risparmio) და ვალების საშინელება(l'orrore per i debiti), რაც საშუალო (ბურჟუაზიულ) ფენებში ფართოდ გავრცელებულია, სულ უფრო დაჟინებით და ფართოდ ინერგებოდა ხმაურიან სარეკლამო კამპანიებში, რომლებიც პატარა პროვინციული ქალაქების ცენტრებამდეც კი აღწევდა. ამ პერიოდში აღმოცენებულმა მოხმარების ახალმა ცივილიზაციამ, არსებითად შეცვალა ცხოვრების წესი და ძლიერ იმოქმედა იტალიური პოლიტიკის შიდა ურთიერთობებზე. დასაქმების ზრდამ და ეკონომიკურმა ავტონომიამ, რომელიც მრავალ ახალგაზრდა მშრომელს შეეხო, თანდათანობით დაამსხვრია 'al pater familias'('ოჯახის მამა'/'el padre de familia')-ად წოდებული ავტორიტეტი.

კიდევ ერთი უმნიშვენლოვანესი ტრანსფორმაცია, რომელიც მრავალი ფაქტორის(გადასახლება ქალაქად, სამომხმარებლო მოდელის თავსმოხვევა /შეთვისება [imposizione del modello consumistico], დიდი განკარგვადი შემოსავლები, სეკულარიზაცია) ერთობლივი პროდუქტის შედეგია, იყო დამოკიდებულება ქალსა და კაცს შორის. ქალებისთვის (განსაკუთრებით სამხრეთში), შრომის სამყაროში შესვლა, რაც მანამდე ჯერ კიდევ იმყოფებოდა არახელსაყრელ თანაფარდობაში მამაკაცებთან მიმართებით, წრმოადგენდა ემანსიპაციის პირველ ფორმას მკაცრად მასკულინური/სექსისტური ოჯახური იერარქიიდან, ისევე როგორც ფინანსური ავტონომიიდან.

თუმცა, დანარჩენ ევროპასთან შედარებით,

დიასახლისების ხვედრი იყო იმგვარი, რომ ის ჯერ კიდევ მრავალ იტალიელ ქალს აწუხებდა: კეთილდღეობის გვერდით ეფექტს წარმოადგენდა ის, რომ ოჯახის სარჩენად ხშირად კმაროდა მხოლოდ ქმრის შემოსავალი. ჟურნალ-გაზეთები, სატელევიზიო რეკლამები აგრეთვე სულ უფრო მეტად უბიძგებდნენ ქალებს დიასახლისის როლისკენ, რასაც საყოფაცხოვრებო ტექნიკის უახლესი მოდელები და ახალი (კეთილმოწყობილი) ბინების სიმყუდროვე სძენდა თანამედროვეობისა და ეფექტურობის (მიმზიდველ) სახესა თუ მაცდუნებელ იერს. ტელევიზორი და ავტომობილი ასევე გამოდიოდა 'კერძოსკენ დაბრუნების'('ritiro nel privato') ხელშემწყობად, რაც საბოლოოდ აახლოებდა მოედნებზე არსებული ჩვეული ერთობლივი ცხოვრების წესისა და ჯურღმულებსა თუ გომურებში, ფერმებსა თუ ბეღლებში ტრადიციული ღამისთევის დასასრულთან. კონფიდენცი-ლაურობა იქცა ახალ განზომილებად, რომლისკენაც მიისწრაფვოდნენ. დამატებით სოფლების დაცარიელებამ, ცხოვრების სამომხმარებლო მოდელისადმი მიზიდულობამ გამოიწვია რელიგიურობის ცალსახად შესამჩნევი დაქვეითება, ისე რომ ეს მოვლენა იმ დროშიც კი არ დარჩენილა შეუმჩნეველი. განსაკუთრებით ქალაქებში, პირველ რიგში გარეუბნებში, ტრადიციული რელიგიური მოდელისგან წყვეტა, გარდაუვლად გარდაისახებოდა რელიგიური პრაქტიკისადმი პროგრესირებად უარში.

თუკი ერთი მხრივ ურბანიზაციამ გაანადგურა სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სიკეთე (კოლექტი-ური დღესასწაულები, მჭიდრო ურთიერთობები ოჯახებს შორის და ა.შ.), მეორე მხრივ ახალგაზრდებისთვის შემცირდა შეზღუდვები, ხოლო თავისუფლების ზოგიერთი სივრცე გაფართოვდა: ოფიციალური მორალი ჯერ კიდევ დომინირებდა, თუმცა პირველმა ბზარებმა უკვე იწყეს გამოჩენა. სექსუალურ ჩვევებთან მიმართებით გრძელდებოდა ღრმა უფსკრულის არსებობა ემანსიპირებულ ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, რომელიც დღემდე მჭიდროდ არის დაკავშირებული ტრადიციულ მორალთან. რაც შეეხება ოჯახის

ინსტიტუტს, სწორედ ეკონომიკური ბუმით დაიწყო გაფართოებული ოჯახების პროგრესირებადი დაშლა მონოუჯრედულ/ცალკეულ(mononucleare) ოჯახებად და ეს რღვევა ასევე შეეხო შიდა იერარქიას, სადაც მშობლების ძალაუფლება შვილებზე და ქმრის გავლენა ცოლზე გახდა ნაკლებ რეპრესიული. სწრაფმა გარდაქმნამ, გამოწვეულმა ეკონომიკური ბუმით, შიში გააჩინა მმართველ კლასში. მემარცხენე პარტიები ხელს იშვერდნენ ამერიკული სამომხმარებლო მოდელისკენ, რამაც მასაში ინდივიდუალური გრძნობები გააჩინა, რაც ორიენტირე-ბული იყო მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებაზე, მოსახლეობის დისტანცირებაზე პოლიტიკური ცხოვრებიდან და სისტემის რადიკალურ ტრანსფორმაციაზე წნეხის შემცირებისკენ. კაპიტალიზმი აღმოჩნდა შემძლე, საზოგადოების სულ უფრო ფართო ფენებისთვის უზრუნველეყო მატერიალური აყვავება და კეთილდღეობა, რასაც იქამდე სოციალისტური იდეოლოგია თვლიდა მიუღწევლად.

'ახალ თაობას, - წერს პოლ გინსბორგი(Paul Ginsborg), - არ ჰქონია განსაკუთრებული სურვილი დაკავებულიყო ტრადიციული კოლექტიური თამაშებით ანდა მონაწილეობა მიეღო 'ხალხის სახლის'(della Casa del Popolo / ეს არის საზოგადოებრივი ცენტრები, ერთგვარი ინსტიტუტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ იტალიურ ცხოვრებაში, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებები, ხელოვნებისა და კულტურის ადგილები და როგორც სამეზობლო ურთიერთობების ბირთვები.) აქტივობებში. სამოციანი წლების დასაწყისში მკვეთრად შემცირდა კომუნისტური პარტიის მონაწილეობა სხვა და სხვა ორგანიზაციაში და მათმა დასწრებამ/ყოფნამ სექციურ შეკრებებზე მნიშვნელოვნად იკლო'.**(Ginsborg, op. cit.)** ამგვარი პოლიტიკით გამოწვეული უკმაყოფილებისთვის დიდი წილი პასუხისმგებლობისა, გადატანილი და დაკისრებული იქნა ტელევიზიაზე, რომელიც დადანაშაულებული იქნა იმაში, რომ აძინებდა სინდისს და საერთო ყურადღება გადაჰქონდა ქვეყნის რეალური

პრობლემებიდან. ქრისტეან დემოკრატებიც(la Democrazia Cristiana) კი, რომლებიც სამთავრობო კოალიციის წამყვან პარტიას წარმოადგენდნენ, აფასებდნენ რა (იმ) რისკებს, რომლებიც (მათი აზრით) თან ახლდა საყოველთაო-საზოგადოებრივი მოხმარების ახალ ფასეულობებს, კათოლიკური ეკლესიისადმი (გამოცხადებული) სოლიდარობით, ტელევიზიასა და აგრეთვე, იმ წლებში გადაღებულ ზოგიერთ ფილმს აცხადებდნენ მორალური კორუპციის(della corruzione morale) მთავარ დამნაშავეებად, რაც ითხოვდა მსხვერპლს, - განსაკუ-თრებით ახალ თაობაში.(https://www.studenti.it /miracolo-economico-italiano-1958-1963-storia-origini-conseguenze.html) მაშასადამე, ამ ეტაპის ერთ-ერთი მთავარი პროტაგონისტი(პირველი მოქმედი პირი) იყო ტელევიზია, რომელიც ავრცელებდა მითებს კაპიტალისტურ კონსუმერიზმზე (i miti del consumismo capitalista), რითაც მოქმედებაში მოჰყავდა სწრაფი კულტურული უნიფიკაციის(გაერთგვაროვნების /ერთიანი ნორმების შემუშავებისა და დაქვემდებარების) პროცესი.

რაი-ს (RAI, Radio Audizioni Italiane) მაუწყებლობა სათავეს იღებს 1954 წლის 3 იანვარიდან, ერთი არხით, შავ-თეთრი გამოსახულებით. მეორე, მას დაემატა მხოლოდ 1961 წელს. რამდენადაც საწყის ეტაპზე ტელევიზორების ფასი ძალიან მაღალი იყო, კოლექტიური რიტუალის თავისებურ ფორმას იძენდა ადამიანების სიარული ბარებში, საეკლესიო თუ პარტიულ წრეებში, კინოთეატრებშიც კი, რათა თვალი ედევნებინათ კავშირის ახალი საშუალებით მიწვდილი გადაცემებისთვის (ტრანსლირებული პროგრამებისთვის), რომელიც თანდათანობით ანაცვლებდა რადიოს. ექსტრაორდი-ნალური (არაჩვეულებრივი, საგანგებო, იშვიათი) წარმატება ხვდა წილად ახალგაზრდა წამყვანის, მიკი ბონჯორნოს(Mike Bongiorno) ვიქტორინას 'დატოვება თუ გაორმაგება ?'['Lascia o raddoppia ?'] (1955-59) და იქცა ნამდვილ საზოგადოებრივ და ჩვეულ მოვლენად.

ტელემაუწყებლობის გავრცელება ქვეყანაში წარმოადგენდა ეკონომიკურ გარდაქმნათა სოციალური

შედეგების უაღრესად საინტერესო მაჩვენებელს. დანარჩენი ევროპის მსგავსად, იტალიაშიც მაშინ ტელევიზია იყო სახელმწიფო მონოპოლია: ის სწრაფად იქცა მასობრივ მოვლენად, ხოლო DC-სთვის - არც თუ უმნიშვენელო ძალაუფლების ინსტრუმენტად, თავის მხრივ, ვატიკანს ძლიერი გავლენა ჰქონდა მასზე. თუმცა როგორც სწორად შენიშნავდნენ, თუკი DC-სთვის ეს მძლავრი იარაღი იყო (არც თუ იშვიათად ჟურნალისტური ინფორმაცია შეიცავდა ძლიერ ანტიკომუნისტურ მოსაზრებებს, ცრურწმენებს pregiudizi), ვატიკანის ხელში ის აღმოჩნდა ორლესული მახვილი(doppio taglio). ცენზურაზე ფაქტობრივი კონტროლის მიუხედავად, რომელიც კრძალავდა 'მდარე ინსტიქტებით' ნაკარნახევი ეროტიკული სცენების პროპაგანდას(ჩვენება-გავრცელება), მას არ ესმოდა (ან არ სურდა აღიარება), რომ სატელევიზიო ბაზარზე მოთხოვნადი იყო სწორედ ცხოვრების ჰედონისტური და კონსუმერისტული (სამომხმარებლო) პროდუქტი, სადაც რელიგიური ფაქტორი სრულად იყო უგულვებელყოფილი. მაგალითად, ისეთი უწყინარი პროგრამის გადაცემით, როგორიც იყო Caro-sello, წარიმართა ქვეყნის სეკულარიზაცია, და უფრო მეტად ვიდრე მრავალი საავტორო შრომით, რომლებიც მხოლოდ ფორმალური მორალიზმის საბაბით ექვემდებარებოდა ცენზურას. დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანასთან ერთად, იმ პერიოდის მოვლენას წარმოადგენდა თავისუფალი დროის 'პრივატიზაცია'. ტელევიზიის პროგრესული გავრცელება ცალკეულ სახლებში, ხელს უწყობდა (და შეესაბამებოდა) თავისუფალი დროის კოლექტიური და (მა)სოციალი-ზირებელი სარგებლობის პარალელურ შემცირებას.

2. 2. 4 §. მიგრაციული ნაკადები და ეკოლოგიური კატასტროფები

ერთ-ერთი ბოლო, დასკვნითი მოსაზრება სწრაფი ეკონომიკური განვითარების შედეგებთან დაკავშირებით ეხება მიგრაციულ ნაკადებსა და ლანდშაფტს, - ეროვნულ სიამაყესა და ტურისტულ მიმზიდველობას უცხოელე-თათვის, - რომელიც ბუკვალურად(პირდაპირი განმარტებით) გახდა უკონტროლო სამშენებლო სპეკულაციათა შეტევის ობიექტი. გაივლის რამოდენიმე წელი და სრულიად ახალი მგრძნობელობით უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ინდუსტრიალიზაციის გარდაუვალ ექსტერნალიებს(გარეგან ეფექტებს): განურჩეველ აგრესიას გარემოსა და ლანდშაფტზე.

იტალიის საზოგადოების კიდევ ერთი დისბალანსის ფაქტორად შეიძლება დასახელდეს მიგრაციული ტალღები, რამაც, ორ ათწლეულზე ნაკლებ დროში, არსებითად შეცვალა მოსახლეობის სტრუქტურა, წარმოქმნა უპრეცედენტო ცვლილება. 'ქალაქში წასასვლელად და დასარჩენად'('per andare a stare in città'), ათასობით ადამიანმა მიატოვა სოფლები, როგორც ამას მღეროდა ადრიანო ჩელენტანო(Adriano Celentano) თავის ცნობილ სიმღერაში 'Il ragazzo della via Gluck' (1966).

'სამრეწველო სამკუთხედში' ან საზღვარგარეთ გამგზავრება, მრავალთათვის, ომის შემდგომ პერიოდში იმავე (მძიმე) მდგომარეობაში მყოფი სინამდვილიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად რჩებოდა, რაც აღინიშნა სიღარიბის საკითხის საპარლამენტო გამოძიებისას. 1951 წელს, სოციალ-დემოკრატიულ დეპუტატთა ჯგუფის(un gruppo di deputati socialdemocratici), ეციო ვიგორელის(Ezio Vigorelli), რობერტო ტრემელონისა(Roberto Tremelloni) და ჯუზეპე სარაგატას(Giuseppe Saragat) ხელმძღვანელობით წარმოებული გამოძიება გრძელდებოდა 1953 წლამდე, რათა მოეხდინა ქვეყნის რეალური მდგომარეობის 'ფოტოგრაფირება', გამორჩეულად, - სიღარიბის დონითა და უმუშევრობით განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი რეგიონებისა თუ გეოგრაფიული არეალის. ესენია: კამპანია(la Campania), კალაბრია(la Calabria), სარდინია(la

Sardegna), პადანოს დელტა(il delta padano) და დიდი ქალაქების სიახლოვე/გარეუბნები(le periferie delle grandi città).

გამოკითხვამ(გამოძიებამ/კვლევამ) აჩვენა, რომ 1953 წელს, 12 მილიონზე მეტი იტალიელი, ანუ მოსახლეობის მეოთხედი იმყოფებოდა სიღარიბეში; გარდა ამისა, 230,000 ოჯახი ცხოვრობდა სარდაფში, მანსარდსა თუ სათავსოში/საწყობში, ხოლო კიდევ 90,000 - თუნუქის ქოხებში. ამ საგანგაშო და შემაშფოთებელ კონტექსტში წარმოიქმნა მკვეთრი გეოგრაფიული განსხვავებები იმის გათვალისწინებით, რომ უსახლკარო ოჯახების რიცხვი შეადგენდა საერთო რაოდენობის 5.8%-ს ჩრდილოეთში, 15.6%-ს ცენტრში და 50.2%-ს სამხრეთში. მეძოჯორნოში (Mezzogiorno) ადამიანთა უმეტესობა ჯერ კიდევ ცხოვრობდა მეორე მსოფლიო ომის დროს დაზიანებულ სახლებში, სასმელი წყლისა და შუქის(ელექტროობის) გარეშე.

1958-59 წლებში, რომის ყოველკვირეული ჟურნალის, 'L'Espresso'-ს რვა ჟურნალისტმა(მარიო აგატონი, ნიკოლა კარაჩოლო, ჯუზეპე ჩირანა, ჯანი კორბი, მანლო დელ ბოსკო, პაოლო გლორიოზო, ეუჯენიო სკალფარი და ლივიო ძანეტი / Mario Agatoni, Nicola Caracciolo, Giuseppe Ciranna, Gianni Corbi, Manlio Del Bosco, Paolo Glorioso, Eugenio Scalfari e Livio Zanetti), არსებული დეგრადაციის შესახებ აწარმოა ჟურნალისტური გამოძიება სამხრეთის ხუთ რეგიონში(კამპანია, კალაბრია, ბაზილიკატა, სიცილია და სარდინია / Campania, Calabria, Basilicata, Sicilia e Sardegna). კვლევა გამოქვეყნდა 1959 წლის აპრილსა და მაისში ექვს ეპიზოდად, საერთო სათაურით - 'აფრიკა სახლში'(L'Africa in casa), რამაც წარმოაჩინა უაღრესად დრამატული სიტუაცია.

ამ რეალობის შედეგები ყველაზე მძიმედ აწვა მხრებზე სხვა და სხვა 'საზოგადოებრივი უბედურებით' დაზარალებულ პატარებს, რომელთა შორის სახელდება წერა-კითხვის უცოდინრობა, უმუშევრობა, სკოლის მიტოვება და ბავშვთა შრომა.

შთამბეჭდავია საკვების მოხმარების მონაცემები:

ზემოთ აღნიშნული საპარლამენტო გამოძიების თანახმად, 1953 წელს, იტალიელთა უმრავლესობა, ძირითადად საზრდოობდა მაკარონით, პურით, კარტოფილითა და ბოსტნეულით. კერძოდ, ოჯახთა 38.2% -ს (რაც უტოლდება 4.428 მილიონ ადამიანს) არასდროს ან 27.5%-ს (3.188 მილიონი) მხოლოდ კვირაში ერთხელ მიეღო ხორცი/ხორცპროდუქტი. 15.1% (1.750 მილიონი) არ მოიხმარდა შაქარს და 28.7% -ს (3.327 მილიონი) ღვინოც კი არასდროს ეგემა; ამ მონაცემთა ურთიერთშეჯერებით გამოდის, რომ 870.000 ოჯახს საერთოდ არ ჰქონია რაციონში ხორცი, შაქარი და ღვინო.

1955-სა და 1970 წელს შორის თხუთმეტწლიან მონაკვეთში ადგილი ჰქონდა უამრავი, საცხოვრებლის შეცვლას სხვა რეგიონებში: გადასახლებული ადამიანების 70%-მა, დატოვა სოფლები და მცირე ზომის სასოფლო დასახლებები, რათა წასულიყვნენ და ეცხოვრათ ქარხნების ახლოს, დიდ ქალაქებში.

ჩრდილოეთში, ვრცელი მთიანი რეგიონები და 'დეპრესიული' დაბლობები, როგორცაა პოლეზინე(il Polesine) იყო გაუკაცრიელებული, მაგრამ (აღნიშნულმა) მოვლენამ კიდევ უფრო რადიკალური ასპექტები შეიძინა სამხრეთით, საიდანაც ახალგაზრდები გრძელი დისტანციის ე.წ. მზის მატარებლებით(Treni del Sole), რომლებიც სამხრეთის ქალაქებს ჩრდილოეთის ქალაქებთან აკავშირებდა, მასობრივად მიემგზავრე-ბოდნენ მათი დანიშნულების უმთავრეს პუნქტებში, მილანსა და ტურინში, სადაც მათ აღმოაჩინეს მტრობისა და შეურაცხყოფის ფართოდ გავრცელებული დამოკიდებულება, თუ არა რეალური რასიზმი, რომელიც პირველად გამოვლინდა უძრავი ქონების რეკლამებში, რომელშიც ნათქვამი იყო: 'აქ არ ქირავდება სამხრეთელებზე' ('qui non si affitta a meridionali').

კულტურული და მენტალური სხვაობა იმდენად დიდი იყო, რომ ჩრდილოეთში ჩამოსულთა მრავალი ბავშვი, რომლებიც სამხრეთში, სკოლაში სიარულისას ხშირად არ ლაპარაკობდნენ იტალიურად, არამედ მხოლოდ ადგილობრივ ვიწრო დიალექტზე, - ქვეითდებოდნენ

ერთი ან ორი კლასით, რადგან მათ არ შეეძლოთ ურთიერთობა მასწავლებლებთან და თანაკლასელებთან, ხოლო ეს უკანასკნელნი, მათი ინტეგრაციისთვის მცირე ძალისხმევასაც კი არ იჩენდნენ.

ჩამომსვლეთა მოულოდნელმა ნაკადებმა შეცვალა ჩრდილოეთის ქალაქები: მილანი 1.275.000 მოსახლედან (1951 წ.) გაიზარდა 1.680.00 მოსახლემდე(1967 წ.), თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ტურინში, რომელიც მშრომელთა ნაკადებით გადაივსო პიემონტის დეპრესიული სასოფლო დასახლებებიდან, შთანთქა იმიგრაციის ნაწილი ისეთი მაღალი პროცენტით (1951 წლიდან 1967 წლამდე ის 719.000-დან 1. 125.000 მოსახლემდე გაიზარდა), რომ გახდა ნახევარკუნძულის სიდიდით მესამე 'სამხრეთული' ქალაქი ნაპოლისა და პალერმოს შემდეგ, მთელი თავისი ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემებით (რისი წარმოდგენაც კი შეიძლება). ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა რომი, - 1.650.000-დან 2.190.000 მოსახლემდე, რომელმაც ძირითადად მოიზიდა საჯარო ადმინისტრაციის ახალი ჩინოვნიკები.

1951 - 1970 წლებს შორის, ყველა მუნიციპალიტეტში 500.000 მაცხოვრებელს ზევით, შეიმჩნეოდა მოსახლეობის ზრდა, კულტივირებული შემოგარენის/სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ხარჯზე. საშუალო-მსხვილი ზომის ქალაქების ზრდას ხელი შეუწყო სხვადასხვა ფაქტორმა, მაგ., ისეთის როგორიცაა ისტორიულ ცენტრებში მრავალი შენობის ოფისებად ტრანსფორ-მირება, ან მობილობის გაზრდა(რასაც ხელს უწყობდა საკომუნიკაციო/სატრანსპორტო გზების მოდერნიზაცია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა კერძო ავტომობილების /მოტორიზაციის სიმრავლე).

ბევრ ურბანულ ცენტრში, მწყობრიდან გამოსული ტრამვაის ლიანდაგები ამოღებული იქნა ავტომობილე-ბისთვის ადგილის გასათავისუფლებლად, ამასთან, ადგილობრივი ადმინისტრაციები მცირედითაც არ იწუხებდნენ თავს საზოგადოებრივი მომსახურების კარგი სისტემის მხარდაჭერაზე, რომ აღარაფერი ითქვას ჰაერის

ხარისხზე, რამაც საგანგაშო აქტუალობა შეიძინა.

როგორიც არ უნდა ყოფილიყო ამ წარუმატებლობათა/ ჩავარდნების მიზეზები, ასეთი კი იყო მრავლად, 'ეკონომიკური სასწაულის' წლები იყო ყველაზე დრამატული სამხრეთის მოსახლეობისთვის. სამხრეთის განვითარების სერიოზული პოლიტიკის არქონის პირობებში, ბევრი ადამიანი წავიდა ემიგრაციაში: 1951-1974 წლებს შორის მონაკვეთში, გადასახლება/ ადგილმონაცვლეობა მართლაც შთამბეჭდავია: 4.2 მილიონი სამხრეთელი (18 მილიონიდან) გადაცხოვრდა ჩრდილო იტალიაში. ყველაზე მასობრივი გადინება მოხდა 1955-სა და 1963 წლებს შორის პერიოდში. კამპანია(La Campania) დატოვა 936.000 ადამიანმა, პულია(La Puglia) - 856.000, კალაბრია(La Calabria) – 750.000, ხოლო ჩრდილოეთით, ვენეციის(Il Veneto) განსაკუთრებულ შემთხვევაში, მათი რიცხვი ერთად 856.000 ემიგრანტს (ადგილმონაცვლეს) შეადგენდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ოცდაათი წლის განმავლობაში, 7.5 მილიონი იტალიელი შეეცადა ეპოვა საკუთარი ბედნიერება ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში (განსაკუთრებით, გერმანიაში, შვეიცარიასა და ბელგიაში).

სწრაფი სამრეწველო განვითარება, რომელიც ძირითადად კონცენტრირებული იყო ჩრდილოეთ რეგიონებში, ხელს უწყობდა შიდა მიგრაციებს ჩრდილოეთის დიდსა თუ პატარა ქალაქებში, 1955 წლიდან და 1963 წლამდე შუალედში. ასობით ათასი გლეხი/ფერმერი, განსაკუთრებით კი სამხრეთის სოფლებიდან, სამუშაოს საძიებლად მიეშურებოდა სამრეწველო სამკუთხედისკენ(მილანი-გენუა-ტურინი). იტალიის მოსახლეობის ეს ღრმა პოპულაციური აღრევა(ადგილმონაცვლეობითი გადაადგილებები) ხელს უწყობდა თანამედროვე რკინიგზისა და საავტომობილო ქსელის განვითარებას, რომელიც, მშენებლობის ამ პროცესში გარდა სამუშაო ძალის მიზიდვისა, წარმოადგენდა უმთავრეს ფაქტორს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ღრმა/სიღმისეული უნიფიკაციისთვის. დროის

ამ მონაკვეთში სატრანსპორტო სიმბოლოდ ქცეულ 'მზის მატარებელს'(il 'treno del Sole'), (რომელსაც ხშირად ასევე უწოდებდნენ 'მუშათა მატარებლებს'(I 'treni operai'.) ყოველდღიურად ათასობით ადამიანი გადაჰყავდა სამხრეთიდან ტურინში. ასევე, ათასობით სამხრეთელი ოჯახი, ტოვებდა რა საკუთრ პატარა სოფლებს, 24 საათზე ოდნავ მეტი დროის შემდეგ ჩამოდიოდა მილანის რკინიგზის სადგურზე და ხვდებოდა სრულიად ახალ, და ბევრ შემთხვევაში ტრამვულ რეალობაში. სამხრეთული ნაკადების გარდა, სამრეწველო სამკუთხედის ქალაქები ასევე წარმოდგენდა ყოველდღიური (სამუშაო) დანიშნულების პუნქტებს გარშემო მყოფი კომუნების (იტალ.: comune; [მრავლ.: comuni] არის იტალიის მესამე დონის ადმინისტრაციული დანაყოფი, - შედარებისთვის, ექვივალენტური ქალაქის ან მუნიციპალიტეტის. ეს არის იტალიის მესამე დონის ადმინისტრაციული დაყოფა რეგიონისა და პროვინციის შემდეგ.) მაცხოვრებლე-ბისთვის.

ჩრდილოეთის ქალაქები აღმოჩდნენ სრულიად მოუმზადებლები ამგვარ მიგრაციულ ნაკადებთან შესახვედრად. საცხოვრებლის(საცხოვრებელი ბინის) პრობლემამ მალე შეიძინა საგანგაშო მასშტაბები, და მრავალმა ახალჩამოსულმა შეძლო თავშესაფარი ეპოვნა მხოლოდ სარდაფში, სხვენში, ან ე.წ. le “Coree”-ში, რომლებიც რამოდენიმე ლირად, იაფად ნაყიდ სასოფლო დანიშნულების ნაკვეთებში, თავად იმიგრანტების მიერ იყო უკანონოდ აშენენებული. ეს იყო პირველი მაგალითები, რომლებიც მიეკუთვნება კორეის ომის დროინდელ პერიოდს. მათ უწევდათ ცხოვრება კატასტროფულ პირობებსა და მზარდი მტრული ატმოსფეროს გარემოცვაში (რაც ხშირად დადიოდა ღია, დაუფარავ ნაცისტურ განწყობებამდე). მრავალი ოჯახის იმდროინდელი ყოფა ნათელი მაგალითია აგრარული ეკონომიკიდან ინდუსტრიულ ეკონომიკაზე გადასვლის და წარმოადგენს მის ყველაზე უფრო დრამატულ ასპექტს. ამასთან კავშირში (არსებული) სტატისტიკური მონაცემები რასაკირველია ფარდობითია/შედარებითია, თუმცა

ამდენადვე ეჭვგარეშეა რეალური გეოგრაფიული რყევებიც, რაც გამოწვეული იყო სამხრეთის სასოფლო დასახლებებიდან/ადგილებიდან შიდა მიგრაციული ნაკადებით, ადამიანებისთვის რომელთათვისაც ძალიან რთული იყო ახალ რეალობაში ინტეგრირება. მხოლოდ სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო ეტაპობრივად საცხოვრებელი ბინების პრობლემის მოგვარება, და მრავალი (დიდი) იტალიური ქალაქის გარეუბნები თანაბარი პროპორციით დღითი დღე იზრდებოდა და ივსებოდა დიდი ბეტონის შენობებით, მაგრამ რომლებიც ხშირად მოკლებულნი იყვნენ იმგვარ ძირითად სერვისებს, როგორიც არის მაღაზიები, საფოსტო განყოფილებები, ბიბლიოთეკები და საზოგადოებრივი (სატრანსპორტო) კავშირები ქალაქთა ცენტრებთან.

ახალი მაცხოვრებლებისთვის საკუთარი ჭერის გაჩენის გადაუდებელმა აუცილებლობამ, ბიძგი მისცა სამშენებლო სპეკულაციების ფენომენის გაჩენას, რითაც სარგებლობდნენ არაკეთილსინდისიერი სამშენებლო კომპანიები და ხშირად იმყოფებოდნენ კლიენტურულ დამოკიდებულებაში(da rapporti clientelari) პოლიტიკური სამყაროს წარმომადგენლებთან(a esponenti del mondo politico). ამ მოვლენამ მოიცვა მთელი ქვეყნის ეროვნული ტერიტორია და იტალიური განვითარების გზაზე წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე უფრო სამწუხარო მოვლენას.

უგულებელყოფილი იქნა რა 1942 წლის 17 აგვისტოს გამოცემული ქალაქდაგეგმარების/ურბანიისტული კანონი/აქტი № 1150, რომელიც მუნიციპალიტეტებს აძლევდა ნორმატიული/მარეგულირებელი გეგმების დაცვის ფარგლებში მოქმედების შესაძლებლობას (შესაბამისად, უწყვეტად შეჰქონდათ მასში ცვლილებები,) სამშენებლო კომპანიებს ნებას რთავდა ცუდი, უხარისხო და არქიტექორული თვალსაზრისით უხეში და არაესთეთიკური მასალებით ეშენებინათ სულ უფრო მეტი შენობა-ნაგებობა, რამაც ძლიერ შეცვალა ბუნებრივი ლანდშაფტი/გარემო. (ამ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს საკითხი 'თეთრი სიკვდილის' შესახებ, ე.ი.

უბედური შემთხვევების შედეგად დამდგარი გარდაცვალებათა ფაქტები სამუშაო ადგილებზე, გამოწვეული უსაფრთხოების ნორმების არდაცვითა და ზომების ნაკლებობით. l'INA (Istituto Nazionale delle Assicurazioni /ეროვნული სადაზღვევო ინსტიტუტის)-ს თანახმად, (ეკონომიკური) ბუმის წლებში, სიკვდილიანობის საშუალო წლიური მაჩვენებლი სამუშაო ადგილებზე იყო 4600)**(G.C. Marino, Guerra fredda e conflitto sociale in Italia, 1947-1953, 1991, p. 44.)**. გარკვეული წესების არარსებობა ხელს უწყობდა ე.წ. 'აგურით სრბოლას'(la 'corsa al mattone'), და ახალი სახლების რიცხვი 73.000 -დან(1950 წ.) გაიზარდა 273.000 -მდე(1957 წ.), რამაც, 450.000 ერთეულით, პიკს 1964 წელს მიაღწია.ზემოთ აღნიშნული კანონო არასდროს გამოიყნებოდა მაშინ, როდესაც ისეთი მოვლენები, როგორიც იყო უკანონო და ველური მშენებლობა, ტყეში გაჩენილი ხანძარივით სწაფად ვრცელდებოდა, და რაც გამოუსწორებელად აზიანებდა ბელ-პაეზეს(Bel Paese) იმიჯს. როგორც პოლ გინსბორგი იხსენებს: '1950 წლიდან 1980 წლამდე ნახევარკუნძულზე ხდებოდა საქალაქო და სასოფლო ლანდშაფტის კატასტროფული ცვლილებები; მრავალი ქალაქის ისტორიული ცენტრი იქნა გამოუსწორებლად სახეცვლილი, მაშინ, როდესაც გარეუბნები იზრდებოდა ქაოტური ბეტონის ჯუნგლებით. სანაპირო ზოლის ათასობით კილომეტრი სამუდამოდ იქნა განადგურებული სპეკულიანტების(speculatori) მიერ, რომლებიც გამდიდრდნენ სასტუმროებსა და ბინებზე (გაზრდილი) მოთხოვნის დაკმყოფილების ხარჯზე. ტყის მასივები (Boschi), ალპების ველი/ალპური ხეობები(valli alpine), მეთევზეთა სოფლები(villaggi di pescatori), ტბები(lagune) და კუნძულები(isole) იქნა დაბინძურებული, განადგურებული ან გახდა ვერ საცნობი. იტალიის ურბანული ნაწილი ფართოვდებოდა უწესრიგოდ, უკონტროლოდ და მარეგულირებელი გეგმების გარეშე, მისი ახალი სახე წარმოდგენილი იყო რომის, ნაპოლისა და პალერმოს გარეუბნებით, მილანისა და ისეთი ტურისტული ცენტრების პერიფერიებით(შემოგარენით),

როგორებიცაა ჩერვინია(Cervinia), კორტინა(Cortina), რიმინი (Rimini), ვიარეჯო(Viareggio). ამდენად, იტალიელებმა დაიმსახურეს საკუთარი ბუნების და ხელოვნების საგანძურის ვერ დამცველთა რეპუტაცია'. **(Ginsborg, op. cit.)**

L'INA-Casa(INA-Casa არის იტალიის სახელმწიფოს სამოქმედო გეგმა, რომელიც ძალაში იყო 1949 წლიდან 1963 წლამდე, შექმნილია შრომის მინისტრის ამინტორ ფანფანის მიერ [ასევე ცნობილი როგორც Piano Fanfani, ანუ ფანფანის გეგმა], მთელი იტალიის მასშტაბით საზოგადოებრივი საცხოვრებლების ასაშენებლად.), რაც დაკვეთილი იქნა ფანფანის[Fanfani] მიერ, მისი გეგმის მხარდასაჭერად, ნაკლებად უზრუნველყოფილი კლასისთვის სოციალური ბინების მშენებლობის მიზნით, 1963 წელს ჩანაცვლდა GESCAL -ით(GEStione CAse per i Lavoratori / მუშათა საბინაო მენეჯმენტისთვის, - არის მუშათა საცხოვრებლის მშენებლობისა და განაწილების ფონდი, რომელიც შეიქმნა INA-Casa -ს გეგმის ტრანსფორმაციის შედეგად. რეგულირდებოდა 1963 წლის 14 თებერვლის კანონით, n. 60. გაუქმდა 1973 წელს.), ორგანიზაციით, რომელიც მალე აღმოჩნდა მაგისტრი მოსამართელეების განსჯის სივრცეში, რომლებმაც დაადგინეს მოპარული სახელწიფო სახსრებისა და მექრთამეობის არსებობის შემთხვევები. ზოგიერთ სფეროში, პოლიტიკური ბოროტმოქმედება (არაკეთილ-სინდისიერება /გადაცდომები) კვეთდა დამნაშავე სამყაროს ინტერესებს, და ქმნიდა 'ბიზნეს კომიტეტებს' ('comitati di affari'), და რომლებმაც მაგ., პალერმოში 1959 წლიდან 1963 წლამდე გასცეს 4000 ნებართვა მაფიოზური ბანდების მიერ კონტროლირებულ მხოლოდ ოთხ კომპანიაზე **(G. Vecchio, P. Trionfini, L'Italia contemporanea. Un profilo storico (1939-2008), Bologna 2008, p. 367)**. გარეუბნები, საერთო საცხოვრებელთა რაიონები ფართოვდებოდა ქაოტურად და უკონტროლოდ, ყოველგვარი წესრიგის მიღმა, ძალიან ხშირად კი რაიმე გენერალური გეგმის გარეშეც: 1969 წელს, რომში, ყოველი მეექვსე სახლი იყო უკანონოდ აშენებული, და

მუნიციპალური კადასტრის თანახმად, 400.000 -ზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა ბინებში, რომლებიც (დე იურე) არ არსებობდა.

გარდა ამისა, უკანონობის გამოძახილია ის, რაც მოხდა 1956 წელს. ტოკის მთებში(dal monte Toc) აგებულმა, 262 მეტრის ვაჯონტის კაშხალმა (La diga del Vajont), რომელიც წარმოადგენდა სახელმწიფოს, სამოქალაქო ეროვნული ინჟინერიის(l'ingegneria civile nazionale) ერთ-ერთ დიდებულ ნაგებობასა და სიამაყეს, 1963 წლის 9 ოქტომბერს განიცადა კატასტროფა, რასაც დაახლოებით 2000 (2500) ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. მეწყერმა გამოიწვია ხელოვნურად დაგუბებული წყლის მასის გადავსება. შედეგად, (ჭარბი წყლის ნაკადით) წარმოიქმნა გიგანტური ტალღები, რამაც გადალახა დამცავი ჯებირი, და თავს დაატყდა და მიწასთან გაასწორა ხუთი სოფელი უდინესა და ბელუნოს პროვინციაში(delle province di Udine e Belluno). თავდაპირველად მრავალი პოლიტიკოსი თუ ანალიტიკოსი მას ბუნებრივ კატასტროფად მიიჩნევდა. საუბრობდა ბუნებრივ ტრაგედიაზე და კაშხლის ქომაგად გამოდიოდა. მხოლოდ «L'unità»-ს ჟურნალისტის, ტინა მერლინის(Tina Merlin) მიერ ჩატარებული გამოძიების შემდეგ გახდა შესაძლებელი ავარიის გამომწვევ მიზეზთა და ნამდვილ დამნაშევეთა გამოვლენა: საქმე იმაშია, რომ მიუხედავად რიგი მეცნიერ-ექსპერტის საპირისპირო მოსაზრებისა, (რაც ეფუძნებოდა სამშენებლო არეალის მდებარეობას მიწისძვრების მაღალი რისკის ზონაში), გადაწყვეტოლების მიმღებმა პირებმა, პირადი გამორჩენის მიზნით სამშენებლო კომპანიას დართეს ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციისა და კაშხლის აგების უფლება, მიწისძვრის ალბათობის მაღალი რისკის ზონაში.

ორმოცდაათიან და სამოციან წლებში, სამშენებლო პრობლემებს, კორუმპირებულთა უკანონობას, სახელმწიფოს ინვესტიციების ნაკლებობას ინფრა-სტრუქტურასა და საჯარო სერვისებში, ემატებოდა ტერიტორიების კონტროლის[მომსახურების/მოვლის] არარსებობა. შედეგად, ზრუნვის არარსებობა ან სიმცირე გაუკაცრიელებულ ბორცვიან რელიეფსა და მთიან

ადგილებში და (ჩამდინარე) წყლების ნაკადებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, უხვი ნალექის პირობებში, საბოლოო ჯამში ჩნდებოდა სტიქიურ უბედურებათა გამომწვევ მიზეზად, ტრაგიკული შედეგებით.

1966 წლის 4 ნოემბერს, ქალაქ ფლორენციას(Firenze) თავს დაატყდა მძიმე წყალდიდობა, ხოლო მდინარე არნომ(Arno), რომელმაც ისტორიული ცენტრი/ქალაქის ძველი ნაწილი დატბორა, 34 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. წყალმა და ტალახმა მიაღწია ბაპტისტერიასა (il Battistero) და უფიცას(gli Uffizi) და დააზიანა ეროვნული ბიბლიოთეკის სარდაფებში შენახული ათასობით ხელნაწერი და ტომი. მომდევნო დღეებში, ხელოვნების ნიმუშებისა და წიგნების გადასარჩენად, მთელი მსოფლიოდან ათასობით ახალგაზრდა მოაწყდა ტოსკანას დედაქალაქს(nel capoluogo toscano): მალე, 'ტალახის ანგელოზებმა'(gli 'angeli del fango'), როგორც მათ უწოდეს, საფუძველი ჩაუყარეს ვოლონტიორობას(მოხალისეობა/ნებაყოფლობითი საქმიანობა, un volontariato), რომელიც შემდგომ გაიზარდა და იქცა მასობრივ მოვლენად. მათი მობილიზაცია ასევე გახდა ეკოლოგიური საკითხებისადმი ყურადღების (მიქცევის) დასაწყისი, რაც სამოციანი წლების ბოლოდან, გარემოს დაცვის მიზნით, მზარდი დაბინძურებისა და სამშენებლო სპეკულაციების წინააღმდეგ მიმართულ, ნამდვილ სამოქალაქო ბრძოლად გადაიქცა. ფლორენციაში მიმდინარე ემოციური ტალღის ფონზე, 1966 წელს დაიბადა ველური ბუნების მსოფლიო ფონდის იტალიის სექცია(la sezione italiana del WWF [World Wildlife Fund]).

1951 წლიდან 1971 წლამდე დროის მონაკვეთში დაირღვა მოსახლეობის გეოგრაფიული განაწილება: მილიონობით იტალიელი ჩართული იყო რეგიონთაშორის მიგრაციაში, რაც იწვევდა ქალაქების სტიქიურ ზრდასა და შესაბამისად, ურბანული ტერიტორიების სიმცირეს: მართალია იყო გარკვეული სახელმწიფო ინტერვენციები ბინათმშენებლობის/საყოფაცხოვრებო მიმართულებით, თუმცა გლობლური მასშტაბით არასაკმარისი აღმოჩდნა(სახელმწიფო ინვესტიციები შეადგენდა საერთო

მოცულობის მხოლოდ 15 % -ს). აშკარაა, რომ სამშენებლო დარგში არ არსებობდა მკაცრი კონტროლის მექანიზმი სხვადასხვა დარღვევების ასაცილებლად, რაც ამ დროისთვის, საკმაოდ ხშირად წარმოადგენდა ერთგვარ ნორმას, კულტურისა და ლანდშაფტის განადგურებით, სპეკულაციითა და კორუპციით. დიდ ქალაქების გარეუბნები, საერთო საცხოვრებლების რაიონები და კვარტლები, მალე იქცა მრავალი მცირე თუ დიდი სოციალური უსამართლობის მკვებავ, მასაზრდოებელ გარემოდ, ნოყიერ ნიადაგად(ლათ.: humus - მიწა, ნიადაგი. აღნიშნავს ნიადაგში არსებულ ყველა წვრილად დაშლილ ორგანულ ნივთიერებას), რომელშიც თავის მხრივ იზრდებოდა ქალაქური წვრილი დამნაშავეობა. სამწუხაროდ, კორუფცია სახელმწიფო მმართვაში არ წარმოადგენდა ახალ მოვლენას იტალიის ისტორიისთვის, ერთობის/ერთიანობის დროიდან მოყოლებული(fin dai tempi dell'Unità) სავსე მცირე თუ დიდი სკანდალებით. თუმცა ეჭვგარეშეა, რომ იმ წლებში მშენებლობის უწესრიგო გაფართოებამ ხელი შეუწყო ბიზნესისა და პოლიტიკის უფრო მჭიდროდ დაკავშირებას. მექრთამეობის პრაქტიკა დაინერგა სისტემაში. გადამწყვეტ ფაქტორს ასევე წარმოადგენდა ადეკვატური და ეფექტური სატრანსპორტო ქსელის გამართვის უუნარობა, რაც დააკავშირებდა რა დიდ ქალაქებს ქვეყნის პროვინციების დანარჩენ ნაწილთან, შეამცირებდა ურბანული ნიადაგების დეფიციტს (და შესაბამისად, მათ საბაზრო ღირებულებას), რაც სავარაუდოდ თავიდან ააცილებდა მრავალ 'ეკონომიკურ წნეხს' ადგილობრივ მმართველობას (amministrazioni locali). ურბანიზაციის პრობლემას მჭიდროდ უკავშირდება იმიგრაციის პრობლემა, რაც თავის მხრივ წარმოადგენს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებული დისბალანსის შედეგს, და რაც ეკონომიკურმა ბუმმა არა თუ აღმოფხვრა, არამედ მკვეთრად გააღრმავა.

თუ არის შესაძლებელი საკუთარი ფესვებისგან მსგავსი განძარცვის თაობაზე დადებითი პასუხი იქნას მოძიებული, ის შეიძლება არსებობდეს ერთობლივი

კულტურული მემკვიდრეობის ჩამოყალიბებაში, სულ მცირე ერონული იდენტობის(ერთსახოვნების/მსგავების) განცდა-შეგრძნებაში, რაც სცილდება ადგილობრივ კუთვნილებასა და საკუთარ დიალექტს და მასზე მაღლა დგას.

ბოლოთქმა

იტალიის ეკონომიკა, რა თქმა უნდა უდავოდ წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის ეკონომიკას (რომელიც მძლავრად ვითარდებოდა რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში) და მსოფლიო ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა ის ყოველთვის რჩებოდა გარკვეული თავისებურებების მქონე ეკონომიკად. ფაქტობრივად, იტალიას გააჩნდა რიგი ფაქტორები, რომლებიც თან ახლდა მის განვითარებას: ბუნებრივი რესურსების უკმარისობა, დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალის დიდი მიწოდება, ფინანსური და ჰუმანური კაპიტალის დეფიციტი, რომელიც ჯერ კიდევ ომისშემდგომ პერიოდში ხასიათდებოდა განათლების დაბალი დონით. თითქმის ნახევარი საუკუნის წინ ქვეყანამ გამოირა 'ეკონომიკური სასწაულის' წლები. დღეს იტალიის ეკონომიკა შორსაა იმ პერიოდის ზრდის ტემპებისგან, ისევე როგორც განვითარების იმ მოდელისგან.

კვლევა ხასიათდება ორი მნიშვნელოვანი ასპექტით, რაც ნათლად აჩვენებს ომისშემდგომი იტალიური ეკონომიკის ტრაექტორიასა და ავლენს მის მახასიათებელ ძირითად პრობლემებს. კერძოდ, ესენია:

იტალიის რეკონსტრუქციის პერიოდი (1945-1950 წწ.): (სახელწიფოს) ორჯერ ჩარევით (ეკონომიკაში) ორი მოთხოვნა იქნა დაკმაყოფილებული: თავდაპირველად მრეწველობის რესტრუქტურიზაცია ჩრდილოეთის რეგიონებში და, მალევე ამის შემდეგ აგრარული რეფორმის ჩატარება, განსაკუთრებული საზოგადოებრივი სამუშაოები წარმართვა სამხრეთში, სადა უმუშევრობის პრობლემა გაცილებით მწვავე იყო.

საინტერესოა აღნიშვნა დებატების შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა იმ დროის ყველაზე სახელმოხვეჭილ მეცნიერ-ეკონომისტებს შორის: ეინაუდი(Einaudi), ბრეშანი ტურონი(Bresciani Turroni), ფანო(Fanno), დელ ვეკიო(Del Vecchio), დე მარია(de Maria) და კორბინო(Corbino), იტალიის მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების რიგში დაბრუნების წინაპირობას ხედავდნენ ეკონომიკური

ლიბერალიზმის პრინციპებში და თავისუფალი ვაჭრობისკენ მიბრუნებაში. ამგვარად, ეკონომიკურმა და პოლიტიკურ მიზეზებმა გავლენა მოახდინა იტალიის მთავრობაზე, ბაზრების (განსაკუთრებით ევროპის) სწრაფი ლიბერალიზაციის მიმართულებით.

კერძოდ, მეძოჯორნოს(Mezzogiorno) საკითხის შეხებისას, აღსანიშნავია იმის გახსენება, რომ 1950 წელს დაფუძნდა სამხრეთის განვითარების ფონდი(la Cassa per il Mezzogiorno) (კანონი 646, 10 აგვისტო, 1959 წწ. / Legge 646, del 10 agosto 1959). ახალი ორგანოს/კომიტეტის მხარდამჭერებმა ე.წ. ახალი სამხრეთელების იდეები გაითავისეს, მას შემდეგ რაც დაძლიეს პირველი სამხრეთელების ლიბერალური პოზიციები. მათ სჯეროდათ, რომ სახელმწიფო ინტერვენციები იყო საჭირო სამხრეთის ჩამორჩენილობის (მოჯადოებული) წრის გასარღვევად. ამ თვალსაზრისმა თეორიული მხარდაჭერა ჰპოვა 3 ჩამორჩენილობის თეორიაში(teoria del 3 sottosviluppo) ნურსკისა(Nurske) და როზენშტაინ როდანის (Rosenstein Rodan) მიერ, რომელთა ავტორიტეტი ფაქტობრივად გამოიყენებოდა ფონდის(della Cassa) (არსებობის) გასამართელებლად. ფონდის პოლიტიკა მდგომარეობდა ადგილზე ინფრასტრუქტურის ფორმირებაში, სამხრეთის მოსახლეობისთვის სამოქალაქო /ყოფითი პირობების შექმნის მიზნით. სოფლის მეურნეობამ შთანთქა ასიგნებათა დიდი ნაწილი, მას მოჰყვა სამოქალაქო ინფრასტრუქტურა, სკოლები, საავადმყოფოები, გზის სავალი ნაწილები/საავტომობილო გზები(strade carrozzabili), ჰიდროტექნიკური სამუშაოები. მეორე მხრივ, სამრეწველო განვითრების პოლიტიკა წარმოადგენს სამხრეთის პოლიტიკის ყველაზე სუსტსა და ყველაზე დაგვიანებულ ნაწილს.

იტალიის 'ეკონომიკური სასწაულის' პერიოდი (1951-63/73 წწ.): აღსანიშნავია მისი დადებითი მხარეები. ამ პერიოდში იტალიის ეკონომიკამ შეძლო ერთდროულად მიეღწიე სამი მიზნისთვის, რომლებიც უმეტესად შეუთავსებელია: საწარმოო ინვესტიციიების გაზრდა (aumentare gli investimenti produttivi), სავალუტო(ფულად-

საკრედიტო) სტაბილურობის უზრუნველყოფა(garantire la stabilità monetaria) და საგადამხდელო ბალანსის შენარჩუნება/წონასწორობის დაცვა(soddisfare l'equilibrio della bilancia dei pagamenti.). არსებობს ნეგატიური მომენტებიც, რომლებიც ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს: ემიგრაციის გაზრდილი ნაკადები, განსაკუთრებით სამხრეთიდან, სამრეწველო მოწყობის 'დუალიზმი', სამხრეთის სიღარიბე, კერძო მოხმარების დაუბალანსებელი სტრუქტურა, ხარვეზები საჯარო მომსახურებაში, დიდი ქალაქების (ერთობლივი) თანამმართველობა.

ამასთან კავშირში, განვითარების მთელი პროცესი წარმოადგენს ერთიანი მექანიზმის ნაწილს, რამაც ერთდროულად მოახდინა სწრაფი სამრეწველო განვითარება და დისბალანს(ებ)ი, და გვახსენებეს ცნობილი ინგლისელი მეცნიერის, ვერა ლუტცის(Vera Lutz) მოსაზრებას, რომელიც უკვე 1958 წელს მიაწერდა პროფკავშირების საქმიანობასა და მათი მოლაპარაკების ძალაუფლებას იმ ფაქტს, რომ შრომის ანაზღაურების (ხელფასის) დონე იტალიის ეკონომიკისთვის უფრო მეტად იყო თავსმოხვეული, ვიდრე ეს შეიძლებოდა თავისუფალი ბაზრის პირობებში ყოფილიყო.

ერთიანი მექანიზმი დაეფუძნა ექსპორტის სწრაფ გაფართოებას იმასთან დაკავშირებით, რომ დრო და დრო ჩნდებოდა ექსპორტის შესაძლებლობა განსაზღვრული საქონლისთვის და ბაზრისთვის. წარმოებაზე ორიენტირეული სექტორი, ეფექტური და კონკურენტ-უნარიანი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო დონეზე. მწარმოებლურობის ზრდის ძალიან მაღალი ტემპები ფაქტობრივად წარმოადგენდა იტალიური მრეწველობის საექსპორტო სექტორების თავისებურებას. მეორე მხრივ, კონკურენციული წნეხის ქვეშ არმყოფი, შიდა ბაზრისთვის მომუშავე დარგები, ჩამორჩებოდნენ მწარმოებლურობის, ეფექტიანობისა და ტექნოლოგიური ინოვაციების კუთხით. თავად ექსპორტის უთანაბრო ეფექტი გვეხმარება ავხსნათ სამოციანი წლების იტალიური ეკონომიკის მრავალი სტრუქტურული თავისებურება. მოწინავე და

ჩამორჩენილ სექტორებს შორის არსებულმა დუალიზმმა, რომელიც ყალიბდებოდა იტალიის ეკონომიკაში, თავისთავად გამოიწვია შემდგომი შედეგები, რამაც, შრომის ბაზრისა და დასაქმების ჩათვლით გავლენა იქონია წარმოების მთელ სტრუქტურაზე.

სხვა რეგიონების (კერძოდ, სამხრეთის) ინდუსტრიალიზაციის სრული უგულებელყოფის პირობებში, სამრეწველო განვითარების კონცენტრაცია ჩრდილო-დასავლეთის სამკუთხედში, ორმოცდაათიან და სამოციან წლებში გამოიწვია საკმაოდ ფართო მასშტაბის მიგრაციული ნაკადები, როგორც საზღვარგარეთ ისე აღნიშნული იტალიური სამკუთხედის რაიონებში, რამაც ფაქტობრივად შეცვალა დასახლებ(ებ)ის მთელი სტრუქტურა სამხრეთში. ფაქტობრივად, მოსახლეობისგან დაცლილი(დეპოპულაციის) შიდა რეგიონების გვერდით მეძოჯორნოში ადგილი ჰქონდა სანაპირო რეგიონების გადატვირთვას.

'ეკონომიკირი სასწაულის' წყალობით იტალიამ თავი დააღწია ქრონიკული ჩამორჩენილობის მდგომარეობას და რამოდენიმე წლის განმავლობაში შევიდა ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული ქვეყნების ვიწრო წრეში. ამ პერიოდში იტალიის ეკონომიკა უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე ოდესმე. ზრდის ტემპი, განსაკუთრებით 1958-63 წლებში იყო ისეთი, რომ ეს ფაზა ცნობილი გახდა 'ეკონომიკური სასწაულის' სახელწოდებით. ეკონომიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციას, რომელიც ამ განვითარებამ მოიტანა, უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია იტალიის პოლიტიკური სისტემის გასაგებად. ერთი მხრივ, იტალია გადაიქცა თანამედროვე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, მეორე მხრივ, გამწვავდა ეკონომიკისთვის დამახასიათებელი დუალურობა. აღნიშნული ზრდის ეტაპი დაიწყო ქრისტეან-დემოკრატიული პარტიით(იტალ.: Democrazia Cristiana, DC), რომელიც მყარად იმყოფებოდა დომინანტურ პოზიციაზე პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრში და დასრულდა იმით, რომ ამ პარტიას მოუწია მოლაპარაკებათა განახლება/პირობების განხილვა და

საკუთარი ალიანსის სისტემისთვის ახალი ფორმის მიცემა, სოციალისტური პარტიისკენ (იტალ.: Partito Socialista Italiano, PSI) მოძრაობით. იგი დაიწყო ნეოლიბერალი ეკონომისტების იდეოლოგიური მეთაურობით და დასრულდა მაშინ, როდესაც იტალია აპირებდა წამოეწყო საჯარო სექტორის ერთ-ერთი უდიდესი ექსპანსია თავის ისტორიაში. იგი დაიწყო პროფკავშირებით, მათი ძალაუფლებისა და გავლენის ნულოვანი წერტილიდან და დასრულდა იმით, რომ პროფკავშირები მზად იყვნენ გამხდარიყვნენ იტალიური საზოგადოების ერთ-ერთი ცენტრალური ძალები. იგი დაიწყო სოციალისტი და კომუნისტი მემარცხენეების გაერთიანებით, მაგრამ მათი ხელისუფლებაში არ დაშვებით და დასრულდა მთავრობაში სოციალისტების ყოფნით, თუმცა მემარცხენეთა გაყოფით.

'ეკონომიკური სასწაულის' წლებმა არ გადაჭრა იტალიის პრობლემები. რაც მან გააკეთა იყო ის, რომ იმდენად შეცვალა ქვეყანა, რათა აეძულებინა პოლიტიკური სისტემა, ხელახლა შექმნილიყო კონსენსუსის ახალ საფუძველზე. იმის გასაგებად, თუ როგორ გაკეთდა ეს და რა პრობლემების ახალი სპექტრი წარმოშვა მან, საჭირო იქნება შემდგარი ეკონომიკური განვითარების ტიპისა და მისი ფუნდამენტური მახასიათებლების/თავისებურებების განხილვა.

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდის ძირითადი თავისებურებები, კერძოდ, მანუფაქტურული(წარმოების, დამუშავებითი/გადამამუშავებელი მრეწველობის) სექტორის ზრდა, ქვეყნის ინტეგრაცია საერთაშორისო ეკონომიკაში და სწრაფი ურბანიზაციის განვითარება იყო ყველა ინდუსტრიული ქვეყნის ზოგადი მახასიათებელი. იტალიამ, ფაქტობრივად, მონაწილეობა მიიღო ომისშემდგომ ექსპანსიაში, რომელიც დაიწყო კორეის ომით და დასრულდა 1960-იანი წლების პირველ ნახევარში. იტალიისთვის დამახასიათებელი იყო დუალურობის განგრძობადობა, და მისი კიდევ ერთი ამგვარი გამოვლინება: მოხმარების ფორმათა ღრმა დისტორცია. კერძო მოხმარების მასიური განვითარება

(მაგ., საყოფაცხოვრებო საქონელი) არ იყო თანხვედრაში კოლექტიური მოხმარების საქონლისა და მომსახურების ანალოგიურ ზრდასთან, როგორიცაა განათლება, ბინათმშენებლობა/ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტი და ჯანდაცვა.

რა თქმა უნდა, საინტერესო იქნებოდა იმის გაგება, თუ რა სახის პოლიტიკას შეეძლო ხელშეწყობა ინდუსტრიული ზრდისთვის, საერთაშორისო ინტეგრაციისა და ურბანიზაციისთვის, ინდუსტრიული და ტერიტორიული დუალიზმის გაძლიერების გარეშე. იმ დროს, არც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ არ წარმოადგინა კონკრეტული ეკონომიკური პროგრამა, რომელიც იქნებოდა გაბატონებული მოდელის ავთენტური ალტერნატივა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს პროგრამა არ შეიძლებოდა არსებულიყო, ანდა იმას, რომ ეკონომიკური ზრდის ის ფორმა, რომელიც იტალიამ გამოიარა, ისტორიულად იყო რატომღაც გარდაუვალი. მრავლისმეტყველია თუნდაც ის ფაქტი, რომ არ იყო განსაზღვრული და წარმოდგენილი არავითარი პოლიტიკური კურსი, რომელიც შეეცდებოდა სახელისუფლო პოლიტიკის ამა თუ იმ ასპექტის შეცვლას.

თუ ჩვენ იტალიის ეკონომიკურ განვითარებას გავაანალიზებთ ეკონომიკური გადაწყვეტილებების პოლიტიკისგან განცალკევებული თვალსაზრისით, შევძლებთ ავაგოთ ალტერნატიული სცენარი იმისა, რითაც შეიძლებოდა განვითარებულიყო იტალიის ეკონომიკა. მაგრამ ეკონომიკური გადაწყვეტილებები არასოდეს მიიღება პოლიტიკური ფაქტორებისგან იზოლირებულად. არა მხოლოდ იტალიის მდგომარეობამ აშშ-ს გავლენის სფეროში 'აიძულა' იტალიის ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია. იტალიის გადაწყვეტილება ასევე დეტერმინირებული იქნა სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობით, რაც ამცირებდა წვდომას საექსპორტო ბაზრებზე როგორც ხმელთაშუა ზღვის აუზში, ისე დასავლეთ ევროპაში. ამასთან, აქ ისევ ჩაერია პოლიტიკური ფაქტორები: იტალიას არ შეეძლო შუა/ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე შესვლის იმედი ჰქონოდა, რომლებიც მაშინ, ნებისმიერ შემთხვევაში მაინც ვერ

უზრუნველყოფდნენ ადგილს გაფართოებისთვის. გარდა ამისა, მისი ჩრდილოეთზე ორიენტირებული ინდუსტრიები (სამრეწველო დარგები), ბუნებრივ გასასვლელად ყოველთვის განიხილავდნენ ჩრდილოეთ ევროპის სექტორს. მისი ისტორია დაკავშირებული იყო დასავლური კაპიტალიზმის განვითარებასთან. იტალიაში, ძლიერი მემარცხენეობის არსებობა ართულებდა ძალისხმევას ცხოვრების სტანდარტის მუდმივი შეკუმშვის კუთხით. დაბოლოს, იტალიის ეკონომიკის ევროპეიზაცია (როგორც ფაქტორი, რაც იტალიის პოლიტიკური საიმედოობის გარანტი გახდებოდა დასავლეთის ბანაკში) განიხილებოდა ალჩიდე დე გასპერის(Alcide De Gasperi) მიერ, რომელიც იყო პრემიერ მინისტრი 1954 წლამდე და რომელიც რობერტ შუმანთან(Robert Schuman) და კონრად ადენაუერთან(Konrad Adenauer) ერთად ზოგადად მიიჩნევა ევროპული ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ არქიტექტორად.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იტალია დასავლეთ გერმანიასთან და იაპონიასთან ერთად ინაწილებდა გარკვეულ უპირატესობებს, რითაც შეიძლება აიხსნას ის თუ როგორ შეძლო (ომში დამარცხებულმა) სამივე ქვეყანამ ამ პერიოდისთვის ზრდის ტემპებით გადაესწრო ყველა დანარჩენისთვის: სამივე ქვეყანას ჰქონდა უზარმაზარი შრომითი რეზერვები.**(Salvati, Michele [1973] 'L'inflazione italiana nel contesto interbazionale', Quaderni Piacentini, N. 50, Luglio.)** იაპონიასა და იტალიაში ის წარმოდგენილი იყო სოფლად, დასავლეთ გერმანიის შემთხვევაში ის შედგებოდა პირველ რიგში აღმოსავლეთ გერმანიის მუშათაგან, შემდეგ კი უცხოური სამუშაო ძალისგან. სამივე ქვეყანამ შეძლო საკუთარი პროფკავშირული მოძრაობების ჩახშობა ან მართვა. იტალიის შემთხვევაში ეს რეპრესია განხორციელდა პროფკავშირული მოძრაობის პოლიტიკურ და რელიგიურ ხაზებად დაყოფით, ანტიკომუნიზმის იარაღად გამოყენებით საწარმოო-შრომით ურთიერთობებში (მაგ., პროფკავშირების კომუნისტი ხელმძღვანელების/მოღვაწეებისა და წევრების/აქტივისტების დათხოვნა-გათავისუფლებები, ან

მათი გადაყვანები ყველაზე მოთხოვნად სამუშაოებსა თუ საწარმოების/ქარხანა-ფაბრიკების დახურულ მონაკვეთებზე.) და შიდა მიგრაციის, როგორც დაბალი შრომითი ანაზღაურების ხელშემწყობი მექანიზმის გამოყენებით.

მეცნიერ-ეკონომისტთა შორის არსებობს არგუმენტირებული მოსაზრება, რომ იტალიის განვითარების დროის მონაკვეთი შეიძლება დაიყოს ორ შემდეგ პერიოდად: პირველ პერიოდი (1950-1958 წწ.), მაღალი ზრდის ტემპით. ფაზა, რომელიც გრძელდება 1950 წლიდან 1957 წლამდე, არის ეკონომიკური გაფართოებისთვის მზადების ეტაპი, და მეორე, - 1958-63 წლები, ყველაზე სწრაფი ეკონომიკური ზრდის პერიოდი. 1958-59 წლამდე, იტალიის ეკონომიკა მიჰყვება ამერიკულ ციკლს: როდესაც აშშ-ს ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი იზრდება (1955, 1959 წწ.), იტალიის ზრდის ტემპი მიჰყვება ტენდენციას (ისევე როგორც საერთოდ, - იაპონიის, დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ევროპის ტემპი); როდესაც აშშ-ის ტემპი ეცემა, იგივე ემართება ყველა დანარჩენს. 1958-59 წლების შემდეგ აღარ არსებობს კავშირი აშშ-სა და იტალიის ზრდის ტემპებს შორის: მაგალითად, 1959-1961 წლებში აშშ-ში ზრდის ტემპი ნელდება, მაგრამ იტალიაში ის ახალ პიკს აღწევს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს იტალიური ეკონომიკის ამერიკულისგან ემანსიპაციის ფენომენი: ნაწილობრივ იმიტომ, რომ იტალიის სავაჭრო ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან ხდება შედარებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ამერიკულ-იტალიური, ნაწილობრივ იმიტომ, რომ შიდა ფაქტორები (მაგ., შრომის ხარჯები) გაცილებით წონვადია.**(D'Antonio, Mariano (1973) Sviluppo e crisi del capitalismo italiano 1951-1972, De Donato, Bari. p. 12-14.)**

ამ პერიოდიზაციის დადგენის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ ე. წ. 'ეკონომიკური სასწაულის' მიზეზებისა და მასში პოლიტიკური გადაწყვეტილებების წვლილის უფრო დეტალურ განხილვაზე.

ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული მოსაზრებაა, რომ იტალიის ეკონომიკური ზრდა მიღწეული იქნა

საგარეო მოთხოვნის წყალობით. თანახმად ამისა, იტალიის განვითარება ძირითადად ექსპორტზე იყო ორიენტირებული. იტალიური საქონლის გაზრდილი კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო ბაზარზე მიღწეული იქნა იმის გამო, რომ იტალიელ მეწარმეებს გააჩნადათ უფრო დაბალი შრომის ხარჯები, ვიდრე მეწარმეებს სხვა ქვეყნებში, რაც ლირას დაბალი ღირებულებით იყო მხარდაჭერილი. იმ პერიოდში უცხოური მოთხოვნა ნამდვილად გაიზარდა და ეს განპირობებული იყო ამერიკის დახმარებით, ამერიკის ზრდის ტემპებით და მათი გავლენით საერთაშორისო მოთხოვნაზე, ასევე ტექნოლოგიურ პროგრესთან, ენერგომატარებლების დაბალ ფასთან, განსაკუთრებით ნავთობზე, და სამომხმარებლო საქონლის მასიური ბაზრის განვითარებით. ეს იყო ფაქტორები, რომლებიც, რა თქმა უნდა საერთო იყო დასავლეთის ყველა ქვეყნისთვის. იტალია აღმოჩნდა ხელსაყრელ მდგომარეობაში, რადგან, მას შეეძლო გაეკონტროლებინა საკუთარი სახელფასო ფონდი.**(Castronovo, Valerio [1975] La storia Economica Storia d'italia, vol. IV, parte I, Einaudi, Torino.)**

ჩვენ უნდა განვიხილოთ იტალიის ეკონომიკური განვითარების, როგორც ექსპორტზე ორიენტირებულის ზოგადი ჰიპოთეზა. ამისთვის დავეყრდნობით ამ თეზისის ყველაზე უფრო მკაფიოდ არტიკულირებული წარმომადგენლის, ავგუსტო გრაციანის(Augusto Graziani) ნაშრომებს.**(Graziani, Augusto et al. [1969] Lo sviluppo di una economia aperta, ESI, Napoli.; Kindlerberger , Charles (1964) Economic Development, McGraw-Hill, New York.; Stern R.M. (1967) Foreign Trade and Economic Growth in Italy, Praeger, New York.)** თუ ისეთ ქვეყანას, როგორიცაა იტალია, სურდა ყოფილიყო აქტიური საერთაშორისო ბაზარზე, მას უნდა ეწარმოებინა ის საქონელი, რომელიც მდიდარ ქვეყნებს სურდათ. ამისათვის მას მოუხდა პრაქტიკულად ნულიდან განევითარებინა კონკურენციის შესაძლებლობები საერთაშორისო დონეზე მასობრივი მოხმარების საქონლის ანუ, მანქანების, მსუბუქი საყოფაცხოვრებო ნივთებისა და ნავთობ-ქიმიური პროდუქციის წარმოებაში. ამ

ინდუსტრიების/დარგების ბაზარი განისაზღვრებოდა საერთაშორისო დონეზე. შიდა მოთხოვნა ვერ ითამაშებდა წამყვან როლს, რადგან ის დამოკიდებული იქნებოდა მაღალ ხელფასებზე, ხოლო ხელფასები იტალიაში დაბალი იყო. ამრიგად, იტალიას უნდა განევითარებინა მდიდარი ერის ეკონომიკური სტრუქტურა, ე.ი. ეწარმოებინა იგივე საქონელი, როგორც მდიდარ ერს, მაგრამ მდიდარი ქვეყნის ცხოვრების სტანდარტის ქონის გარეშე. ზუსტად ასე გამწვავდა იტალიის ეკონომიკის ინდუსტრიული დუალიზმი: გაიზარდა უფსკრული ექსპორტიორ ფირმებსა და ქვეყნის შიგნით ორიენტირებულ ფირმებს შორის. პროდუქტიულობა საექსპორტო სექტორში იყო მაღალი (რადგან მათ უცხოური კონკურენციის წინაშე უწევდათ ყოფნა), ხოლო შიდა სექტორში დაბალი. კვების მრეწველობა არსებითად ორიენტირებული იყო ქვეყნის შიგნით, ტექსტილის ინდუსტრია თავდაპირველად ორიენტირებული იყო ქვეყნის შიგნით და მხოლოდ მოგვიანებით შეუერთდა ექსპორტის სექტორს, დანარჩენი ყველა ორიენტირებული იყო ექსპორტზე. იმის გამო, რომ საექსპორტო სექტორში მოგება უფრო მაღალი არსებობდა, თვითდაფინანსება იყო უფრო მარტივი, ე.ი., ამ სექტორში მომუშავე ფირმებს შეეძლოთ გაფართოვება კრედიტებზე დიდი საჭიროებების გარეშე. ექსპორტიორ სექტორს სჭირდებოდა მაღალი პროდუქტიულობის შენარჩუნება, ამიტომ მისი ყველა ინვესტიცია მიმართული იყო კაპიტალ-ინტენსიური(კაპიტალტევადი) წარმოებისკენ და შესაბამისად, საკმარისი წვლილი არ შეჰქონდა დასაქმების ზრდაში. რაც შეეხება 'ჩამორჩენილ' სექტორს, მან ნამდვილად შეუწყო ხელი უმუშევრობის დონის შემცირებას. ამას მოწმობს ის, რომ 1951-1963 წლებში დასაქმება გაიზარდა 100 პროცენტით საცალო ვაჭრობის სექტორში, 84 პროცენტით სამშენებლო სექტორში, და მხოლოდ 40 პროცენტით მანუფაქტურულ სექტორში.

აშკარაა, რომ გრაციანისეული ახსნა-განმარტება საშუალებას გვაძლევს ხელახლა გადავხედოთ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ 'ეკონომიკური სასწაულისთვის' სწორედ იტალიელი მუშების დაბალი ხელფასი

წარმოადგენდა მთავარ იმპულსს. მართალია, იტალიაში ხელფასები უფრო დაბალი იყო, ვიდრე მის მრავალ საერთაშორისო კონკურენტ ქვეყანაში, მაგრამ ისინი არ იყო ერთნაირად დაბალი. მზარდ სექტორში ხელფასები უფრო მაღალი იყო, ვიდრე ჩამორჩენილ სექტორში: დუალიზმის კიდევ ერთი ნიმუში. თუმცა, გრაციანი მიუთითებს კიდევ ერთ საინტერესო მახასიათებელზე: მზარდი დუალიზმი ფასების სტრუქტურაში, რაც იწვევს დისტორციას მოხმარებაში. თუ განვიხილავთ ფასების მთლიანი დონის შიდა სტრუქტურას, აღმოვაჩენთ, რომ 'ჩამორჩენილ' სექტორში წარმოებული საქონლის ფასები ზრდის უფრო სწრაფი ტენდენციით ხასიათდება, ვიდრე საექსპორტო სექტორში წარმოებული საქონლის შიდა ფასები. ეს არსებითად გამოწვეულია განსხვავებულობით პროდუქტიულობასა და ეფექტურობაში. მაგრამ როგორია ამ ფასების დუალიზმის შედეგები? გრაციანი აღნიშნავს, რომ ყველაზე უშუალო შედეგი იყო ის, რომ ზოგიერთი ძირითადი საქონელი (როგორიცაა მაგ., ხორცი) შედარებით უფრო ძვირი ხდებოდა, ვიდრე არასაბაზისო საქონელი (როგორიცაა მაგ., ტელევიზორი). ამრიგად, გაიზარდა შიდა მოთხოვნა დინამიურ სექტორში წარმოებულ საქონელზე. ეს ხელს უწყობს (იმ) პარადოქსის ახსნას, რომლის გაგებაც ბევრ ვიზიტორს უჭირს იტალიაში: საშუალო იტალიელს ჰქონდა საკვები, რომელიც უფრო ღარიბული იყო, ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყანათა მუშების უმეტესობის, მაგრამ ჰქონდა იგივე სახის საყოფაცხოვრებო საქონელი: ავტომობილი, ტრანზისტორული რადიომიმღები, მტვერსასრუტი, ტელევიზორი და ა.შ. ფასების ეს დისტორცია ხელფასების დისტორციასთან ერთად ნიშნავდა იმას, რომ იტალიელი მუშები ითხოვდნენ იმავე საქონელს, რასაც ითხოვდნენ მუშები სხვა ქვეყნებში, ანუ დინამიურ სექტორში წარმოებულ საქონელს.

ეს თეზისი საკმაოდ კარგად ილუსტრირებს იტალიელი ხალხის რელატიურ ინტეგრაციას მატერიალური ცხოვრების ხარისხში, რომელიც იყო დასავლეთში და ვისთვისაც დამკვიდრებულ პრაქტიკად(ჩამოყალიბებულ

მოდელად/დადგენილ წესად) იქცა კერძო მოხმარების ამერიკული ნიმუში. ამის შედეგები ტერიორიული დუალიზმისთვის რომელიც აწუხებდა იტალიას, შეიძლება მყისიერად შეფასდეს: ჩრდილოეთი თავისი ინდუსტრიებით/დარგებით, მისი მასობრივი მოხმარებითა და მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრირებული ეფექტური ექსპორტის სექტორებით, განვითარების ერთ პოლუსს წარმოადგენდა; სხვაგვარი იყო სამხრეთი, რომელიც ამარაგებდა ჩრდილოეთს სამუშაო ძალით და დამოკიდებული იყო დაგროვების არა კერძო (არაპიროვნულ), ანუ სახელმწიფო ფორმებზე, რათა მიეღწია ცხოვრების მსგავსი სტანდარტისთვის. გრაციანის მიერ მოწოდებული ახსნა-განმარტებების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უბრალოდ ტექნიკური არ არის: ისინი გვთავაზობს ანალიზის სტრუქტურას, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას 'წმინდა' ეკონომიკურ ფაქტორებსა და სოციალურ და პოლიტიკურ ფაქტორებს შორის კავშირის დასამყარებლად. თუმცა, გრაციანის ექსპორტზე ორიენტირებული თეზისი, მიუხედავად მისი უდავო მიმზიდველობისა, უნდა შეიცვალოს მრავალი მიზეზის გამო.

უპირველეს ყოვლისა, როგორც დავინახავთ, 1950-57 წლების პერიოდისთვის ექსპორტზე ორიენტირებული თეზისი ვერ იქნება მხარდაჭერილი და შენარჩუნებული. იტალიის ეკონომიკის საერთაშორისო სისტემაში ინტეგრაციას გარკვეული დრო დასჭირდა: ჯერ კიდევ არსებობდა პროტექციონისტული ტარიფები მთელ რიგ საქონელზე და ეს ხელს უწყობდა საექსპორტო ინდუსტრიების/დარგების განვითარებას, მაშინ როდესაც იმპორტის წინააღმდეგ იყო (გაცილებით) დაბალი ბარიერები, რომელიც კონკურენციას უწევდა 'ჩამორჩენილ' სექტორს. 1957 წლის შემდეგ, იტალიის ევროპის ეკონომიკურ თანამეგობრობაში(ინგლ.: The European Economic Community, EEC) შესვლით, უცხოური (საგარეო) მოთხოვნა იძენს უმთავრეს მნიშვნელობას. მაგრამ მანამდე მთავარ როლს თამაშობდა შიდა მოთხოვნა. საერთაშორისო მოთხოვნის რეალურ ბუმს ადგილი აქვს

მხოლოდ 1955 წლის შემდეგ და გარკვეული დროა საჭირო იქამდე, ვიდრე ომისშემდგომი ინვესტიციები ნამდვილად პროდუქტიული გახდება. ასევე გარკვეული დრო გაივლის იქამდე, ვიდრე სუსტ მშრომელთა მოძრაობას ეფექტი ექნება ხელფასების ფარდობით დონეზე, ეფექტი, რაც ძლიერდებოდა პროდუქტიულობის მუდმივი ზრდით. მოსაზრება, რომ ექსპორტი იყო 'სასწაულის' მთავარი მიზეზი, სამართლიანია მხოლოდ 1957 წლის შემდგომ პერიოდისთვის და არა 1950-57 წლებისთვის. **(Salvati, Michele [1977] 'Il mercato del lavoro in Italia' in AA.VV. Lezioni di economia. Aspetti e problem dello sviluppo economico italiano e dell'attuale crisi internazionale, Feltrinelli, Milano. p. 103.)** 1958 წელს, იტალიური ექსპორტის ღირებულება, თოთხმეტი საუკეთესო ინდუსტრიული ქვეყნის ექსპორტის მთლიანი ღირებულების 4,7 პროცენტს შეადგენდა. მაგრამ 1963 წლისთვის ამ მაჩვენებელმა 7,3 პროცენტს მიაღწია. **(Castronovo, op. cit. p. 407.)**

გარდა ამისა, ექსპორტზე ორიენტირებული თეზისი ასევე მნიშვნელოვნად შესუსტებულია იმ ფაქტით, რომ იტალიის საგადამხდელო ბალანსი მიმდინარე ანგარიშით (ე.ი., საქონელი და მომსახურება) დააფიქსირებდა დიდ დეფიციტს 1953-57 წლების განმავლობაში, რომ არ ყოფილიყო ორი ურთიერთდაკავშირებული პუნქტი, რომლებიც არ უკავშირდებოდა იტალიური ფირმების საექსპორტო შესაძლებლობებს: შემოსავალი ტურიზმიდან და შემოსავალი იმ ფულიდან, რომელსაც საზღვარგარეთ მომუშავე იტალიელები აგზავნიდნენ სამშობლოში. მიუხედავად ამისა, 1953-57 წლებში იტალია განიცდიდა 85 მილიონ დოლარზე მეტ საშუალო წლიურ დეფიციტს, მაგრამ ეს იქნებოდა 373 მილიონი დოლარის წლიური დეფიციტი, რომ არა უცხოელი ტურისტები და იტალიელი ემიგრანტები. 1958-63 წლებში, საშუალო წლიური პროფიციტი $258 მილიონს შეადგენდა, მაგრამ ეს იქნებოდა საშუალოდ $565 მილიონის დეფიციტი, ტურისტებისა და ემიგრანტების გარეშე.**(D'Antonio, op. cit. p. 202.)** ამგვარად, შეიძლება დავინახოთ, რომ იტალიური მრეწველობის მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად,

ეკონომიკა მთლიანობაში მნიშვნელოვან სარგებელს იღებდა ორი 'ინდუსტრიიდან'/'დარგიდან', - ტურიზმიდან და შრომის/სამუშაო ძალის ექსპორტიდან, რაც უფრო მეტად დამახასიათებელია დაბალგანვითარებული ქვეყნისთვის, ვიდრე თანამედროვე, განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნისთვის. ამ შენიშვნების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ილუსტრირებს იტალიის განვითარების ერთ-ერთ მთავარ თავისებურებას: მნიშვნელოვანწილად ის ეფუძნებოდა ქვეყნის სუსტად განვითარებულ მახასიათებლებს. ეს მახასიათებლები არ წარმოადგენდა დაბრკოლებას განვითარებისთვის, არამედ, პირიქით, იყო იტალიის ეკონომიკური ზრდის პირობების ნაწილი (იმ სახით), როგორც ეს სინამდვილეში მოხდა.

ბევრად უფრო 'განუვითარებლობის'/ 'ჩამორჩენილობის' მახასიათებელი, რომელიც ემსახურებოდა განვითარების საჭიროებას, იყო იტალიაში არსებული ხელფასების დაბალი დონე. ხელფასების ეს დაბალი დონე ნაწილობრივ განპირობებული იყო 1950-იან წლებში არსებული ფართომასშტაბიანი უმუშევრობით, - თავისუფალი მუშახელის სასოფლო-სამეურნეო სარეზერვო არმიით, - და შესაბამისად, პროფკავშირული მოძრაობის სისუსტით. ამ სიტუაციას იგივე ეფექტი ჰქონდა, რაც ექნებოდა 'შემოსავლების პოლიტიკას'. სინამდვილეში, მხოლოდ 1960-იან წლებში, როდესაც ხელფასმა იტალიაში მიაღწია ევროპულ დონეს, იტალიელმა გადაწყვეტილების მიმღებებმა დაიწყეს მსჯელობა საშემოსავლო პოლიტიკის დანერგვის /შემოღების შესაძლებლობის შესახებ. ამრიგად, ხელფასების დონეზე ჩარევის შემდგომი მცდელობა 1960-იან წლებში არ არის განპირობებული ინტერვენციონიზმის პრინციპებზე უეცარი კონვერსიით(ლათ.: conversio, - ნიშნავს გარდაქმნას, შეცვლას, ტრანსფორმაციას. ურბანული დაგეგმარების კონტექსტში, კონვერსია აღწერს მიწათსარგებლობის შეცვლის პროცესს), არამედ (უფრო კი) იმ ფაქტით, რომ არსებული 'შემოსავლების/საშემოსავლო პოლიტიკა' განისაზღვრებოდა ირიბი ფაქტორებით.

რეალური ხელფასები რჩებოდა სტაგნატი 1950-1954 წლებში და 1956-1961 წლებში. უმუშევრობა, რომელიც 1950 წელს იყო 7.8 პროცენტი, 1960 წლისთვის შემცირდა მხოლოდ 7.3 პროცენტამდე, მაშინ როდესაც დანარჩენ ევროპაში საშუალო უმუშევრობა მხოლოდ 1.9 პროცენტს შეადგენდა, და ეს 1.7 მილიონი იტალიელის ემიგრაციის მიუხედავად.**(Castronovo, op. cit. p. 407.)**

რა თქმა უნდა, დაბალი ხელფასები თავისთავად არ ხსნის იტალიური ექსპორტის კონკურენტუნარიანობას, რომ აღარაფერი ვთქვათ იტალიის ეკონომიკურ ზრდაზე. (ეს) ასე რომ ყოფილიყო, ჩვენ ვერ შევძლებდით აგვეხსნა, რატომ ვერ მიჰყვებიან იტალიის მაგალითს დაბალგანვითარებული ქვეყნები, რომლებსაც აშკარად შეეძლოთ დაყრდნობოდნენ იაფ მუშახელს. იტალიასა და ზოგადად, დაბალგანვითარებელ ქვეყნებს შორის მრავალი განსხვავებიდან ერთ-ერთ ყველაზე არსებითს შრომის სფეროში წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სამხრეთ იტალიელი გლეხის ზოგადი კულტურული დონე, როგორი დაბალიც არ უნდა ჩანდეს ზოგიერთისთვის, უკვე სტრუქტურირებულია ეთიკითა და ტექნოლოგიური სამყაროს 'მენტალიტეტით' ('აზროვნების უნარით'). სწორედ ამ 'კულტურულმა' ასპექტმა გახადა შესაძლებელი რამდენიმე კვირაში სამხრეთელი გლეხის ტრანსფორმაცია მაღალპროდუქტიულ, საამწყობო კონვეირის(საამწყობო ხაზის) პროლეტარად, მაშინ როცა ასეთი ტრანსფორმაცია, მსგავს დროით სივრცეში წარმოუდგენელია დაბალგანვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში.**(De Cecco, Marcello [1971] 'Lo sviluppo dell'economia italiana e la sua collocazione internazionale', Rivista Internazionale di Scienze Economiche e Commerciali, Ott. p. 982.)** ეს კულტურული ადაპტაცია ასევე ნიშნავს, რომ კავშირი ქალაქებსა და სოფლებს შორის არ არის დარღვეული, რასაც ხშირად აქვს ადგილი დაბალგანვითარებულ ქვეყნებში.

დაბალი ხელფასის ეკონომიკა დიდწილად განპირობებული იყო იაფი მუშახელის მიწოდების არსებობით სამხრეთში. მაგრამ ამ მიწოდებას არ ჰქონია 'ბუნებრივი' მიზეზები; ის პოლიტიკურად იყო

შეპირობებული. ამ პოლიტიკური ინტერვენციის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენდა 1950 წლის აგრარული რეფორმა, რომელიც გამოწვეული იყო 1940-იანი წლების ბოლოს აგრარული აჯანყებით. აგრარული რეფორმა გამოცხადდა 1950 წელს, როდესაც მთავრობამ გადაწყვიტა კალაბრიაში (Calabria) 40.000 ჰექტარი მიწის დისტრიბუცია. მოგვიანებით, სხვა კანონმა გადაანაწილა მიწა ყველა ლატიფუნდიის რაიონში და კიდევ ერთმა კანონმა შექმნა ფონდი სამხრეთის აღორძინებისთვის, სახელწოდებით Cassa per il Mezzogiorno. აგრარულ რეფორმა შესაძლებელია მრავალი თვალსაზრისით იქნას გაკრიტიკებული: მისი გამოყენება ნაწილობრივი იყო, რადგან ის მოიცავდა ლატიფუნდიების რაიონებში მხოლოდ დაუმუშავებელ მიწებს. სამართლიანობისთვის აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ექსპროპრიირებულებს მაღალი კომპენსაცია გადაუხადეს. როგორც პ. ა. ალუმი(P. A. Allum) წერდა: '... ეს იყო პოლიტიკური ოპერაცია აგროქალაქების სოფლის პროლეტარიატის ნაწილის გლეხ მესაკუთრეებად გადაქცევის მიზნით, [და იმ მოლოდინით], რომ ის მათ აქცევდა status quo(სტატუს კვოს) დამცველებად. ამავდროულად, მას უნდა უზრუნველეყო მათი კონტროლის მექანიზმები; მიწის სააგენტოებს [ე.ი. Cassa, DS] უნდა განეხორციელებინა ახალი სახის პატრონაჟი.'**(Allum, P.A. [1972] 'The South and national politics, 1945-1950', in S. J. Wolf (Ed.) The Rebrith of Italy, 1943-50, Longman, London. p. 118-19.)**

Cassa-მ არ განავითარა სამხრეთი. სინამდვილეში ის ამას არ ითვალისწინებდა. რაც მან გააკეთა იყო ის, რომ 1950-იან წლებში მოამზადა პოტენციური შრომითი რეზერვი მისი ინტერვენციის უფლებამოსილების გამოყენებით, უმთავრესად იმის სასარგებლოდ, რომ მან განსაზღვრა(გამოყო/გამოარჩია) 'სიცოცხლისუნარიანი' მეურნეობები/ფერმები. მან გააფართოვა ბაზარი ჩრდილოეთის ინდუსტრიისთვის სამხრეთის შემოსავლების გაზრდით, საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამის მეშვეობით და დააფუძნა ახალი კლიენტურული სისტემა მთავრობის წამყვანი

პარტიისთვის, DC-სთვის.**(D'Antonio, op. cit. p. 236.)** პირველ ხუთ წელიწადში (1950-55) Cassa-მ შექმნა ინფრასტრუქტურა სოფლის მეურნეობის სასარგებლოდ (მაგ., მიწის მელიორაციის პროექტები, სუბსიდიები აგრარული რეფორმისთვის). შემდგომმა ხუთმა წელმა გზა გაუხსნა პოლიტიკის ცვლილებას, რამაც გამოიწვია სამხრეთის ინდუსტრიალიზაციის მცდელობა (1960-იან წლებში).**(D'Antonio, op. cit. p. 238.)** ასე რომ, მთელი 1950-იანი წლების განმავლობაში სამხრეთი არ იყო ჩაფიქრებული, როგორც ინდუსტრიალიზაციის არეალი(ადგილი/მხარე).

სამხრეთის არაინდუსტრიალიზაციის პოლიტიკური მიზეზები დამოკიდებული იყო იმ ვარაუდზე/დაშვებაზე, რომ მიწის მესაკუთრე გლეხები უფრო კონსერვატორები იყვნენ, ვიდრე პროლეტარები. ამიტომ საჭირო იყო მათი მიწაზე დამაგრება და ქარხნებს მიღმა ყოფნა. თუმცა, ასეთი შეხედულება, (გარკვეულ) ზღვრამდე მიყვანის შემთხვევაში, დამღუპველი აღმოჩნედებოდა ჩრდილოეთის ინდუსტრიისთვის, რომელიც იძულებული გახდებოდა სუბსიდირება გაეწია არაეფექტური სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის და რომელიც მოკლებული იქნებოდა პოტენციურ სამუშაო ძალას.

მთავრობას უნდა შეესრულებინა დელიკატური დაბალანსების აქტი: ბოლოს და ბოლოს, აგრარული რეფორმა ხომ ჩაფიქრებული იყო, როგორც კონსენსუსის მიღწევის ოპერაცია. ამგვარად, მთავრობა იცავდა მხოლოდ მანამდე არსებულ კაპიტალისტურ მეურნეობებს/ფერმებს, და ექსპროპრიირებული მემამულეებისა და მეწარმე ფერმერების მიერ შექმნილ მეურნეობებს/ფერმებს. ღარიბმა გლეხობამ, დარჩენილმა ძალიან მცირე მიწის ნაკვეთზე, ხელი შეუწყო იტალიის ეკონომიკის აღმავლობას 1958-63 წლებში მასიური შიდა მიგრაციით. ამგვარად, სამთავრობო პოლიტიკა იცავდა სამხრეთის მოსახლეობის ნაწილს და მეტ-ნაკლებად აიძულა დანარჩენები, ეძიათ ცხოვრება უმიწოდ. საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამების სტრატეგია, რომელიც იყო Cassa-ს და სხვა სახელმწიფო უწყებების ხელში, მიზნად

ისახავდა ინფრასტრუქტურის კონსოლიდაციას, სოფლის მეურნეობის სექტორის გაძლიერებასა და ტურიზმის განვითარებას. ეს იყო ეკონომიკური საფუძველი ინტერესთა ახალი კოალიციისთვის სამხრეთში. სახელმწიფოს ჩარევა შეიძლება მიღებული ყოფილიყო ჩრდილოეთის მიერ, რამდენადაც მან განავითარა ბაზარი სამხრეთში ჩრდილოეთის პროდუქციისთვის, სამხრეთის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის გაზრდის გარეშე. მან სამხრეთის ინტერესების (დამცველთა) კეთილ-განწყობა მოიპოვა, რადგან ხელი შეუწყო სამშენებლო ინდუსტრიის გაფართოებას და მცირე გლეხური მეურნეობების ფართო ქსელის განვითარებას.

როდესაც მოხდა დიდი შიდა მიგრაცია, უნდა შემცირებულიყო ფართო საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამა, რომელიც განხორციელდა მოსახლეობის რიცხოვნების წინა დონის საფუძველზე. გარდა ამისა, მოსახლეობა, რომელიც არ ემიგრირდა ჩრდილოეთში, გადასახლდა ზღვის სანაპირო ზოლზე, რადგან იქ მეტი სამუშაო იყო, იქნებოდა ეს ტურისტულ სექტორში, საცალო ვაჭრობის სექტორსა თუ მცირე წარმოების სექტორში. ამრიგად, სახელმწიფოს მთავარი ამოცანა მდგომარეობდა კერძო ინდუსტრიისთვის ინფრასტრუქტურის შექმნაში. ის ჯერ არ მოქმედებდა სამხრეთში როგორც მეწარმე, მაგრამ ხელს უწყობდა მრავალი მცირე ფირმის განვითარებას. 1961 წელს, სამხრეთის ინდუსტრიებში დასაქმებულთა 60 პროცენტი მუშაობდა ფირმებში, სადაც ათზე ნაკლები ადამიანი იყო დასაქმებული.

ამგვარად, სამხრეთში გაზრდილი მცირე საწარმოთა ეს ქსელი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფო ხარჯების სისტემასთან და, შესაბამისად, ვალში იყო ადგილობრივი და ეროვნული პოლიტიკური ინტერესების წინაშე. სამხრეთში მთავრობის მოქმედება ჩრდილოეთს უფრო მეტად დაეხმარა, ვიდრე თავად სამხრეთს. ინფრასტრუქტურაზე დახარჯული თანხები, მაგ., საავტომობილო გზები, დაეხმარა ჩრდილოეთის მრეწველობას/ჩრდილოეთის სამრეწველო დარგებს როგორც უშუალოდ, ისევე იმგვარად, რომ ამან ბიძგი მისცა

მოთხოვნას წარმოებულ პროდუქციაზე(მაგ. ავტომობილებზე). გარდა ამისა, სამხრეთის მუშახელის შემოსვლა-ჩართვამ საჯარო სამუშაოების სისტემაში, სამშენებლო ინდუსტრიებში დასაქმების არასტაბილური ბუნების გამო, სამხრეთის სამუშაო ძალა მარგინალიზებულ და მოწყვლად მდგომარეობაში ჩააყენა. ისინი, ვინც ტოვებდნენ საკუთარ მიწა-წყალს Cassa-ს ერთ-ერთ პროექტში მუშაობის გამო, ვერ ბრუნდებოდნენ უკან, როდესაც პროექტები სრულდებოდა: მათ უნდა ემოძრავათ უფრო ჩრდილოეთით. საბოლოოდ, სახელმწიფო ხარჯების პროგრამამ ხელი შეუწყო ჩრდილოეთის მრეწველობის პროდუქციაზე შიდა მოთხოვნის შენარჩუნებას.**(Fabiani, Guido [1977], 'Agricoltura e mezzogiorno', in AA.VV. Lezioni di economia. Aspetti e problemi dello sviluppo economico italiano e dell'attuale crisi internazionale, Feltrinelli, Milano. p. 158.)**

ამრიგად, სამხრეთში სახელმწიფოს ჩარევის ეს ფორმა, ისევე როგორც წინა 100 წლის განმავლობაში, ექვემდებარებოდა მმართველი ინდუსტრიულ-ეკონომიკური ჯგუფების ინტერესებს. როგორც აგრარულმა რეფორმამ ისე Cassa-ს საჯარო სამუშაოების პროგრამამ ხელი შეუწყო ლატიფუნდიის სისტემის დასრულებას, მცირე მასშტაბის გლეხობის დაბადებას და, შესაბამისად, სოფლის დატოვების ახალ შესაძლებლობებს. **(D'Antonio, Mariano [1977] 'Questioni di politica economica: l'esperienza italiana', in AA.VV. Lezioni di economia. Aspetti a problemi dello sviluppo economico italiano e dell'attuale crisi internazionale, Feltrenelli, Milano. p. 49-50.)**

სახელმწიფოს ჩარევის ერთობლივი შედეგები მიუთითებდა სოფლის მეურნეობის წარმოების მნიშვნელობის მუდმივ კლებაზე. მიუხედავად იმისა, რომ 1951-1967 წლების პერიოდისთვის სოფლის მეურნეობაში პროდუქტიულობა 44 პროცენტით გაიზარდა, მისი წილი ეროვნული შემოსავლში მუდმივად მცირდებოდა: 1951 წელს 20-21 პროცენტიდან, 13-14 პროცენტამდე 1967 წელს. ამ კლებას თან ახლდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა უპრეცედენტო ემიგრაცია: 25 მილიონი 1951-1967 წლებში.

1963 წლისთვის იტალია თვითკმარი იყო მხოლოდ სამი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით: ბრინჯი, ხილ-ბოსტნეული, და ღვინო. იგი აწარმოებდა ნაკლებ მარცვლეულს, ვიდრე საფრანგეთი და დასავლეთ გერმანია, ისევე როგორც ნაკლებ ხორცს, რძესა და შაქარს.**(Coda-Nunziante, G. and De Nigris, M. [1970] 'Projections for food and agricultural products to 1972 and 1975', in A. M. M. McFarquhar (Ed.) Europe's Future Food and Agriculture, Amsterdam. p. 2000-5.)** ამგვარად, სოფლის მეურნეობის შესუსტება და მისი ღირებულება საგადამხდელო ბალანსის თვალსაზრისით იყო მთავრობის დაბალი სახელფასო პოლიტიკის ანალოგი.

სახელმწიფოს როლი დაბალი ხელფასის სისტემის განსაზღვრაში, საშუალებას აძლევდა იტალიელ მეწარმეებს ესარგებლათ კონკურენტული უპირატესობით მათ უცხოელ კონკურენტებთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, დაბალი ხელფასები არ წარმოადგენდა ექსპორტის ზრდის ერთადერთ ელემენტს. ეს არ იყო იტალიის ეკონომიკური განვითარების ერთადერთი მიზეზი.

სხვა მიზეზების დადგენა შესაძლებელია ეროვნული შემოსავლების სტატისტიკური მონაცემების დეზაგრეგაციით (დაყოფა, დაშლა. ნაწარმოებია ლათინური სიტყვა aggregare[შეერთება]-დან. ცნება [აგრეთვე დიზაგრეგაცია] აღნიშნავს/აღწერს სტატისტიკური მონაცემების დაყოფას გარკვეული მახასიათებლების მიხედვით სხვადასხვა ინდივიდუ-ალურ ცვლადებად. აგრეგაციის საპირისპიროდ). **(Salvati, op. cit. p. 104.)** რიცხვები აჩვენებს, რომ 1951-1961 წლებში ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 78.3 პროცენტით, ხოლო მოხმარება მხოლოდ 59.8 პროცენტით. ამდენად, მოხმარების ზრდით არ შეიძლება აიხსნას ეროვნული შემოსავლის ზრდა. უნდა იყოს სხვა ფაქტორები, კერძოდ, სახელმწიფო ხარჯები, ექსპორტი და ერთობლივი ინვესტიციები. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ექსპორტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მხოლოდ 1957-8 წლების შემდეგ. რაც შეეხება ინვესტიციებს, რომლებიც

მნიშვნელოვნად გაიზარდა (138.6% 1951-1961 წლებში), უნდა გავითვალისწინოთ, რომ კერძო, მოგებაზე ორიენტირებული ინვესტიციები გამოწვეულია მოთხოვნის ზრდით ან, სულ მცირე, მოთხოვნის მოსალოდნელი ზრდით. ეს ნიშნავს, რომ ისინი არ შეიძლება იყოს კლასიფიცირებული, როგორც ზრდის ძირითადი მიზეზი, არამედ, როგორც ეროვნული შემოსავლის ზრდის შედეგი.

მაშ, რამ გამოიწვია მოთხოვნის ზრდა? გარდა საგარეო მოთხოვნისა (რაც იწვევს ექსპორტის წარმოქმნას) შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ სახელმწიფო ხარჯები და სახელმწიფო ინვესტიციები, და რამდენადაც სახელმწიფო ხარჯები არ გაზრდილა ეროვნულ შემოსავალზე უფრო მეტად (ანუ სახელმწიფო ხარჯები განათლებაზე, ჯანდაცვაზე, შეიარაღებულ ძალებზე, პოლიციასა და ა.შ.), ცენტრალური როლი უნდა ეთამაშა სახელმწიფო ფიქსირებულ ინვესტიციების. მაგ., სოფლის მეურნეობაში, ბინათმშენებლობასა და ტრანსპორტში ინვესტიციების ზრდის ტემპი იყო განსაცვიფრებელი, - 184 პროცენტი.

ამრიგად, ეკონომიკური სასწაული დიდწილად განპირობებული იყო სახელმწიფოს აქტივობით, მაგრამ არა კერძო მეწარმეებთან კონკურენციაში, არამედ როგორც მათი ზრდის მთავარი ელემენტის. ნეოლიბერალური აზროვნების გავლენა ჯერ კიდევ შეინიშნებოდა ეკონომიკის მონეტარულ მენეჯმენტსა და იტალიის ბანკში, მაგრამ არსებითად პოლიტიკური მიზეზების გამო, DC-ს, როგორც პოლიტიკურ პარტიას არ შეეძლო მოქცეულიყო ტრადიციული, ეკონომიკაში არჩაურევლობის ანუ laissez-faire(Laissez-Faire[/leseifer-/, French: [lesefer] არის ეკონომიკური სისტემა, რომელშიც ცალკეულ სუბიექტებს შორის არსებული ტრანსაქციები თავისუფალია მთავრობათა იმგვარი ჩარევებისგან, როგორებიცაა რეგულაციები, პრივილეგიები, ტარიფები და სუბსიდიები. მაშასადამე, ეს არის მიმართულება [ქცევის ფორმა, პოლიტიკა], რომელიც ხელისუფლების კონტროლის გარეშე იძლევა კერძო საწარმოების განვითარების შესაძლებლობას. **Laissez-faire-Wikipedia, the**

free Encyclopedia, https://en.m.wikipedia.org.-wiki-laisse..., Oxford Advanced Learner's Dictionary, 7th Edition, Oxford University Press, 2005. p. 859.) მიდგომის ფორმით. მას უნდა გამოეყენებინა, თუმცა უხალისოდ, მაკროეკონომიკური ინტერვენციის კეინზიანური პოლიტიკა. თავის მხრივ, ეს არ იყო დეტერმინირებული რაიმე ვალდებულებით /ერთგულებით კონკრეტული ეკონომიკური სკოლის მიმართ, არამედ მყარი თანხმობის დამყარების აუცილებლობით არა მხოლოდ კერძო სექტორთან, არამედ მოსახლეობის დიდ ნაწილთან დაკავშირებითაც. ანტიკომუნიზმი და რელიგიური პიეტიზმი ვერ იქნებოდა ერთადერთი შემადუღაბებელი ხელისუფლების ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების ბლოკისთვის, რომელსაც ქრისტეან-დემოკრატიული პარტია აყალიბებდა იტალიაში, რაც მდგომარეობდა სამუშაო ადგილების შექმნაში ყველა სოფელსა და ქალაქში. ამავდროულად, სახელმწიფო ინტერვენციას არ მოჰყოლია 'გეგმა' ინდიკატური დაგეგმვის ფრანგული მოდელის მიხედვით. სახელმწიფო ერეოდა მასიურად, მაგრამ გეგმა არ ყოფილა. ინტერვენცია ჩაფიქრებული იყო, როგორც სოციალური კონტროლის/საზოგადოებრივი ზედამხედველობის ინსტრუმენტი, როგორც იტალიის კომუნისტური პარტიის (იტალ.: Il Partito Comunista Italiano, PCI) ზრდის პრევენციის საშუალება, როგორც DC-ის ელეკტორალური ბაზის უზრუნველყოფის საშუალება და როგორც კერძო მეწარმეობის ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის საშუალება. ამ ახალი პოლიტიკური ძალაუფლების ბლოკის ჩამოყალიბებისას მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს ჩართულობა.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა რეალური გეგმა, დაგეგმვის კონცეფცია, როგორც ასეთი, პროგრესირებდა. ჯერ კიდევ 1950-იანი წლების დასაწყისში იქნა აღიარებული, რომ იტალიური სისტემის სპონტანური ევოლუცია ვერ გადაჭრიდა დუალიზმს ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. სწორედ ამ კონტექსტში შეძლო DC-ის მემარცხენე ფრთამ 1954 წელს მოემზადებინა ვანონის გეგმა(იტალ.: Il Piano Vanoni;

ფინანსთა და ბიუჯეტის მინისტრი ეციო ვანონი/Ezio Vanoni, რომლის ეგიდითაც მომზადდა გეგმა). გეგმის ნაცვლად, ეს იყო დოკუმენტი, რომელიც ადგენდა სამ მთავარ მიზანს მომდევნო ათი წლისთვის.**(Valli, Vittorio [1979] L'economia e la politica economica italiana (1945-1979), Etas Libri, Milano. p. 110.)**

1. ოთხი მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა არასასოფლო-სამეურნეო სექტორში.

2. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის შემოსავლებში სხვაობის შემცირება თუ არა აშკარა აღმოფხვრა.

3. წონასწორობა საგადამხდელო ბალანსში.

ამ მიზნების მისაღწევად, ეკონომიკა წელიწადში მინიმუმ 5 პროცენტით უნდა გაზრდილიყო. ფაქტობრივად, ეკონომიკა გაიზარდა 5 პროცენტზე ოდნავ მეტი ტემპით და საგადამხდელო ბალანსი წონასწორობაში მოვიდა 1958 წლის შემდეგ. თუმცა, არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმება გაიზარდა მხოლოდ 2,6 მილიონი ერთეულით და სხვაობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის კვლავინდებურად დიდი იყო: სამხრეთის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე იყო 62.7 პროცენტი 1951 წელს და 62 პროცენტი 1963 წელს.

სახელმწიფოს ინტერვენციებმა Istituto per la Ricostruzione Industriale (IRI)-თა და Ente Nazionale Idrocarburi (ENI)(ნახშირწყალბადების სახელმწიფო კომპანია)-ით და ყველა დამცავი ტარიფის გაუქმებამ 1957 წელს, რაც დამთავრდა იტალიის EEC-ში შესვლით, დამგეგმავებზე გაცილებით მეტი ეფექტი იქონია. ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის განსხვავების აღმოსაფხვრელად საჭირო იქნებოდა იმაზე მეტი, ვიდრე ვანონის გეგმის კეთილი განზრახვები: კერძოდ, სამხრეთის შემოსავლების ზრდის ტემპი ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთის შემოსავლების ზრდის ტემპზე (ანუ, 8%-ის 4%-თან თანაფარდობით). ამ მიზნის მისაღწევად, მთლიანი ინვესტიციის მოცულობა ჩრილოეთთან შედარებით სამხრეთში ორჯერ უნდა გაზრდილიყო, რასაც მოჰყვებოდა სამხრეთის ყველაზე სწრაფი და ინტენსიური ინდუსტრიალიზაცია. მხოლოდ

მმართულ ეკონომიკას შეეძლო ამის მიღწევა 1950-იან წლების იტალიაში. ვანონის გეგმის ამბიციური მიზნების მიღწევა მხოლოდ განვითარების სხვა მოდელით იყო შესაძლებელი, მაგრამ ამას სულ სხვა პოლიტიკური სტრუქტურის არსებობა დასჭირდებოდა.

იტალიის ეკონომიკური განვითრების ანალიზის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს წარმოადგენს 1963-1973 წლების(ერთი ათწლეული) პერიოდი, როგორც წინა პერიოდისგან არსებითად გამორჩეული და წოდებული 'ათწლეულის სასწაულად', რაც ხასიათდება დასაქმებისა და ხელფასის დონის სწრაფი ზრდით. ამავე პერიოდში მიმდინარეობს პროფკავშირების გაძლიერებაც. არსებობს ბევრი რამ, რასაც ადგილი ჰქონდა ამ ათწლეულში. კერძოდ, იტალიის ბანკის(Banca d'Italia) მიერ, სწორედ 1963 წელს წარმოებულმა საკრდიტო კრიზისმა გამოიწვია იტალიური ეკონომკის განვითარების კურსის ცვლილება, რამდენადაც მას ჰქონდა მაღალი უმუშევრობის მყისიერი/უშუალო ეფექტი(მან პირდაპირ იმოქმედა უმუშევრობის ზრდაზე), რასაც მოჰყვა ინდუსტრიული რესტრუქტურიზაციის პროცესი. იმ წლებში ადგილი ჰქონდა ასევე სახელმწიფო მრეწველობის პროგრესულ გაფართოებას, რომელიც დაიწყო 1963 წელს ENEL-ის შექმნით, რასაც მოჰყვა Olivetti-სა და Montedison-ის სატელეფონო სექტორის საჯარო კონტროლს დაქვემდებარება.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ამავე პერიოდში დაწყებული სასოფლო-სამეურნეო სექტორში არსებული მდგომარეობა იმის შეხსენებით, რომ ნაციონალური აგრარული პოლიტიკა გადაჭრით იყო ორიენტირებული ეფექტიანობისა და მწარმოებლურობის ამაღლებაზე. ანალოგიური კურსი იყო ასახული ევროპის თანამეგობრობის(dalla Comunità Europea) მიერ მანშოლტის მემორანდუმში(nel Memorandum Mansholt). ეს პოლიტიკა, თავისი ნეგატიური შედეგებით, დამაზიანებელი აღმოჩნდა ფერმერული/აგრარული სამხრეთისთვის, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა (და ახალისებდა)

აგროსფეროს მოშლასა და მიგრაციებს, განსაკუთრებით შიდა რეგიონებში.

1963-73 წლების პერიოდთან მიმართებით მნიშვნელოვანი არის ეკონომიკური დაგეგმვა /დაგეგმარება. იტალიაში, დაგეგმვის /დაგეგმარების პრობლემა დადგა უკვე ომისშემდგომი პერიოდიდან, როცა აუცილებელი ჩანდა არსებული საწარმოო რესურსების მობილიზაცია, ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის დასაჩქარებლად. 1962 წელს, ბიუჯეტის მინისტრი(Ministro del Bilancio) გახდა უგო ლა მალფა(Ugo La Malfa) და ეკონომიკურ დაგეგმვასთან დაკავშირებით შეიქმნა ნაციონლური კომისია, ვიცე-პრეზიდენტის, პასკუალე სარაჩენოს(Pasquale Saraceno) ხელმძღვანელობით. ამ კომისიის შექმნით, პირველად გახდა შესაძლებელი, რომ ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებში აქცეპტირე-ბულიყო იტალიის ეკონომიკის დისბალანსებისა (squilibri უწონასწორობა) და დისტორსიის(distorsioni გამრუდება /დამახინჯება) შესახებ მიმდინარე დისკუსია. კომისიის პირველი წვლილი იყო 1963 წელს წარმოდგენილი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ არსებული საერთო მოხსენების /ანგარიშის (Relazione generale) დამატებითი ჩანაწერი /შენიშვნა(una Nota aggiuntiva). ამ ჩანაწერში /შენიშვნაში იდენტიფიცირებული იყო სამი ფუნდამენტური დისბალანსი: პირველი, - დარგობრივი ხასიათის, რომელიც ეხებოდა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობას, მეორე, - ჩრდილოეთთან და სამხრეთთან დაკავშირებული ტერიტორიული ხასიათის, და მესამე,- რაც წარმოების სტრუქტურისთვის იყო ინ(ჰ)ერენტული (inerente არსებითი/ თანამდევი/ თანდაყოლილი). ამ დოკუმენტით დაგეგმვა/პროგრამირება (la programmazione) უკვე აღარ ითვლებოდა რა მარტივ ტექნიკურ ინსტრუმენტად, ხელისუფლების მოქმედება უნდა გამხდარიყო (უფრო) რაციონალური, და თავისი შინაარსით, რაც უკავშირდებოდა რიგ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, უნდა შეეძინა ჭეშმარიტი ეკონომიკური პოლიტიკის დოკუმენტის ბუნება/ხასიათი. (სამწუხაროდ, ეკონომიკური დაგეგმვის მნიშვნელოვანი

გამოცდილება არ იძლევა სრულად პოზიტიური შეფასების შესაძლებლობას, რამდენადაც კომისიამ ვერ შეძლო ეჩვენებინა მიზნები და მიეღწია მათთვის).

ეკონომიკური სასსწაულის/ბუმის მიწურულს აშკარა იყო, რომ მაკროეკონომიკური ფაქტორები აფერხებდნენ იტალიის განვითარების ზრდას, იტალიურ საწარმოო სპეციალიზაციას გააჩნდა აშკარად სუსტი მხარეები, რომელთა შორის გამოიყოფა მისი სუსტი ადაპრტირების უნარი ახალ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემასთან, რაც ხასიათდებოდა გლობალიზაციის ტენდენციებით. სისტემის კონკურენტუნარიანობის არარსებობა, მოკრძალებული ტენდენციები ფაქტორთა საერთო მწარმოებლურობაში და ფინანსური ბაზრების ზოგიერთი ხარვეზი როგორც ჩანს განეკუთვნება ამ პერიოდის იტალიური ეკონომიკის კრიტიკულ საკითხთა წყებას. გარდა ამისა, კვლავაც არსებობდა მეძოჯორნოს (Mezzogiorno) გადაუწყვეტელი პრობლემა, რაც, როგორც ჩანს იმ დროისთვის მოძრაობდა საერთო გაუარესების მიმართულებით, რასთან მიმართებითაც სახელმწიფო პოლიტიკა და ინსტიტუციები მოჩანდა უმწეოდ. სწორედ ამაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება ომისშემდგომი იტალიური ეკონომიკის ტრაექტორიის უკეთ გაგება და იმ ძირითადი პრობლემების გამოვლენა, რითაც ის ხასიათდებოდა.

Vasil Khizanishvili

Italy: From Reconstruction to Economic Miracle (1945-1963/73)

We think that the post-war situation of Italy as an axis member state and the twenty-five-year period of its development should be interesting for our country, which for three decades was unable to form an acceptable and successful socio-economic model, taking into account its inherent ethno-cultural factors.

The monograph presents the first individual research in Georgia. The work was performed at the Universities of Naples (Italy, summer 2022) and Tuebingen (Germany, autumn-winter 2021).

Major Editor:
Prof. Elguja Meqvabishvili (Tbilisi State Univeristy)
Honour Editor:
Prof.(Emeritus) Hermann Lichtenberger (University of Tuebingen)
Editor:
Prof. Loid Karchava (Georgian Technical University)
Reviewer:
Asist. Prof. Lasha Tabatadze (Ilia State University)

Vasil Khizanishvili, ,,Italy: From Reconstruction to Economic Miracle (1945-1963/73)“, Publishing House ,,Loi“, Tbilisi 2023, pp. 201

ვასილ ხიზანიშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. გერმანიის EKD-ს (2001-03, 2012), Gustav-Adolf-Werk e.V. (2010) და KAAD-ს (2015, 2017, 2020, 2021) სტიპენდიანტი. ოთხი სახელმძღვანელოს(,,ეთიკური ეკონომიკა“, ,,ბიზნესის ეთიკა“, ,,მსოფლიო რელიგიები და ეკონომიკა“, ,,სტრატეგიული მარკეტინგი“, ერთი მონოგრაფიის (,,სოციალური საბაზრო ეკონომიკა [გერმანული მოდელი]“) და 56 სამეცნიერო სტატიის ავტორი.

Vasil Khizanishvili

Doctor of social sciences in economics. Invited Professor of Telavi State University. He was Germany scholarships holder of EKD (2001-03, 2012), Gustav-Adolf-Werk e.V. (2010) and KAAD (2015, 2017, 2020, 2021). He is author of four textbooks (,,Ethical Economics“, ,,Business Ethics“, ,,World Religions and Economics”, ,,Strategic Marketing“, the one monograph (,,Social Market Economy [german model]) and 56 scientific articles.